

# გზა

69

№3 (293) 19/1-25/1.2006. ფასი 60 თ.

„თუ სუსტი ხარ, პოპულარობა  
სელს შეგიძლებს იშაფი, რომ  
გახლა ილიოტი...“




„ვერასოდეს  
წარმოვიდგენდი, რომ  
მიუხანთან ინტერვიუ  
პრობლემად გექცეოდა...“



ინგა გრიგოლიას  
ცინიკოსი რესპონდენტები

მოცლილო — ჯანიანი კასი,  
როგელმაც ლეილა აბაშიძე  
გადაარჩინა...



## შემთხვევა


შეატრული  
კატრული მოხვდა

ანუ „ოფიციალურმა თრეანომ  
არაოფიციალურად შექთუფითუდა...“



გედისწერა — გახდება თუ არა სქეს შეცვლილი ადამიანი კანონიერი ქურდი

# ახალი მაგილის კალენდარი



აუსილაბელი  
ყველა სანური  
მაგილისთვის

გადაფურცლეთ  
და დაბკით  
ულაგაზესი პეიზაჟებით

ადგილზე  
მივანით  
☎ 42-43-40



**მინიატურები**  
„ვიბარებ „ბიოკაბს“ ანუ  
დაუნდობელი ბროკლა ნიკოტინს! 3

**საზოგადოება**  
ბავშვა თუ არა ბავშვების „ბამსაში“  
საქართველო ბავშვების მიძღვნილი ქვეყანა?.. 6

**საფრთხე**  
ფრინველის ბრიკი –  
სამედიცინო და ეკონომიკური  
ასექტები 7

**აქტუალური ინტერვიუ**  
რას დაჰპრაღდება ინგა ბრიტოლიას  
გასუქება და ვის უნდა ვუთხრათ „პაპა“ 9

**ტრადიციები**  
„მოდისტიკური“ ფოლკლორი,  
ღვინო, თეჟა, ნაბაღი  
და ცნობილი სახეები... 11

**პროექტი**  
„ოფისიალურმა ორბანომ  
არაოფისიალურად შემოგვითვალა...“ 12

**კრიმინალი**  
● „სასამართლოს ჩემთვის  
მნიშვნელობა არა აქვს, საქმეს  
ერთ აღამიანთან გავარკვევ“,  
– ახსნებს შალვა რამიშვილი 14  
● მოლაშვილი სააპელაციო  
პალატის წინაშე წარღვა 15  
● მკვლელობა ჯვრის მონასტერთან 15

**ბედისწერა**  
კასი, რომელიც იყო ქალი... 18

**გზავნილები**  
მთვრალი დაქალების სტრუქტურა –  
სამედიცინო უაღრესოდ ამოსული აპატიის ხე... 20

**ჩემი თარგა**  
„სტალინი გადახედავს ბერიას და  
ჰაითსასს: – ლავრენტი, ეს ის ჯუღელია?“ 24

**ოჯახი**  
„ბაპარულაბი“ – მრავალშვილიანი  
ბებიაქალის აღიარება 26

**მსახიობი**  
თვითნაბადი ოქროს საფასურად  
მიღებული ერთი ფილა შოკოლადი... 28

**ეკრანს მიღმა**  
„თუ სუსტი აღამიანი ხარ,  
პოპულარობა ხელს შეგიწყობს  
იმაში, რომ გახლე იდიოტი...“ 30

**რეკორდები**  
ყველაზე მაღლები, ყველაზე  
ნორჩები, ყველაზე იღბლიანები... 32

**ჯანმრთელობა**  
● ჩაი – სასიამოვნოს, სასარგებლოს 34  
● ხერხემალი ყურადღებას მოითხოვს 34  
● ნატურალური ნიღბები 35  
● ტესტი: ხომ არ არის ცხიმოვანი? 35

## რას დაჰპრაღდება ინგა ბრიტოლიას გასუქება და ვის უნდა ვუთხრათ „პაპა“




„...ან ძალიან მძიმეა უმრავლესობის ლიდერობა, ან უბრალოდ, როცა აღამიანი რაღაც თანამდებობას აღწევს, მერე გონი ეცვლება. ერთი რჩევა შემძლია მივცე დამწყებ ქურნალისგებს: როცა რესპონდენტი ინტერვიუზე ორჯერ ან სამჯერ უარს გვცხვს, „პაპა“ უთხარი და გაიარე...“

9

## „ოფისიალურმა ორბანომ არაოფისიალურად შემოგვითვალა“

„პაგრული მალევე მოვიდა. ისევე დაგვეხმარნენ, როგორც სხვებს ეხმარებიან ხოლმე. გადაცემა „პაგრულისთვისაც“ გადაიდეს სიუჟეტი და დაახლოებით ასეთი განცხადება გააკეთეს: გელეკომპანია „202“-ის ნასვამი თანამშრომლები... სად ვიყავი ნასვამი – ე.წ. სამი „რიუმკა“ მქონდა და დალეული!“



12

## „თუ სუსტი აღამიანი ხარ, პოპულარობა ხელს შეგიწყობს იმაში, რომ გახლე იდიოტი...“



„ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ იმის მაგივრად, მომეძებნა აღამიანი, რომელიც ჩემს ხასიათს აიგანდა, მომეძებნე აღამიანი, რომლის ხასიათსაც მე ვიგან. ვერ ვიგყვი, რომ მაგრად ვარ შეყვარებული და გათხოვებას ვაპირებ, მაგრამ არსებობს აღამიანი, ვისთვისაც ყველანაირი „სტერვობის“ ხალისი დაგკარგე“.

30

## აპულუაქვილილი მოქალაქე მრგვალ თარიღს ხვდება

„ყეფა ჯერ არ დამიწყია, არ ვიკბინები – ალბათ ერთგული და წყნარი „ძალი“ ვარ... ჰოროსკოპის მჯერა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჰოროსკოპში ცული რამ რომ მეწეროს, თავი მოვიკლა?..“



38

**ფაქტობრივები**  
 მიხეილ ულატიანი: „წინასწარმეტყველებად არ გამოვლავლავი“ 36

**სპორტული მოზაიკა** 37

**მადლი**  
 ამაღლებული მომღერალი მრგვალი თარღის ხელმძღვანელი ხვდება 38

**ღიზინიერი**  
 მოსივ რომას არომატული სიყვარული 40

**ვივირანტები**  
 რა ბაღი ეწია ნოე რამიშვილის მემკვიდრეებს უსსრ-ში 42

**ღვინისწული**  
 „ასაღა ან, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმაართელ“ 44

**რომანი**  
 რუსულან ბერიძე. თქვენი (ბაბრქაძე) 45

**ტკივილი**  
 „აზუსტად... სრულიად საიდუმლოდ“ – ისინი, ვინც ბანაღბურებას ექვემდებარებოდნენ 49

**ასპარეზი**  
 მოჭიდავე, რომლისთვისაც კედელზე სირბილი პრობლემას არ წარმოადგენდა 51

**თავდა**  
 „შეშინებამ, ეს ერთი ცოლი ჩემს სახელზე გააფორმე-მითქმი...“ 54

**ავტო** 55

**ანტიდავრისანტი**  
 ინფორმაციულ-შემატებითი კოლაჟი გორა ღვალის უბის წიგნაკიდან 56

**კვირკვიროსნები**  
 სამეფო კარის საიდუმლოებანი 56

**პარსკვლავები** 58

**პროგნოზები**  
 მსოფლიოს მომავალი – ცენტრალური საღამომედიო საგარეოელოს ვერსიით 59

**სკანერადი** 61

**იუმორი** 61

**ტენტი ქალბისთვის** 63

ხარო თუ არა მგალ იმისათვის, რომ საყოფასთვის პრობლემები ქმართან თანაბრად გაინაწილოთ? 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტიანიის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომცემის კვირავი მრთხელ. სუთუბათობით ბაზმით „კვირის პალიტრის“ ღამათმბა ჟურნალი ზელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყემელაშვილი მენეჯერი: მათე კვიციანი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კლორში“

## მონილო – ჯინანი ბანი, რომელმაც ლეილა აბაშიძე გადაარჩინა




„ხვეისბერ გონას“ ვილებდით. ხომ გახსოვთ ის კადრი, როცა ონისე და ძიძია მარხილით მიჰყავთ? „მოემზადე!“ – იყვირა რეჟისორმა სანიშვილმა. ცხენები პროექტორის შუქმა დააფრთხო. რაღაც ძალამ მარხილიდან ამომავლო, ჩემი თეთრი საქორწინო კაბით, ჰაერში აფარდი და...“

28

## „სტალინი გადასმდას ბერძენს და კპითსამს: – ლაგებბი, ეს ის ჯუღულია?“

„სკოლიდან ვერის ხილამდე 2 კილომეტრი იყო. არ მახსოვს, ეს გზა როგორ გავიარე და დაუდექი ხიდის მოჯირთან. ვიფიქრე ჩემი დირექტორის ღებუმას წაიკითხავს დიდი სგალინი, გადახედავს ამხანაგ ბერიას და ჰკითხავს – ეს ის ჯუღულია, მამა რომ დაფუპაგომრეთო? ბერიაც დაუდასტურებს და მორჩა – შეილის ცუდად აღმრდისთვის, ღვინისმაც დაიჭრენ და...“



24

## ჯო კოული გოგონას გულისთვის სმებმს



„ჩელის“ მოთამბმეს ჯო კოულს გოგონას გულისთვის ერთ-ერთ კლუბში კონსოლიტი მოუხდა ცოგა ხნის წინ, ის თავის რჩეულ კლისთან ერთად იმყოფებოდა გასართობ დაწესებულებაში, სადაც შემთხვევით, იმ ახალგაზრდას გადააწყდა, რომელიც თურმე მისი გულგონის თავჯანსმცემელი ყოფილა. ჯომ კონკურენტთან უმაღვე „მამაკაცურად“ გასწორება გადაწყვიტა, მაგრამ...“

37

## თქემი

საკნის მქრქალ შუქზე თავიდან, ვერაფერი გაარჩია. შემდეგ, ერთ-ერთი ორსართულიანი საწოლის გელა თარომე წამოწოლილი, საკმაოდ მოსული ქალი დაინახა.

– რა ბრძანეთ? – ჰკითხა მან ქალს.  
 – რაც გაიგონე! – ხმას აუწია ქალმა, შემდეგ საწოლიდან დინჯად ჩამოვიდა, ლანას მიუახლოვდა და წინ ჯიქურ აესვებდა.



45

# „ვიბარებ „ბიჩოკებს“

## ანუ დაუნდობელი ბრძოლა ნიკოჯინს!



მონევა რომ ჯანმრთელობას ვნებს, ამას ჯერ კიდევ ცნობილი მეველე და კაცობრიობაზე ცალი თვალთ მომზირალი ილიკო ჩიგოგიძე უმტკიცებდა თინეიჯერ ზურიკელას: რად გინდა, ბიჭო, 10 კვერცხი თუ-თუნი, დაგიღობს ფილტვებსო! მაგრამ ვინ გაიგონა? იდგა ის შენი ზურიკელა გუბაზოულის პირას, აბოლებდა თუთუნს და ამაყად გაიძახოდა — ჩვენ გავმრავლდებით და მთელი ქვეყანა ვიქნებითო...

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც იმას აუხდა: გავმრავლდით მწვევლები და დღეს მართლაც, მთელი ქვეყანა ვენევით, ხოლო ვინც არ ენევა, მაინც სხვების კვამლშია გახვეული და ჯობია მოსწიოს. ვენევით ყველგან: სახლში, გზაში, ტრანსპორტში, სამსახურში; განსაკუთრებით, იმ კედელზე გვიყვარს მონევისას მიყრდნობა, რომელზეც ჯერ კიდევ კომუნისტების დროინდელი „Не курить!“ არის შემორჩენილი. ჰოდა, იქამდე მივედით, რომ დაგვემხო თავზე ჯანმრთელობაც და ეკოლოგიაც...

სამინისტროც გამოეხმაურა და შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ეკოლოგიურად გაიწმინდა.

განსაკუთრებით, პარლამენტის წევრებს არგებთ ეს კანონი, რადგან აქამდე სადაც ჩხუბობდნენ, იქვე ეწეოდნენ. ახლა ჩხუბის შეწყვეტა მოუწევთ, მოსაწევადა გავლენ, ერთმანეთს ძვირად ღირებული თამბაქოთი გაუმასპინძლებიან. ამასობაში წყენაც გაუვლით და საქმესაც მიხედავენ.

ხედავთ? მთავრობამ კი უშველა საკუთარ თავს, მაგრამ რა ვქნათ ხალხმა?! ჩვენც აგვიკრძალებთ მონევა, დასაჯეთ მწვევლები და წაახალისეთ ჩამწვევები. რომ დაინახავს მეზობელი მეზობელს ფანჯარაში სიგარეტით ხელში, დარეკავს 022-ზე და ჭკუას ასწავლის.


ასე უნდა იყოს ქუჩაშიც: სპეციალური ჯიხურები უნდა დაიდგას მწვევლთათვის. შესვლა, რა თქმა უნდა, ფასიანი უნდა იყოს. თუმცა კიდევ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი: მონევის მსურველმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. თუ არაა თბილისელი, წავიდეს და თავის რაიონში მოსწიოს, ჩვენ ჩვენი მწვევლებიც გვეყოფა.

ყველაზე კარგი გამოსავალი კი ბუშტებია: სიგარეტის გაყიდვის ადგილებში გაიყიდება ბუშტებიც (ესეც არ აწყენს ჩვენს ბიუჯეტს). მწვევლი ვალდებულია იყიდოს ბუშტი და ნაფაზს რომ დაარტყამს, კვამლს ბუშტში ჩაუშვებს. ასე არც გარემო დაბინძურდება და ქუჩებიც ფერად-ფერადი ბუშტებით გალამაზდება. მოსწევ სიგარეტს, მიაბამ ბუშტს გაჩერებაზე ან ბოძზე და გააგრძელებ გზას. დღის ბოლოს ჩამოივლის დასუფთავების სამსახური, ჩამოხსნის ამ ბუშტებს და დაცლის სპეციალურ ადგილებში, სადაც აქამდე ნაგავსაყრელები იყო, დღეიდან კი კვამლსაცვლებიც იქნება.

დაბოლოს, რა ვუყოთ ნამწვავებს? არც ესაა პრობლემა: თუ ადრე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეწერა — „ვიბარებ ჯართს“ — ახლა დავანეროთ — „ვიბარებ „ბიჩოკებს.“ თითო „ბიჩოკი“ თითო თეთრად რომ ჩაიბარო, მწვევლიც ხომ კმაყოფილი იქნება. თვითონ კი 3 თეთრად ჩააბარებ ამ „ბიჩოკებს“ ადგილობრივ მეთამბაქოეებს, რომლებიც „გადაახალისებენ“ და ხვალ ისევ დახლზე დადებენ. ეს არის უნარჩენო წარმოება, ფინანსური და ეკოლოგიური მოგებით...

**P.S.** პარლამენტის სხდომაზე დეპუტატი ეუბნება დეპუტატს:

- 10-10 ლარს ვკრებთ, ქალბატონ ელენეს დაბადების დღე ჰქონია.
- შენ საიდან იცი?
- რა ცოდნა უნდა, სულ ბუშტებით მოურთავს თავისი კაბინეტი!
- დაბადების დღე — არა, „ბოლო ზარი“ კიდევ არ გინდა?! ეწევა ქალი და აბა, რა ქნას, თავს ხომ არ დააჭერინებს?!



არადა, თუ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, ყველაფერს ვერ აუკრძალავ ხალხს. იქნებ, მოქალაქეთა თვითშეგნებაზე ვიმოქმედოთ, — იფიქრა მთავრობამ და სიგარეტის კოლოფს დაანერა „მონევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის“. დღითი დღე ზრდის კიდევ სიგარეტის თუ იმპორტს და თუ წარმოებას, რომ რაც შეიძლება მეტი კოლოფი მივიდეს მომხმარებლამდე ამ გამაფრთხილებელი წარწერით, მაგრამ რად გინდა?! ვყიდულობთ, ვკითხულობთ, ვენევით და ახალს ვყიდულობთ. გამოსავლის საპოვნელად სიგარეტის მონევაში ათენებს ღამეებს მთავრობა, მაგრამ შედეგი — არაფერი.

პარლამენტარებმაც ბევრი იფიქრეს, იმსჯელეს, ბოლოს, ხუთწუთიანი „პერეკურიც“ გააკეთეს, თითო ღერიც ჩაკლეს და დაადგინეს: საკუთარი საქციელით მივცეთ მაგალითი ხალხსო და სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა, შენობაში მონევა აკრძალეს. მათ ინიციატივას კანცელარია და რამდენიმე

სამართლებლო  
პარლამენტის  
კამერული  
ბიბლიოთეკა

### ვის დარჩება გაზსადენი?

— გაზსადენის პროვინციონის სას, მთავრობა ეროვნული ინტერესების გათვალისწინების პირობას დებს „გაზრომთან“ მოლაპარაკებები კი გრძელდება ვის ვაჭყუბთ — რუსეთს თუ აშშ-ს?

#### დამურ ბიორხელიძე,

ეკონომიკური ექსპერტი:

— გაზსადენის პროვინციონის არ არის წმინდა ეკონომიკური საკითხი, ამიტომ საერთაშორისო პარტნიორებთან შეთანხმებისა და საერთოდ, ამ დიდი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, რაღაც ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება არა მხოლოდ შეუძლებელი, არამედ ეროვნული ინტერესების საპირისპიროდ მიმართული იქნება. ერთი მხრივ, არსებობს ქვეყნის განვითარების ექსტორი, რომელიც ცივილიზებულ სამყაროსა და ევროკავშირში განვითარების უნაღმარო, ასევე აშშ-სთან — სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც გაზსადენის გასვლისას არ გვირჩევს. მეორე მხრივ კი, — „გაზრომის“ უზარმაზარი ინტერესები. ის მალე მსოფლიო გიგანტი გახდება. „გაზრომის“ კაპიტალი ალბათ, ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უკრაინასთან დადებულ ხელშეკრულებას ვინც გაეცნობა, ნახავს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის ყველა შეთავაზებას დათანხმდება. საუბარია იმაზე, რომ უკრაინის გაზსადენის რეაბილიტაცია „გაზრომის“ ფართო მონაწილეობით მოხდება. ეს რუსეთის პოლიტიკის გათვალისწინებით ხორციელდება და შესაბამისად, „გაზრომის“ ქართულ გაზსადენშიც ნებისმიერ თანხას გადაიხდის. გარკვეულია საკითხი სომხეთთან მიმართებაშიც. თუ ეს პროცესი ბოლომდე მივიდა, მაშინ კავკასია „გაზრომის“ გარეშე ვერანაირ პროექტს ვერ განახორციელებს. მოკლედ, „გაზრომის“ და რუსეთის მონოპოლისტური მიზნები გასაგებია. მაგრამ აბსურდულია ჩვენი ხელისუფლების მისწრაფებები: როცა აშშ-ის ძალისხმევით და ფინანსებით ჩვენი გაზსადენის საუკეთესო მდგომარეობაში მოყვანა შეიძლება, რატომ ვაშბობთ ამაზე უარს?..

### პირველი სტიქიანი „პირის პალიტრამ“ დახვდა

— მედიაპროექტის — „ეტალონის“ 2006 წლის პირველ გამარჯვებულს სტიქიანი გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დაუნიშნა როგორც ჩანს, ამ გადაცემაში მონაწილე მოზარდებს თავდაცვით გულშემატკივრობთ, ხომ? **გიორგი თხაყვარელი,** „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი:



— ტელეპროექტი „ეტალონი“ მოზარდთაობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ტიპის გადაცემა ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი და ამავდროულად, პედაგოგიკურაა. ჩვენი ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გადაცემა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს. „კვირის პალიტრა“ ამ წამოწყებას თავიდანვე მიესალმა და მოხარულები ვართ, რომ ჩვენი გაზეთის სახელით სტიქიანიების დაწესების საშუალება მოგვეცა. პირადად მე, მოზარდებს შორის დაძაბულ პაექრობას ემოციურად ვადევნებდი თვალყურს. გულის სიღრმეში, გიგა ქატირიძეს ვგულშემატკივრობდი, მაგრამ მართალი გითხრა, ფინალში, ჩემი

სიმპათიები სამივე მონაწილეზე გაიყო. საბოლოოდ, გამარჯვებას დამსახურებლად მიაღწია გიგამ. ვულოცავ და წარმატებას ვუსურვებ! ჩვენი მას და მის კლასის დამრიგებელს ერთნაირი სტიქიანი დაუნიშნეთ. გარდა ამისა, გამარჯვებული გაზეთ „კვირის პალიტრის“ ერთნაირი უფასო ხელმოწერით დაჯილდოვდა. ასეთი წარმატებები სტიქიული ნებისმიერი ახალგაზრდისთვის — საიმისოდ, რომ მთავარ პრიორიტეტად განათლების მიღება დაისახოს მიზნად.

### „დე ფაქტო ხელისუფლება, რუსეთთან შეთანხმებულად, საპირფარეოშიც კი არ დადის...“

— ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ირწმუნება, რომ აქვს ვიდრე მასალა, რომელიც საქართველოს მაღალჩინოსნების კრიმინალური და ამორალური ქმედებების ფაქტებს ასახავს რას უნდა ნიშნავდეს ეს განცხადება? შესაძლებელია, მართლა წარმოგიდგინონ რაიმე მასალა? **ქოტე ბაბაშვილი,** პარლამენტის წევრი:

მოსკოვში. იცის, ადრე თუ გვიან, საკუთარი ხალხი გააძევებს, ამიტომ დეფნილობაში გასატარებელ წლებზე წინასწარ ზრუნავს. მაკომპრომიტირებული მასალების არსებობა შესაძლოა, კრძო საუბრების საგანი იყოს — ანუ კაცს კრძო არსებით მიუთითო და ვთქვათ, დააშინო, — მაგრამ ვინც ამაზე საჯაროდ ლაპარაკობს, უნდა ჩავთვალოთ, რომ არანაირ მასალას არ ფლობს. ასე რომ იყოს, კოკოითი შანსს ხელიდან და ამ საკითხზე მსოფლიოს დასანახავად იყვირებდა. ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება, რუსეთთან შეთანხმებულად, საპირფარეოშიც კი არ მიდის... ეს უშუალო პიარ-კამპანია ალბათ, მათთან იყო შეთანხმებული. ამაზე დროის ხარჯვას ურჩევნიათ, გონივრულ გადაწყვეტილებებზე იფიქრონ.

— პოლიტიკოსის მთავარი კომპრომატია, როცა ის ხალხის დოვლათს პირადი კეთილდღეობისთვის იყენებს. ცხინვალის ხელისუფლება გაბრაზებულია იმაზე, რომ ტელეარხ „ალანიაზე“ გადასცეს ინფორმაცია ედუარდ კოკოითის აგარაკებსა და ქონებზე. ის ხალხის ქონებით იშენებს სახლებს სანქტ-პეტერბურგში, ვლადიკავკაზში,

### ვინ უიზნებს პარლამენტ-მინისტრის პოსტს

— პარლამენტში ახალ ინციტივაზე მუშაობენ. შესაძლებელია, განხორციელდეს საკონსტიტუციო ცვლილება და პრემიერ-მინისტრი პარალელურად, პარლამენტის წევრიც გახდეს. ასეთ შემთხვევაში, სად გავა ზღვარი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის?

**კახა კუპაძე,** ფრაქცია „კონსერვატორები“:

უდიერი დამოკიდებულება არ შეიძლება. კონსტიტუციური სამართალი არ იცნობს ისეთ ნორმას, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრემიერი შეთავსებით, პარლამენტის წევრი იყოს. დღეს, ხელისუფლების შტოების გამიჯვნა ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. პრაქტიკულად, არ არსებობს სასამართლო, პარლამენტი, მთავრობის ნოტარიუსიც, აღმასრულებელი ხელისუფლება კი — ყველა შტოს დამონებას ცდილობს და ეს გამოსდის კიდევ. ასეთ პირობებში, პრემიერის გადატეხულობა სრული აბსურდია. არ

გამოვიცილავ, რომ ეს ინციტივა იმ დეპუტატისგან მოდიოდეს, რომელიც ახლო მომავალში გაპრემიერებას აპირებს და არც პარლამენტის მანდატის დაკარგვა უნდა: როგორც ვიცი, ლაპარაკია მიხეილ მაჭავარიანზე. უმრავლესობაში მსგავსი ამბიციის სხვა დეპუტატებსაც ექნებათ. ამ ეტაპზე, ნიდაც მოსინჯავენ. თუ არაფერი გამოვიდა, შემდგომში უფრო „გენიალურ“ ინიციტივებს შემოგვთავაზებენ — ვთქვათ, პრემიერ-მინისტრი იმავდროულად, ნაღწევის გამგებელიც იყოსო...

# „საპროგრამული დღესაც, ადვოკატების სოცხალი რიგი დგას“

— სასჯელაღსრულების დებარტამენტის ხელმძღვანელთა რა გადანაცვლებებს აპროტესტობთ ადვოკატები, როგორც კანონსაწინააღმდეგოს?

**პაპ ბაქალია,** ადვოკატი:

— სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმა ნამდვილად უნდა ჩატარდეს, მაგრამ დაუშვებლად მიმაჩნია ცვილელების განხორციელება, ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. ციხეების იმ მეთოდებით მართვა, რასაც დღეს ვხედავთ, კანონის უხეში დარღვევა და

საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება. რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩვენ ვერ შევდიოდით ვერც ერთ საპრობილეში და პატიმრები პრაქტიკულად ადვოკატების გარეშე იყვნენ დარჩენილები. მე-7 საპრობილესთან დღესაც ადვოკატების ცოცხალი რიგი დგას და ისინი დაღამებამდე, ციხეში შემგვების უფლებას ელოდებიან, ხშირ შემთხვევაში — უშედეგოდ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შევდივარ არა საჯარო დაწესებულებაში, იქ, სადაც ჩემს პროფესიულ მოვალეობას უნდა ვასრულებდებო, არამედ ვიღაც კერძო პირების სამფლობელოში, სადაც თვითონ გვთავა-

ზობენ თამაშის წესებს, კოპაძის დროს რომ არ ყოფილა, ისეთი კანონდარღვევები ფიქსირდება. ადვოკატებს ჩანთაში უძვრებიან და ჩხრევენ! ეს კანონმდებლობით დაუშვებელია. ცალკე თემაა, პატიმრებისთვის მედიკამენტების, ნობათების მიღების აკრძალვა, ტელევიზორითა და ტელეფონით სარგებლობის უფლებას ჩამორთმევა, ფიზიკური ანგარიშსწორება. ბაჩო ახალაია კონსტიტუციას არღვევს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მსგავს საქციელში იქნება მხილებული, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

# „იგნორირებით გვაიძულებენ, ქაჩაში ვილაპარაკოთ“

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ საპროტესტო აქციების გზით, გამოძევობა „სამშობლოს“ პრეზიდენტის შეჩერებას შეძლებთ?

**ნიკო ჯანაშირაშვილი,** ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელი:

— ჩვენ ვიცით, რომ „მასმედიის სახელს“ ხელში იგდებენ სახელისუფლებო კლანები და ამას აუქციონს არქმევენ. გასაგებია, რომ ეს შენობა, თავისი ფართისა და ადგილმდებარეობის გათვალ-

ისწინებით, მიმზიდველი აღმოჩნდა მდიდარი და გავლენიანი ადამიანებისთვის. მაგრამ ასე იოლად არ დავთმობთ პოზიციებს. გავმართავთ პერმანენტულ აქციას. შემდეგ, ყოველდღე მოვანყობთ მსველელებს მოთხოვნით — შეჩერდეს აუქციონის შესახებ გადანაცვლებები და დაიწყოს მოლაპარაკებები. ხელისუფლება არანაირ მოლაპარაკებაზე არ მოდის. ისინი უბრალოდ, არაფრად გვაგდებენ. იგნორირებით გვაიძულებენ, ქაჩაში ვილაპარაკოთ. ამ შენობაში 200-მდე ორგანიზაციაა განთავსებული. როდემდე უნდა

გაგრძელდეს ადამიანების ქაჩაში გაყრა? ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ აუქციონში მივიღოთ მონაწილეობა, როცა ყველაფერი წინასწარ არის გადანაცვლებული. ამიტომ მოვიტხოვთ — პირდაპირი მიყვადვის წესით გადმოგვეცეს შენობა. ხელისუფლებას ამის გაგონებაც არ უნდა, აცხადებენ — „კვი ტიპები“ ვართ და თქვენთან ლაპარაკს არ ვიკადრებთო. დაგვცინიან. ამის შემდეგ, ქუჩის აქციების გარდა, რა გზა დავგრძენია?

# სტაჟიანთა ქიჯი დაიწყო, გაჩნდა ზვავსაუბროება მოსალოდნელი არ არის

ამინდი

— საქართველოს მოსახლეობა ზამთრის სუსხმა ზედმეტად შეანუხა. როგორი იქნება იანვრის მეორე ნახევარი და თებერვალი, მოსალოდნელია თუ არა ტემპერატურის მომატება?

**სკვტლანა ნორაძე,** ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების უფროსი:

— ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, უახლოეს პერიოდში ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატება მოსალოდნელი არ არის. 20 იანვრიდან, ისევ მოსალოდნელია ნალექების მატება, ძირითადად — წვიმის სახით, ცალკეულ რაიონებში კი მოთოვს. შესაძლებელია, 20 იანვარს, თბილისშიც მოთოვოს. საერთოდ, იანვარი ზამთრის ყველაზე ცივი თვეა, ამიტომ ტემპერატურის დაკლება არ უნდა გავვიკვირდეს. განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურაა მოსალოდნელი კახეთში — -10 გრადუსი. თვის ბოლო დეკადაში, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ -6, -7 გრადუსი იქნება. თბილისში უფრო მეტად აცივდება და შესაძლებელია, ლა-



მის საათებში -5, -7 გრადუსს მიაღწიოს. რაც შეეხება თვის საშუალო ტემპერატურას, — ნლელს ის ერთი გრადუსით მაღალია ნორმასთან შედარებით.


— იანვრის ცინვას თუ გავუძლებთ, თებერვალში ტემპერატურა მოიმატებს?

— არ დაგვაინყდეს, რომ თებერვალშიც ზამთრის თვეა და დათბობას ვერ არ უნდა ველოდოთ. რაც მთავარია, ნალექი იქნება ნორმის ფარგლებში. ეს კი ზვავსა-

შისროებას ან სხვა სტიქიურ პროცესებს გამორიცხავს. დასავლეთში საშუალო ტემპერატურა -6, -7 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი. აღმოსავლეთში — 0, -4. თვის საშუალო ტემპერატურა ნორმასთან შედარებით, თებერვალშიც ერთი გრადუსით მაღალია. არ არის გამორიცხული, თებერვლის რამდენიმე დღეს ტემპერატურამ 17 გრადუსამდეც კი მოიმატოს, თუმცა საერთო ჯამში, თებერვალი მაინც ცივი იქნება.

მოამზავა ხათუნა მაღრაძე

დღეს, საქართველოში არსებულ ბავშვთა სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ასობით ბავშვი ცხოვრობს და ელის იმ ბედნიერ დღეს, როცა მათ შვილებზე ვინმე თანხმობას განაცხადებს. საქართველოში შვილად აყვანის მექანიზმი ჯერჯერობით, იმდენად რთულია, რომ ერთეულებს თუ უმართლებს ხოლმე. სულ ახლახან, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა შეიმუშავა კანონპროექტი „შვილად აყვანის წესის შესახებ“, რომელიც შვილად აყვანის პროცედურას გააიოლებს. ამ კანონპროექტს პარლამენტი სავარაუდოდ, გაზაფხულზე განიხილავს. ძველი კანონმდებლობით, თუკი აღრიცხვაზე მყოფ წვეილს წლები სჭირდებოდა და საპენსიო ასაკამდე ან ეღირსებოდა ბავშვის აყვანას, ან — არა, ახალი კანონის თანახმად, ამ საქმის დაგვირგვინება მას უკვე რამდენიმე თვეში შეეძლება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა ზრუნვის სამმართველოს უფროსს, თამაზ ბოლშუბიანს შევხვდით.



ყვეტს შვილის მიტოვებას, ეს სახელმწიფოებრივ დონეზე, კანონის ფარგლებში უნდა მოგვარდეს.

— სტატისტიკური მონაცემებით, რამდენი გაშვილების კანდიდატი ანუ მზრუნველობას მოკლებული ბავშვია დღეს საქართველოში?

— სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში 800-დან 900-მდე უდემამო, 18 წლამდე ასაკის ბავშვია აღრიცხვაზე თემცა, თითქმის ყველას, ფაქტობრივად, ჰყავს მეურვე — ნათესავი მაინც. ასე რომ, ისეთი ბავშვი, რომელიც შეიძლება დღესვე გავაშვილოთ, ე.ი. მთლად უბატრონო, ძნელი მოსაძებნია. ჩვილ ბავშვთა სახლებში 120-მდე მიტოვებული ბავშვია. აბსოლუტური უმრავლესობა, ხელნერილით არის დატოვებული — ე.ი. დედას დროებით არ შეუძლია შვილის თან წაყვანა.

— რომელი სქესის და რა ასაკის ბავშვებზე უფრო დიდია მოთხოვნა?

— მშვილებლები იმდენად სასონარკვეთილები არიან, რომ მათთვის სულერთია, გოგონა იქნება თუ — ბიჭი, ოღონდ — ყოველთვის მოთხოვნაა, რომ ბავშვი 4-5 წლამდე ასაკის იყოს. უცხოელებიც ძირითადად, უცხოურსი ასაკის ბავშვებს ანიჭებენ უპირატესობას. შარშან იყო გამოჩინების, როცა ბავშვთა სახლიდან ქართველმა წვეილმა 12 წლის აზერბაიჯანელი ბიჭი იშვილა. ბიჭს მოხუცი, უძლური ბებია ჰყავდა, რომელიც მის მონახულებას ვეღარ ახერხებდა. ბავშვისთვის ეს ისეთი ასაკია, როცა შეგუებულ გარემოს მოწყობა და ახლის გათავისება ცოტა რთულია. როცა ის ფაქტის წინაშე დადგა, ცოტა არ იყოს, დაფრთხა, მაგრამ გარკვეული ახსნა-განმარტებების შემდეგ მივახვედრეთ, რომ ყველაფერი მის საკეთილდღეოდ კეთდებოდა. დღეს, როგორც ვიცით, ისიც და მისი მშობლებიც ბედნიერები არიან.

— გამოგონია, რომ უცხოელთა უმრავლესობა, უხეზად რომ ვთქვათ — ავადმყოფ ბავშვებს ანიჭებს უპირატესობას. გასაგებია, რომ ეს დიდი ქველმოქმედებაა და თან, უცხოეთში ასეთ ბავშვებზე სახელმწიფო ზრუნავს. თავად რა არგუმენტები მოჰყავთ ხოლმე მშვილებლებს და ჩვენთან თუ ყოფილა ასეთი ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევა?

— უცხოელებს ავადმყოფი ბავშვის აყვანა ძვირი უფდებათ, მაგრამ მათ ამ საკითხის მიმართ თავისებური მიდგომა აქვთ: ბავშვი ხშირად, კეთილშობილური მისიით აჰყავთ, სურთ მასზე იზრუნონ. ჩვენში, გვარის გაგრძელების მიზნით სურთ შვილი და კიდევ იმისთვის, რომ სიკვდი-

## გახდება თუ არა ბავშვების „გამცემი“ საცაბოთფლო ბავშვების მიმღები ქვეყანა?..

### ნანა შიხხელაური

— რაში მდგომარეობს შვილად აყვანის პროცედურის გაიოლება ქვეყნის შიგნით?

— აღნიშნული კანონპროექტით საქართველოში მკვიდრდება სოციალური მუშაკის ინსტიტუტი: ბავშვის გაშვილების შემთხვევას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, აუცილებლად თან უნდა სდევდეს სოციალური მუშაკის დასკვნები. მან ფხვდაფხვ უნდა მისდიოს ბავშვს, გააკონტროლოს — სად მოხვდება და როგორ პირობებში იცხოვრებს. არსებობენ მშობლები და, რომელთაც მიტოვებული ჰყავთ შვილები და წლებსი მანძილზე, მათ ყურადღებას არ აქცევენ. იმის გამო, რომ მოქმედ კანონში გართულებულია მშობლის უფლების ჩამორთმევა, დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების გამოკვტვა საბავშვო დაწესებულებებში — არც მშობელი იღებდა ბავშვზე პასუხისმგებლობას, ვერც გაშვილების პროცესს ვინცხდით. ეს იყო დიდი პრობლემა. გამოითქვა აზრი, მიეღოთ ისეთი კანონი, რომელიც მშობელს მეტ პასუხისმგებლობას დააკისრებს. მეორე — ყველამ ვიცით, რომ ხშირად, უკანონო გაშვილებას ანუ გაყიდვას აქვს ადგილი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — გარეთ. მინდა გითხრა, რომ ამის გაკონტროლების მექანიზმი საზღვარგარეთ უფრო მუშაობს, ვიდრე ჩვენში. ეს კანონი ამ პრობლემის მოგვარებასაც შეუწყობს ხელს. ჩვენ აღრიცხვაზე გყავს 800-მდე ადაშიანი, რომელიც წლების მანძილზე ელოდება ბავშვს. ხშირ შემთხვევაში, ყველა ლამაზ და ჯანმრთელ ბავშვს ითხოვს, არადა, იდეალური შემთხვევა იშვიათობაა. ამის გამო, ბევრის დაკმაყოფილება შეუძლებელია. ახალი კანონპროექტი პირობებს ამკაცრებს — მშობელს თუ უნდა და შეუძლია შვილის აღზრდა, ის გვერდით უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი მოხვდება მშვილებელ, მიმღებ ოჯახში. ე.ი. როცა მშობელს მოუპრიანება, მაშინ ვეღარ წაიყვანს შვილს ბავშვთა სახლ-

იდან... დავაკონკრეტებ: თუ 3-6 თვის განმავლობაში მშობელი შვილს არ მიხედავს, მას ჩამორთმევა მშობლის უფლება და დაინიყებთ გაშვილების პროცესს. მეორე მხრივ, კანონში ჩაიდო ისეთი მექანიზმები, რომლებიც გაშვილების პროცედურას უფრო გამჭვირვალეს გახდის. ერთ-ერთი მათგანია, როგორც წელან მოგახსენეთ, სოციალური მუშაკის ინსტიტუტი. სოციალური მუშაკი შეასრულებს მედიატორის როლს ბავშვსა და საზოგადოებას შორის. იქნება ბავშვის ადვოკატი, თვალყურს მიადევნებს იმას, თუ რა ოჯახში შევა ბავშვი და ექნება თუ არა შექმნილი პირობები საიმისოდ, რომ კარგ, ჯანსაღ გარემოში გაიზარდოს. ამათანვე, გათვალისწინებული იქნება ბავშვის ყველანაირი ინტერესი.

— დღესდღეობით თუ ინტერესდება თქვენი სამსახური გაშვილებული ბავშვის ბედით — ბედნიერია ის თუ პრიობლებები აქვს ახალ გარემოში?

— თუ ჩვენი სურვილით არ წავდით და არ ვნახეთ რა მდგომარეობაშია ბავშვი, ამას კანონმდებლობა არ გვაავალდებულებს. საზღვარგარეთის კანონმდებლობა ამას მოითხოვს და იქიდან გამუდებით მოგვდის გაშვილებული ბავშვების ფოტოსურათები და ინფორმაცია მათი განვითარების შესახებ.

— ძიც ცნობილია, რომ გაშვილება დღემდე პარდაპირ სამშობიარო სახლებიდან, არალეგალური გზით ხდება ამის მოგვარებას როგორ შეძლებთ?

— სამშობიარო სახლებში მარტოხელა დედების მიერ დატოვებულ ბავშვებს გარიგების საფუძველზე აშვილებენ. ასეთი ბავშვები, თავისთავად ცხადია, სახელმწიფო ბავშვთა დაწესებულებებამდე ვერ აღწევენ. თუკი სამშობიარო სახლებში იქნება იგივე სოციალური მუშაკი, რომელიც გააკონტროლებს აღრიცხვას, ამ პრობლემას იოლად გადაწყვეტთ. მას შეუძლია, დაელაპარაკოს მშობელს, რომელიც ბავშვის დატოვებას აპირებს — შესთავაზოს სახელმწიფოს მიერ დაწესებული დაცვითი მექანიზმები და თუ დედა მაინც გადან-




ლამდე მათ გვრდით იყოს. თანაც, ჩვენში შეიკლად აყვანა აბსოლუტურად გასაიდუმლოებულია, საზღვარგარეთ კი ყველაფერი ღიად ხდება. მათ ემაყუბათ კიდევ ასეთ პატარაზე ამაგი — ბავშვს ოპერაციებს უკეთებენ და, ხშირად, მისი ჯანმრთელობის აღდგენასაც ახერხებენ. 2000 წლამდე, საზღვარგარეთ ჯანმრთელი ბავშვების გაშვებას ხდებოდა დღესდღეობით, თუ ქართველი უარს იტყვის ბავშვზე, იმ შემთხვევაში შეიძლება მისი საზღვარგარეთ გაშვება. ვინაიდან ქართველებს მხოლოდ ჯანმრთელი და ლამაზი ბავშვების აყვანა სურთ, ასეთები მოძენტილურად შეიძლება, ხოლო ჯანმრთელობის პრობლემის მქონე რჩებიან... საქართველოში პიდროცევალიც კი (სიელმე) დიდ ნაკლად ითვლება, რაც უცხოელისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, ერთი შემთხვევა შემოიღია გავისეხონო: ბავშვთა სახლში 4 და 6 წლის და-ძმა ცხოვრობდა. ბიჭი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო. გოგონა კი — ეპილეფსიით დაავადებული, მაგრამ ამავე დროს — ძალზე აქტიური და სიცოცხლით საველე ყველა მსურველი მოითხოვდა და მხოლოდ ბიჭს, რაც და-ძმის დაშორებას ნიშნავდა, ეს კი, მოგეხსენებათ, კანონდარღვევაა. დაფიქრეთ ისეთი ოჯახის ძებნა, რომელიც ორივეს ერთად იშვლებდა, მართლაც, გამოიჩინა ღვთისნიერი ექიმი ქალბატონი, რომელიც აღრიცხვაზეც კი არ იმყოფებოდა. მან სასწრაფოდ, ორ კვირაში მოაგროვა ყველა საჭირო საბუთი. ჩვენ ძალიან ამაღელვებელ მომენტს შევესწარიით — როცა გოგონამ ეს ქალბატონი დაინახა, „დედა“-ს ძახილით მისკენ გაქენა და გულში ჩაეკრა... სიკეთის ქმნას მატერიალური შესაძლებლობა განაპირობებს. არა მგონია, ჩვენ აზრიკლებზე ნაკლები ტოლერანტები ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, როცა ხალხს მატერიალური მდგომარეობა გამოუსწორდება, ქართველებიც შეძლებენ ავადმყოფი ბავშვების შეიკლად აყვანას და მათზე ზრუნვას.

**— მართალია თუ არა, რომ უცხოელთათვის ბავშვის აყვანის მექანიზმი გარულდება?**

— საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანაში გაშვების პროცედურა ფასიანია. დასავლეთში ბავშვის აყვანა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — გარეთ, დაახლოებით 15-20 ათასი დოლარი უფდებათ. ამ თანხას ისინი თავიანთი ქვეყნის სააგენტოს უხდიან, რომელიც ბავშვის ირგვლივ ყველანაირი პრობლემის მოგვარებას კისრულობს. ჩვენთანაც რომ ფასიანი გახდეს ეს პროცედურა, მას უფრო პროფესიონალურ დონეზე მიუდგებიან. ამ კანონპროექტით, შესაძლოა, ჯერჯერობით, სიმბოლური თანხა დანესდეს — სახელმწიფო ამ მომსახურებას საკუთარი ხარჯებით ვერ გასწვდება. უცხოელებისთვისაც უნდა დანესდეს ოფიციალური გადასახადი. როგორც ცნობილია, საზღვარგარეთის ქვეყნებში უფრო რთულია ბავშვის შეიკლად აყვანა, ვიდრე საქართველოში, სადაც ბევრი გაჭირვებული ოჯახია, რომელიც ბავშვს ტოვებს. იქ, რა თქმა უნდა, ეს პრობლემა ნაკლებად დგას. საქართველო ჯერჯერობით, ბავშვების გამცემი ქვეყანაა. მაგრამ ვინაიდან შობადობა კლებულობს, სტატისტიკურად, მალე, გასაშვილებელი ბავშვიც ნაკლები იქნება. თუკი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, შეიძლება საქართველო ბავშვების მიმღები ქვეყანაც კი გახდეს...

ფრინველის ვირუსის — H5N1-ის შტამით ცნობილი გრიპის მოლოდინი იმდენად გვაშინებს, რომ საქართველოში დაცემული ერთი ჩიტიც კი არ რჩება უყურადღებოდ. ქათმებს არც სურდო უნდა დაემართოთ და არც თავი ჩამოუვარდეთ, თორემ, სპეციალურ ლაბორატორიაში თავის ამოყოფა და გაკვეთა არ ასცდებთ... თუმცა, ხუმრობის სასიათზე ნაკლებად დგები, როდესაც გახსენდება, რომ ქათმის ვირუსმა სხვადასხვა ქვეყანაში უკვე 145 ადამიანის სიცოცხლე შეინირა...



როდესაც გახსენდება, რომ ქათმის ვირუსმა სხვადასხვა ქვეყანაში უკვე 145 ადამიანის სიცოცხლე შეინირა...

**ფრინველის გრიპი — სახელმწიფო და აკონომიკური ასპექტები**

**ემა ტუხიაშვილი**

მართალია, ჩვენი საზოგადოება უკვე საკმაო ინფორმაციას ფლობს, როგორც თავად ამ ვირუსის, ისე სახელმწიფოს მიერ ამ დაავადებისგან დაცვის მიზნით გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, კიდევ ერთხელ მიგვემართა იმ სამინისტროების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც უშუალოდ აგებენ პასუხს აღნიშნული ზომების ეფექტურობაზე. მანამდე კი, გთავაზობთ ერთი ქალბატონის ნაამბობს, რომელმაც თითქმის მთელი წელი გაატარა თურქეთში, ვანის მახლობლად მდებარე ქალაქ მერსინში და სულ რამდენიმე დღის წინ — 14 იანვარს გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი.

**ლუიზა ალვაიძე**

— მერსინში ჩემსავით, ბევრი ქართველი ქალი მუშაობს. ქათმის გრიპის გავრცელებამ ძალზე შეგვაშინა, ამიტომ ვისაც გვექონდა გარკვეული დანაზოგი, მივატოვეთ იქაურობა და ოჯახებში დაბრუნდით. ბევრს უკან დასაბრუნებელი ფულიც კი არა აქვს. ვირუსის გავრცელება თურქეთში, მუსლიმანურ დღესასწაულს, „ბაირამს“ დაემთხვა. ამ დროს ისინი კლავენ საკლავს, ხოლო ქათმის ხორცის გარეშე წარმოუდგენელია მათი ყოველდღიური მენიუც კი... ახლა იქ კარანტინია გამოცხადებული, ქათამსა და კვერცხს ბაზრობებსა და მაღაზიებში თითქმის ვერ ნახავთ. სოფლის მოსახლეობაც ხოცავს შინაურ ფრინველს. თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც ქათმებს მალავს, დასაკლავად ვერ იმეტებს. თურქეთის სანიტარული სამსახურის წარმომადგენლები ამას მკაცრად აკონტროლებენ: იჩხრიკება თითოეული საქათმე, სარდაფი და საჭიროების შემთხვევაში, სახლიც. ქუჩაში ხშირად შეხვედებით სპეციალურ კომბინეზონებსა და სკაფანდრებში ჩაცმულ ადამიანებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მენაცვებიც კი ასეთი დამცავი საშუალებებით დადიან. ხალხი პანიკაშია, ერთმანეთთან თითქმის აღარ ურთიერთობენ. ამ ვითარებაში, ყველაზე მეტად, სამუშაოდ ჩასულ ქართველებს უჭირთ.

**— ამბობენ, თურქეთის საზღვრის გადაკვეთის პროცედურა გამკაცრებულია...**

— სხვათა შორის, ძალიან გვეშინოდა, ვფიქრობდით, რომ საქართველოში შემოსვლის უფლება შეიძლება, არც მოეცათ. მაგრამ საზღვარზე არავინ დაინტერესებულა არც ჩვენი ჯანმრთელობით და არც ე.წ. დეზოხალიზაციაზე გავგაბარეს. მართალია, ქათმის ხორცი თურქეთიდან არავის მოგვექონდა, მაგრამ არც ბარგის ჩხრეკა-შემოწმება უწარმოებია ვინმეს. მეტსაც გეტყვით: ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების მძღოლები ამბობდნენ, რომ ტრანსპორტის დეზინფექციისთვის საბაჟოზე 10-15 ლარს ითხოვენ, მაგრამ შემიძლია გითხრა, რომ ავტობუსისთვის, რომელიც მე ვიჯექი, მსგავსი პროფილაქტიკა არ ჩაუტარებიათ...

**ლადო ჭიბაშვილი, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:**

— დაახლოებით მ თვის წინ გაჩნდა პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კაცობრიობა გრიპის ახალი მანდემის საფრთხის წინაშე იმყოფება. ახალი წლის დღეებში კი, მეზობელ თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოების ინტერესი ამ პრობლემის მიმართ. მინდა, ჩვენი მოსახლეობის დასამშვიდებლად ვთქვა, რომ პრეპარატი ტამიფლუ (რომელიც გრიპის გართულებების თავიდან ასაცილებლად, შედარებით ეფექტურ საშუალებად ითვლება) შვეიცარიულ ფარმაცევტულ კომპანიას ჯერ კიდევ მ თვის წინ შეუკვეთეთ. ყველაზე მთავარი ღონისძიება, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ სხვა სამთავრობო უწყებებთან ერთად დასახა, ჩვენი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა გახლდათ. მოსახლეობაში დარიგებული გვაქვს 200 ათასი საინფორმაციო ბუკლეტი, სულ მალე, ეს რიცხვი ნახევარ მილიონს გაუტოვდება. სპეციალური პროგრამა შექმნილი საშუალო სკოლებისთვის... ამ პრევენციული ღონისძიებების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გადავლახეთ ქათმის გრიპთან ბრძოლის პირველი ეტაპი. ღონისძიებების მეორე ეტაპი დაიწყება მაშინ, როდეს...



სასჯელალსრულების დანქნებულებებში რამდენიმე კვირის წინ დანქნული ბუნტი დღესაც გრძელდება. ამ პრობლემასთან მიმართებაში სხვადასხვა მოსაზრება აქვთ სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთან, საინტერესოა, თუ რას აპირებს ის ხალხი, ვინც დღეს შიმშილობს და რა ბედი ელის კრიმინალურ ავტორიტეტებსა და მათ ოჯახებს. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, სახალხო დამცველს მივმართეთ. ასევე აუცილებლად მივიჩნევთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის მესვეურის აზრის დაფიქსირებას, რომელიც ამ სფეროში საქმიანობს. სამწუხაროა, რომ მას არსებულ მდგომარეობაზე, ომბუდსმენის პოზიციისგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულება აქვს...

# კანონიერი ძურღები:

## ბუნტის ძალა, ნაყიდი "ავტორიტეტობა" და ილუზიური ცხოვრების წესი

**მარი ჯაფარიძე**  
**თამარ როსტიავილი**

სოზარ სუბარი, სახალხო დამცველი:

— სადღეისოდ, პენიტენციურულ სისტემაში უამრავი სოციალური პრობლემა არსებობს. როდესაც ოცდაგილიან საკანში ორმოც პატიმარს მორიგეობით სძინავს, ბუნებრივია, მათ ხელისუფლების მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდებათ. სამწუხაროდ, ასეთი სოციალური პრობლემები ციხეებში უკვე დიდი ხანია, დგას. პრობლემის მოსაგვარებლად, სათანადო დაფინანსება არის საჭირო. ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი პენიტენციურულ სისტემისთვის სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად უფრო დიდ თანხას გამოყოფს. უკვე რამდენიმე დღეა, პატიმართა ახლობლები საპროტესტო აქციებს მართავენ. ზოგიერთ მათგანს იმდენად უმართებულად მოთხოვნა აქვს, უბრალოდ, კომენტარსაც კი ვერ ვაკეთებ ხოლმე. მაგალითად: რატომ წაართვა ციხის ადმინისტრაციამ პატიმარს მობილური ტელეფონი? რატომ იმყოფება ესა თუ ის პირი უკანონო პატიმრობაში?.. ძალზე ხშირად ვხვდები ამ ხალხს და ვუსხნი, რომ მათი მოთხოვნა უსაფუძვლოა. შეხვედრის დროს მეთანხმებიან, ტელეეკრანიდან კომენტარისას კი, სხვა რალაცას ლაპარაკობენ.

— პატიმართა უფლებების დამცველნი აცხადებენ, რომ საპრობილეებში სპეცრაზმელები ტუსალებს ფიზიკურად უსწორდებიან. რა ინფორმაციაა ფლობთ ამის შესახებ?

— ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. დოზინფორმაცია კონკრეტულმა ადამიანებმა, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით გაავრცელეს. ნაცემია მხოლოდ სამი პატიმარი, რომ-

ლებმაც ძველი საპრობილიდან ახალში გადმოყვანის დროს, სპეცრაზმელებს წინააღმდეგობა გაუჩინეს. ლალი აფციაური აცხადებს, ვითომდა, სპეცრაზმელებს პატიმრები ყოველდღიურად ცემა-ტყეპაში ჰყავთ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

— თქვენ ამბობთ, რომ პატიმრები სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით შიმშილობენ. რამდენად რეალურია, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ პროტესტს სხვა საფუძველიც უნდა ჰქონდეს?

— ვერ გეტყვით, რომ 2500-მდე მოშიშილე პატიმართა მოთხოვნა ხვალ და ზეგ დაკმაყოფილდება, მაგრამ თანდათანობით წინ რომ მივიწევთ, ეს ფაქტია. ვგულისხმობ, ქუთაისში ახალაშენებულ საპრობილეს, სადაც ბევრად უკეთესი პირობებია, ვიდრე დანარჩენ საპრობილებში. ეს საპრობილე საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. რაც შეეხება სხვა მიზეზებს, ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით.

— როგორია პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა? თუ უწევს მათ სათანადო სამედიცინო მომსახურებას?

— ამჟამად, პატიმრების მდგომარეობა სტაბილურია. ტუსალების უმრავლესობა შიმშილობას თანდათანობით წყვეტს. არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგი პატიმარი ამბობს — ვშიმშილობ, — და ამ დროს, ჩუმად საკვებს იღებს...

**ლალი აფციაური, არასამთავრობო ორგანიზაციის — „პატიმართა თანამეგობრობა“ — ხელმძღვანელი:**

— საპრობილებში ბუნტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქუთაისის №2 ციხიდან გადაყვანილმა 100-მა პატიმარმა

მოითხოვა, რომ მათთან ერთად, კრიმინალური ავტორიტეტებიც გადაეყვანათ. ეს 100 პატიმარი სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ მოსყიდული „ქათმები“ და აგენტები იყვნენ, რომლებიც ბუნტის მიზეზად, არა სოციალურ პირობებს, არამედ კანონიერ ქურდებთან განშორებას ასახელებდნენ. ქუთაისში ახალაშენებული საპრობილე, რომლის პრეზენტაციაც ჩვენმა ხელისუფლებამ პომპეზურად გამართა, სულაც არ არის იდეალური. ახალ საპრობილეში არ არის გათბობა და წყალი, რემონტი დასამთავრებელია. ქუთაისის ძველ საპრობილეში დარჩენილ პატიმრებს არ სურდათ ახალ ციხეში გადასვლა და ბუნტი ამიტომ ატეხეს, რის შემდეგაც, სპეცრაზმელები მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. როდესაც ეს ინფორმაცია მივიღე, ქუთაისში გავემგზავრე. გადავწყვიტე, პატიმრები მომენახულვინა, მაგრამ სამწუხაროდ, დაცვის თანამშრომლებმა არათუ ციხეში შესვლის უფლება, არამედ ეზოში გავლის საშუალებაც კი არ მომცეს, რათა საპრობილიდან გამოსული ხმები არ გამეგონა.

— სადღეისოდ, საპრობილებში რამდენი პატიმარი შიმშილობს?

— საქართველოში სულ 17 საპრობილეა. მას შემდეგ, რაც ქუთაისის №2 საპრობილეში მყოფმა პატიმრებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს, მათ მხარდაჭერა გამოუცხადეს სხვადასხვა საპრობილის ტუსალებმაც. სადღეისოდ, მოშიშილე პატიმართა რაოდენობა 8 ათასს აღწევს. პატიმრებში, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, უმძიმესი მდგომარეობაა. დამიკავშირდნენ ე.წ. „კრიტიდან“ და მითხრეს, რომ არანაირი სამედიცინო მომსახურება ავადმყოფ პატიმრებს არ უტარდებათ. რამდენიმე დღის წინ გახლდით ქსნის კოლონიაში და ველა-

პარაკე ექიმს, რომელსაც უშუალო შეხება აქვს პატიმრებთან. როცა ვკითხე, როგორია პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა-მეთქი, მან მიპასუხა — ამჟამად, კოლონიაში 600-ზე მეტი პატიმარი შიმშილობს და მე პასუხს არ ვაგებ იმაზე, თუ რომელიმე მათგანი შიმშილისგან გარდაიცვლება, რადგან ანალგინისა და ციტრამონის გარდა, სხვა სამედიცინო პრეპარატები არ გაგვანიაო... სრუტეში პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სადღეისოდ, საპრობილევში კანონიერი ქურდების დევნა მიმდინარეობს.

**რის საფუძველზე აკეთებთ ამ განცხადებას?**

— რამდენიმე დღის წინ, მე-7 საპრობილევში გახლდით. ერთ-ერთ ოთახში ვიჯექი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრების შემოსვლას ველოდებოდი. ამ დროს, მომესმა ერთ-ერთი მათგანის — ელგუჯა დიღმელაშვილის განწირული ღრიალი. მისი ხმა ვიცანი და გავემართე იმ მიმართულებით, საიდანაც ხმაური ისმოდა. ჩემი თვლით ვნახე, თუ როგორ სცემდნენ სპეცრაზმის თანამშრომლები ელგუჯა დიღმელაშვილს. ავტებე განგაში და წივილ-კივილი. საპრობილის თანამშრომლები ჩემს დამშვიდებას შეეცადნენ. იქვე ვნახე უზომოდ ნაწამები ადამიანები, რომელთაც ტვინის შერყევა და მოტყეხილობები აქვთ.

**რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ საპრობილევში პატიმრებს აწამებენ?**

— მიუხედავად ჩვენი არაერთი მოთხ-

ოვნისა, კონკრეტული ჩინოვნიკები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის თანამშრომელს საპრობილევში არ უშვებენ, რომ მან პატიმართა დაზიანებული სხეულების ამსახველი დოკუმენტური მასალა სააშკარაოზე გამოიტანოს.

**პრეზიდენტმა ლიად განაცხადა, რომ ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტი უნდა აღმოიფხვრას. როგორც თქვენ ამბობთ, საპრობილევში კანონიერი ქურდების დევნა მიმდინარეობს. გამოდის, რომ მიღებული ზომები კამპანიური ხასიათის არაა. თქვენი აზრით, რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს?**

— ხელისუფლებას თავისივე ქმედებები ბუმერანგით შემოუბრუნდება. კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დაუშვებელია. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანში გაღიზიანებას გამოიწვევს, როდესაც ვინმე, ადამიანს უსამართლოდ აწამებს. ამდენად, მიმაჩნია, რომ ასეთი ქმედებების გაგრძელება ხელისუფლებას კარგს არაფერს მოუტანს.

დღევანდელ მოვლენებს უფრო ღრმად რომ ჩავეწვდეთ, უპრიანია, გავიხსენოთ, თუ საიდან მოდის „კანონიერი ქურდის“ ცნება და რამდენად ღრმად აქვს ამ მოვლენას ჩვენი ფესვები გადგმული. თავს ნუ მოვტყუებთ — ეს ცნება ხომ ისე დამკვიდრდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

კანონიერი ქურდის განმარტება ასეთი გახლავთ: ეს არის დამნაშავეთა სამყაროს ელიტარული წარმომადგენელი, რომელსაც დამნაშავეთა იერარქიაში მაღალი მდგომარეობა უჭირავს. კრიმინალური სამყაროს ექსპერტებს დღემდე არ გააჩნიათ პასუხი კითხვაზე, თუ სად და როდის ჩაეყარა საფუძველი ამ ცნებას. ერთნი ამბობენ, რომ კანონიერი ქურდები მასობრივად 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გამოჩნდნენ ასპარეზზე და უმეტესად, ის ადამიანები იყვნენ, ვინც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, ჟანდარმთა კარტოთეკებში ირიცხებოდნენ კრიმინალებად, ბოლშევიკური წყობის დამყარების შემდეგ კი ცდილობდნენ, ახალ სახელმწიფოში ძველი კრიმინალური კანონები დაემკვიდრებინათ; სწორედ ამის გამო სარგებლობდნენ ისინი დამნაშავეთა სამყაროში ავტორიტეტით. ქორენი ამტკიცებენ, რომ კანონიერი ქურდის ინსტიტუტი XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა.


ქურდულ სამყაროს საკუთარი დაუნერვლი კანონები აქვს და კრიმინალური საზოგადოების „გენერლები“ ამ კანონებს მტკიცედ უნდა იცავდნენ. მათი „კოდექსი“ ძირითადად, ასე გამოიყურება: ქურდს ეკრძალება სახელმწიფოსთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა, მას არ უნდა ჰქონოდა (საბჭოთა პერიოდში) ჩანერა, პასპორტი; ეკრძალება: მუშაობა, კანონის დამცველებთან კონტაქტი, ცოლ-შვილის ყოლა, ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლის შედეგადაც სისხლი დაიღვრება, ფუფუნების საგნების შეძენა; აუცილებლად უნდა უწევდეს მორალურ და მატერიალურ დახმარებას სხვა ქურდებს; უნდა ასრულებდეს „სხოდკის“ მიერ გამოტანილ განაჩენს.

დამნაშავეთა სამყაროსთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ე.წ. „სხოოდაკა“ (იგივე „სხანდიაკი“) იღებს. აღნიშნული „კოდექსის“ თანახმად, ახალი წევრების მიღება ხდება როგორც ზონებში, ასევე „სვაბოდაზე“. ამისათვის, ქურდები, რომლებიც ახალი წევრის მიღების ინიციატორად გამოდიან, წინათ, სხვა ქურდებს წერილს („მალაიაკა“) უგზავნიდნენ, სადაც ასახელებდნენ კანდიდატს და ინვედნენ „სხოოდაკაზე“. შეკრებილნი ისმენდნენ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აზრს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას.

როგორც ძალოვანი სტრუქტურების, ისე დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ახლა, კანონები შეიცვალა და კრიმინალურმა სამყარომ ფეხი აუწყო თანამედროვე ცხოვრებას. მათ შორის გაჩნდნენ ე.წ. „აპელსინჩიკები“ — ეს ის ადამიანები არიან, ვინც ქურდის სახელი ფულით იყიდა. ქართველმა კრიმინალებმა ბოლო 2 წლის მანძილზე, შეამცირეს ასეთთა რიცხვი და ცდილობენ, გაამკაცრონ ახალი ადამიანების მიღების წესი, რადგან მიხვდნენ, რომ ქურდის „წოდებით“ ვაჭრობამ მათ ავტორიტეტს ჩრდილი მიაყენა. შეიცვალა კრიმინალური ავტორიტეტების ცხოვრების სტილიც: ისინი ახდენენ თავიანთი ბიზნესის ლეგალიზაციას, ცდილობენ პოლიტიკაში დამკვიდრებას. მათი დაჭრა ძალზე რთულია, რადგან თავად ქურდები დანაშაულს თითქმის არ სჩადიან, ამდენად, მათ წინააღმდეგ სამხილები არ არსებობს და მათი აყვანა უმეტეს შემთხვევაში, ნარკოტიკებისა და იარაღის „ჩაგდებას“ გზით ხდება. ამჟამად, მხოლოდ 2 კანონიერი ქურდი იხდის სასჯელს „პროფილით“ — ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების შექმნისთვის...

XX საუკუნის 80-იან წლებში, ქურდული სამყარო დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაში და ერთ-

შეიცვალა კრიმინალური ავტორიტეტების ცხოვრების სტილიც: ისინი ახდენენ თავიანთი ბიზნესის ლეგალიზაციას, ცდილობენ პოლიტიკაში დამკვიდრებას



ერთი გამოკითხვის დროს, სკოლის მოსწავლეთა 25%-მა აღნიშნა, რომ სურდა, ქურდი გამოსულიყო... 1985 წელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებით, ძალოვან სტრუქტურებს ქურდების დაპატიმრება და იზოლირება დაევალიათ. იმ პერიოდში, 52 კანონიერი ქურდი დააპატიმრეს, მაგრამ მოსამართლეებმა მათ ძალზე მსუბუქი სასჯელი აკმარეს: 9 ქურდი გაასამართლეს მანანალობისთვის, 14 — იარაღის უკანონოდ შენახვისთვის, 19 — ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და შენახვისთვის, ხოლო 6 — სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის. არც ერთი მათგანი არ დასჯილა უშუალოდ დანაშაულის ორგანიზებისთვის. მაგრამ დევნის ამ კამპანიამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ქურდების ერთმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა და უცხოეთს მიაშურა. ქურდული სამყაროსთვის მნიშვნელოვან ამ პერიოდზე მოგვითხრობს ყოფილი ძალოვანი, მილიციის პოლკოვნიკი, ამჟამად გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი, ბატონი **ვაჟა გავაშელი**:

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ცეკას „კურთხევიტა“ და ბრძანებით დაიწყო სააგენტაციო-პროპაგანდისტული შეტევა ქურდებზე. მაშინ, სამინისტროს პრესცენტრის უფროსად ვმუშაობდი და ეს კამპანია მე დამევალა. ვიქექებოდი მათ საქმეებში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა, რადგან ცოტა ხანში, თვითონვე გამაჩერეს...

**— რისი გავლენა გველბოდა?**

— იმისათვის, რომ კრიმინალურ სამყაროს ებრძოლო, საჭიროა, ხალხს შეუქმნა მასზე ნეგატიური აზრი. მე უნდა მომეგროვებინა ქურდებზე კომპრომატები და პრესისა და ტელევიზიის საშუალებებით დამენახებინა საზოგადოებისთვის, რომ ქურდები არ არიან გმირები და რომ ისინი საზოგადოების ხორცმეჭები არიან. მაგალითად, კანონიერ ქურდს, ანზორ ალაიანს მოვთხოვეთ ცნობა საშუალო ადგილიდან. მაშინ, უმეტესობის თვალში, უმუშევრობა სირცხვილად ითვლებოდა. წესით, ქურდს მუშაობა ეკრძალება, მაგრამ ანზორმა მოგვითხრობა ცნობა ისეთი ადგილიდან, სადაც მისვლასა და შემოსწმებას ფიზიკურად ვერ შეძლებდით, რომ დავრწმუნებულყავით, ნამდვილად მუშაობდა თუ არა ანზორ ალაიანი, ცნობაში აღნიშნულ გეოლოგიურ ექსპედიციაში... ამ პერიოდში, ერთი სასაცილო და საინტერესო ამბის მომსწრე გახვდეთ: ანზორი ჩუღურეთის რაიონში ცხოვრობდა. დაბადების დღეს აღნიშნავდა და შინ სტუმრებს ელოდა. მე და ჩემი თანამშრომელი, სამოქალაქო ფორმით, მისი სახლის წინ ვიდექით და ვუთვალთვალდებით, რომ გავგეგო, ვინ მივიდოდა მასთან სტუმრად. სასაცილო კი ის გახლდათ, რომ ჩვენ ეზოს

ვუთვალთვალდებით, ხოლო მასპინძელს თურმე, სახლის უკან მხარეს, ფანჯარაზე მიუდგამს კიბე და ამ კიბით, მისთვის დაბადების დღის მისალოცად, რაიონების აღმასკომის თავმჯდომარეები და ცეკას განყოფილების გამგეები ადიოდნენ... იმ პერიოდში, ახალი მიღებული მქონდა ბინა და ჯერ კიდევ ურემონტო სახლში ვცხოვრობდი. ერთ დღეს, შინ მომადგა 3 ქურდი და მითხრა — ამ საქმეს მალე გააჩერებენ და ზემოდან გიბრძანებენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ ომს უნდა შევევა, ამიტომ გირჩევთ, ახლავე, შენი ნებით დაგვანებო თავი; სულ ერთი თვით, სხვაგან გადაგიყვანთ ოჯახიანად საცხოვრებლად, ხოლო ერთი თვის შემდეგ, შენი გარემონტებული ბინის გასაღებს ჩაგაბარებთო... რა თქმა უნდა, ამ შემთავაზებაზე არ დავთანხმდი. მაგრამ მათი ნათქვამი გამართლდა და სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მართლა მივიღე ბრძანება, რომ მათ წინააღმდეგ კომპრომატები აღარ შემეგროვებინა. გავიდა ხანი... 1985 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ბრძანება, რომ საქართველოში არსებული ყველა ქურდი უნდა დაეჭირათ. მაშინ, ერთ-ერთ რაიონში მილიციის უფროსად ვმუშაობდი და ბუნებრივია, ამ საქმეში მონაწილეობა მეც უნდა მიმელო. ვაღიარებ, რომ საკმაოდ ცუდ მეთოდებს მივმართეთ საიმისოდ, რომ ბრძანება შეგვესრულებინა.

**— ცუდ მეთოდებით რას გულისხმობთ?**

— ვინაიდან ძალზე ძნელია, რომ ქურდი დანაშაულის ფაქტზე დაიჭირო, იძულებული ვიყავით, მათი დანაშაული „მოგვეწყო“ — ვახდენდით ნარკოტიკული ნივთიერებებისა და იარაღის „ჩაგდებას“... თითქმის ყველა ქურდი დაიჭირეს. როგორც მასსოვს, მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მოახერხა უცხოეთში გაქცევა.


**— როგორ ფიქრობთ — რა შეიცვალა დღეს, კანონიერი ქურდების დაუნერვლ კანონებში?**

— პირადად ვიცნობდი ერთ თერჯოლელ ქურდს, რომელსაც სოსო კუზიანს ეძახდნენ. ეს კაცი ძველი თაობის ქურდების წარმომადგენელი იყო. ცხოვრობდა ერთ პატარა ქოხში. არც ცოლი ჰყავდა, არც მანქანა, არც ფუფუნების საგნები ჰქონდა. ნამდვილი, რაფინირებული ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. უშვილი იყო, მერე, ერთი გოგონა იშვილა და თან ჰყვებოდა მას... ახლანდელი ქურდები დიდძალი ქონების პატრონები არიან და ცხოვრების საუკეთესო პირობები აქვთ. ისინი მარტო კრიმინალური სამყაროს

პრობლემებს კი არ წყვეტენ, არამედ პოლიტიკოსებს შორის გაჩენილ დავებსაც აგვარებენ და თვითონაც აქტიურად ერევან პოლიტიკაში. ამის უფლება მათ აქვთ და ამაში დიდი წვლილი ჯაბა იოსელიანს მიუძღვის...

**— საინტერესოა, შეძლებს თუ არა ახლანდელი ხელისუფლება, ერთი ხელის მოსმით მოსპოს ის ქურდული მენტალიტეტი და კანონები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე?**

— თუ ნამდვილად მოინადინებენ, აუცილებლად მიაღწევენ. პირველ რიგში აუცილებელია, საზოგადოების აზრი ჩამოაყალიბონ ამასთან დაკავშირებით. როდესაც მოზარდი ხედავს, რომ ქურდი კარგად ცხოვრობს, აქვს სიმდიდრე, ძვირადღირებული მანქანა და ძალაუფლება, ბუნებრივია, რომ მას მოეწონება ასეთი ცხოვრების წესი და თვითონაც იბრძოლებს საიმისოდ, რომ ადგილი სწორედ მათ შორის დაიკვიდროს. ჯერ უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება კანონიერი ქურდების მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ ხელისუფლებამ



...დავემორჩილე. აქ ჩამოსულმა კი, შოკის მომგვრელი ამბავი გავიგე: თურმე, ჩემი ძმა ქურდი გამხდარა

ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს...

ყოფილი ძალოვნიდან განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ერთ-ერთი კანონიერი ქურდის ძმა, რომელიც მუდამ გვერდით ედგა თავის ძმას და კარგად არის გათვითცნობიერებული ამ სამყაროს კანონებში.

**— რამდენი წლის არის თქვენი ძმა?**

— 49-ის.

**— რა ასაკში გახდა კანონიერი ქურდი?**

— როცა ის 20 წლის გახდა, უკვე ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა, თავსაც ინახავდა და მშობლებსაც. მე მასზე 4 წლით უფროსი ვარ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როცა ჯარში წავედი და შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ ქალაქში ვცხოვრობდი. ერთ დღეს, დამირეკა და კატეგორი-

ულად მომთხოვა, რომ შინ დაგბრუნებულყავი. დავემორჩილე. აქ ჩამოსულმა კი, შოკის მომგვრელი ამბავი გავიგე: თურმე, ჩემი ძმა ქურდი გამხდარა. შემემშინდა. ასეთი ადამიანები ბუნებრივი სიკვდილით იშვიათად კვდებიან, მე კი ჩემი ძმა სიცოცხლეს მერჩივნა. ამიტომ, მეც კატეგორიული ტონით ვუთხარი — გვერდიდან არ მოგშორდები, შენთან ერთად ვიქნები დღისით თუ ღამით-მთქი. თავიდან, შემენიანაღმდეგა, მაგრამ მერე, დამყაბულდა. ასე მერჩივნა, რადგან სულ ჩემ თვალწინ იქნებოდა და რაიმე რომ გასჭირვებოდა, იქვე ვიქნებოდი. ასე მოვხვდი კრიმინალურში. ჩემი ცხოვრების მანძილზე, უამრავი რამ მქონდა ნანახი, თავს გადახდენილი თუ მოსმენილი, მაგრამ როდესაც პირველად დავესწარი ქურდულ გარჩევას, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს რაღაც, განსაკუთრებით ვაჟკაცური დავინახე ამ ადამიანებში, რაღაც სამართლიანი და საჭიროც...

— **თქვენს ძმას ოჯახი აქვს?**

— დიას. ჰყავს ცოლი და 2 შვილი.

— **ის ახლა პატიმარია?**

— დიას.

— **თქვენ როგორ ფიქრობთ**

— **შეძლებს თუ არა სახელმწიფო, ქურდული კანონების მოსპობას?**

— მეეჭვება, რომ შეძლოს. ამ მენტალიტეტს ისე მყარად აქვს საზოგადოებაში ფესვები გადგმული, რომ მის ამოძირკვას დიდი დრო, შესაძლოა, მთელი საუკუნეც კი დასჭირდეს. სიმართლეს თვალეში უნდა შევხედოთ: ხალხის უმეტესი ნაწილი ქურდებს უფრო ენდობა, ვიდრე ხელისუფლებას. არ მეგულება არც ერთი პოლიტიკური პარტია, არც „პოზიცია“ და არც ოპოზიცია, რომელიც ერთი დამახილით მოაგროვებს იმდენ ხალხს, რამდენსაც ერთი ქურდი მოახერხებს. თქვენ რა გგონიათ — ახლა, როცა პატიმრები შიმშილობდნენ და ადმინისტრაცია მათ ფიზიკურად უსწორდებოდა, ქურდებს ერთი „ქსივა“ რომ გამოეგზავნათ — დახმარება გვჭირდებაო, — იმ აქციებზე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ტარდებოდა, 100 კაცის ნაცვლად, ათასობით ადამიანი მივიდოდა.

— **თქვენი ძმაც ნაცემია?**

— არ ვიცი. თვითონ ამბობს, რომ არ არის ნაცემი. მისი ნახვის უფლებას მე არ მაძლევენ და რა გავიგო?... ისე, ამბობენ, რომ თურმე, საშინლად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა.

— **ქურდები რომ არ იყვნენ ციხეში ან ზონაში, რა მოხდებოდა?**

— ციხეში სიტუაციას აკონტროლებს ქურდი. მისი სიტყვა ყველასთვის კანონია. ამიტომ, რომ ადმინისტრაციასაც უადვილდება სიმშვიდის შენარჩუნება სასჯელალსრულების დაწესებულებებში. ქურდის წყალობით, ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ვერ გადააბიჯებს

ზღვარს, რომელიც მისთვისაა დაწესებული.

— **თქვენს ძმას თუ აქვს სიმდიდრე? მისი ოჯახი კარგად ცხოვრობს?**

— ვერ გეტყვით, რომ უზღვავი და უთვალავი ქონება აქვს დაგროვილი, მაგრამ არც ღარიბულად ცხოვრობდა. აქვს ბინა, სადაც ახლა მისი ოჯახი ცხოვრობს და აქვთ იმის საშუალება, რომ ნორმალურად იარსებონ. ჩემმა რძალმა ქმრის მანქანა გაყიდა, რომ ბავშვებისთვის პურის ფული არ მოეკლო.

— **თქვენი აზრით, ვინ არიან დღეს ყველაზე გავლენიანი ავტორიტეტები?**

— არ ვიცი, ამაზე მე ვერ გიპასუხებთ...

*მართალია, ქურდული კანონის მიხედვით, კრიმინალურ ავტორიტეტს წინაშე უკრძალებოდა ოჯახის შექმნა, მაგრამ „კოდექსის“ ეს პუნქტიც, ისევე, როგორც ბევრი სხვა, აღარ მოქმედებს და დღეს, ქურდების უმეტესობას ოჯახი აქვს. საინტერესოა, რამდენად ძნელია ქურდის ცოლობა?.. ნანას უკვე მოზრდილი შვილები ჰყავს, რომლებიც, იმის გამო, რომ ქმარი მუდმივად ციხეშია, თითქმის მარტომ გაზარდა...*

— **ქალბატონო ნანა, ამჟამად თქვენი ქმარი პატიმარია?**

— დიას. ის გასამართლებულია და 4 წელი აქვს მისჯილი.

— **როდესაც ოჯახს ქმნით, იცოდით თუ არა, რომ კრიმინალურ ავტორიტეტს მიჰყვებოდით ცოლად?**

— რა თქმა უნდა.

— **და მაინც გაჰყვივით?**

— მიინდა გითხრათ, რომ სწორედ ამით მოვიხიბლე და არჩევანი მასზე იმიტომ შევაჩერე, რომ კრიმინალური ავტორიტეტი იყო. ინიციატივა მისგან წამოვიდა. თავიდან, გავურბოდი, შემშინოდი, მაგრამ ძალიან მომწონდა. როგორც კი ის ჩემი ცხოვრებაში გამოჩნდა, მაშინვე ყველა ბიჭი ჩამომშორდა. მართალია, მურტალოსავით, ყოველ დღით ვარდებს არ მიგზავნიდა, მაგრამ მის გავლენას ყოველ წუთს ვგრძნობდი. არ მეგულება ქვეყნად ქალი, რომელიც ძლიერ და გავლენიან მამაკაცზე უარს იტყვოდან.

— **დაქორწინებიდან მის პირველ დაჭერამდე რამდენი ხანი იყო გასული?**

— სამი თვე. ჩვენი პირველი შვილი რომ გაჩნდა, ის ციხეში იყო და 2 კვირის ჩვილი მივიყვანე მასთან სანახავად. უნდა გენახათ, როგორ ეფერებოდა. მეორე შვილიც მისი ციხეში ყოფნის დროს გაჩნდა. მხოლოდ მესამე შვილის დაბადებისას იყო თავისუფალი; 6 თვეში, ისევე დაიჭირეს. შვილები მარტომ გაზარდეს. ჩემი ქმარი მხოლოდ ფულს გვიგზავნიდა. ბავშვებს მამა უზომოდ

უყვართ.

— **ახლა, როდესაც პატიმრები შიმშილობდნენ და სასჯელალსრულების დაწესებულებებში არეულობა იყო, ალბათ, ძალიან ნერვიულობდით, არა?**

— რა თქმა უნდა. მე ის ისევე მიყვარს, როგორც ქორწინების პირველ დღეებში. არც ტელეფონი ჰქონდა, რომ მისი ამბავი გამეგო. ზონის კართან ვათენებდი და ვალამებდი. მხოლოდ ახალი წლის შემდეგ შეგძელი მისი ნახვა და როდესაც დავინახე, რომ სალ-სალამათი და ჯანმრთელი იყო, დავმშვიდდი.

— **თქვენი მეუღლეს შიმშილობდა?**

— არ ვიცი. ის ისეთი ადამიანია, რომ არასოდეს მახედებს თავის საქმეში. მუდამ მეუბნებოდა ხოლმე: რაც ქალის საქმე არ არის, იმაში ცხვირს ნუ ჩაყოფო.

— **ძნელია, როდესაც მეუღლე მუდამ საფრთხის წინაშე დგას. არასოდეს მიგიციათ მისთვის რჩევა, რომ ამ საქმიანობისთვის თავი დაენებებინა?**

— რას მეუბნებით?! მაგას როგორ გავუბედავდი?! როდესაც ის დაჭერილი არ იყო და პოლიცია ეძებდა ხოლმე, ხშირად გვაკითხავდნენ შინ და გვანოკებდნენ ძალოვნები; მე და ჩემს შვილებს გვეკითხებოდნენ მის ადგილსამყოფელს. არასოდეს ვიცოდი, სად იყო, სად იმალებოდა. მეტყოდა ხოლმე — იმიტომ არ გეუბნები, სად ვარ, რომ როცა გკითხავენ, სახეზე შეგეტყობა, რომ იცი და არ ეუბნები; რომ არ გეცოდინება, ასე უფრო გულწრფელად უპასუხებო. უყურადღებოდ, ერთი დღითაც კი, არასოდეს მივეუტოვებივართ. არ ვიცი, საიდან იგებდა, მაგრამ როგორც კი პოლიციელები წავიდოდნენ, რამდენიმე წუთში ჩვენთან ჩნდებოდა და შემფოთებით კითხულობდა — ხომ არაფერი უწყინებიათო?... ახლა კი, რამდენიმე დღის წინ, ვიღაც კაცები იყვნენ მოსული და ქონება ალგვიწერეს. რა ვიცი, რა უნდათ, ალბათ, ახალი კანონი შევა ძალაში და ქურდის ოჯახს ქონების კონფისკაციას გაუკეთებენ. თუ ეს ყველაფერი ჩამოგვართვეს, ღმერთმა იცის, როგორ და სად უნდა ვიცხოვრო. ძალიან მდიდრულად არ ვცხოვრობთ, მაგრამ ბავშვებს საკუთარი ჭერი მაინც აქვთ. თუმცა, უკვე ამასაც აღარ ვჩივი. ნეტავ, მეც არ დამიჭერდნენ...

*როგორ დასრულდება დღევანდელი ჭიდილი სასჯელალსრულების სისტემის მესვეურებსა და პატიმრებს შორის, რა დგას სინამდვილეში ამ მოვლენების მიღმა, მართლაც გადაწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა ხელისუფლებამ კანონიერი ქურდის ინსტიტუტს თუ ეს მხოლოდ კამპანიაა, — ყველა ამ კითხვაზე მომავალი გავცემს პასუხს.*



პროექტში, მსახიობებთან ერთად, მეც ვიცავკვე და ვიმღერე. ეს იყო ჩემი პირველი მცდელობა, მომესინჯა ძალები ქართულ ქორეოგრაფიაში. როგორც ამიხნეს, მთავარი იყო, გულით მეცეკვა. როდესაც მიხვდნენ, რომ ხელ-ფეხი მერეოდა, დამამშვიდეს: შენ მაგაზე არ იდარდო. მეც, ჩემი იმერული შემართება გამოვიყენე და როგორც ამბობენ, მშვენივრად ვიცეკვე. როგორც ჟურნალისტს, ხშირად მაქვს პირდაპირი ჩართვა საცეკვაო დარბაზებიდან და „ნაბადში“ ნასწავლ იღეთებს იქაც ვიყენებ ხოლმე.



ინო ქათაგაძე, მომღერალი:

— საკმაოდ კარგად ვიცნობ ქეთი ჭაბუკიანის ხელოვნებას და შემოძლია გითხრა, რომ მისმა თქვის აქსესუარებმა ბევრჯერ გადამარჩინა: თუ რომელიმე ცივ ქვეყანაში მიფეხავდნენ გასტროლებზე, თან მიმაქვს ქეთის მიერ შექმნილი სამოსი, ქუდეები და ა.შ. სამწუხაროდ, „ნაბადის“ სპექტაკლები არ მინახავს, თუმცა, ამ სანახაობის ფორმა, რიტმი, გამომსახველობითი საშუალებები ჩემთვის ცნობილია. საოცარია, რომ ახლა აქ ვარ, აქ ყველაფერი ქართულია და „ნაბადთან“ ერთად მეც ვდილინებ...

# „თქონალუკა ტრადიციას ანათონალუკაე ზაბუნთადა...“

გოლას, იმავე UNICEF ტეხასის სატელევიზიო კარიერა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც 1982 წელს, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ფრემიამ“ გადმოსცა: ქუთაისის სამშობიარო სახლში პატარა გოლიათი დაიბადაო! გოლიათი გოლა 6 კილოგრამს იწონდა და მშობლიური წყალტუბოს გულის გასახარად, პატარა საბჭოთა რეკორდსმენტა სიაშიც აღმოჩნდა... პროფესიით ეკონომისტმა, ჯერ „მუსკულეზში“, „დაიკაჩავა“ კუნთები და მერე, „შმატრულს“ მიაშურა. ახალი წლის დამდეგს კი, არასანარმოო ტრავმა მიიღო, ერთი დღე რეანიმაციულ განყოფილებაშიც გაატარა და გადაცემა „პატრულის“ სიუჟეტშიც მოხვდა.

## პეა ტხიანვილი

— ბოლოს, ჩვენი ჟურნალის სტუმარი „სასიძოს“ რუბრიკით იყავი. ხომ არ შეიცვალა რაიმე შენს პირად ცხოვრებაში?

— ამ თვალსაზრისით, ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ისევე სასიძო ვარ.

— მოგვიყვი, როგორ დაიბადა გადაცემა „პატრულის“ პაროდია თქვენს არხზე, რომელსაც „შმატრული“ ჰქვია...

— ამ გადაცემის შექმნის იდეა მე და გიორგი მარშანიას გვეკუთვნის. სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდით, ვმუშაობდით ამ ჩანაფიქრზე. რა თქმა უნდა, თვით გადაცემა „პატრული“ შორსაა იუმორისგან, მაგრამ იქ ხშირად გადიოდა სიუჟეტები, რომლებისთვისაც შეგვეძლო, ხუმრობის ელფერი მიგვეცა. ეს იდეა გავაცანით შალვა რამიშვილს, მანაც მოგვინონა და მუშაობას გასული წლის მაისიდან შევუდექით, ხოლო ეთერში მხოლოდ შემოდგომაზე გავედით. ამ პროექტზე სულ ოთხი ადამიანი ვმუშაობთ: ნიკა არაბიძე, გიორგი მარშანია, გია გაბრიჩიძე და მე. რაღა თქმა უნდა, პერიოდულად „შმატრულში“ ოცმეთაური — თვით კოტე მონანილეობს. ჩვენი გადაცემის სიუჟეტები ყოფით, ცხოვრებისეულ ამბებზე დაკვირვებით იქმნება, თუმცა ზოგჯერ, ვსდებით ყველა ერთად და უჩვეულო სიტუაციებს თავად ვიგონებთ. სხვათა შორის, გადაცემების პროცესი საკმაოდ შრომატევადია. ზოგჯერ ხდება ისე, რომ გადაცემული სიუჟეტი არ მოგვწონს, ვიღებთ თავიდან და ა.შ.

— საპატრულო პოლიციის შექმნას ჩვენი ხელისუფლება დიდ



წარმატებად მიიჩნევს, თქვენ კი ამაზე პაროდებს ქმნით. ხომ არავინ გამოგებმურათ სახელმწიფო უწყებებიდან?

— გამოხმაურება მართლაც იყო, თუმცა, ოფიციალურმა ორგანომ არაოფიციალურად შემოგვითვალა: ეს გადაცემა სისულელეა და არ არის სასაცილო. ბუნებრივი რეაქციაა, რადგან ეს გადაცემა მათთვის ნამდვილად არ უნდა იყოს სასაცილო... საზოგადოების რაღაც ნაწილი სისტემატურად უყურებს ჩვენს სიუჟეტებს და ეცინებათ კიდევ.

— საპატრულო პოლიციის ფორმა სად იშოვეთ?

— შმატრულის ფორმები შევიკვრეთ. სულ ოთხი ფორმა გვაქვს და რაც ჩემი ჩაცმულობა დაჯდა, იმდენივეს გადახდამ მოგვინია დანარჩენ კოსტიუმებში... სხვათა შორის, ჩვენი ჩაცმულობა საპატრულო პოლიციის ფორმის ანალოგიურია, მხოლოდ ემბლემები გვაკლია.

— ისევე, როგორც ყველა ბიჭს, ბავშვობაში, ალბათ, შენც გინატრია — ნეტავ, პოლიციელი გამოვიდო და ნაწილობრივ აგისდა...

— პოლიციელობაზე არასდროს მიოცნებია, ყოველთვის მინდოდა, ბულალტერი ვყოფილიყავი — ისევე როგორც მამაჩემი. ბავშვობაში ასევე მიყვარდა კოლექციონერობა და პერიოდულად, სხვადასხვა ნივთს ვაგროვებდი — მაგალითად, საათებს, სანთებლებს, სათვალეებს, ფარნებს და ა.შ. სხვათა შორის,

ეს ნივთები ნლების შემდეგ, ძალიან გამომაღდა. მიყვარს ნადირობა გადამფრენ ფრინველებზე, ამის გამო, მეგობრებთან ერთად ხშირად ჩავსულვარ ფოთში. ამ დროს კი, ფარანი მონადირის მთავარი ატრიბუტია. ნელს ნადირობის სიამოვნებას მოკლებული ვიქნები: ჯერ ერთი, ქათმის გრიპის გამო აკრძალეს და ასეც რომ არ იყოს, მიღებული ტრავმის გამო, ამას ვერც შევძლებ.

**— ხელი შმატრულირებისას ხომ არ დაიზიანე?**

— 25 დეკემბერს ღამით, როდესაც ქალაქში თოვდა, მეგობრისგან მოვდიოდით მანქანით, მანქანა მოცურდა და ბოძს შევეჯახეთ. ამ შემთხვევას შევნირა ჩემი მარცხენა მხარი. ძვალი სამ ადგილას მაქვს მოტყეხილი. ახლა რკინები და „შურუბები“ მაქვს გაყრილი და როგორც ექიმები ამბობენ, 2-3 თვეში გამოვჯანმრთელდები.

**— მანქანაში მარტო შენ იჯექ?**

— არა, ჩვენი პროდიუსერი გია გაბრიჩიძე იჯდა ჩემ გვერდით. შეჯახებისას მისთვის აირბაგის მოვალეობა შევასრულე, თანაც, ის 23 კილოგრამზე მეტს არ იწონის და ალბათ, ამიტომაც გადარჩა უვნებლად.

**— რა თქმა უნდა, შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია**

ეთერში, მანამდე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან უკეთესი დამოკიდებულება გვქონდა. სხვათა შორის, რამდენიმე მათგანს წინასწარ გავეუხილეთ კიდეც, რომ მათზე პაროდებს ვაკეთებდით. ერთხელ, დახმარებაც გაგვინიეს და სიუჟეტისთვის საპატრულო ავტომობილის გადაღების უფლებაც მოგვცეს. მას შემდეგ, რაც ეთერში გავედით, შორიასლოს გვივლიან, როგორც ჩანს, ზემდგომებისგან მიიღეს გაფრთხილება. ერთხელ, მეგობრებთან ერთად, ოპერის თეატრის სკვერში ვიჯექი. იქვე საპატრულო პოლიციის ავტომობილი გაჩერდა, ერთ-ერთი თანამშრომელი გადმოვიდა, სოკოსთან მივიდა, წყალი დალია და მოგვიასლოვდა. ის ვინ არის, იქ რომ ზის? ჩვენ რომ დაგვცინის, ის ხომ არ არისო?... დაგიჭერ შენ სადმე მთვრალს და მერე ვნახოთო!... — სრული სერიოზულობით და ბოლმიანად მომმართა. ამ დროს მანქანიდან მისი მენეჯილევც გადმოვიდა, გაგვიღიმა, გულიანად მოგვესალმა და მოგვიკითხა.

25 დეკემბერს ღამით, როდესაც ქალაქში თოვდა, მეგობრისგან მოვდიოდით მანქანით, მანქანა მოცურდა და ბოძს შევეჯახეთ



ჩოჩქოლია და ა.შ. ამ დროს, სწრაფად რეაგირებს პატრული, მოდიან, მაგრამ როგორც კი ჩვენ გვხედავენ, მაშინვე ტოვებენ ტერიტორიას.

**— როგორც „შმატრულის“ თანამშრომელს, ხშირად გინევს რალაც ტრიუკის შესრულება: ვილაც იხრჩობა და შევლას ითხოვს, ვილაც ხოდან არის ჩამოსაყვანო... არ გიჭირს, წონის გამო, ამ ყველაფრის კეთება?**

— ერთადერთი, რაც ჩემი წონის გამო მიძნელდება, ხეზე დამოუკიდებლად ასვლაა. თუმცა გამოინახა გამოსავალი და კიბეს ვიყენებ ხოლმე. ისე კი, დიდი წონის მიუხედავად, ვფიქრობ, მაინც მოხერხებულად ვფლობ ჩემს სხეულს.

**— „შმატრულის“ გუნდს როდის დაუბრუნდები?**

— სხვათა შორის, ამ მოტყეხილი ხელითაც მივიღე მონაწილეობა გადაღებებში. სიუჟეტის მიხედვით, მოქალაქეს სჭირდებოდა ქირურგიული დახმარება ხელის არეში, მაგრამ ეშინოდა. მის დასახმარებლად გამოცხადდა შმატრული, ავადმყოფის ნაცვლად, მან გაიკეთა ოპერაცია და ყველაფერი კარგად დამთავრდა. ასე რომ, ჩემი ტრავმითაც გამოვადექი „შმატრულს“.



გადაცემა „პატრულისთვისაც“ გადაიღეს სიუჟეტი და დაახლოებით ასეთი განცხადება გააკეთეს: ტელეკომპანია „202“-ის ნასვამი თანამშრომლებიო...

**— გადაღებების დროს, თუ შეგიყვანიათ საპატრულო პოლიცია შეცდომაში?**


— ყოფილა ასეთი შემთხვევები. მაგალითად, ვიღებთ რალაც არეულობას, ხალხი შეიკრიბა,

**გამოცხადდა, ხომ?**

— მართალი ხარ, პატრული მალევე მოვიდა. ისევე დაგვეხმარნენ, როგორც სხვებს ეხმარებიან ხოლმე. გადაცემა „პატრულისთვისაც“ გადაიღეს სიუჟეტი და დაახლოებით ასეთი განცხადება გააკეთეს: ტელეკომპანია „202“-ის ნასვამი თანამშრომლებიო... სად ვიყავი ნასვამი — ე.წ. სამი „რიუმკა“ მქონდა დალეული!... სხვათა შორის, სიუჟეტში ისიც ვთქვი: დიდი მადლობა პატრულს-მეთქი! — მაგრამ ეს აღარ გაუშვეს.

**— საერთოდ, როგორი ურთიერთობა გაქვს საპატრულო პოლიციასთან?**

— სანამ „შმატრული“ გავიდოდა



სად ვიყავი ნასვამი — ე.წ. სამი „რიუმკა“ მქონდა დალეული!

# „სასაპარტლოს ჩაბთვის პნიშვნელოვა არა აქვს. საქმეს ერთ დღეამიანთან გაპარაკვევ“, – ახსნაღეს შალვა რამიშვილი



**ოპოზიციონერები – დავითაშვილი, ძიძიგური და ზურაბიშვილი, რამიშვილსა და კოხრეიძეს თავდებად უდგებოდნენ**

**ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის — შალვა რამიშვილისა და არხის დირექტორის — დავით კოხრეიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვას**

შალვა რამიშვილმა კარცერი მართლაც მობილური ტელეფონისთვის დაიმსახურა და არანაირ ზენოლას მასზე ადგილი არ ჰქონია. მხარის თქმით, იმ დროისთვის ციხეებში ტელეფონები უკვე აკრძალული იყო, რამიშვილს კი მობილური მაინც აღმოაჩნდა თან.

ადვოკატები და ოპოზიციონერები აღნიშნავენ, რომ ორივე განსასჯელი უკანონო პატიმრობაში იმყოფება. ამის თაობაზე მათ სასამართლოში განმწესრიგებულ სხდომაზე სპეციალური განცხადება წარმოადგინეს. განცხადების საფუძველზე ადვოკატებმა მოსამართლეს — ნინო სანდოძეს შუამდგომლობით მიმართეს.

### **ბორჯა სვანიძე:**

„განსასჯელების მიმართ ბრალდება ყოველად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და ეს სახეებით საკმარისია იმისთვის, რომ ისინი პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ. ამის აღიარება, ცხადია, ბრალდების მხარეს არ სურს. მაგრამ საქმე სხვა სახის სერიოზულ დარღვევასთანაც გვაქვს. რამიშვილი 2005 წლის 27 აგვისტოს დააკავეს და სამთვიანი წინასწარი პატიმრობის ვადა მას 27 ნოემბერს ეწურებოდა. ვადის ამოწურვისთანავე ის პატიმრობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სათანადო დოკუმენტაცია, რომ პროკურატურამ სასამართლოს ვადის გაგრძელების თაობაზე დროულად მიმართა და შესაბამისი დადგენილება, საქმის მასალებში არ დევს. სწორედ აქედან გამომდინარე, განსასჯელი უკანონო პატიმარია. ყველა საგამოძიებო ვადა უკვე ამოწურულია და ის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო.“

იგივე არგუმენტები აქვს კოხრეიძის ადვოკატსაც მისი დაცვის ქვეშ მყოფის უკანონო პატიმრობის თაობაზე. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირეს ოპოზიციონერებმაც. ძიძიგურმა, დავითაშვილმა და ზურაბიშვილმა განაცხადეს, რომ მზად იყვნენ, თავდებად დასდგომოდნენ რამიშვილსა და კოხრეიძეს გათავისუფლების შემთხვევაში. რაც შეეხება ბრალდებულს, მან აღნიშნულ შუამდგომლობას უსაფუძვლო უწოდა და მოსამართლეს მოუწოდა, არ დაეკმაყოფილებინა იგი. როგორც ჩანს, ეს პოზიცია უფრო სამართლიანი ეჩვენა მოსამართლეს და საქმეს ვერც ოპოზიციონერთა თავგამოდებამ უშველა. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. „ამის შემდეგ, ჩემთვის სასამართლოს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. საქმის გარკვევას უკვე მხოლოდ ერთ ადამიანთან ვაპირებ“, — განაცხადა სხდომაზე მოსა-

თბილისის საქალაქო სასამართლო 20 იანვრიდან დაიწყო. როგორც ცნობილია, მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ადანაშაულებენ. რამიშვილიც და კოხრეიძეც კატეგორიულად უარყოფენ ბრალს. მათი თქმით, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება ყალბია. სასამართლო პროცესი დაძაბული და ხმაურითაა რომ იქნება, ამას 13 იანვარს ჩატარებული განმწესრიგებელი სხდომაც მოწმობს. სდომაზე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად პარლამენტარებიც, უფრო ზუსტად კი, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი და აქტიური წევრიც გამოცხადდა. მათ თანადგომა გამოუცხადეს განსასჯელებს და ერთმანეთთან თუ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავენ, რომ რამიშვილი და კოხრეიძე „ზემოდან“ ზენოლას განიცდიან და რომ ისინი უკანონო პატიმრები არიან. დეპუტატებმა — ზვიად ძიძიგურმა, კობა დავითაშვილმა და დავით ზურაბიშვილმა მზადყოფნაც კი გამოთქვეს, რამიშვილსა და კოხრეიძეს თავდებად დასდგომოდნენ...

სწორედ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ — თავმჯდომარე **ნანა კაპაბაძე** გაავრცელა ინფორმაცია რამიშვილის საკანში მსუთავი კვამლის გაშვების შესახებ. მისივე თქმით, ამის გამო რამიშვილი შეუძლოდ გახდა. „მისი ყვირილის ხმა სხვა პატიმრებმაც გაიგონეს. ცხადია, რომ მასზე ზენოლის მცდელობას აქვს ადგილი“, — განაცხადა კაპაბაძემ. თუმცა მოგვიანებით მსუთავი კვამლის შესახებ ინფორმაცია არ დადასტურდა.

**ბორჯა სვანიძე**, შალვა რამიშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„მაშინ, როცა ეს ინფორმაცია გაავრცელდა, მე საქმის კურსში არ ვახლდით და არაფერი ვიცოდით მომხდარის შესახებ. მაგრამ შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვა, აღმოჩნდა, რომ მსუთავი კვამლის გაშვებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, კარცერის ტერიტორიაზე მცირე ინციდენტი მართლაც მოხდა. როგორც მითხრეს, მეზობელ საკანში ერთ-ერთი პატიმრის ლეიბს ცეცხლი გაუჩნდა და კვამლმა რამიშვილის საკანშიც შეაღწია. იქ მყოფ პატიმრებს ყვირილი აუტყხიათ. ბოლის გამო საკანში

პატიმრების გაჩერება მიზანშეწონილი არ იყო და რამიშვილი სხვა პატიმრებთან ერთად სხვაგან გადაიყვანეს. რამდენადაც ვიცი, ყველანი კარგად გრძობდნენ თავს და რამიშვილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება“.

ინფორმაცია არ დადასტურდა, მაგრამ ამის მიუხედავად, განსასჯელები, მათი ადვოკატები და ოპოზიციონერი პარლამენტარები ზენოლის ფაქტებზე საუბარს კვლავ განაგრძობენ. ამას ხაზს უსვამს განსასჯელის — დავით კოხრეიძის **მა — ბორჯა სვანიძე**:

„შალვა ხუთი დღით კარცერში ჩასვეს, მიზეზად მობილური ტელეფონი დაასახელეს, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი მეთოდებით მათ ზენოლისთვის სჭირდებათ. კარცერში ჩასმას ჩემს მხასაც უპირებდნენ. პირდაპირ სთავაზობდნენ, თუ ბრალს აღიარებ, ცოტას მოგიხვით, თუ არა და — მაქსიმუმსო. ჩემმა ძმამ უკვე იცის, რომ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან“. გოგა კოხრეიძე ამჟამად ძმის თანამდებობას ითავსებს. ის ტელეკომპანია „202“-ის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გახლავთ.

როგორც ბრალდების მხარემ აგვისნა,



მართლის გადანეწევაზე უკმაყოფილო და აღელვებულმა რამიშვილმა. როგორც ამბობენ, საგარეოდ, ამ ადამიანში ის კობა ბექაურს გულიხსმობდა.

ამას ადვოკატების მხრიდან მეორე შუამდგომლობა მოჰყვა, დამატებითი მტკიცე-

საქმე ის გახლავთ, რომ საქმეში არსებულ ჩვენებებში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები ფიქსირდება ამის თაობაზე. მაგალითად, ერთსა და იმავე ეპიზოდთან დაკავშირებით დაკითხული პირები შეხვედრის სხვადასხვა ადგილს ასახელებენ“.



ბულებების გამოთხოვის შესახებ. დამცველებმა საქმის მასალებზე მტკიცებულების სახით დართული სატელეფონო საუბრების დეტალური ამონაწერი მოითხოვეს.

**ზორა სვანიძე:**

„ამ ამონაწერის გაცნობას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია გაირკვეს და ზუსტად დაფიქსირდეს, ამ საუბრების დროს ვინ სად იმყოფებოდა და რომელი ანბა ემსახურებოდა მას.“

მოსამართლეს ადვოკატების ამ მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად 4 საათი დასჭირდა. ყოველი შემთხვევისთვის, მისი სათათბირო ოთახში გასვლიდან გადანეწელების გამოცხადებამდე ზუსტად ეს დრო გავიდა. საბოლოოდ, შუამდგომლობა მიიწვიდა და ადვოკატებს სატელეფონო საუბრების დეტალური ამონაწერი გასაცნობად გადაეცემათ.

# მოლაშვილი სააკვლასიო პალატის წინაშე წარდგა

## ადვოკატები მოსამართლეების არაობიექტურობას ამჯერადაც უჩივიან

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის — სულხან მოლაშვილისა და მისი ადვოკატების სააპელაციო საჩივარს თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა განიხილავს. მსჯავრდებული და ადვოკატები — შალვა შავგულისძე და სოსო ბარათაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 სექტემბრის განაჩენს უკანონოს უწოდებენ. აღნიშნული განაჩენით, მოლაშვილი დამნაშავედ ცნეს სახელმწიფოსა და იურიდიული პირებისთვის 3 მილიონი ლარის ზარალის მიყენებაში და სასჯელის ზომად, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს.

„პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით წარმართა და გამამტყუნებელი განაჩენი აუცილებლად უნდა გაუქმდეს. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის პარალელურად, საქმეს ევროპის ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოც განიხილავს. აღნიშნული

სასამართლო სულხან მოლაშვილის პატიმრობის კანონიერების საკითხს გაარკვევს. აქ კი — სააპელაციო პალატაში ჩვენ ანუ დაცვის მხარე ჩვენს მტკიცებულებებს წარვადგენთ, რითაც უდავოდ ბათილდება ბრალდება. გასულ სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობა დავაყენეთ ორგანიზაციების — „აზოტი“, „ქიმბოჭკო“, „თბილავიამშენი“ და სხვათა წარმომადგენელთა, მოწმის სახით გამოძახების შესახებ, მაგრამ უარით გვიპასუხეს. ვფიქრობთ, რომ მოსამართლეები არათანაბარი ობიექტურობით ეკიდებიან პროცესის მონაწილე მხარეების მოთხოვნებს“, — აღნიშნავს ადვოკატი **შავგულიძე**.

სწორედ ამ მოტივით, ადვოკატებმა მოსამართლეების აცილების თაობაზე მორიგი შუამდგომლობა დააყენეს, მაგრამ სასამართლომ არც ის დააკმაყოფილა, როგორც მოსამართლეებმა აღნიშნეს — უსაფუძვლობის გამო.

# ეკვლეობა ჯვრის მონასტართან

## „იმ გოგონას მოკვლაში ხელს ვერავინ შემშიშლიდა“, — აცხადებდა ბანდის ერთ-ერთი ლიდერი

1998–2001 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მოთარეშე, ყველაზე მრავალრიცხოვანი, ორგანიზებული და კარგად შეიარაღებული ბანდა, წარსულში მრავალჯერ ნასამართლემა პირებმა ჩამოაყალიბეს. სამართალდამცველების თქმით, მოსახლეობას ისინი შიშის ზარს სცემდნენ.

მათი ძირითადი საქმიანობა ადამიანების ძარცვა და ლამბამობით ოჯახების დაყაჩაღება იყო. მათი ქმედება ხშირად სრულდებოდა სისხლის ღვრით. 1999 წლიდან ბანდის სამიზნე ავტომანქანები და მათი მძღოლები გახდნენ. სისხლის სამართლის საქმის მასალებში, სადაც ამ ბანდიტური ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საკმაოდ გრძელი ნუსხაა ჩამონერილი, ეპიზოდების უმრავლესობა, სწორედ უცხოური მარკის, ძვირად ღირებული ავტომანქანების გატაცების ფაქტებს ეხება. თუმცა, ბრალდებებს შორის გახლავთ განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა და ქურდობის მუხლებიც...

„...მე არც ერთი განზრახ მკვლელობა არ ჩამიდენია. საგარეჯოში ჩავიდინე მხოლოდ ერთი დანაშაული. მაშინ ერთ-ერთ ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმას ვამზადებდით. არანაირი წინასწარი მოლაპარაკება ვინმეს მოკვლის თაობაზე არ გვქონია... ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მკვლელობა ჩავიდინე, მაგრამ თავდაცვის მიზნით და არა განზრახ. რამდენიმე ადამიანის მოკვლა რომ მნდომებოდა, მანქანაში მყოფი გოგონას მოკვლაში ხელს ვერავინ შემშიშლიდა...“ — ამ სი-

ტყვიტ წარდგა განსასჯელი — ბანდის ერთ-ერთი ლიდერი — **გაბუა ლო-გაბვილი** სასამართლოს წინაშე. ჩადენილ დანაშაულში ის მისივე მეგობარმა, ბრალდების თანახმად, თანამზრახველმა და ბანდის ერთ-ერთმა წევრმა — **თ. ბალოიანმა** ამხილა:

„...იმ დღეს, შუაღდის საათები იქნებოდა, როცა მამუკამ დამიძახა. მთხოვა, ჯვრის მონასტრისკენ გამომეყვიო. სამხედრო ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული. შევნიშნე, რომ ჩანთაში ავტომატი ედო. როცა ვკითხე — რა ხდება, იქ რა გვინდა-მეთქი? — რომელიმე ავტომანქანას დავხვდეთ და გავიტაცოთ, ფული მჭირდებაო. არაფერი მითქვამს, თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და გავეყვი. გლდანის მასივიდან გლდანულის ველით, ფეხით ავედი ჯვრის მონასტერთან. ყოფილი სამხედრო ნაწილის მიტოვებულ ტერიტორიაზე გავეჩრდი და დაღამებას დაველოდე. დაახლოებით 10 საათი იქნებოდა, როცა გზაზე პირველი უცხოური მარკის ავტომანქანა გამოჩნდა. ბნელოდა, მაგრამ ჩანდა, რომ მანქანა მუქი ფერის იყო. მამუკამ „მაკაროვის“ პისტოლეთი მომანოდა, თვითონ ავტომატი მოიმარჯვა. ამ დროს მანქანამ ჩონჩხისკენ გაუხვია და გაჩერდა. ჩვენც იქითვე წავედით. მამუკა მანქანის წინ დადგა, იარაღი მიუშვირა მას და რალაც შევიკრა. მე მანქანის უკან კარი გამოვალე. მასში მყოფმა მამაკაცმა პისტოლეთი მომიშვირა. სასწრაფოდ მივხვე კარი და გარკვეული მანძილით მოვშორდი მანქანას. შემდეგ მის უკან დავდექი. სწორედ ამ დროს გავიგონე სროლები. მეც დავინწყე მანქანის მიმართულებით სროლა პისტოლეთიდან. მჭიდი მთლიანად დავცალე და ამიტომაც გავიქეცი იქიდან, დაახლოებით 40-50 მეტრში გავეჩრდი. ამასობაში, მანქანიდან ის მამაკაციც გადმოვიდა. ის და მამუკა ერთმანეთს ესროდნენ. სხვა ვინმე სალონში არ შემომჩნევია. სროლები რამდენიმე წუთს გაგრძელდა“...

საქმის მასალების მიხედვით, ლომაშვილ ზემოთ აღნიშნული ავტომატი პანკისის ხეობაში ჰქონდა ნაყიდი, საბრძოლო ვაზნებთან ერთად, ხოლო რაც შეეხება „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტს, რომელიც მან ბალოიანს გადასცა, ბანდის ერთ-ერთი წევრის საცხოვრებელი სახლიდან ფარულად ჰქონდა წამოღებული. ავტომანქანა, რომლის გატაცებაც მათ განიზრახეს, „ფოლკსვაგენ-პასატის“ მარკის გახლდათ. მასში ახალგაზრდა მამაკაცი ბ. ძონენიძე და მისი მეგობარი გოგონა — ლ. მარგველაშვილი ისხდნენ, ძონენიძე — სამხედრო პროკურატურის თანამშრომელი გახლდათ და ტაბელური იარაღიც ამის გამო ჰქონდა თან. თავდაშხმელებს მან თავდაცვის მიზნით გაუხსნა ცეცხლი. მაგრამ ბან-

დიტების მიერ ნასროლმა ტყვიამ ის სასიკვდილოდ მინც დაჭრა. ძონენიძემ რამდენიმე მძიმე დაზიანება მიიღო — გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, გულმკერდის მარცხენა ნახევარში (ფილტვის დაზიანებით) და მარცხენა ბარძაყის არეში. სამედიცინო დახმარების განევის მიუხედავად, ექიმებმა დაჭრილი სიკვდილს ვერ გადაარჩინეს. რაც შეეხება მის მეგობარს, მას ტყვია არსად მოხვედრია. ბანდიტებმა განიზრახა სისრულეში ვერ მოიყვანეს, ალბათ იმიტომ, რომ სროლების დროს თავად ლომაშვილიც დაიჭრა. რასან ტყვიები მის თანამზრახველსაც შემოეღია, იძულებული გახდა შემთხვევის ადგილს გასცლიყო.

**ბალოიანის ჩვენებიდან:**

„...დავინახე, რომ მამუკა რალაც მომენტში ჩაიკეცა. ვიფიქრე, ალბათ, დაიჭრა-მეთქი და ასეც აღმოჩნდა. ტყვია მარცხენა ბარძაყსა და მარჯვენა ხელში მოხვედრია. სისხლი სდიოდა, მაგრამ გადაადგილება არ უჭირდა. პისტოლეთი დავუბრუნე. ის მან ისევ ზურგჩანთაში ჩადო და ავჭალის დასახლებიკენ წავედით. გზაში მამუკას ერთი ბოთლი „ბორჯომი“ ვუყიდე. ძალიან რომ გაუჭირდა, გადავნიტეთ ნაცრობის ოჯახში მივსულიყავით. მამუკა სახლიდან დაახლოებით 250 მეტრში, ბაღში გაჩერდა, მე კი სახლში შევედი. ჩემი ნაცრობი — თამაზი გავალვიძე და მამუკასთან მივიყვანე. ვთხოვე — დაჭრილია და მანქანით მიგიყვანე სახლამდე-მეთქი, მაგრამ თამაზმა გვითხრა — ბენზინი არა მაქვსო. ღამის გასათევად იქვე მცხოვრებ თავისი ნაცრობის სახლში მიგიყვანა. სარდაფს შევაფარეთ თავი. თამაზმა ბინტი და იოდი მოიტანა, სახლის პატრონმა წყალი გააცხელა და როგორც შევძელით, მიხვდეთ დაჭრილს. მეორე საღამოს თამაზმა თავისი მანქანით მიგიყვანა მამუკას ნაქირავებ ბინასთან. სისხლიანი ტანსაცმელი იქვე დავტოვეთ, თამაზის ნაცრობს უნდა გადაეგდო ჩვენი წასვლის შემდეგ“...

ოფიციალური ცნობების თანახმად, ლომაშვილი იმ დროისთვის უკვე სამჯერ გახლდათ ნასამართლეს. 1987 წელს მცხეთის რაიონის სასამართლომ ის ყაჩაღობისთვის გაასამართლა და სასჯელის ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ციხიდან ის ვადადმე ადრე გათავისუფლდა. მეორედ დასოსება მიღმა 1993 წელს აღმოჩნდა; ამჯერად თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ გაასამართლა, ცოლად შერთვის მიზნით ქალის მოტაცებისთვის. ამ დანაშაულისთვის მას 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მესამედ 1996 წელს გაასამართლეს. თბილისის, გლდანის რაიონის სასამართლომ ფეთქებადი ნივთიერების უკანონოდ შენახვისთვის ლომაშვილს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

რაც შეეხება ბალოიანს, პირველად ის როსტოვის ოლქის ნოვოშახტინსკის სასამართლომ გაასამართლა ძარცვისთვის და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქართველოში ის 1998 წელს დაბრუნდა. მალე ის კვლავ დააკავეს — ნარკოტიკული ნივთიერების — ჰეროინის უკანონო შენახვისთვის და 2 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს.

ციხიდან ახალგათავისუფლებულმა ლომაშვილმა ახალ დანაშაულებზე ფიქრი დაიწყო. საამისოდ, ავტომატური და სხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და სხვა საბრძოლო აღჭურვილობის უკანონოდ შექმნა განიზრახა.

„...ბოლო ნასამართლობიდან რომ გავთავისუფლდი, მშობლების სახლში წავედი. საგარეჯოს რაიონში მცხოვრები ერთი ნაცრობი გამახსენდა, ვიცოდი, რომ მას იარაღთან ჰქონდა შეხება. მე და ს. კახნიაშვილი (ბანდის ერთ-ერთი წევრი — ავტ.) დავუკავშირდით მას და ვუთხარით, რომ რუსული წარმოების ავტომატის შექმნა გვინდოდა. ავტომატს დასაკეცი კონდახი უნდა ჰქონოდა და მასში 300 დოლარის გადახდა შეგვეძლო. ჩემმა ნაცრობმა იარაღი მართლაც გვიშოვა. ავტომატი ტომარაში ჩადებულ იყო. ვნახეთ, რომ ის ახალი იყო და რუმინული წარმოების. დაბრუნება გვინდოდა, მაგრამ ბოლოს, მინც დატოვება ვარჩიეთ“, — აღნიშნა განსასჯელმა. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ისევე როგორც ბანდის სხვა წევრების სახლების ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს არა მარტო ავტომატები და პისტოლეტები, არამედ ასაფეთქებელი ნივთიერებები, ნიღბები, რაციები, აირწინალები, ქლიბები, ქანჩები, თოკები... სწორედ რაციები მეტყველებდა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფის განსაკუთრებულ ორგანიზებულობაზე. ისინი ბანდის თითქმის ყველა წევრს ჰქონდა, რათა ჯგუფური დანაშაულის ჩადენის მომენტში ერთმანეთს დაჰკავშირებოდნენ. ექსპერტ-კრიმინალისტთა თქმით, რაციების მოქმედების დიაპაზონს 5 კილომეტრი შეადგენდა და რადიოკავშირისთვის გამოიყენებოდა. ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას ბანდის წევრები პერიოდულად უცვლიდნენ ადგილს და სხვადასხვა ბინაში მალაჯდნენ. საქმის მასალების მიხედვით, ბანდაში 16 პირი იყო განივრებული. მის ორგანიზატორებად და ლიდერებად — ლომაშვილი და კახნიაშვილი ითვლებოდნენ. რაც შეეხება ბალოიანს, ის ლომაშვილის მეზობელი და მეგობარი გახლდათ და ბანდაში 1999 წლიდან განეწვრდა. დაზარალებულებისთვის წართმეულ ავტომანქანებს ისინი ნაცრობების დახმარებით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყიდდნენ. თუმცა, იყო ასეთი შემთხვევებიც: ღამით, ავტომატებით შეიარაღებული ლომაშ-

ვილი და ბანდის სხვა წევრები თბილისში, გლდანის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კორპუსს მიუახლოვდნენ. იქ წინასწარ შეთვალაიერებული ავტომანქანა ეგულეობდათ. ისიც იცოდნენ, თუ რომელ ავტოფარეხში იდგა მანქანა. სპეციალურად წაღებული ქანჩით ავტოფარეხის კარზე დამაგრებული ბოქლომი გატეხეს. შემდეგ, სადენების გადაერთების გზით, მანქანის ძრავაც აამუშავეს და ფარულად წაიყვანეს იგი. მოპარული მანქანა საგარეჯოს რაიონში ჩაიყვანეს, თავად კი თბილისში დაბრუნდნენ. რამდენიმე დღეში დაზარალებულმა, რომელმაც როგორც ჩანს, ბანდის შესახებ იცოდა და შეძლო მათთან დაკავშირება, ბანდიტებს მანქანის დაბრუნების სანაცვლოდ, თანხა შესთავაზა. ამ წინადადებაზე ბოროტმოქმედები მართლაც დააფიქრა. მანქანის პატრონს მათ 2. 000 დოლარი მოსთხოვეს. თანხა რომ მიიღეს, ადგილიც დათქვეს. დათქმულ ადგილას აღნიშნული თანხა მართლაც რომ ნახეს, მოპარული ავტომანქანა ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან მიიყვანეს და იქ გააჩერეს. იქიდან მანქანა უკვე პატრონმა წაიყვანა. აღებული თანხა კი, ბოროტმოქმედებმა ერთმანეთში გაინაწილეს.

ამის შემდეგ ბანდის წევრებმა კიდევ 6 ავტომანქანა წაართვეს მათ მფლობელებს. სწორედ ერთ-ერთი ყაჩაღური თავდასხმის მერე, ლომაშვილი და მისი თანხლები პირები წართმეული მანქანით მოძრაობისას საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა შენიშნეს. მათ ინფორმაცია საექვო მანქანისა და პირების შესახებ უკვე მიღებული ჰქონდათ. მძღოლს ანიშნეს, გაჩერებულიყო. მანქანაში მსხდომთა ვინაობის გასარკვევად შს სამმართველოს თანამშრომლებიც, ოპერატიული ჯგუფის ათამდე წევრი მივიდა. როცა ბოროტმოქმედები მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე და იგრძნეს, რომ პოლიციელებს იოლად ვერ დაუსხლტებოდნენ ხელიდან, გადაწყვიტეს ცეცხლი გაეხსნათ. ლომაშვილმა, გალიანმა, კახიაშვილმა და ბანდის კიდევ სამმა წევრმა ავტომობილები და პისტოლეტები მოიმარჯვეს და სამართალდამცველების მიმართულელებით სროლა დაიწყეს. ერთ-ერთმა ბანდიტმა მანქანიდან ხელყუმბარაც გადააგდო. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ერთ-ერთი პოლიციელი ადგილზევე გარდაიცვალა. მან თავის არეში ორი ცეცხლსასროლი ჭრილობა მიიღო. თავის ქალის ძველების მრავალი მოტეხილობის გარდა ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ მას თავის ტვინის ნივთიერებაც დაუზიანდა, რამაც სიკვდილი გამოიწვია. ხელყუმბარის აფეთქების შედეგად, სხვა პოლიციელებიც დაიჭრნენ. ოთხმა მათგანმა სხეულის სხვადასხვა მიდამოში მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო. საპასუხო ცეცხლი სამართალდამცველებმაც გახსნეს. ამ დროს მძიმედ დაიჭრა

ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — მსხალაძე, რის გამოც მან გაქცევა ვეღარ შეძლო და ის ადგილზე დააკავეს. ბანდის ლიდერი — კახიაშვილი კი პოლიციელების მიერ ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. რაც შეეხება დანარჩენ ბოროტმოქმედებს, მათ შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს და გაქცევა მოახერხეს. ლომაშვილი მტევანში, კერძოდ, თითები დაიჭრა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ავტომობილიდან წაეღო. შემთხვევის ადგილზე ბოროტმოქმედებს სულ უკანონოდ შექმნილი ორი ავტომობილი დარჩათ...

მიმალვაში მყოფი ბანდის წევრები პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დუისში ჩავიდნენ. იქ პერიოდულად ქისტის ეროვნების ოჯახებს აფარებდნენ თავს. საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიდნენ. იქ ბანდამ თავისი შეიარაღება განაახლა და კიდევ უფრო გააძლიერა. ძეხნილმა ბანდიტებმა ამ პერიოდში ზედიზედ სამი დანაშაულის — ყაჩაღური თავდასხმის წარმატებით განხორციელება მოახერხეს. 2001 წლის ზაფხულში, როცა პანკისიდან დროებით თბილისში ჩასული კახიაშვილის ქვრივის საცხოვრებელ ბინაში მყოფი ლომაშვილი კორპუსიდან გამოდიოდა, მას სამართალდამცველებთან მოულოდნელად კიდევ ერთი შეტაკება მოუხდა. თუმცა, მათგან დასხლტომა არც ამჯერად გასჭირვებია. სამაგიეროდ, დააკავეს იმ დროს მასთან ერთად მყოფი მისი ძმა და გახრიკეს კახიაშვილის ქვრივის საცხოვრებელი სახლი. იქ მთელი არსენალი აღმოჩნდა. პოლიციამ ბინიდან სხვადასხვა ნივთისა და კალიბრის 272 ვაზნა, ჯავშანსანიანალმდეგო 2 ვაზნა, 12,7 მმ კალიბრის „ბ-32“-ის ერთი ვაზნა და „რგ-42“ ტიპის საიერიშო ხელყუმბარა ამოიღო.

„...იმ დღეს ჩემი ძმა მოვიდა ჩემს სანახავად. ვიძებნებოდი და მუშინოდა, ამის გამო მას რამე ხიფათი არ შემთხვეოდა. ამიტომაც ძალიან ვფრთხილობდი. ლამის, დაახლოებით 3 საათზე ავტომობილი, რომელიც მუდამ თან მექონდა და ყოველთვის საბრძოლო მდგომარეობაში იყო მოყვანილი, ცელოფანის პარკში შევავიციე. ხელყუმბარა ავიღე და ისე გავიდი ბინიდან. ბინიდან გასვლისას ჩემმა ძმამ ხელყუმბარა წამართვა. ამ დროს, მოულოდნელად, სადარბაზოში სამი პიროვნება შეგვეჩხუბა. დავინახე, რომ ხელში პისტოლეტები ეკავათ, თავიდან ყაჩაღები მეგონნენ. ერთ-ერთი მათგანი, ავტომობილს სწვდა, მე სასხლტეს ხელი გამოვკარი და გასროლაც მოხდა. მივხვდი, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, ერთმანეთში ჭიდილი დავინწყეთ. დრო რომ ვიხელთე, ავტომობილი იქვე დავაგდე და გაქცევა მოვახერხე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩემი ძმა და გალიანი დაუკავებიათ. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საცხოვრებელი ადგილი შემეცვალა და ბინა სხვაგან დავიქირავე. რამდენიმე თვის შემდეგ ბინაში ვიყავი, როცა გამთენი-

სას, დაახლოებით 5 საათზე ფანჯრიდან დავინახე სადარბაზოსთან მდგარი ორი პოლიციელი. რადგანაც ვიძებნებოდი, ვიფიქრე, რომ ჩემს დასაკავებლად იყვნენ მოსულნი. ამიტომ დამალვა გადავწყვიტე. მოვახერხე კიდევ შენობიდან მალულად გასვლა, მაგრამ მცირე მანძილის გავლის შემდეგ, მაინც დამაკავეს და პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანეს. იქ გავიგე, რომ თურმე იმ დღეს ვილაღ ელექტროსადენებს იპარავდა და პოლიციაც ამის გამო ყოფილა მოსული კორპუსთან. როცა გაარკვიეს, რომ ძეხნილი ვიყავი, ცემა დამიწყეს, მანამუდნენ, ელექტროდენს მიერთებდნენ, თავზე აიჩინნალს მაცემედნენ, მაიძულებდნენ მელიარებინა დანაშაული, რომელიც სინამდვილეში არ ჩამიდენია. ნამებას ვერ გავუძელი და გადავწყვიტე, ასეც მოვეცულოყავი“ — მიმართა სასამართლოს განსასჯელმა. მისი ჩვენება მაინცდამაინც საწმენოდ არ მიიჩნიეს. მართალია, ბრალდების გარკვეულ ნაწილს ის აღიარებდა, მაგრამ იმ ეპიზოდებს, რის დადასტურების შემთხვევაშიც განსაკუთრებით მკაცრი სასჯელი ელოდა, უარყოფდა.

ლომაშვილის დაკავების შემდეგ, მისი ბინაც გაჩხრიკეს. იქ 270 ცალი ვაზნა აღმოაჩინეს. ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა იპოვეს ხანდის სხვა წევრების საცხოვრებელ სახლებშიც. პოლიციელებთან შეტაკებისას დაჭრილ, ბანდის ერთ-ერთ წევრს, მსხალაძეს სამართალდამცველებმა „ფ-1“ და „რგდ-5“ ტიპის ხელყუმბარები დეტონატორებით, „აკს“-ის ტიპის ავტომობილის 3 მჭიდი 90 საბრძოლო ვაზნით აღმოუჩინეს. იქვე ამოიღეს „აკმ“ სისტემის ავტომობილი, მაყუჩიანი უნომრო პისტოლეტი, „ტტ“-ს სისტემის უნომრო პისტოლეტი, 17 მჭიდი ვაზნებით, „მავაროვის“ პისტოლეტი, ტანსკასანიანალმდეგო ხელყუმბარა „რკგ-7“, 302 ცალი საბრძოლო ვაზნა, ამერიკული არმიული დანა, სკოჩი, ნიღბად გადაკეთებული ნაქსოვი ქუდეები და ორი ცალი რაცია. ყოველივე ამას, საქმის მასალებში არსებული დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებები ექსპერტთა დასკვნები დაერთო მტკიცებულებების სახით. ბოროტმოქმედები პოლიციამ სხვადასხვა დროს დააკავა, ამის გამო მათ მიმართ აღძრული საქმეებიც სხვადასხვა დროს იქნა განხილული სასამართლოს მიერ. თითქმის ყველა მათგანმა აღიარა ბრალი, თუმცა ნაწილობრივ მკვლევრობებში ისინი თავს დანაშაულებად არ ცნობდნენ.

ყველა მათგანი დამნაშავედ ცნეს და სასჯელის ზომად მრავალი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ყველაზე მკაცრად ბანდის ლიდერი დაისაჯა — ლომაშვილს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. რაც შეეხება გალიანს, მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა აკმარეს.



### მარი ჯაშარიძე

მხოლოდ ერთი ადამიანი იყო შუბლ-შეკრული. ეს ახალშობილის ბაბუა გახლდათ, რომლისთვისაც გოგონას დაბადება დიდი ტრაგედია იყო: ის გვარის გამგრძელებელზე ოცნებობდა... სწორედ გოგონას დაბადების გამო აითვალნუნა შვილი და რძალი. მათ კი მეტი შვილი აღარ უჩნდებოდათ. მამის არაკეთილგანწყობილების გამო, ცოლ-ქმარი საცხოვრებლად ჯერ ზუგდიდში, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა. გოგონას მადონა დაარქვეს და მამა მკაცრი, სპარტანული ნესით ზრდიდა.

მისი ცხოვრება ძალზე უცნაურად წარიმართა. ყველაზე დიდი გარდატეხა კი, 6 წლის წინ მოხდა: მადონამ სქესის შეცვლა გადაწყვიტა. საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებზე „ყოფილი“ მადონა გვიამბობს, რომელიც მე დათოდ გამეცნო. შეეჭვება, რომ ეს მისი ნამდვილი სახელია. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

არ დაგიმალავთ, რომ ვიდრე მასთან ინტერვიუზე მივიდოდი, ინტერესი მკლავდა და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად (შეხვედრა მისი მეგობრის წყალობით მოვახერხე). ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა... ის საშუალოზე ოდნავ მაღალი, საქმაოდ სიმპათიური მამაკაცი აღმოჩნდა, სწორედ ისეთი, ქალის გულს იოლად რომ იპყრობს ხოლმე. მიუხედავად ამისა, თუმცა მთელი ინტერვიუს განმავლობაში ვცდილობდი, მასთან, როგორც მამაკაცთან, ისე მესაუბრა, მაინც არ გამომდიოდა. ეს შეუშინებელი არ დარჩენია ჩემს რესპონდენტს და გამინანწყენდა კიდევ. ამან კი ჩვენი გულახდილი საუბარი თითქოს ჩიხში მოაქცია. საქმეში ისევ მეგობარი ჩაერია და ბოლოს და ბოლოს, შევრიგდით... ამბის თხრობას კი იმ მომენტიდან დავიწყებ, როდესაც მისი სახლის კარზე მივაკაკუნე.

— ა-ა, თქვენ მარი ხართ? მობრძანდით... (მეგობრის მიუბრუნდა) ბიჭო, თუ ასეთი მშვენიერი ქალბატონი უნდა მოსულიყო, ვერ თქვი? პირს მაინც გავიპარ-

32 წლის წინ, სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შვილი შეეძინა. მთელი სოფელი მათ სახლთან იყო თავმოყრილი. მართალია, ახალშობილი გოგონა იყო, მაგრამ მამამ თოფის სროლით აუწყა ყველას მისი დაბადება. 6 მკვდრადშობილი ვაჟის შემდეგ, ნანატრი გოგონა მოველინა ქვეყანას...

# კაქი, რომელიც იყო ქალი

## გახდება თუ არა სქესშეცვლილი ადამიანი კანონიერი ქური

სავდი და რესტორანში დავპატივებდი... ნუ გაიხდით პალტოს, მოდი, რესტორანში დავსხდეთ, თითო ჭიქა შამპანური დაველიოთ და ისე ვისაუბროთ...

— არა, ნუ შენუხდებით, მე-ქარება და ჯობია, ინტერვიუ აქვე ჩავენროთ.

— ასეთი მოუცლელი ხართ? კარგი, ნება მიბოძეთ, პალტო ჩამოგართვათ. ლიკა (ეს გახლავთ ქალბატონი, რომელიც დათოს საოჯახო საქმეებში ეხმარება. — ავტ.), მშვენიერ ქალბატონს ასევე მშვენიერი(!) ყავა მიართვი... დაბრძანდით, მგონი, აქ უფრო კომფორტულად იგრძნობთ თავს (უზარმაზარ სავარძელზე მიმითითა)... თქვენ რა, ჩვენი საუბარი დიქტოფონზე უნდა ჩანეროთ?!

— რა თქმა უნდა აბა, ზეპირად ხომ ვერ დავიამბახვრებ... საუბარი კი, ცოტა შორიდან დავწყობ. თქვენ ბავშვობა გაიხსენეთ.

— დედისერთა ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მშობლები არასოდეს მანებივრებდნენ. მამაჩემს ძალიან უნდოდა, რომ ბიჭი ჰყოლოდა. ამიტომ, როგორც ბიჭს, ისე მზრდიდა. არ მახსოვს, რომ ოდესმე თოჯინებით მეთამაშოს. აი, ველოსიპედი, ავტომობილები და სათამაშო თოფები კი დიდი რაოდენობით მქონდა. არც მე ვიკლავდი თავს საიმისოდ, რომ „სახლობანა“ და „დედაშვილობანა“ მეთამაშა. „ომობანას“, ფეხბურთს და „კახაკი ირაზობინიკის“ ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვთამაშობდი. როცა ნამოვიზარდე, მამამ ნამდვილი იარაღთან ურთიერთობაც მასწავლეს. თუ ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენოს, არ დაინდოო, — მეუბნებოდა და კარატეს ნრეზეც შემეყვანა. ერთი სიტყვით, ბიჭივით ვიზრდებოდი და ეს მეც მომწონდა. სკოლაში მოუსვენარი და ახტაჯანა გოგო ვიყავი...

— ტანისამოსიც ბიჭის გაცვით თუ კაბით დადიოდით?

— მაშინ, სკოლაში გოგონებს შარვლით სიარულს უშლიდნენ, მაგრამ მე არ ვუბუბოდი და კაბას ახლოსაც არ ვიკარებდი. გამოსაშვებ ბანკეტზეც კი შარვლით ნავედი. ერთადერთი, რითიც მიხვდებოდით, რომ გოგო ვიყავი, თმა გახლდათ: ძალიან გრძელ თმას ვატარებდი, ნანაწავი ნელამდე მწვდებოდა. მე თვითონ მომწონდა და იმიტომ, თორემ, შევიჭრიდი. უდიდეს სიამოვნებას ვგრძნობდი მაშინ, როცა ნანაწავს დავშლიდი და თმას ვივარცხნიდი.

— თუ გრძნობდით, რომ სხვა გოგონებისგან რამით გამოირჩეული იყავით?

— არა, ამას ვერ ვაცნობიერებდი. ჩვეულებრივი გოგონა ვიყავი, უბრალოდ — სხვებზე გაცილებით გაბედული, ცელქი და უშიშარი... თუმცა, ვგრძნობდი, როგორ არა, და ვცდილობდი, რომ ეს სხვებს არ შეენიშნათ. ვინილებოდი, მაგარი გოგოს როლს ვთამაშობდი და ვმალავდი, რომ სინამდვილეში, თავს ბიჭად ვთვლიდი...

— გარდატეხის ასაკში მოზარდებს სიყვარული ეწვევთ ხოლმე. თქვენ არავინ შეგიყვარდათ?


— ვიცი, ის გაინტერესებთ, გოგონა შემეყვარდა თუ ბიჭი... იცით, მე წლების განმავლობაში, არავინ მყვარებია. უფრო სწორად, ამ გრძნობას ვაყურბობდი, რადგან, როდესაც 17 წლის ასაკში, ერთი გოგონა მომეწონა და მივხვდი, რომ ეს ჩვეულებრივი მოწონება კი არა, სხვა გრძნობა იყო, ჩემი თავი ვაიძულე, აღარასოდეს მეფიქრა სიყვარულზე.

— თქვენ არ მოსწონდით ბიჭებს? არავის შეუყვარდით?

— კი, სამწუხაროდ... ჩემი ასეთი ხასიათის ბრალი იყო თუ უცნაური თვისებების, არ ვიცი, მაგრამ ძალიან ბევრი ბიჭი მეტრფოდა. ამის გახსენებაც არ მინდა... თუ ვინმე გაბედავდა და სიყვარულს ამისხნიდა, აუცილებლად ვცემდი. მათთან მეგობრობა უფრო გამომდიოდა და ბევრი მძაკაცაც მყავდა... ჰოდა, როცა ვინმე ახალი თავყანისმცემელი გამომჩინდებოდა, მაშინვე მძაკაცებით დავხვდებოდი ხოლმე და მივტყუავდი.

— ვერც მძაკაცები აფიქსირებდნენ, რომ გოგოსთვის უჩვეულო ქცევით გამოირჩეოდით?

— ისინი ქალბიჭას მეძახდნენ და მძაკაცად მთვლიდნენ... სკოლა რომ დავამთავრე, მერე თმაც შევიჭერი და გარეგნულადაც ბიჭს დავემსგავსე. მკერდი საერთოდ არ მქონდა, აღნაგობა, სიარული, მიხრა-მოხრა მამაკაცური მქონდა და ხშირად ქუჩაში — ბიჭო! — მიუშართავთ კიდევ... დედას არასოდეს მოსწონდა ჩემი ასეთი ქცევა. ცდილობდა, რომ ქალური თვისებები ჩამოეყალიბებინა ჩემში, ეშინოდა, რომ გასათხოვარი დავრჩებოდი და სულ მირჩევდა, რომ ცოტა ქალური სინაზე შემენარჩუნებინა, მაგრამ მე ეს სასაცილოდაც არ მყოფნიდა. 22 წლის რომ გავხდებოდი, მამამ დაბადების დღეზე ავტომანქანა მაჩუქა. ამის შემდეგ, ფრთე-



ბი გავშალე... სწორედ იმ პერიოდში გავიცანი 2 ბიჭი, რომელსაც ძალზე დაეუახლოვდი, ისე დაეძმავადით, რომ მათზე ახლობელი არავინ მყავდა. ისინი კრიმინალები იყვნენ... ერთ დღეს, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, კანონიერი ქურდი გამაცნეს. მოვიხიბლე ამ ადამიანით. მთელი 3 საათი გავატარე მის გვერდით და უკვე მზად ვიყავი, მისი ნებისმიერი ბრძანება შემესრულებინა... მეორედ რომ შევხვდი ამ კაცს, ყველას უბრძანა, რომ ოთახიდან გასულიყვნენ და მარტო მე და ის დავრჩით. მომიახლოვდა და თვალეში ჩამხედა. მე შიშისგან ავკანკალდი — შემეშინდა, რომ ცუდი არაფერი ეკადრებინა: ხომ შეიძლება, ქალად აღვექვი?! მიხვდა, რომ დავიძაბე. მითხრა — ნუ გეშინია, ძმობას გთავაზობ, შენი თვალებიდან ნამდვილი მამაკაცი მიმხერსო... უხერხულად შევიშმუშნე. სკამზე დამსვა, თვითონ ჩემ პირდაპირ ჩამოჯდა და პირველად მასთან ვაღიარე, რომ თავებდს ვინყველიდი ბუნების შეცდომის გამო — რომ ქალად დავიბადე... დიდხანს ვილაპარაკეთ და მან ნათლად დამანახვა, რომ ბუნებით, ხასიათით, მისწრაფებებითა და შინაგანი სამყაროთი მამაკაცი ვიყავი. იმ დღეს გავუსწორე თვალი სიმართლეს პირველად და... ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ტანჯვა.

**— როგორც ჩანს, მანამდე განგებ ხუჭავდით თვალს თქვენს პრობლემაზე.**

— დიას, ალბათ... ეს იყო საკითხი, რომელზეც ვცდილობდი, არ მეფიქრა.

**— პირველად როდის შეიტყვეთ, რომ ასეთი ოპერაციის გაკეთება შესაძლებელი იყო?**

— ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც გაზეთში ვნახე ინფორმაცია, რომ უცხოეთში გაკეთდა სქესის შეცვლის ოპერაცია. მაგრამ მაშინ არ მიფიქრია, რომ მე ამ ხერხისთვის მიმემართა. როდესაც სრულად გავაცნობიერე ჩემი პრობლემა, მივხვდი, რომ ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც შვებას მომგვრიდა. ასეთი ოპერაცია იმ პერიოდში, უკვე საქართველოშიც გაკეთდა, მაგრამ მე მერჩინა, რუსეთში წავსულიყავი. საქმისთვის ასე ჯობდა. უკან დავბრუნდებოდი, როგორც მამაკაცი, ხოლო მადონა სამუდამოდ რუსეთში დარჩებოდა... იქ გაცილებით ძვირი ჯდებოდა ოპერაცია და საკმაოდ სოლიდური თანხა იყო საჭირო. მე ეს თანხა არ მქონდა. მის საშოვნელად, მეგობრებთან ერთად, რაღაც-რაღაცების გაკეთება მომიხდა, ამაზე საქვეყნოდ საუბარი არ მსურს... წინასწარ გავემზავრე, გავიგე, რა სჭირდებოდა ამ ოპერაციას და დავბრუნდი, საჭირო საბუთების მოსაგროვებლად.

**— და რა საბუთები იყო ეს?**

— პირველ რიგში საჭირო იყო, დამედასტურებინა, რომ შინაგანად მამაკაცად ვგრძნობდი თავს. ამისთვის საჭირო იყო, გამეგლო სპეციალური ექსპერტიზა და მქონოდა სამედიცინო დასკვნა... თვეები დასჭირდა იმას, რომ ყველა მოთხოვნა და კრიტერიუმი დამემკაფილებინა. რამდენიმე ფსიქოლოგი და ექიმი მუშაობდა

ჩემთან. ამის შემდეგ, საჭირო იყო პასპორტის გადაკეთება და მასში მამაკაცის სახელისა და გვარის დაფიქსირება. ვალიარებ, რომ ასეთი პასპორტი, გაყალბების გზით, მანამდეც მქონდა აღებული. იმ პასპორტით დათო ვიყავი... ერთი სიტყვით, ყველა საჭირო საბუთი მოვაგროვე და მოსკოვში წავედი.

**— მშობლებმა თუ იცოდნენ, რისთვის მიდიოდით?**

— წასვლის წინადღეს, დედას ველაპარაკე. ქალი ლამის მოკვდა, ეს რომ გაიგო. დავარწმუნე, რომ ასე ჯობდა და მამისთვის ამის განდობა მას მივანდევე.

**— ლელავდით ოპერაციის წინ?**

— რა თქმა უნდა, ვლელავდი. ყველაზე მეტად იმაზე ვნერვიულობდი, რომ მიწოდება, სრულყოფილი მამაკაცი ვყოფილიყავი და ქალებთან ფიზიკური ურთიერთობა შემიძლებოდა. ექიმს ვუბნებოდი — თუ ეს არ გამოვა, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი...

**— რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი მაინცდამაინც ეს საკითხი?**

— გადამრეე შენ მე! აბა, ის კაცი რის მაქნისია, ვისაც ქალთან ურთიერთობის თავი არა აქვს?! მე სხვებს დავცინობდი ამის გამო და იმპოტენტებს ვეძახდი... თქვენ არ ყოფილხართ კაცი და არ იცით, რას ნიშნავს მამაკაცისთვის სრულფასოვანი სექსი...

**— სამაგიეროდ, თქვენ იყავით ქალი და გეცოდინებათ სრულფასოვანი მამაკაცის ფასი.**

— ეგ მეორედ აღარ გამოიხდო, გაიგე?! რაზე მიკეთებ „ნამიოკს“? შენ გგონია, ვიდრე ოპერაციას გავიკეთებდი, კაცთან სექსი მქონდა?

**— ჰო, რა ვიცი.**

— კაცს არც კი უკოცნია ჩემთვის, არასოდეს!.. როცა ოპერაციისთვის მივედი, ქალწული ვიყავი.

**— როგორც ჩანს, ამაყობთ კიდევ იმით, რომ ქალწული იყავით, სომ?**

— ასეთ კითხვებს ნუ მისვამ!.. რა ჯანდაბად დავთანხმდი ამ ინტერვიუზე?! არ მეგონა, რომ ასეთი რთული იქნებოდა საკუთარ თავზე ლაპარაკი... (თავი ხელეში ჩარგო და კარგა ხანს დუმდა; შემდეგ თავი გადააქნია და კბილებში გამოცრა): — კითხვა საერთოდ აღარ დამისვა. მე თვითონ ვილაპარაკე... (საუბარში მისი მეგობარი ჩაერია და სიტუაციის განმუხტვა სცადა):

— კარგი, დათო, დანყნარდი... მტერი კი არ არის, უბრალოდ, ყურნალისტია და ვალდებულია, რომ კითხვები დაგისვას...

— ნუ მამშვიდებ! მე ვიცი, რასაც ვამბობ...

**— კარგი, მე წავალ... დიდი მადლობა მასპინძლობისთვის დათო, თქვენ ნამდვილი ჯენტლმენი ხართ.**

— მოიცა, არ ნახვიდე. შენ რა, სინდისზე მაგდებ?

**— არა, მე ქალი ვარ, თქვენ — მამაკაცები და არ მინდა, თქვენი უკმაყოფილება და რისხვა გამოიწვიო.**

— ნუ ნახვალთ, საუბარი დავამთავროთ. ჩემი ნერვების ბრალია, თქვენ არაფერ შუაში ხართ...

**— კარგი, განვადროთ საუბარი თუ ჯერ დამშვიდდებით?**

— უკვე მშვიდად ვარ. მკითხეთ, რაც გნებავთ...

**— ჰო, იმას გეკითხებოდით: ამაყობთ იმით, რომ ქალწული იყავით?**

— მე ვამაყობ იმით, რომ მამაკაცთან სექსი არ მქონია და ვერავინ იტყვის ჩემზე — გავეჭიო...

**— აი, ხედავთ, არც ისეთი რთული კითხვა დამისვამს... მოდი, ახლა თქვენს ოპერაციის შემდგომ დღეებზე მომიყვით. როდესაც წარკოზიდან გამოხვედით, როგორი შეგრძობა გქონდათ?**

— ეს ოპერაცია ერთჯერადი არ არის. 3 ოპერაცია დასჭირდა იმას, რომ ჩემი ორგანიზმი საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო. თუმცა, შემდგომი 2 წელი ისევ ვსვამდი აბებს, რომ მამაკაცის ჰორმონები მოჭარბებულიყო და მომხდარიყო სრული გარდაქმნა. მხოლოდ 2 წლის შემდეგ დავინყე პირის გაპარსვა, ჩამომიყალიბდა შესაბამისი კუნთოვანი სისტემა... და უკვე ვერაფრით გამომარჩევთ ჩვეულებრივი მამაკაცისგან... ასე რომ, როდესაც პირველი ოპერაციის შემდეგ ფეხზე დავდექი, მხოლოდ ის შეგრძნება მქონდა, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და უნდა დამეწყო მეორე ეტაპისთვის მზადება.

**— მოსკოვში თქვენთან ვინმე გახლდათ?**

— კი, ჩემთან ერთად ჩემი ძმაც იყო. ოპერაციის მერე 2 დღე მეხვეწებოდა, მაჩვენებ, როგორ მიგაკერესო... არაფრის დიდებით არ ვაჩვენებ... 2 კვირის შემდეგ, მეორე ოპერაცია გამიკეთეს, ხოლო 2 თვის შემდეგ — მესამე... ახლა მთავარი იყო, საქმეში გამომეცადა ჩემი ახალი ორგანო... პირველად ტუალეტში რომ შევედი და კაცურად მოვმარდე, ამით განცდილი სიხარული არასოდეს დამავინწყდება. დავინყე სახეზე ღინღის გაპარსვა. ის კი არა, ტანსაც ვიპარსავდი, რომ თმა ამომსვლოდა. ქალებს უკვე თამამად ვეარშიყებოდი, მაგრამ მათთან ურთიერთობას ჯერ ვერ ვებღავდი. ჩემს ძმაცაც ვთხოვე, აეხსნა ჩემთვის, როგორ უნდა მოვექცულიყავი სანოლში... პირველად ქალთან ერთად სანოლში რომ აღმოვჩნდი, ისე ვნერვიულობდი, ლამის მოკვდი...

**— გაუშლიეთ, რომ სქესი შეცვლილი გქონდათ?**

— პირველად ბორდელში წავედი. რა თქმა უნდა, ჯობდა, თავიდანვე ყველაფერი მეთქვა. ასეც მოვიქეცი, არაფერი დამიმაღავს მისთვის და ისიც გავუშხილე, რომ ეს ჩემი „ნათლობა“ იყო. გოგონა ძალიან ყურადღებით მომექცა და ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

**— ახლა დაოჯახებასაც სომ არ აპირებთ?**

— ჯერ არა. ამისთვის მზად არ ვარ. ოჯახი ჩემთვის ზედმეტი ტვირთი იქნება.

— როგორც ვიცი, გინდოდათ, კანონიერი ქურდი გამხდარიყავით და სქესი სწორედ ამისთვის შეიცვალეთ...

— დიას, ჩემი განზრახვის ერთ-ერთი სტიმული ესეც იყო. ვიცი, რომ ქალი, როგორი „ვაჟაკიც“ არ უნდა იყოს, ქურდი ვერასოდეს გახდება.

— ახლა რას აპირებთ? გადაიფიქრეთ?

— არა, ახლა მომნიშვნელოვანი სიტუაცია საიმისოდ, რომ მოვავდარო, მაგრამ რა თქმა უნდა, ჩემი წარსულის დამალვა არ შეიძლება. როდესაც 1-2 ქურდი საქმის კურსში ჩააყენეს და უთხრეს, რომ ქურდობა სქესზეცვლილ ადამიანს უნდოდა, მხრები აჩიჩქეს და თქვეს, რომ ამას მხოლოდ „სხადნიაკი“ გადაწყვეტს, რადგან ასეთი შემთხვევა ჯერ არასდროს გვექონიაო... ახლა ქურდებს ცოტა „მოუჭირეს“, ამიტომ მეც გაჩერდი. მაგრამ მალე, ისევ დავაყენებ ჩემს საკითხს...

— ქალებში პოპულარობით სარგებლობთ?

— დიას... საკმაოდ იოლად შევბამ ნებისმიერ ქალს.

— ამაში ისიც ხომ არ გემარებათ, რომ ოდესღაც ქალი იყავით?

— არა, რადგან მე ქალივით არასოდეს ვაზროვნებდი და აქედან გამომდინარე, ჩემთვის უცნობია მათი დამალული ზრახვები.

— რაღაც მინდა გკითხოთ, მაგრამ მეშინია, ისევ არ გაბრაზდეთ.

— მკითხეთ, ახლა რამ უნდა გამაბრაზოს?!

— მეჩვენება, რომ თქვენი გადამეტებული ჯენტლმენობა ან თუნდაც, ჩემი მოსვლისას გამოჩენილი ყურადღება იმით აიხსნება, რომ განგებ უსვამთ საზს თქვენს სქესს...

— არა. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ნამდვილი მამაკაცი სწორედ ასეთი უნდა იყოს.

— რა განსხვავებას ხედავთ საკუთარ თავში ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ? რა თქმა უნდა, ფიზიკურ სხვაობას არ ვგულისხმობ...

— ახლა, სრულფასოვანი ადამიანი ვარ და არანაირი კომპლექსი არ მანუხებს. ადრე კი, ლამურასავით ვიყავი — არც მამაკაცი ვიყავი და არც ქალი...

— თუ დაინტერესებულხართ, თქვენი ქმედება ეწინააღმდეგება თუ არა რელიგიას?

— მე საკმაოდ მორწმუნე ადამიანი ვარ. მარხვას ვინახავ, ეკლესიაში დავდივარ და ჩემმა მოძღვარმა იცის ჩემი წარსულის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ ოპერაციამდე, შეგნებულად არ მიმიმართავს მოძღვრისთვის კითხვით: მეშინოდა, რომ უარი არ ეთქვა. ახლა კი, ლოცვით ვცდილობ, მოვიწინაო, თუ რამ ცოდა მიმიძღვის. თუმცა, პასუხი კითხვაზე — ცოდვილი ვარ თუ არა ამ ოპერაციის გამო? — არც მოძღვარს აქვს...



# პიკანტური ამბები

## მთვრალი დაქალების სტრიპტიზი სკამებზე, უადგილოდ ამოსული აკაციის ხე და თეთრფაფახიანი გამომეხმაუროს

ჩვენი მკითხველები ამ ბოლო დროს ძალიან გაეშმაკდნენ: ათასგვარ ხერხს მიმართავენ საიმისოდ, რომ მომატყუონ. რამდენიმე დღის წინ ასეთი მესიჯი მივიღე: „ნონა გაგუა, შენ საქართველოს დედოფალი ხარ, ყველაზე ლამაზი და მომზიბვლელი. მე შენზე ჭკუას ვკარგავ. ვიცი, რომ ძალიან ბევრს უყვარხარ, შენ კი ზედაც არავის უყურებ. მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ, რომ მაინც ჩემი გახდები. მოგიტაცებ და ვერაფერს შემიშლის ხელს, რომ სამუდამოდ ჩემი გახდე. ვგიჟდები შენზე. ავთო. მარო, დამიბეჭდე თორემ, თავს მოვიკლავ, ისე მიყვარს ნონა“. დავინვი ამ ბიჭის ცოდვით და ლამის ცრემლიც კი ვაღვარღვარე, მაგრამ თურმე, სულ ტყუილად... ხომ იცით, ახლა მოდაშია „ჩაშვება“ და ხალხი თურმე გამდიდრდა კრიმინალი მეზობლების ხარჯზე. ერთი დარეკვა პოლიციაში და ერთი კაცის ჩაშვება 500-დან 2000 ათას დოლარამდე თანხით შეაყვებს თქვენს ბიუჯეტს, მთავარია, ინფორმაცია დადასტურდეს; ჰოდა, ისე მიეჩვია ხალხი ამ ამბავს, რომ უფასოდაც არ ამბობს უარს ინფორმაციის გაცემაზე. ასე და ამგვარად, ზემოთ ხსენებული მესიჯის მოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ასეთი გზავნილი მივიღე: „გამარჯობა, მარო. ძალიან მიყვარხარ და შენი ფანი ვარ. ამიტომ მინდა, რომ ერთი რაღაც გითხრა: წელან რომ ავთოსგან მესიჯი მიიღე, ის თვითონ ნონას გამოგზავნილია. საკუთარ თავზე დანერა, უნდა, ყველას წააკითხოს და დაანახვოს, როგორ უყვარს ვილაც ავთოს. არადა, იმ ავთოს სულ ფეხებზე ჰკიდიდა ეს ჩვენი ნონა და არც ისეთი ლამაზი გოგოა, როგორც თვითონ აღწერს. არ მინდა, რომ მოტყუვდე და იმიტომ გწერ“. მომკალი და მაინც მგონია, რომ ჩემთვის თვალის ახელა კი არა, სხვა რამ არის ამ მესიჯის გამოგზავნის მიზეზი: რადგან ნონამ ეს ამბავი გაგანდო, ალბათ, მეგობრები ხართ; დაფიჯერო, მე უფრო გიყვარვარ, ვიდრე შენი მეგობარი?.. ნათქვამიდან გამომდინარე, ყველა მკითხველს ვთხოვ — ნუ მოუწყობთ ოინებს ნურც თქვენს ახლობლებს და ნურც ჩვენ, — და მოცემულ თემაზე გამოგზავნილ პირველ მესიჯს გავეცნოთ.

### მარი ჯაფარიძე

„დაყჩაღდება არ ჯობდა?!“

„არ ვიცი, ჩემი ამბავი რამდენად პიკანტურია, მაგრამ მაინც მოგიყვებით. აქვე ვიტყვი, რომ 23 წლის გოგო ვარ. საკმაოდ კარგი გარეგნობა მაქვს და ძალზე

მკაცრ ოჯახში გავიზარდე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთელი ცხოვრება მშობლები მიჩინებდნენ, ცუდი ნაბიჯი არ გადადგაო. მეც ვცდილობდი, რომ ღირსეული შვილი ვყოფილიყავი... თავყვანისმცემლების სიმძირეს არასოდეს ვუჩიოდი, მაგრამ პაემანი სულ თითებზე

ჩამოსათვლელი თუ მქონია... უნივერსიტეტი შარშან დავამთავრე და სამსახურიც იოლად ვიპოვე. ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში იურისტად ვმუშაობ. ამ ერთი თვის წინ, სასამართლო პროცესზე მომინია გამოსვლა. პროცესი გაიწვია და როდესაც შინისაკენ წამოვედი, უკვე საღამოს 9 საათი იყო. მოგეხსენებათ, ზამთარში ამ დროს უკვე ბნელა. საბურთალოზე ვცხოვრობ. „მარშრუტიკიდან“ რომ ჩამოვედი, შევნიშნე, რომ 2 ბიჭი ამედევნა. შიშისგან მუხლები ამიკანკალდა. ცენტრალურ ქუჩას მივუყვებოდი და ვერ ვბედავდი, რომ სახლისკენ გადამეხვია. ჩემს კორპუსს გავცდი და კარგა ხანს ვიარე. მათი ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. უკვე აღარ შეიძლებოდა გზის გაგრძელება. ავდექი და ერთ სადარბაზოში შევევარდი. ისინიც მომყვნენ. ვიდრე დამეწოდნენ, კიბეზე ავრბოდი და ყველა კარზე ვაბრაახუნებდი. ორი სართულით ჩამოვიტოვე მდევრები. მეოთხე სართულზე სახელურს შევეხე თუ არა, კარი მაშინვე გაიღო. მეც აღარ დავაყოვნე, შიგნით შევევარდი, კარი ჩავკეტე და ზედ ზურგით მივეყრდენი. ამ დროს, ხმაურზე „ზალის“ კარი გაიღო და ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა. რომ დამინახა, თვალები გაუფართოვდა. ერთიანად ვკანკალდები და თვალებიდან ცრემლი თავისით მდიოდა. აფუსენი, როგორ მოვხვდი მის ბინაში და ვთხოვე, რომ სულ ცოტა ხნით თავშესაფარი მოეცა; შინ დავრეკავდი და მამა ან ძმა მომავითხავდა. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს. დამიყვავა, ოთახში შემიყვანა და ყავაც შემომთავაზა. შინ არ დავმარეკვინა და გაცილება თვითონ შემომთავაზა. გავთბი, დავმშვიდდი და ხასიათზეც მოვედი. ჩემს მასპინძელს ალექო ერქვა და თურმე, მარტო ცხოვრობდა. შესაშური სისუფთავე იყო სახლში. საუბარს შევეყვით. ისე მომწონდა მასთან ყოფნა, რომ შინ წასვლა აღარც მინდოდა. თუმცა, ზრდილობის გულისთვის, რამდენჯერმე წამოვდექი და — ნავალ-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ალექო მაშინვე მაჩერებდა და მეც თავბატიუს აღარ ვიდებდი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ღამეს მასთან დავრჩი. ჩემი უბინოება პირველად ნანახ კაცს შევნიშნე... დღესაც ერთად ვართ. თუმცა, ქორწინებაზე ჯერჯერობით, არ ვფიქრობთ. ხშირად ვფიქრობ — ნეტავ, იმ ყაჩაღებს ამაზე მეტი რა უნდა დაეშავებინათ?! ისიც მიკვირს, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა, რომ ჩემში ვნება გაეღვიძებინა ერთი ნახვით. ჩემს გადასარჩენად ყაჩაღებს ხელდახელ რომ შებომოდა, კიდევ მესმის... აი, სულ ეს იყო, რაც უნდა მომეყოლა. ნახვამდის, ეკა“.

არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია, რომ პარლამენტში განიხილონ კანონპროექტი ზრდილობის წესების შესახებ, მაგრამ თუ ეს მოხდება, კანონი ძალაში შევა და უზრდელობისთვის ჯარიმასაც

დაანესებენ, სახელმწიფოს ბიუჯეტში ყოველწლიურად, გვარიანი თანხა შევა. მაგალითად, სიგარეტის ნაშენის ქუჩაში დაგდებისთვის ჯარიმა — 5 ლარი, გადაფურთხებისთვის — 10, ტრანსპორტში უფროსისთვის ადგილის არდათმობისთვის — 7, გინებისთვის — 25, შეფთან საუბრისას, შარვლის ჯიბეში ხელების ჩანჯობისთვის — 30, ხოლო თუ თქვენ ქალი ხართ და ეს შარვალი კაცს აცვია, მაშინ...

„ჯიბიდან ცარიელი ხელი ამოვიღე...“

„დავინწყებ იმით, რომ ძალიან მკაცრი შეფი მყავს. თანამშრომლებს ერთ პატარა და უმნიშვნელო შეცდომასაც კი არ აპატიებს. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ ცხოვრობს და რით სუნთქავს მისი თითოეული თანამშრომელი. თუ რომელიმე ჩვენგანის საქციელი არ მოეწონა და ვინმეს ზნეობრივ მხარეში ეჭვი შეიტანა, მაშინვე ათავისუფლებს. მაგალითად, ბულალტერი ქალი სამსახურიდან დაითხოვა იმის გამო, რომ საყვარელი ჰყავდა, თავისი მდივანი — იმის გამო, რომ რესტორანში მამაკაცთან ერთად ნახა და ა.შ. ასეთი უცნაურობა სჭირს ჩემს უფროსს. ახლა წარმოიდგინეთ, რას იზამდა, როცა ერთხელ, მის თვალწინ, თანამშრომელ მამაკაცს შარვლის ჯიბეში ხელი ჩაუწყავი. ეს კი ასე მოხდა: თანამშრომელმა მამაკაცმა მობილური ტელეფონი მთხოვა. მეც ვათხოვე. დერეფანში გავიდა დასარეკად. შემდეგ, საპირფარეოში შესულა და იქიდან სველი ხელებით გამოვიდა. სწორედ ამ დროს შევხვდი დერეფანში. შარვლის ჯიბე „მომიშვირა“, სველი ხელები წინ გამოსწია ისე, რომ არ გავწუნულიყავი და — ტელეფონი ამოიღეო, მითხრა. არც დაფიქრებულვარ, ისე ჩავყავი ხელი მისი შარვლის ჯიბეში. სწორედ ამ დროს, ერთ-ერთი კაბინეტიდან შეფი გამოვიდა და საკუთარი თვალით დაინახა, როგორ ჩავყავი ხელი უცხო მამაკაცის ჯიბეში. რას აკეთებო?! — ისე შეჰყვირა, რომ შევხტი. ჯიბიდან ისევ ცარიელი ხელი ამოვიღე. — ორივენი ჩემთან შემოდითო, — მოგვიგდო სიტყვა და წავიდა. უკან მივყევით. კაბინეტში, კართან ავიტუხეთ და ველოდით, რომ გვეითხავდა მაინც, რა ხდებოდა დერეფანში და რატომ ვყოფდი ხელს სხვის ჯიბეში, მაგრამ არც დაინტერესდა. 300-300 ლარით დაგვაჯარიმა ორივე და გამოგვიშვა. რაღას ვიზამდით?! მე მორჩილად გადავიხადე ჯარიმა და დღესაც იქ ვმუშაობ. იმ თანამშრომელმა მამაკაცმა კი სამსახური დატოვა. იმიტომ კი არა, რომ ჯარიმას ვერ დაფარავდა — უბრალოდ, უსამართლობა ვერ აიტანა. იქნებ, წაიკითხოს ჩემმა შეფმა ეს ამბავი და ახლა მაინც

მიხვდეს, თუ რა მოხდა იმ დღეს. პაცივისცემით, მადონა“.

ესპანური „ბესამე მუჩო“, ქართულად — „მაგრად მაკოცეს“ ნიშნავს. ეს სიმღერა დაახლოებით 100 წლის წინ დაწერა ლათინურამერიკული წარმოშობის 15 წლის გოგონამ და დღემდე უჩქროლებს მსმენელს გულს. ასეთ სიტყვებს მხოლოდ ქალი თუ დაწერდა, რადგან კოცნის ფასი ქალებმა უფრო იციან და ხანდახან, დიდ რისკზეც კი მიდიან იმისათვის, რომ საყვარელი მამაკაცის ტუჩებს შეეხონ...

მესამე გედმეტია

„მივესალმები „გზავნილების“ ყველა მკითხველს. მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვებო. მერწმუნეთ, ამ ამბავს პირველად ვყვები, რადგან ჩემთვის ძალზე მტკივნეულია ამაზე საუბარი. 20 წლის ვიყავი, როდესაც ერთი ბიჭი შემიყვარდა. მთელი უბედურება კი ის იყო, რომ ის ჩემი მეგობრის შეყვარებული გახლდათ. მოვიშველიებ ერთ გაცვეთილ ფრაზას — გულს ვერ უბრძანებო. მართლა ჩემდა უნებურად მოხდა. ამაში დიდი წვლილი ჩემს მეგობარსაც მიუძღვის: ისე აქებდა თავის შეყვარებულს, რომ ერთი სული მქონდა, როდის გამაცნობდა. დანახვისთანავე მოვიხიბლე და იმავე საღამოს მივხვდი, რომ მის გარეშე ვეღარ გაძლებდი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯებოდი. ღმერთმა ყველა დაიფაროს ასეთი გრძნობისგან. საშინელი განცდაა, როცა იცი, რომ არ შეიძლება იმ ადამიანის სიყვარული, ვისი გულისთვისაც ასე იტანჯები... მე დედასთან ერთად ვცხოვრობ. დედა საავადმყოფოში მუშაობდა და ღამით მორიგეობდა ხოლმე. ამის გამო, ყოველ მეოთხე დღეს, შინ მარტო მიწევდა ყოფნა. სწორედ ასეთ დღეს, ჩემი მეგობარი და მისი შეყვარებული ჩემთან სტუმრად მოდიოდნენ ხოლმე. ხანდახან, მეზობელ ბიჭს ვეძახებ და „ჯოკერს“ ვთამაშობდით, ხან ყავას ვსვამდით და ვსაუბრობდით. ერთხელ, როდესაც ყავის მოსაღებლად სამზარეულოში გავედი და ფინჯნებით ხელში უკან შევბრუნდი, დავინახე, რომ შეყვარებულები ერთმანეთს ჩახვეოდნენ და კოცნიდნენ. ღამის გავიჟინი, ისე ვიეჭვიანე. ხასიათი შემიცვალა, მაგრამ ვცდილობდი, რომ არაფერი შეემჩნიათ. ამის მერე, სულ ეს სცენა მედგა თვალწინ და თემოს კოცნის სურვილით ვინვოდი. ავდექი და ერთ ბიჭს ვაკოცე. ვიფიქრე, გადავივლიდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე მხოლოდ თემოს კოცნა მინდოდა და მეტი არაფერი... გავიდა ხანი და ერთხელ ისე მოხდა, რომ ორივენი ისევ ჩემთან უნდა მოსულიყვნენ. თამუნას ცოტა შეაგვიანდა და თემოსთვის უთქვამს, რომ ჩემთან მოსულიყო და იქ დალოდებოდა. ისიც მოვიდა და მთელი 2 საათი მარტონი

ვიყავით სახლში. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ სიყვარული არ ამეხსნა. ბოლოს, ველარ მოვიტომინე და პირდაპირ ვუთხარი — მიყვარხარ, მაგრამ არაფერს გთხოვ, მხოლოდ ერთხელ მაკოცე-მეთქი. გაოგნდა ბიჭი. მე კი დაჟინებით ვუმეორებდი ერთსა და იმავეს და საკოცნელად მივიწვედი. ის გამირბოდა და ასე, ხოხვა-ხოხვით, დივინს ბოლოში გავიდა. იქ მივიმწყვდიე, ზემოდან მოვექეცი და ძალით ვაკოცე. სწორედ ამ დროს, შემოსასვლელი კარი გაიღო და თამუნა შემოვიდა. დერეფნიდან პირდაპირ ჩანდა ის ადგილი, სადაც ჩვენ ერთმანეთს ვკოცნიდით. თამუნა დაგვეტაკა და ორივე თმით გვითრია. მე ბოდის ვიხდიდი, თემო რალაც გაურკვეველ სიტყვებს ლულულულებდა, მაგრამ თამუნას არაფერის გაგონება არ უნდოდა. კარი გაიჯახუნა და წავიდა. ის და თემო აღარ შერიგებულან. ჩვენი მეგობრობაც დამთავრდა... მას შემდეგ, 12 წელი გავიდა. თამუნა გათხოვდა და 2 წლის შემდეგ, ქმარს გაეყარა. თემომ 5 წელი იცხოვრა ცოლთან ერთად. ახლა ისინი საყვარლები არიან. მე კი გაუთხოვარი ვარ და ისევ თემოს სიყვარულით ვიწვი. ლოლა“.

*თურქეთში წინათ, ქურდის დასჯის ასეთი მეთოდი ჰქონიათ: დამნაშავეს სვამდნენ წყალში გახსნილი ნეხვით სავსე კასრში, საიდანაც ქურდს მხოლოდ თავი მოუჩანდა და ასე ჩამოატარებდნენ მთელ ქალაქს. ყოველ 5 წუთში, კასრის თავზე ბასრ ხანჯალს გადაატარებდნენ და თუ დამნაშავე თავს კასრში არ ჩაყოფდა, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა... ვფიქრობ, ეს გაცილებით მძიმე სასჯელია, ვიდრე რამდენიმეწლიანი პატიმრობა. როგორც ჩანს, ეს ნესი ერთ ქართველ კაცსაც მოსწონებია და „გადმოქართულებული“ ვარიანტი გამოუყენებია დამნაშავეს დასასჯელად. ამჯერად, მოპარული სიყვარულის კრახით დამთავრებულ ამბავს გთავაზობთ, რომელიც პატრულის თანამშრომელმა დაამიშისიჯა.*

**„ჭუპა-ჭუპა, წყალი მალე!“**

„მე და ჩემმა მენყვილემ მივიღეთ შეტყობინება, რომ უნდა მივსულიყავით ერთ ოჯახში, სადაც კონფლიქტი იყო. ასეთი რამ ხშირად ხდება და უკვე საკმარისად გამოცდილება გვაქვს იმისა, თუ როგორ მოვაგვაროთ ეს კონფლიქტი. ერთი სიტყვით, მივედი მოცემულ მისამართზე და რას ვხედავთ? მეზობლებით სავსეა სახლი, ცოლი მაგარი ნაცემია და ტირის, რამდენიმე ადამიანი ტულეტის კარზე აბრაზუნებს. იქიდან კი, გინება და ხმაური ისმის. ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, კარი არ გაგვიღეს და იძულებული გავხდით, რომ შეგვემტვრია. იქ კი ორი კაცი დაგვხვდა: ერთს მეორისთვის ქეჩოში

ხელი ჩაველო და თავი უნიტაზში ჩაეყოფინებინა, თან დროდადრო „ჩარეცხავდა“, წიხლს ურტყამდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. ყველაფერი კი იმიტომ მომხდარა, რომ თურმე, ქმარმა ცოლს საყვარელთან წაასწრო... მერე ქმარმა აღიარა, რომ თურმე, დიდი ხანია ეჭვობდა, რომ ცოლი ლალატობდა და ერთი თვე მაინც იქნებოდა, რაც უთვალთვალებდა; ბოლოს და ბოლოს, გამოიჭირა და გული მოიფხანა... საყვარელი მოითხოვდა, რომ ქმარი დაგვეჭირა და პასუხისგებაში მიგვეცა, მაგრამ ჩვენ ყურძი არ ვათხოვეთ. ვიჩივლებო, — იმუქრებოდა და გულმოდემული, იგინებოდა. როგორ დამთავრდა მათი ურთიერთობა, არ ვიცი; არც ის ვიცი, იჩივლა თუ არა უნიტაზში „ნაბანავებმა“ კაცმა, მაგრამ ვენაცვალე ისეთ ქმარს, ვინც ასე მოიქცევა! ამიტომ არ დავდივარ ქმრიან ქალებთან...“

*მამაკაცი მამაკაცია — საქართველოშიც, ამერიკაშიც და ანტარქტიდაზეც. მათ უმეტესობას მოსწონს ქალები და თუ ცოტა პრინციპულობა და ბრძოლისუნარიანობაც აქვს, ყოველ დონეს იხმარს საიმისოდ, რომ ის ქალი დაისაკუთროს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქალის დამორჩილების ძალისმიერი მეთოდი არცთუ ისე მოსაწონია. თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდით, გარშემო კი ქართული არავინ იცის, ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით მაინც უნდა დაიძახოთ: „ჭელფ მიიი!“*

**„...რა ვუყო ტომასს?“**

„7 წელი ვიცხოვრე ამერიკაში. სულ 4 თვეა, რაც საქართველოში დავბრუნდი. იქ წლების განმავლობაში, ერთ მოხუც ქალს ვუვლიდი. მოვლის საფასურს კი მისი ვაჟი იხდიდა. ის უცოლო გახლდათ და ცალკე ცხოვრობდა. კვირადღეს ვისვენებდი. ტომასმა შემომთავაზა, რომ კვირაობით, მისი სახლი დამელაგებინა, რისთვისაც დამატებით ანაზღაურებასაც შემპირდა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. შაბათს, ყოველთვის სტუმრები ჰყავდა და კვირას, უამრავი ჭურჭელი მხვდებოდა გასარეცხი და სახლის დალაგებას თითქმის მთელი დღე ვუნდებოდი ხოლმე... მთელი 2 წელი ასე ვიმუშავე. მერე, ტომასს სამუშაო გრაფიკი შეეცვალა და სტუმრებს უკვე კვირადღეს იწვევდა. უკვე მისი სტუმრების მომსახურებაც მინევდა. ტომასი მეარსიყვობდა, ხანდახან ხუმრობით მეტყვოდა — დარჩი ჩემთან, არ ინანებო, — მაგრამ მე თავი შორს მეჭირა. მერე სიყვარულის ახსნა დამიწყო. მეგობრებთან ერთად, მეც მიწვევდა სუფრასთან. ერთ დღეს, სტუმრები ჯერ კიდევ არ იყვნენ წასული, როდესაც ტომასმა მეორე სართულზე მიხმო. რა უფლება მქონ-

და, რომ უარი მეთქვა?! გავყევი. მეგონა, რაიმე საქმე ჰქონდა. მან კი საძინებელში შემათრია და მოფერება დამიწყო. წინააღმდეგობა რომ გავუწინე, სულ გაგიჟდა, ტანისამოსი შემომახნა და ძალით სცადა ჩემი დამორჩილება. ყვირილს რა აზრი ჰქონდა? მაინც ვერავინ მომეხმარებოდა. თანაც, ძალა გამომელია და დავნებდი. ამის შემდეგ, დედამისს სხვა მომვლელი აუყვანა და მე საცხოვრებლად თავისთან გადამიყვანა. არაფერს მაკლებდა, მთელი სულითა და გულით შემეყვარა და ერთი წლის წინ, ხელიც მოვანერეთ. ამერიკის მოქალაქე გავხდი. ახლა დროებით, ოჯახის მოსანახულებლად ჩამოვედი, მაგრამ... წასვლამდე, თბილისში მეგობარი მამაკაცი მყავდა. ახლა თენგო მოვიხატულე და ჩვენი ურთიერთობა აღდგა. წასვლა აღარ მინდა, მაგრამ რა ვუყო ტომასს?! ყოველდღე მირეკავს და მუყვენება, წამოდითო. ჯერ ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე. ალბათ, არჩევანს მაინც თენგოს სასარგებლოდ გავაკეთებ, რადგან ტომასთან პირველი ურთიერთობა რომ მახსენდება, გული მერევია... აბა, დროებით. ჩემს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაცნობებთ. ისე მიგჩვიეთ, რომ ამერიკაში უთქვენოდ ძალიან გამოიჭირდებო. ნახვამდის!“

**მსხვერპლის გალება არ ღირდა**

„ამ მესიჯს სალონიკიდან გწერთ. 3 თვეა, აქ ვარ და უკვე უზომოდ მომენატრა საქართველო. იმედია, ოდესმე ჩამოვალ... ჩემი პიკანტური ამბავი კი ის არის, რომ სწორედ საბერძნეთში წამოსვლის წინადღეს, მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ჩემი უბინოება იმ კაცისთვის შემენირა, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს, მას კი საერთოდ არ ვუყვარვარ. ამის შესახებ თვითონვე მითხრა. მისგან სხვას არც არაფერი ველოდი, რადგან ნარკომანია და მე კი არა, საკუთარი თავიც ფეხებზე ჰკიდია... მოკლედ, სალამოს, მეგობრის სახლში მარტო დავრჩი. დავურეკე ჩემს სიცოცხლეს და ჩემი გადაწყვეტილება ვაცნობე. რა თქმა უნდა, მაშინვე ჩემთან გაჩნდა. კარი გავუღე თუ არა, მაშინვე შევატყვე, რომ „განგრეულ“ კაიფში იყო. ისტიბარი არ გავიტყე... მოფერება რომ დამიწყო, აზრზე მაშინ მოვედი და მივხვდი, რომ ეს ადამიანი არ იყო ჩემგან მსხვერპლის გალების ღირსი, მიუხედავად იმისა, რომ ასე მიყვარდა. ავდექი და სახლიდან გავაგდე. ახლა სულაც არ ვნანობ ამას... მეორე დღეს, საბერძნეთში გამოვეფრინდი. არ გავუტყულებივარ. ჩემი ნახვაც კი აღარ უნდოდა. 3 თვის შემდეგ, პირველად დავურეკე. მითხრა, გამოვსწორდიო. მინდა, მჯეროდეს. მე ის ისევ ისე მიყვარს და მენატრება. ტატა“.



„ვეებე ძმას“

„რაც თავი მახსოვს, ჩემს უფროს ძმას ვეებ. გადაწყვიტე, თქვენთვის მოემართა. 1986 წლის 15 მაისს, თბილისის მეხუთე სამშობიაროში დედაჩემს შეეძინა ვაჟი, რომელიც სრულიად ჯანმრთელი იყო. ვინაიდან მამამ შეიტყო, რომ ცოლ-შვილი კარგად ჰყავდა, მოსკოვში გაემგზავრა სასწრაფო საქმეზე. მეორე დღეს, დედაჩემს უთხრეს, რომ ბავშვი დაიღუპა. დედა კი დარწმუნებულია, რომ ბავშვი გაყიდეს. მან ძალზე განიცადა და გარდაცვლილი ბავშვის ნახვა ვერ შეძლო. როდესაც მამა მოსკოვიდან დაბრუნდა, დაინყო შვილის ძებნა, მაგრამ უშედეგოდ. ის ექიმი და ექთანის უცხოეთში იყვნენ გაქცეული... მე უნახავად მიყვარს ჩემი ძმა და ძალიან მინდა მისი პოვნა. თუ ვინმეს ეს ამბავი ეცნობა, დამიკავშირდეს. დარწმუნებული ვარ, კეთილი ადამიანები ქვეყნად ისევ არსებობენ. ჩემი საახალწლო სურვილი სწორედ ჩემი ძმის პოვნაა და ღმერთი არ დაუშვებს, რომ ვერ ვიპოვო. მიუხედავად იმისა, რომ 2 უმცროსი ძმა მყავს, უფროსს ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

„ქალებო! გავერთიანდეთ და გავძლიერდეთ, „ძუკნების“ ჯიბრზე!“

„ოთხი გოგო ვმეგობრობდით. ერთხელ, სკოლაში ადრე მივედი. კლასში თათა დაძვდა. მას დაფაზე დიდი ასოებით დაენერა: „ლაშალევა“. ლევა ჩვენი მეგობარი იყო, ლაშა კი — მისი შეყვარებული. მე დაუშვალე, მაგრამ მაინც დაწერა. ეს ყველაფერი ბოლოს და ბოლოს, მე დამბრალდა. საშინელი რაღაცები მომწერეს... საბოლოოდ, თათა შეურიგდა, მე კი მარტო დავრჩი. მია“.

„იცო, ჩემს ძმაკაცს რა მოუვიდა? 4 კაცი რესტორანში წავიდა და რომ დათვრნენ, მერე ნაშუბშიც გაისეირნეს. ეს ჩემი ძმაკაცი დილით მივიდა სახლში. ცოლი მოატყუა, ვითომ სამსახურში „სმენა“ გაცვალა. გაიხადა და ის იყო, დანოლას აპირებდა, რომ ცოლმა შენიშნა: საცვალი უკულმა ეცვა... მტრისას, იქ ამბავი დატრიალდა... სანდრინო“.

„დიდი ხნის განმავლობაში მიყვარდა ერთი ბიჭი. ერთხელ, მეგობრის დაბადების დღეზე დაგვიანებით მისულმა, უამრავ ხალხში ისიც აღმოვაჩინე. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. დავლიე, ცოტა მეტი მომივიდა, დავთვერი და გამბუდაობაც მომემატა. მიუვახლოვდი, თვალეში ჩაეხედე და ყველას გასაგონად ხმამაღლა გამოვუცხადე, რომ მთელი ცხოვრება მიყვარდა. ამას რომ ვამბობდი, თან სახეზე ცრემლი მდიოდა. მერე ერთი ჭიქა კიდევ

დავლიე, ჭიქა მაგიდაზე დავდგი და ისევ ყველას დასანახავად ტუჩებში ვაკოცე. მხარზე ხელი მომხვია და მითხრა — ნამოდი, შინ წაგიყვანო... სადარბაზოსთან რომ მივედით, თავისკენ მიმაბრუნა და მითხრა — მე გოგონები არ მაინტერესებსო... თითქოს ცა თავზე ჩამომექცა, მეგონა, მოვკვდებოდი. ამის მიუხედავად, მაინც მიყვარს. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. ლიკა“.

„ჩემს მეგობარს 3 წელია, ერთი ბიჭი მოსწონს. იცი, რას ფიქრობს? უნდა, რომ ეს ბიჭი მოიტაცოს, სადმე მაღალმთიან სოფელში წაიყვანოს და დააბას. ამის შემდეგ რასაც უპირებს, ალბათ, ყველა მიხვდებით. იკა, ფრთხილად იყავი! ჯესი“.

„პიკანტური სცენები გუშინ უნდა გენახათ, 3 მთვრალი დაქალი სკამებზე სტრიპტიზს რომ ვცეკვავდით და უნიტაზის სადღეგრძელოს დაბრით ვსვამდით...“

„ჩემთვის პიკანტურზე მეტია ის, რაც სიმთვრალის დროს მემართება. წლები ისე გავა, რომ წვეთს არ ვსვამ, მაგრამ ზოგჯერ, ეშმაკი შემიჩნდება და მაინც წამცდება ხელი. ახლაც, 6 თვეა, არ დამიღვევია. რუსეთში ვიყავი. არყით ისე დავთვერი, რომ სახით აკაციის ხეს შევასკვდი... ერთი კვირის განმავლობაში მიღებდნენ ეკლებს სახიდან. ჩემი სიმთვრალის წყალობით, სახის 4 მოტეხილობა მქონდა და მთელი თვე რკინის „ჩხირები“ მქონდა ყბებში გაჩრილი. 36 დღის განმავლობაში, მხოლოდ წვენებს ვსვამდი. სიმთვრალემ საყვარელი ადამიანიც დამაკარგვინა“.

„მე და ჩემს შეყვარებულს ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგარ დროს ვატარებდით, ვსიყვარულობდით და გვქონდა ერთი ამბავი. მართალია, საქმე ლოგინამდე არ მიდინოდა, მაგრამ სხვა ყველაფერი „მოსული პონტი“ იყო. ამის გამო, ჩემი „პრინცი“ გიჟს ჰგავდა... ერთ მშვენიერ დღეს, ნერვებმა უმტყუნა, მოტყუებით სადღაც შორს წამიყვანა და გამაუპატიურა. ახლა ის ჩემი ქმარია. ნათია“.

„რამდენიმე დღის წინ, მე და ჩემს ძმაკაცებს მეტროთი მოგვინია მგზავრობამ. ვ ა გ ო ნ შ ი საოცრად სიმპათიური გოგონა შემოვიდა და გვერდზე მომიჯდა. ძალიან მომეწონა და გაცნობა დავაპირე, მაგრამ ჩემი ძმაკაცები

აცანცარდნენ და ვეღარ მოვახერხე. ის „გურამიშვილები“ ჩავიდა. თავზე თეთრი ფაფახი ეფარა. თუ „გზავნილებს“ კითხულობს, ძალიან ვთხოვ, გამომეხმაუროს. თქვენი უერთგულესი მკითხველი, 21 წლის საბა“.

„აუ, მარი, კაცურად გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი, რა! ქუთაისელო ქრისტინე, მიყვარხარ და რატომ არ გჯერა? როგორ დაგიმტყიცო, რომ სიზმარშიც კი მარტო შენ გხედავ? მარი, თუ არ დამიბეჭდავ, თუშებს აგიჯანყებ. თუში“.

„თაიგულს შევკრავ ია-ვარდისგან/ და შენ მოგიძღვნი ბუნების ჯილდოდ/ და მის ფოთლებში ნაზად დავანერ/ იტანჯე! შენ თუ მე დამივიწყო/ ეძღვნება ლანჩხუთის რაიონში, მამათში მცხოვრებ თეონა ჩ-ძეს. ვიცი, ბევრი ვინმე გეტრფის, მაგრამ მაინც ვბედავ შენზე ფიქრს. მარი, ჩემი ბედი შენს ხელშია. „გზავნილების“ ყველა მკითხველს გაფიცებ, დამიბეჭდე. თუ არ დაბეჭდავ, ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდება? კაცობრიობის ნახევარს „დაერხევა“.

„ვეხმაურები იმ ქალბატონს, რომელმაც ქმარს და მის ძმაკაცს თავი გადაჰპარსა. აუ, იცით, როგორი ჯიგარი ქალია?! მაგარი იდეა მომანოდა. მეც ასე მოვიქცევი, ოღონდ, ქმარს კი არა, მის ნაშას გადავპარსავ... „გზის“ ყველა მკითხველი მიყვარს და ვულოცავ ყველა დღესასწაულს. კარგი იქნება, თუ კიდევ მივანწვდით ერთმანეთს ახალ-ახალ იდეებს, თუ როგორ დავსაჯოთ მოღალატე ქმრები. აბა, ველი თქვენს იდეებს. ქალებო! გავერთიანდეთ და გავძლიერდეთ, „ძუკნების“ ჯიბრზე! პატივისცემით, ვერიკო კვაჭაძე“.


დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. სულაც არ მაქვს განზრახული, გუნება-განწყობილება გაგიფუჭოთ, მაგრამ მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ვნანობ, რომ ასე მოვიქცევი... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. გვიამბეთ, რას იხსენებთ სინანულით... ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

პრეპარატი ფინსი გაძლიერებული უნიკალური შანსი

ფსიქიაზი ენაზე საუკუნოვანი გამტრფილემას!
მეზივამ ნაიროდარბიტი სიზიარება იკითხეთ იმეპრნაღმთ ჯფთიაქიზი
საუკუნოვანი გამოცდილების ამონა, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მაღაიოს საშუალებით
სხელი ხაზი: 39 66 03

მკურნალოვანად 7 კვირის შემდეგ
მკურნალოვანი შემდეგ

ცნობილი ტელეკომენტატორი ნუგზარ ჯუღელი მომავალ თაობას იმედის თვალთ შეჰყურებს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისიც ენატრება და იმ დროს დამკვიდრებული წეს-ჩვეულებებიც, დღევანდელი ახალგაზრდობის არაერთ შეხედულებას იზიარებს და ბევრ საკითხში საკუთარი თაობის წარმომადგენლებსაც ეკამათება...



# „სტალინი პაქაშვილს პაჩიას ღა პიოხაჟს: — ლაპროსტი, მს ის ჯუღელია?..“

## ეკა მიხლაძე

— ბატონო ნუგზარ, როგორ იყო თქვენი თაობის დროინდელი თბილისი?

— იმ დროს, თბილისში მხოლოდ ორი ქუჩა არსებობდა: რუსთაველი და პლენანოვი. სხვათა შორის, ორივე უბანს შესაბამისად, თავისი ბირჟა ჰქონდა. პლენანოველი თუ რუსთაველზე „დააბირჟავენდა“, ეს უბნის ლალატი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან დღემდე, პლენანოველზე ვცხოვრობ, ქუჩაში დგომისთვის დრო არასოდეს მრჩებოდა. მე ვიყავი ის პიროვნება, რომელსაც თავისი სამყარო ჰქონდა. ძალიან მიყვარდა წიგნის კითხვა. ამის გამო საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი. მუამყება, რომ სწორედ საჯარო (დღეს — ეროვნული) ბიბლიოთეკის 55 წლის წინანდელი წიგნაკი მაქვს. მახსოვს, როცა „სამი მუშეკტერი“ წავიკითხე, ხმა მომივიდა — ამ წიგნის გაგრძელებაც არსებობსო. ჰოდა, ამის დასაზუსტებლად, საჯარო ბიბლიოთეკაში მივედი. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად მძიმე ცხოვრებისა, ჩემი თაობის ბავშვები ხშირად დავდიოდით თეატრსა და კინოში. გარდა ამისა, მთელი თბილისის ბავშვები ვიკრიბებოდით პიონერთა სასახლეში. სკოლაში გაკვეთილების დამთავრებისთანავე, ჯერ სახლში მივდიოდი, შავ პურს ვჭამდი და შაქრიან ნყალს ვსვამდი — აბა, ჩაი მაშინ სად იყო?! მერე, ვისადილებდი თუ არა, მაშინვე სასახლეში გავრბოდი. იქ მართლაც, განუმეორებელი პირობები იყო: ჩვენი სახლის პირობებისგან განსხვავებით, სასახლეში შუქიც იყო და სიტოც, ამიტომაც თბილისის ბავშვების დიდი ნაწილი

სწორედ იქ იყრიდა თავს. ბიჭები უფლისწულებად ვგრძნობდით თავს, ხოლო გოგონები — დედოფლებად... პიონერთა სასახლეში უამრავი წრე იყო გახსნილი: ფარიკაობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, სიმღერის და ხელოვნების სხვადასხვა დარგის. სხვათა შორის, ჩვენ ვიყავით პირველები ტურიზმისა და ალპინიზმის წრიდან, ვინც ბაკურიანი, როგორც ზამთრის კურორტი, გახსნა... გარდა ამისა, თოჯინების თეატრის წრეზეც სიამოვნებით დავდიოდი. მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვების უმეტესი ნაწილი, ვინც პიონერთა სასახლეში დადიოდა, დღეს გამოჩენილი ადამიანები არიან, ეს კი ალბათ, სასახლის დამსახურებაა. ამიტომაც, დასანანი იქნება, რომ ამ დანესებულებამ არსებობა შეწყვიტოს... ვინაიდან, მე, მეორე მსოფლიო ომამდე ვარ დაბადებული, კარგად მახსოვს ომის დაწყებაც და დამთავრებაც. მართლაც, მძიმე პერიოდში მომიწია ცხოვრებამ. კარგად მახსოვს ომის დროინდელი, ჩაბნელებული თბილისი... მახსოვს, ომის დამთავრების დღეს, ჩემს ეზოში მცხოვრებმა, დიდებულის ქალბატონმა, რომლის ორივე შვილი ფრონტზე იბრძოდა, სიხარულით, მთელი თავისი დანაზოგით ეზოს ბავშვებს ნაყინი გვიყიდა. იმ დღეს უბედნიერესი ვიყავი იმით, რომ ავისრულე ოცნება — ვჭამე იმდენი ნაყინი, რამდენიც მინდოდა. დღეს ეს შეიძლება, ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ, მართლაც ძვირი სიამოვნება იყო. იმ დროს, შავ პურს თითოეული ოჯახი ტალონებით იღებდა. ერთხელ გავიგეთ, რომ თურმე, თეთრი პურიც არსებობდა და მის

დროს, თბილისელები ბინის კარს იშვიათად კეჭავდნენ. თითქმის ყველა ადამიანში საშინელი შიში იყო ჩაბუდებული. მოგესვენებათ, ჩემს დროს, ტუალეტის ქალაღის მაგივრად, გაზეთს ეხმაროდით. ჰოდა, ვი შენი ბრალი, თუ იქ ისეთ გაზეთს შეიტანდი, სადაც ბელადის სურათი იქნებოდა... მახსოვს, იმ დღეს, როცა სტალინის გარდაცვალების ამბავი შევიტყვე, მოღრუბლული იყო და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ მზე აღარასოდეს ამოვიდოდა... წარმოიდგინეთ, რა ეპოქაში იზრდებოდა ჩემი თაობა. სიმკაცრე და ორგანიზებულობა შეიმჩნეოდა ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით — სკოლაში. თბილისის მე-19 ყაფთა სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, ყოველ ორშაბათს იმართებოდა ინფორმაციული მიტინგი, რომელსაც სკოლის დირექტორი უძღვებოდა. ახლაც მზარავს, მის ხმას რომ ვისმენ... ასეთი სიტყვებით იწყებდა: „მოსკოვი, კრემლი, დიდ ბელადს — იოსებ სტალინს, მის ერთგულ თანამებრძოლს — ლავრენტი ბერიას!..“ მე და ჩემი კლასელები სუნთქვაშეკრულნი ვიდექით. მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენდი, რადგანაც იმხანად, მამაჩემი დაპატიმრებული იყო... ერთ მშვენიერ ორშაბათს, სკოლის დირექტორმა დაიწყო დეპუტის კითხვა, რომელიც კრემლში უნდა გაეგზავნა. „ამ კვირაში, სკოლაში დაინერა 3531 ნიშანი, აქედან 1500 — ფრიადი, 701 — კარგი; იყო დამაჰყაფილებელიც, მაგრამ, ამხანაგო სტალინ და ამხანაგო ბერიაც, უნდა მოგახსენოთ, რომ 8 ორიანიც დაინერა და ახლა გაგაცნობთ მათ გვარებს, ვინც შეგვარცხინა“. მოკლედ, ამ გვარებს შორის, ჩემიც გამოცხადდა, რის გამოც, ძალიან შევშინდი. სკოლიდან ვერის ხიდამდე 2 კილომეტრი იყო. არ მახსოვს, ეს გზა როგორ გავიარე და დავდექი ხიდის მოაჯირთან. ვიფიქრე: ჩემი დირექტორის დეპუტის ნაიკითხავს დიდი სტალინი, გადახედავს ამხანაგ ბერიას და ჰკითხავს — ეს ის ჯუღელია, მამა რომ დავუპატიმრეთო?.. ბერიაც დაუდასტურებს და მორჩა — შვილის ცუდად აღზრდისთვის, დედაჩემსაც დაიჭერენ და მართო დავრჩებით მე და ჩემი პატარა ძმები... ამის გამო, მტკვარში გადახტომა გადაწყვიტე... ამ დროს, ვიღაცამ ხელი მტაცა. რომ გავიხედე, ჩემი მეზობელი — გოგი ქავთარაძის მამა, ბატონი გიორგი ვიცანი. მან მკითხა — ამ შუალაშისას, აქ რა გინდაო? მეც მოუწყვეი ჩემი მდგომარეობა და ისიც ვუთხარი, რომ მტკვარში გადახ-



ჩემი აზრით, მეგობრობა მარგო კაცის ნიჭზე არ არის დამოკიდებული — იმასაც ბედი უნდა, რომ კარგი მეგობრები გყავდეს. ბავშვობის მეგობარი რომ გამოგადგეს, იღბალი უნდა გქონდეს

ტომა მქონდა განზრახული. მან მცირე პაუზის შემდეგ, მკითხა: მერე, იმ სულელის გამო იკლავ თავსო?! — ვინაა სულელი, ამხანაგი სტალინი-მეთქი? — და წავიბოროძიკე. — სტალინი კი არა, შენი დირექტორია სულელი, წადი შინ, ყმაწვილო...

რამდენად ფასობდა მეგობრობა თქვენს თაობაში?

— ჩემი აზრით, მეგობრობა მარტო კაცის ნიჭზე არ არის დამოკიდებული — იმასაც ბედი უნდა, რომ კარგი მეგობრები გყავდეს. ბავშვობის მეგობარი რომ გამოგადგეს, იღბალი უნდა გქონდეს. ეს შენზე არ არის დამოკიდებული. ბავშვობაში ანალიზს ხომ ვერ ჩაუტარებ, ესა თუ ის ბავშვი დიდობაში როგორი მეგობარი იქნება?! აქედან გამომდინარე, ბავშვობის მეგობრობა ხშირ შემთხვევაში, ირღვევა, ხოლო თუ შედგა — ეს დიდი ბედნიერებაა. თითქმის ყველა ადამიანს კარგთან მეგობრობა სურს. ბავშვობაში, ვისაც ბურთი მქონდა, ის იყო ლიდერი და ყველას, ამ ლიდერთან მეგობრობა უნდოდა. პიონერთა სასახლეში კი, გამორჩეულად ნიჭიერ ბავშვებთან მეგობრობა გვსურდა. ბედნიერი იყო ის ბავშვი, ვინც, მაგალითად, რამაზ ჩხიკვაძის ან გურამ სალარაძის მეგობარი იქნებოდა. მე არ ვიცი, დღეს როგორ არის, მაგრამ ჩვენს დროს, მეგობრობა წინა პლანზე იყო წამოწეული. მეგობარი მეგობარს, არასოდეს უღალატებდა. ჩვენი მეგობრობა იმდენად ძლიერია, რომ დღემდე ერთად ვართ და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ ჭირშიც და ლხინშიც.

— გაგვაცანით თქვენი მეგობრები.



ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან: მწერალი თამაზ ნატროშვილი და ყველასათვის საყვარელი მსახიობი კახი კავსაძე. ისინი ჩემი კლასელები იყვნენ. ინსტიტუტის მეგობარია რობერტ სტურუა. გარდა ამისა, მყავს რამდენიმე მეგობარი, რომელიც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ჩემთვის ისინი უდიდესი პიროვნებები არიან.

ახლა სასიყვარულო ურთიერობებზეც მოგვიყვით.

— ჩვენს დროს, სიყვარულს უფრო მეტად გამოხატავდნენ. როცა ჩვენი თაობის დროინდელ სიყვარულზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთი ღირსეული ადამიანი — მსახიობი გოჩა აბაშიძე, რომელიც ადრეულ ასაკში გამოგვაკლდა. მან ვერ აიტანა საყვარელი ქალისგან შორს ყოფნა და ამის გამო, შაბიამწინ მოინამლა თავი... ადრე, სულ სხვა დრო იყო. ჩვენ ჩაკეტილ საზოგადოებაში ვცხოვრობდით და ალბათ, რომანტიზმი უფრო ძლიერად იყო გამოვლენილი თითოეულ მამაკაცში. მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვით, რომ დღეს, რომანტიკოსები აღარ არსებობენ. თუ ჩვენ სასიყვარულო წერილებს ვწერდით, დღეს მესიჯებს უგზავნიან ერთმანეთს. ჩვენს დროს, შეყვარებული ადამიანი გაცილებით შეზღუდული იყო. დღეს კი, უფრო თავისუფალია. ვფიქრობ, ამ მხრივ, დღევანდელი ახალგაზრდობა უფრო ხელ-

საყრელ მდგომარეობაშია. ჩემი აზრით, ქალი და მამაკაცი, ოჯახის შექმნამდე, ერთად უნდა ცხოვრობდნენ, რომ ერთმანეთი უფრო კარგად გაიცნონ... საერთო ჯამში, შეყვარებული მამაკაცი ყველა დროს ერთნაირია. თუ სიყვარული ნამდვილია, არა მგონია, რომ რაიმე პრინციპი შეიცვალოს. ჩვენ განსაკუთრებული მორიდება გვახასიათებდა: იმ შემთხვევაში, თუ ქალის გვერდით იმყოფებოდი, რაც არ უნდა დამნაშავე ყოფილიყავი, ზედმეტ სიტყვას არავინ გეტყვოდა. მახსოვს, ერთი პერიოდი, გოგონა, რომელიც შემიყვარდა, ერთ ძველ ბიჭს უყვარდა. ერთხელ, სეირნობისას, უეცრად ჩემმა შეყვარებულმა, შეშინებულმა წამოიძახა — ვაიმე, „პაკრიშკა“ მოდი სოსო! — „პაკრიშკა“ იმ ძველი ბიჭის მეტსახელი იყო. მეც მის დანახვაზე, ცოტა არ იყოს შევცბი, მაგრამ რას ვიზამდი — ჩვეულებრივად გავაგრძელეთ გზა. სულ მალე,

არანაირი ხეირი არ გვექონია, იმდენად სუფთა ადამიანი იყო. მახსოვს, კომუნისტების დროს, ერთ ზაფხულს, ემირი, როგორც ფიზიკოსი, სამედიცინო ინსტიტუტში ფიზიკის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. ეს მაშინ უდიდესი რამ იყო. სამიწილი კონკურსი იყო და ამ ინსტიტუტში მოწყობა მილიონამდე ჯდებოდა... დანიშნეს თუ არა ემირი კომისიის თავმჯდომარედ, მაშინვე ქალაქიდან წავიდა და წყნეთში დაიშალა. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი მისი ადგილსამყოფელი. მოგვსენებათ, თბილისში არაფერი იმალეუბა. რომ გაიგეს, კომისიის თავმჯდომარე, ემირ ჯუღელიაო, მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს ჩემი ძმა იყო. ამის გამო, შუა ზაფხულში, ჩემს სახლთან კილომეტრიანი რიგი დადგა: მოდიოდა უამრავი ადამიანი თხოვნით. მეც გულს არავის ვწყვეტდი — ვწერდი წერილს: „ემირ, ეს ჩემი ძმაცაა შენია და უნდა დაეხმარო“, — და ვავაზინდი წყნეთში. ამგვარი წერილით 1000 კაცზე მეტი გავაგზავნე. გავიდა დრო და გამოცდამდე ორი დღით ადრე, მოვიდა ემირი ჩემთან სახლში და მითხრა: „დიდი მადლობა, ჩემო ნუგზარ...“ — რაშია საქმე-მეთქი? — შევეკითხე მას. — რაშია და ვვლარ ავიტანე შენი ბარათები და გადანიყვებ, განცხადება დაწერა და თავმჯდომარეობაზე უარი მეთქვაო... აი, ასე დავაგვიკვირე საშუაო (იცინის) მახსენდება ის დრო, როცა ის პრივატიზაციის მინისტრის მოადგილე გახდა. ამიტყდა ერთი ჩემი მეგობარი — მინის ნაკეთის დასამტკიცებლად,

ეს ბიჭი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და გააგრძელა გზა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ ამით ქალს პატივი სცა. ის არავითარ შემთხვევაში, ქალის თანდასწრებით, გადაბრუნებულ სიტყვას არ მაკადრებდა.

რა სხვაობებს ხედავთ თაობებს შორის?

— ვფიქრობ, ყველა თაობას აქვს თავისი სიმართლე. თუ მართალი და პატიოსანი ადამიანი ხარ, ახალგაზრდაც ყოველთვის რიდით მოგეტყევა. თუ სუფთა სინდისი გვაქვს, საკუთარი თავის წინაშე, დამერწმუნეთ, ნებისმიერი ადამიანი პატივს გცემს. მაგალითად, ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, მე საკმაო ხნის ვიყავი. ამ დროს, ტელევიზიის დირექტორი, სპორტული კომენტატორი, თან 2 შვილის მამაც გახლდით, მაგრამ ბაბუის თანდასწრებით, ამ ხნის კაცი, სიგარეტის მოწევას ვერ ვებუდავდი... კარგად მახსოვს — ბაბუაჩემი ნებისმიერი მანდილოსნის შემოსვლისას, ფეხზე დგებოდა. 80 წლის ასაკშიც ასე იქცეოდა — 14 წლის გოგონაც რომ შემოსულიყო და 80 წლის ქალბატონიც. მისი ასეთი ქცევის გამო, მეც დიდი პატივისცემა და რიდი მქონდა საერთოდ, უფროსების. ჩემთვის მამაჩემის სიტყვაც კანონი იყო. დღევანდელი ახალგაზრდები გაცილებით თავისუფლები არიან. აი, თქვენ, ჩემთან შარვლით მოხვედით. იმ დროს რომ მოსულიყავი ასე ტელევიზიაში, არ შეგიშვებდნენ. მე ამას

არ ვეთანხმები, მაგრამ მაშინ ასეთი წყობა იყო... ჩემს შვილშვილს, ლიკუნას (რომელიც 14 წლისაა) სულ იმას ეუბნები, რომ მოკლე ქვედაბოლოები ჩაიცვას. მართალია, მე უფროსი თაობის წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ჩემი აზრი მაქვს და მქონდა ყოველთვის. როგორც უფროსი თაობის ადამიანი, ქორწინებამდე სექსის წინააღმდეგი უნდა ვიყო, მაგრამ არა ვარ. გგონიათ, მაშინ არ ხდებოდა ამგვარი რამ? შეიძლება, უარესებიც ხდებოდა, ოღონდ — მაღულად.

ახლა თქვენს ოჯახზე გვიაზნეთ.

— დედაჩემი დიასახლისი იყო. მან სამი ბიჭი გაგვზარდა. მგონი, ეს იოლი საქმე არ არის. ის ჩვენი ყველაზე დიდი მეგობარი იყო. მახსოვს, ბავშვობაში, ჩვენთან ერთად „კოჭობანაც“ უთამაშო... რაც შეეხება მამას — ის იურისტი და ამავე დროს, ფედერალისტი იყო (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. —

ავტ.) მას თავისი პრინციპები მქონდა და ამიტომაც, ხშირად, გადასახლებაში იყო... არ დამავინებდა ის დღე, როცა სტალინი გარდაიცვალა. სახლში დაბრუნებულს, მამა და მისი მეგობრები დამხვდნენ. ამბობდნენ — ხომ გასძვრა სული იმ ჯალათსო! აი, ასეთ ოჯახში გავიზარდეთ სამი ძმა — მე, ბესო და ემირი. განსაკუთრებით მინდა, ჩემს გარდაცვლილ ძმაზე ვილაპარაკო. ის უაღრესად განათლებული და ინტელიგენტი იყო. ემირი ერთი პერიოდი პრივატიზაციის მინისტრის პირველი მოადგილე გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც მას, არც მის შვილებს და არც ჩვენ, აქედან

ხელი მომიწეროსო. მეც უარი ვერ ვუთხარი, ვენჯივ ემირს სამუშაო ოთახში და ვთხოვე, დოკუმენტზე ხელი მოეწერა. ემირმა დახედა თუ არა, მაშინვე უარი მითხრა. მაინც დაუყინებით ვთხოვდი. შუა კამათში ვართ და ვხედავ, გვერდით მაგიდასთან მჯდომი ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, ან გარდაცვლილი კოტე იოსელიანი თვალით მანიშნებს — გარეთ გადიოდიო. ისიც მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე იყო... რომ გამოვედი, მითხრა: მომეცი ებ ქალაქი და მე მოვანერო. მართლაც, მოანერა და ამით, მეგობარი კმაყოფილი დამჩნა.

**— ყველაზე მეტად რა მოგწონთ ახალგაზრდა თაობაში?**

— დღევანდელი თაობისგან განსხვავებით, ჩვენ უფრო დოგმატიკოსები ვიყავით. ჩვენ ვიზრდებოდით იმ პრინციპით, რომ რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ, ვფიქრობდით, რომ, როგორც ჩვენ გვიყვარს სამშობლო, ისე არავის უყვარს და ჩვენნაირი ნიჭიერი ერი მეორე არ არსებობს. დღეს კი სხვანაირად ფიქრობენ. ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობაში მომწონს ის, რომ ისინი ბრწყინვალედ ირგებენ თავისუფლებას. დღევანდელი ახალგაზრდობა მიხვდა, რომ ადამიანს ერთი ცხოვრება ეძლევა და ისე უნდა იცხოვროს, როგორც უნდა. მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ყველა თაობაშია კარგი და ცუდი. დრომ მოიტანა ის, რომ თუ ჩვენ ახალგაზრდობაში სიგარეტს ვწენოდით, ისინი ზოგ შემთხვევაში, ნარკოტიკსაც იღებენ, მაგრამ ვფიქრობ, სულ მალე, ნარკოტიკსაც გადაადგდებიან.

**— თქვენი აზრით, რამდენად განათლებულია დღევანდელი თაობა?**

— მართალია, ინფორმაციულობის დონე გაცილებით მაღალია, ჩვენთან შედარებით, მაგრამ ჩვენი თაობის ახალგაზრდები გაცილებით ნაკითხები იყვნენ. მე დღესაც, რამდენიმე საათს კითხვას ვუთმობ ხოლმე. ახალგაზრდებს კი, კითხვა ნაკლებად უყვართ. სამაგიეროდ, დღევანდელი თაობა უფრო ინფორმირებულია რიგ საკითხებში, ვიდრე ჩვენ ვიყავით.

**— ეი. ამ თაობას იმედის თვალით შეჰყურებთ?**

— რა თქმა უნდა, მისი დიდი იმედი მაქვს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ჩვენს ქვეყანას ააყვავებს...

ახალგაზრდებს კითხვა ნაკლებად უყვართ. სამაგიეროდ, დღევანდელი თაობა უფრო ინფორმირებულია



ოლიმპიური ჩემპიონი და პარლამენტარი გიორგი ასანიძე თურმე, ძალიან ყურადღებიანი შეყვარებული ყოფილა. გიორგიმ და მისმა მეუღლემ თეა კოტეშამ უკვე 10 წელია, რაც შექმნეს ოჯახი, ჰყავთ ოთხი შვილი. „ორი მათგანი გიორგის ჰგავს, ორი კიდევ — მე“, — ამბობს თეა, რომელიც დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა იმაზე, რომ მისი ოჯახი უფრო ახლოს გაგვეცნო.

**„მსკრულეში“**

**ქეა მიწლამ**

— ერთმანეთი 1993 წელს გაიცანით ბორჯომში. მე იქ ოჯახთან ერთად ვისვენებდი, ხოლო გია „ზბორებზე“ იყო ჩამოსული. სახლის პირველ სართულზე სპორტსმენების სავარჯიშო დარბაზი იყო, მეორეზე კი ჩვენ ვცხოვრობდით. ერთ დღეს, ჩემმა დამ პირველი სართულის კიბესთან შარვალი იპოვა. ის



წყვეილი ჯამლეტ ხუბამვილთან ერთად

მაშინვე მიხვდა, რომ შტანგისტი იქნებოდა, ადგა და გიას მწვრთნელს, ვანო გრიჭუროვს მიუტანა. აღმოჩნდა, რომ ეს შარვალი გიასი იყო. ასე დაიწყო ურთიერთობა ჩვენ შორის. სწორედ იმ დღეს გავიცანით მე და გიამ ერთმანეთი. ცოტა ხანში, მთელი ოჯახი სხვა სასტუმროში გადავედით, გია ჩვენ მოპირდაპირე ოთახში ცხოვრობდა.

**— გაიხსენეთ თქვენი პირველი პაემანი.**

— ჩვენ პაემანი არ გვექონია. გია ჩემს სანახავად ოჯახში მოდიოდა. რა თქმა უნდა, სხვაგანაც დავდიოდით, მაგრამ ამას პაემნის სახე არ ჰქონდა.

**— როგორი შეყვარებული იყო გიორგი?**

— ძალიან ყურადღებიანი. არასოდეს ავიწყებოდა არავის დაბადების დღე, სხვათა შორის, ის დღესაც ასეთია — დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღირსშესანიშნავ თარიღებს.



**მრავალგვილიანი ბებიასლის აღიარება**

**— გაცნობიდან რამდენ ხანში შეუღლდით?**

— 2 წელიწადში. მაშინ გია 21 წლის იყო, მე — 19-ის.

**— გაიპარეთ თუ ტრადიციული წესების დაცვით დაქორწინდით?**

— გავიპარეთ, გავიპარეთ (იცინის). თურმე, გიას პატარაობაში უთქვამს, რომ ის და მისი დისშვილი ერთდროულად დაოჯახდებოდნენ. მართლაც, შეასრულა თავისი სიტყვა: ბიძამ და დისშვილმა ერთ დღეს მოიყვანეს ცოლები. ერთად გავიპარეთ ჩვენ და გიას დისშვილი და მისი მეუღლე.

**— თაფლობისთვე სად გაატარეთ?**

— თელავში. იქ 10 დღე გავატარეთ და თბილისში დავბრუნდით.

**— რატომ გაიპარეთ? როგორც ვიცი, შენი მშობლები არ იყვნენ თქვენი შეუღლების წინააღმდეგნი.**

— კი, მაგრამ მაინც არ გვინდოდა ოფიციალურობა (იცინის).

**— როგორი სიძეა გიორგი ასანიძე?**

— გადასარევი. ჩემი მშობლები გიას ისევე კარგად იცნობდნენ, როგორც მე ამიტომ მათი მხრიდან არანაირი პრობლემა არ მქონია. ჩემს მშობლებს დღესაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ გიასთან. ისინი მისით ამაყობენ. აბა, რომელი სიდედრი და სიმამრი არ იამაყებს ასეთი სიძით?!

**— შენ როგორი ურთიერთობა გაქვს გიას მშობლებთან?**

— კარგი. გიას მშობლები ჩემი უფროსი მეგობრები არიან.

**— ყველაზე მეტად გიორგის რა თვისებამ მოგხიბლა?**

— მომეწონა მისი უბრალოება და პირდაპირობა.

— ლექსი ან სასიყვარულო ბარა

**თი თუ მოუძღვნია შენთვის?**

— არასოდეს (იციინის) გიას ერჩინა, სათქმელი პირდაპირ ეთქვა.

**— გაიხსენე პირველად გიორგიმ სად და როგორ აგისხნა სიყვარული?**

— ჩვეულებრივად. კარგად მახსოვს, ეს მოხდა ჩემს დაბადების დღეს, 15 დეკემბერს. ის მოვიდა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა — მიყვარხარო.

**— ქორწილი თუ გქონდა?**

— ქორწილი არ გვექონია.

**— ჯვარი ხომ დაიწერეთ?**

— კი, რა თქმა უნდა. ჯვარი ლურჯ მონასტერში დავეწერეთ.

**— მოდი, გულახდილად გამოიხილე გიორგის დადებითი და უარყოფითი თვისებები.**

— მე მასში ყველაზე მეტად, თავმდაბლობას ვაფასებ. ის მუდამ უცვლელი რჩება, რაც არ უნდა დიდ სიმაღლეზე ავიდეს. მისი უარყოფითი თვისება კი ის არის, რომ საკმაოდ ჯოუტი ადამიანია.

**— ძნელია სახელგანთქული სპორტსმენის მეუღლეობა?**

— კი, ძალიან. გიას ხშირად უნევს შეკრებაზე სიარული, ოღონდ, არა 2 დღით, არამედ 8-10 დღით მაინც. მე კი მის გარეშე ძალიან მიჭირს შვილების მოვლა. აი, ამიტომ არის ძნელი მისი მეუღლეობა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ.

**— რამდენად სწორად მიგაჩნია მისი პოლიტიკაში გადასვლა?**

— იცი, რა, ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. გიამ თვითონ უფრო კარგად იცის, რა უნდა და მე ყველა მის გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერ. უნდა პოლიტიკოსობა — კი, ბატონო და მეც ყველანაირად ვეცდები, გვერდში ამოვუდგე და დავეხმარო, რითიც შემიძლია.

**— ამბობენ, პოლიტიკოსი მამაკაცები მატყუარები არიანო.**

— უი, მართლა? არ ვიცოდი (იციინის), ეს რა მითხარი. ისე, ჯერ არაფერი შემიჩნევია და მერე ვნახოთ. ეტყობა, ჯერ ახალია და იმიტომ.

**— ეჭვანები თუ ხართ ერთმანეთის მიმართ?**

— ეჭვანები ერთმანეთის მიმართ საერთოდ არ ვართ. აბა, რატომ უნდა შეშინდეთ ერთმანეთს? როცა ამის საბაბს საერთოდ არ მძლევეს?!

**— მიგაჩნია, რომ ოჯახში მამაკაცი უნდა წვეტდეს მნიშვნელოვან საკითხს?**

— რა თქმა უნდა. გიორგია ჩვენი ოჯახის უფროსი.

**— გიორგის საზღვარგარეთიდან საჩუქრების ჩამოტანა თუ უყვარს?**

— კი, რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ხშირად, ბავშვებისთვის ჩამოაქვს დიდი საჩუ-

ქრები. ჩემთვისაც ჩამოაქვს ხოლმე. მინდა გამოვყო სვაროვსკის ულამაზესი, თვლებიანი საჩუქელი, რომელიც პოლონეთიდან ჩამომიტანა.

**— ყვავილების მორთმევა თუ სჩვევია?**

— კი. თაიგულის მორთმევა განსაკუთრებით უყვარს მ მარტს, დედის დღეს და ჩემს დაბადების დღეზე, სუნამოსთან ერთად.

**— ამბობენ, სიყვარული დროთა განმავლობაში ნელდება და**

**ქრებაო. რას იტყვი ამის შესახებ?**

— ამ აზრს არ ვეთანხმები. თუ ოჯახი სიყვარულით შეიქმნა, ცოლქმარს ბოლომდე ყვეარება ერთმანეთი... აბა, როგორ უნდა გაქრეს?! ჩვენს ოჯახს ასეთი რამ არასოდეს დაეუქრება. 10 წელია, ერთად ვართ და დღემდე, ისე გვიყვარს ერთმანეთი, როგორც მანამდე, ვიდრე დავექორწინდებოდით. რომ არა დიდი სიყვარული, მგონი, არც 4 შვილი გვეყოლებოდა.

**— ცალკე ცხოვრობთ თუ მშობლებთან ერთად?**

— ცალკე.

**— ბავშვები რა ხნის არიან?**

— მარიამი 9 წლისაა, კახი — 5-ის, ხოლო სალი და საბა — ორწლიანი-ნახევრის.

**— თეა, რა პროფესიის ხარ?**

— მე პროფესიით ბებიასული ვარ, მაგრამ არასოდეს მიმუშავია.

**— ვინ გესმარება ბავშვების მოვლაში?**

— მულები. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ. ალბათ, მათი ვალიდან ვერასოდეს ამოვალ...

**— გაგიგე ინგა გრიგოლია თქვენი ერთ-ერთი შვილის ნათლია ყოფილა.**

— დიას, სალის ნათლიაა. ყველას კარგი ნათლიები ჰყავს, მაგრამ ინგა მათ შორის, ერთადერთი ცნობილი ადამიანია.

**— ხშირად ნახულობს ნათლია ნათლულს?**

— არა, ჯერ არ ყოფილა. მაგრამ იმედია, მოვა. კარგად მესმის მისი — იმდენად დაკავებულია, რომ ვერ იცლის ბევრი რამისთვის. ისე, ძალიან ყურადღებიანი. ხშირად რეკავს და კითხულობს ნათლულს. მთავარია, ბავშვი თავის ნათლიას ცნობს. როგორც კი ინგა ტელევიზორში გამოჩნდება, სალი მაშინვე გაჰყვირის — ეს ინგა ნათლიააო!..

**— ბავშვებს თუ აქვთ სპორტისადმი მიდრეკილება?**

— კახი ფეხბურთზე დადის. საბაზე ჯერ ვერაფერს გეტყვი, მაგრამ დაბადებიდან დღემდე, შტანგისტის ტანი აქვს.

**— ოჯახში რომელი უფრო კონფლიქტურია?**

— მე (იციინის) ვაღიარებ, რომ ცოტა ჯუჯულუნა ვარ. ყველაზე მეტად იმაზე ვბუზღუნებ, რომ დილით მიდის სახლიდან და ძალიან გვიან ბრუნდება.

**— სახლში შემოსული, პირველ რიგში, რას ითხოვს?**

— თუ შია — საქმელს.

**— შენ მიერ მომზადებული კერძებიდან, ყველაზე მეტად რომელი უყვარს?**

— აბსოლუტურად ყველაფერი მოსწონს. წუნია საერთოდ არ არის, რაც არის, იმას ჭამს.

**— თავად თუ შეუძლია რაიმე კერძის მომზადება?**

— კი, როგორ არა?.. გიორგის ყველაფრის კეთება შეუძლია. პირადად მე, ძალიან მიყვარს მისი გაკეთებული მაკარონი, ხახვში, სუნელსა და ნიორში. ზუსტად ვერ გეტყვი, როგორ მზადდება, მაგრამ რაც მთავარია, ვიცი, რომ მაკარონს არ ხარშავს, უმს პირდაპირ ბრანავს.

**— რეცეპტს არ გასწავლის?**

— კი, მაგრამ მე არ მომსურვებია, იმიტომ, რომ ვიცი, ისეთი გემრიელი მაინც არ გამომივა. ამიტომ მიჩვენებია, თვითონ გააკეთოს.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— მეგობრებთან დავდივართ ხოლმე ბარესტორნებში არ დავდივართ, მაგრამ მეგობრებთან გართობა ორივეს ძალიან გვიყვარს.

**— ახალ წელს სად შეხვდით?**


— ოჯახში. სტუმრად მყავდა მავლი, მავლიშვილი და მულიშვილები. მიყუსხედით სუფრას და მშვენიერი დრო ვატარეთ.

**— მომავალში, კიდევ თუ აპირებთ შვილის ყოლას?**

— რა ვიცი, არა მგონია. იმიტომ, რომ ძალიან დამძლეულია. მიუხედავად იმისა, რომ შვილი უდიდესი ბედნიერების მომტანია და დიდი სიმდიდრეა, მაინც იმდენად დამძლეულია, რომ არა მგონია, მესუთუხე ვიფიქრო.

**— დაბოლოს, რას ურჩევ ახალშეუღლებულებს?**

— მხოლოდ ერთ რამეს — იყავით თბილები ერთმანეთის მიმართ.



აბა, რომელი სიდედრი და სიმამრი არ იამაყებს ასეთი სიძით?!



მთავარია, ბავშვი თავის ნათლიას ცნობს. როგორც კი ინგა ტელევიზორში გამოჩნდება, სალი მაშინვე გაჰყვირის — ეს ინგა ნათლიააო!



„თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ნამდვილი ზამთარი. თქვენ არ გაგიტარებიათ ახალი წელი შორეულ ციმბირში, იქ, სადაც პოლიტიკატორები იყვნენ გადასახლებულნი. იქ არც სათამაშოები იყო და არც ტკბილეული...“ — ამბობს ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, რომელიც ყოველ ახალ წელს სიხარულით ელოდება, რადგან ფიქრობს, რომ ყველაფერ ცუდს ძველს გაატანს...

## თვითნებადი თქროს სეფესყრედ მიღებულ ერთი ფილა მოკლედ ფე მოტვიფლო - ჭანინი კეტი, რომელმაც შეიქმნა ახალი კედეინი

ისტორია იცით?

— როგორც ვიცი, მისი თავანისცემის წესი ევროპაში ძველმა გერმანელებმა შემოიტანეს. მათ სწამდათ, რომ სურნელოვან ნაძვში კეთილი სული ცხოვრობდა. მერე ნაძვის თავანისცემის წესი პოლანდიელებმა, ინგლისელებმა და სხვებმა გადაიღეს და ის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ახალგაზრდობის სიმბოლოდ იქცა.

— მე კი ვიცი, რომ ნაძვის ხეზე ნორვეგიელები ნანადირევს — მანვს, მელას, კურდღელს კიდებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ უვლიდნენ გარს ნაძვის ხეს — მღეროდნენ, სვამდნენ, ღრეობდნენ... საქართველოში ნაძვს ყველგან შეხვდებით, მაგრამ სახალწლო ნაძვის ხის რიტუალი სხვა ქვეყნებთანაა გადმოტანილი.

— რა ასოციაციას იწვევს თქვენში ახალი წელი?

— ეს ის დღესასწაულია, რომელიც დიდსა და პატარას უხარია. ამ დღეს, რაღაც ახალს ელოდები. ახალ წელს ჩემი დაუშრეტელი ოპტიმიზმი თითქოს ხელახლა ივსება და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ასაკში ვარ, ისე ველოდები ახალი წლის დადგომას, როგორც ბავშვობაში ველოდებოდი ხოლმე.

— თქვენ დაუშრეტელი ოპტიმიზმი ახსენეთ. თოვლის ბაბუასაც ხომ არ ელოდებით, რომელმაც საჩუქარი უნდა მოგართვათ?

— როცა არავის არაფრის სჯერა, მაშინაც კი არ ვკარგავ რწმენას. იმდენად მძიმე ბავშვობა მქონდა, რომ აქედან გამოსავალს ოცნებების სამყაროში ყოფნით ვპოულობდი ხოლმე. ოცნებები კი, ბუნებრივია, ოპტიმიზმით იყო აღსავსე ფიქრით, დარდით, ჯავრით ვერაფერს მიაღწევ ვიცი, რომ ღვთის განგების გარეშე, არაფერი ხდება და მივენდობი უფალს. იცით, ასე ცხოვრება უფრო იოლიცაა, ვიდრე თვითგვემაში... რაც შეეხება თოვლის ბაბუას — არ მიმაჩნია საჭიროდ, რომ ის მაინცდამაინც ახალ წელს მოვიდეს, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თეთრი წვერი, ეცვას წითელი მანტია. მე თოვლის ბაბუაში ვხედავ კეთილ, კარგ ადამიანებს, რომლებსაც მოაქვთ სიკეთე. ის შეიძლება გამოგვცხადოს ზაფხულის თვეებში და დაგასაჩუქროს... ხომ ხედავთ, აქაც ოპტიმიზტი ვარ (იცინის).

— როდის დაგასაჩუქრათ რეალურად ასეთმა თოვლის ბაბუამ?

— ციმბირში, ახალ წელს საინტერესოდ დამაჯილდოეს. სადღესასწაულო განწყობილება ტუსალების დასახლებაში, სადაც მხოლოდ 2 ბავშვი (მე და ერთი რუსის ბავშვი) იყო, არავის ჰქონდა. ერთ დღეს ვიპოვე ბრწყვიალა ნივთი და ამით გახარებულმა ის ოქროს საბადოს უფროსს ვაჩვენე, მან ნივთი გამომართვა და შემეპო: ყოჩაღ, ყოჩაღ, გოგონი! შენ არ იცი, რამოდენა სიმდიდრე იპოვეო — და ერთი ფილა მოკლადი მაჩუქა. ციმბირში მოკლადი ძალიან ძვირფას რამედ მიმაჩნდა, სიხარულით ვტკობდი. მერე, ჩემი სახელი რადიოშიც გამოაცხადეს და ჩემი საოცარი პატიოსნება აღნიშნეს. თურმე, თვითნაბადი ოქრო მიპოვია.

— ახლა რომ იბოვით, რას იზამთ?

— საჩქაროდ გადავადნობ და გაჭირვებულებს დავეხმარები. მაშინ გულუბრყვილო ვიყავი. დღეს მასში ერთ ფილა მოკო-



5 წლის ვიყავი, როცა მამა დააპატარავრეს და მთელი ჩემი ოჯახი ციმბირში აღმოჩნდა

ლადზე მეტს ხომ მომცემენ!.. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ამირჩიეს — „უკიდურესად გაჭირვებულთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის“ გამგეობის წევრად... — რას საქმიანობს ეს ფონდი?

— ძველით ახალ წელს წყნეთის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. შემდეგ კი, ლისის ტბის მახლობლად მცხოვრებ, სტიქიით დაზარალებულ...

### ლიკა ქაჩაია

— ბევრმა ადამიანმა იცის ჩემი ბიოგრაფია, მაგრამ არავინ იცის ის, რაც მ წლის ასაკამდე გადავიტანე... 5 წლის ვიყავი, როცა მამა დააპატარავრეს და მთელი ჩემი ოჯახი ციმბირში აღმოჩნდა. იქ გაჩნდა ჩემი პატარა ძმა... მე რეალურად შევიგრძენი ყველაფერი ის, რის იმიტაცისაც საქართველოში ვაკეთებთ — ზამთარი, თოვლი, ნაძვის ხე და ა.შ. ახალი წლის დღესასწაულისათვის 3-4 დღით ადრე ვიწყებდით მზადებას. თოვლისგან ვაკეთებდით თოვლის ბაბუას — ჯერ ტანი, მერე — თავი, რომელსაც ვუკეთებდით თვალებს, ცხვირს და სხვა. ვიცოდით, რომ ის ძალიან დიდხანს არ დადნებოდა.

— მაშინ თოვლის ბაბუას არსებობის გვეუროდათ, არა?

— თოვლის ბაბუა რეალური პიროვნება მეგონა, რადგან ახალი წლის ღამეს, მის როლს დედაჩემი საკმაოდ ოსტატურად ასრულებდა, ბალიშის ქვეშ საჩუქარს მიდებდა.


— ნაძვის ხესაც რთავდით ხოლმე?

— ციმბირში ყოფნის დროს, არავითარი სათამაშო არ მქონდა. არ მქონდა ის, რითიც დღეს ბავშვები ასე განებივრებულიები არიან და როგორც ახლა ვხვდები, ეს უფრო აღვივებდა ჩვენი ფანტაზიის უნარს და მუყაოსგან, ხის ნახერხებისგან, ბურბუშულებებისგან ვაკეთებდით რაღაცებს, რასაც შემდეგ, ნამდვილ ნაძვის ხეზე ვკიდებდით. ეს ყველაფერი უდიდესი შემოქმედების ტოლფასი იყო... ნაძვის ხეზე ვკიდებდი ყველაფერ იმას, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო. დედას ჰქონდა მამის ნაჩუქარი გულსაკიდი, რომელსაც სასოებით ინახავდა. მაშინ არ მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ეს ნივთი მისთვის. ერთხელაც, ეს გულსაკიდი მოვპარე და ჩემს ნაძვის ხეზე ჩამოვკიდე... თქვენ ნაძვის ხის

ბულებს; უბინაოდ დარჩენილებს გავუნევთ დახმარებას და ა.შ. ამ ფონდის გამგეობის წევრების ასარჩევად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა (სატელეფონო), კანდიდატთა სიაში დასახელებული იყო 25 თუ 27 ადამიანი და რატომღაც ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ჩემს კანდიდატურას. ამან ძალიან გამახარა...

— **ხომ ვერ გაიხსენებთ ახალ წელს, რომელიც არასდროს დაგავიწყდებათ?**

— ციმბირული პეიზაჟები დამიღგა



პაგარა გიორგი დანელია მამასთან ერთად

დიოდნენ და ყვიროდნენ: ნუ გეშინიათ, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე ჩვენს მხარესააო!.. ბოლოს, ყველანი შეგგვკრიბეს და გამოგვიცხადეს: მართალია, დიდი რისკია, მაგრამ სამშობლოსკენ უნდა დავიძრაოთ. მატარებელი ლტოლვილებით აივსო. ზოგი სახურავზე იჯდა, ზოგი — კიბეზე და ა.შ. მატარებელი მილოლაგდა, ყოველ 10 წუთში ჩერდებოდა, რადგან რკინიგზას ბომბავდნენ. ჩვენ ვაგონის სკამებზე ვიმალებოდით. მთელი 3 კვირა, თითქმის მშვირვები ვიყავით, ნამცეცებით ვიკვებებოდით. ამ მგზავრობის დროს, წყალიც კი შემძულდა, რადგან მას საშინელი გემო და სუნი ჰქონდა... მახსოვს, როგორ შემოვიდა მატარებელი თბილისში, უცებ ვიგრძენი საოცრად თბილი ჰავა... ყველანი ვტიროდით, ტიროდნენ ჩვენი მშობლებიც, რომლებსაც დაღუპულები ვგონეთ... ასეთია ჩემი ცხოვრება — ყოველ სიხარულს რაღაც უსიამოვნება მოსდევს. საუბარში ქალბატონი ლეილა შვილიშვილი, 4 წლის **გიორგი** ჩავგვრთო:

— იცით, ნაჭვის ხე მე მოვრთე! მიხარია ახალი წელი...

— **რატომ გიხარია?**

— იმიტომ, რომ ახალი წელია, თან, ძაღლის წელი ყოფილა... იცი, მე ვინ უნდა გამოვიდე?

— **ალბათ, ბებოსავით მსახიობი უნდა გამოვიდე, არა?**


— არა, მე ბაბუსავით ექიმი გამოვალ. იცი, ვინ არის ჩემი ბაბუ? ის ცნობილი ექიმი, ბიჭიკო დანელიაა და მეუბნებიან, რომ ჩემს გვარში ყველა ექიმი ყოფილა...

— **ქალბატონო ლეილა, კინოგადაღებებიდან ზამთართან დაკავშირებულ რაიმე კუროზს ხომ ვერ**



კადრი ფილმიდან „ხევისბერი გოჩა“ (ნუგზარ შარიასთან ერთად)

თვალნინ — ნამდვილი თოვლით დახუნძლული ნაძვის ხე, მისი სურნელება. იქ მქონდა ბედნიერება, ვმჯდარიყავი მარხილში, რომელშიც შებშული იყვნენ ძაღლები, ირმები... თუმცა, საქართველოშიც მქონდა ძალიან ბევრი დაუვიწყარი ახალი წელი. 8 წლის ვიყავი, როცა მხატვრულ ფილმ „ქაჯანაში“ გადავიღეს. ახალ წელს მე და ქაჯანას როლის შემსრულებელი თენგიზ ამირანაშვილი კინოსტუდიის ეზოში (სადაც დიდი ნაძვის ხე იდგა) დაგვაჯილდოეს — მოგვცეს ბავშვთა ბანაკ „არტეკის“ საგზურები და ოქროს საათები. ასე რომ, ოქროს დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში (იციინის)... „არტეკში“ ჩვენთან ერთად მოდიოდნენ გიზი ამირეჯიბი (პროფესორი, ცნობილი პიანისტი. — ავტ.) და რეზო თაბუკაშვილი. ეს ბავშვთა ბანაკი ყირიში იყო. ჩავდით თუ არა, იმ ღამესვე ყუმბარების აფეთქების ხმა გაისმა. ეს იყო 1941 წლის 22 ივნისს — საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის პირველ დღეს. „არტეკში“, ჩვენ გარდა, იმყოფებოდნენ ბავშვები მთელი საბჭოთა კავშირიდან — შუა აზიიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, რომელთა ნაწილმა იმწუთას დაკარგა სამშობლო, მშობლები... იყო გლოვა, გოდება. ჩვენც ვტიროდით. გვითხრეს: შავი ზღვით ვერ წაგიყვანთ, შემოვლითი გზით უნდა გავალწიოთ აქედანო. ჯერ მოსკოვში უნდა ჩავსულიყავით, მერე, მატარებლით, ბაქოში ჩავიდოდით, იქიდან კი თბილისში წამოვიდოდით... როგორც იქნა, მოსკოვამდე ჩავალწიეთ. შეგვიყვანეს მეტროში, რომელიც გადაჭედილი იყო ჩვენნაირი ლტოლვილებით. საშინლად ციოდა, ბავშვებს ნუგეშისმცემელიც არავინ გვყავდა, ერთმანეთს ვათბობდით. ვილაცხები და-



ამ ბოლო ფრაზების გაგონებაზე, 4 წლის გიორგის თვალები გაუბრწყინდა

**გაიხსენებთ?**

— „ხევისბერ გოჩას“ ვიღებდით. ხომ გახსოვთ ის კადრი, როცა ონისე და ძიძია მარხილით მიჰყავთ? „მოემზადე!“ — იყვირა რეჟისორმა სანიშვილმა. ცხენები პროექტორის შუქმა დააფრთხო. რაღაც ძალამ მარხილიდან ამომავდო, ჩემი თეთრი საქორწინო კაბით, ჰაერში ავვარდი და სადღაც მოშორებით თავით ღრმად ჩავერქვე თოვლში. გადაღებები ყაზბეგში მიმდინარეობდა. როცა გონს მოვედი, დავინახე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და მისუსტებული ხმით ვიყვირე: მიშველეთ-მეთქი! კარგა ხნის მერე შევნიშნე სინათლე. თურმე, დავიკარგეთ თუ არა (მე და ონისეს როლის შემსრულებელი, ნუგზარ შარია), მაშინვე ანთეს ჩირაღდნები; დაბეჯილ-დამტვრეული ნუგზარი კი იბოვეს, მაგრამ მე ვერ მომაგნეს; დაინახეს — როგორ აფერინდი ცაში და გაუჩინარდი... ბოლოს, ერთ-ერთმა ჩვენთანა ჯანაინმა კაცმა, სახელად მოცლილომ მიპოვა. თვალები გაუბრწყინდა. მკითხა: ცოცხალი ხარო? მივაძახე: მარტო არ დამტოვო, ცოცხალი ვარ და მიშველეთ-მეთქი... თოვით ძლივს ამომიყვანეს... შემდეგ გადაღებაზე, მარხილში, ცხენების ნაცვლად, ჩვენი ჯანიანი მოცლილო შეაბეს.

— **რას უსურვებდით ახალ გაზრდობას?**

— გრიშაშვილის ლექსს მოვიშველიებ: „ქართველი ერისთვის ერთი რამ მსურს/ მივსდევდეთ ცოდნას და ვებრძოდეთ შურს“. შური დაავადებაა, რომელიც აკნინებს ადამიანის სულს. ყველას უსურვებ მეტ გამძლეობას, ღრმა ცოდნის შექენას, ბედნიერ მომავალს. თუმცა, საქართველოში ცხოვრება ხომ თავისთავად ბედნიერებაა!..

*P.S.* ამ ბოლო ფრაზების გაგონებაზე, 4 წლის გიორგის თვალები გაუბრწყინდა, წინ დამიღგა და გულზე ხელდადებულმა, ეროვნული ჰიმნი მიმღერა...



### ნათია ქვიციანი

— ხატია, ვისთან ერთად და სად შეხვდი ახალ წელს?

— ახალ წელს, მე და ჩემს ძალიან ახლო მეგობარს, შორენა ნარმანიას, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობს, გვინდოდა, შინ შევხვედროდით, მაგრამ არ გამოგვივიდა და გზაში შევხვდით. თბილისიდან ნავისში ერთ-ერთ რესტორანში მივიღოდი, 12 საათამდე იქ ასვლა ვერ მოვასწარი და ახალ წელს, გზაში შევხვდით. ამიტომაც ჩემი რიტუალი ვერ ჩავატარე. ყოველ ახალ წელს, სურვილს ვწერ ფურცელზე, მერე ამ ფურცელს ვწვავ, ფერფლს შამპანურში ვყრი და ვსვამ. მხოლოდ ის მოვახერხე, რომ 12-ს ერთი წუთი რომ აკლდა, სურვილი ჩავიფიქრე და იმედი მაქვს, რომ ამისრულდება...

— შამპანურთან ერთად ფერფლს რომ სვამდი, ის სურვილები გახდებოდა ხოლმე?

— რასაკვირველია. ორი წელი, სისტემატურად ვატარებდი ამ რიტუალს და ორივე სურვილი ამიხდა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ეს სურვილიც ამიხდება, მიუხედავად იმისა, რომ ფერფლის დაღვევა ვერ მოვახერხე.

— ვერ გაგვიმეღ, რა ჩაიფიქრე?

— ვერა. რომ გავამხილო, არ ამისრულდება. ჩემს სხვა საახალწლო სურვილებს გეტყვი: მინდა, ცხოვრებაში ამის შემდგომ საფეხურზე ავიდე. ის, რაც აქამდე იყო, უკვე გავილია და მომზებრდა, ამიტომ პირად ცხოვრებასა და კარიერაშიც მინდა, წინ წავიდე. მინდა, რადგან ახალი წელი მოვიდა, ჩემი ცხოვრება აბსოლუტურად ამოტრიალდეს. მაიმუნის წელში ვარ დაბადებული და იმ წელს, თავზე დამეხსო ყველაფერი. მერე, მამლის წელიწადში ამ ყველაფრის განეიტრალება

თბილისში ცნობილი „სტერვა“ ხატია სიმინაპა სხვაზეც ბევრს ჭორაობს და შესაბამისად, მასზეც უამრავი ჭორი გრცელდება: ხან ვის შეყვარებულად ასაღებენ და ხან ვის ცოლად თუმცა, ხატია არ გათხოვილა და როგორც თავად აღნიშნა, ჯერჯერობით არც აპირებს, მაგრამ იმის გამო, რომ ძაღლის წელიწადი ერთგულების წელია, უნდა, რომ შეყვარებული იყოს. აი მისი „შეყვარებულიობის კანდიდატის“ ვინაობას კი საიდუმლოდ ინახავს. ჩაუთქვა თუ არა მან საახალწლო სურვილი, რა აკავშირებს „შაბათის შოუს“ ბიჭებთან და ვისი მძიმე ხასიათია მისთვის ასატანი? ამ კითხვებზე პასუხებს მის ინტერვიუში იხილავთ.

## „თუ სუსტი აღკვეთიანი ხარ, კოკულარობა ხელს შეგიწყობს იმასში, რომ გასწავლი ილიოტი...“

მოხდა და ახლა ზუსტად ვიცი, რომ ჩემი აღმასვლის წელია...

— მოდი, ჯერ კარო ერთზე ვილაპარაკოთ. რატომ დაიხურა გადაცემა

— „სანამ შენ გეძინა“ და ამ ეტაპზე, რა ურთიერთობა გაქვს ირინკა ხომასურიძესთან?

— ვფიქრობ, რომ საქართველოს სატელევიზიო სივრცეში ჩვენნი ირინკა საერთოდ არ არსებობს. უბრალოდ, ირინკა ჩვენთან ალბათ, რაღაცამ არ დააკმაყოფილა და „202“-ზე წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დუეტში აღარ ვმუშაობთ, ხალხი რატომღაც, ისევე დუეტად აღგვიკვამს: სულ ერთად გვხვდავენ, იმის გამო, რომ უახლოესი დაქალები ვართ. მოგვიანებით, ირინკამ ისევე გადამწყვიტა ჩვენთან დაბრუნება. იმავე გადაცემით უნდა დაგებრუნებულიყავით ეთერში და კიდევ სხვასაც ვგეგმავდით, მაგრამ მერე, ისევე რაღაც მოხდა, რაც ალბათ, ფინანსებთან იყო დაკავშირებული და ირინკა ისევე „202“-ს დაუბრუნდა. ასე, მორბენალი სტრიქონივით, წინ და უკან დარბის. ამას ხელი არ შეუშლია იმიტისთვის, რომ ოდესღაც შესაძლოა, სულ სხვა სატელევიზიო სივრცეში ისევე დუეტად „გავიჩინოთ“...

— როგორც მახსოვს, ახალ გადაცემას გეგმავდით, რომელსაც „ფაფტონი“ უნდა რქმეოდა. რატომ გადაიფიქრეთ?

— არ გადაგვიფიქრებია. ეს გადაცემა არის ემტი-ვის ფორმატის — არის „ლაივები“ კლუბებიდან, რესტორნებიდან და ა.შ. ალბათ სულ ცოტა ხანში, განხორციელდება კიდევ. თუმცა, ჩემი პარტ-

ნიორი, ირინკა არ იქნება. ამ გადაცემის იდეა მე არ მეკუთვნის, ეს არის ბატონი დავით ზიმილიანის პროექტი. ამ ეტაპზე რა გადაცემებსაც ვუძღვები, ორივე, საავტორო პროექტია, რაშიც ზუსტად ის ჩავედ, რაც მჭირდებოდა. მაგრამ არ მაკმაყოფილებს სტუდიები და შესაბამისად, ალბათ მალე გამოვცვლი და ძალიან ბევრ სიახლესაც შევმატებ.

— მახსოვს, ადრე ამბობდი — შესაძლოა, „პირველი სტერეოდა“ სხვა არსებ გადავინაცვლოო. არის ამის პერსპექტივა?

— არა. ჯერ არანაირი ისეთი შემოთავაზება არ მაქვს, რომ ამაზე უკეთეს ადგილას გადავიდე. აქაც საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს, ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში. თუ ვინმე რაიმეს შემომთავაზებს, ამ არსს არც მაშინ მივატოვებ დაუფიქრებლად, რადგან ბატონ დათოსთან ძალზე კარგი, მამაშვილური ურთიერთობა მაქვს და ამიტომ, ჯერ მას მოველაპარაკებ.

— როგორც ერთ-ერთი გასართობი გადაცემის ავტორი და წამყვანი, ზოგადად, რას ფიქრობ საქართვე-



იმ წელს, თავზე დამეხსო ყველაფერი. მერე, მამლის წელიწადში ამ ყველაფრის განეიტრალება მოხდა და ახლა ზუსტად ვიცი, რომ ჩემი აღმასვლის წელია...



**ლოს ტელესივრცეში არსებულ გასართობ გადაცემებზე?**

— ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, რომ შეიქმნას ერთი, ემ-ტი-ვის ფორმატის ტელევიზია, თავისი კარგი დაფინანსებით, კარგი სტუდიებით და კარგი იდეებით სავსე არხი. ეს კარგი იქნება არა მხოლოდ ნამყვანებისთვის, არამედ მაყურებლებისთვისაც, რადგან ისინი გემოვნებიან მუსიკას მოუსმენენ და კარგ რაღაცებსაც ნახავენ. რაც შეეხება „შაბათის შოუს“ — მიმაჩნია, რომ ეს საერთოდ, უნიკალური შემთხვევაა საქართველოში. დღეს არსებული ყველა გასართობი პროგრამა რომ დაიხუროს და მხოლოდ „შაბათის შოუ“ დარჩეს, მაინც ძალიან მაგარი იქნება. ეს არის ის, რაც მაყურებელს ახალისებს და ხალხს უნდა.

**— მის მონაწილეთაგან რომელიმეს ხომ არ იცნობ?**

— რა თქმა უნდა. ვანო ჯავახიშვილს ვიცნობ და კარგი ურთიერთობაც მაქვს მასთან. ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ასეთივე განწყობილება მაქვს მიშა ანდლულაძის მიმართაც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ვიცნობ.

**— დაგუბრუნდეთ შენს გადაცემას ვინ ზრუნავს შენს ჩაცმულობაზე?**

— საერთოდ, რომ იტყვიან — თვალი ქაბს და თვალი სვამს, — ამიტომ, იმაზეც ბევრია დამოკიდებული, თუ რა ეცმევა ნამყვანს. ის გემოვნებით უნდა იყოს ჩაცმული, არ უნდა ეცვას შავი, ან „სერი“ ტანსაცმელი და თვითონ მან უნდა შეიტანოს ფერადოვნება გადაცემაში. ამ მხრივ, დიდ პატივს ვცემ ნანუკა ჟორჟოლიანს. ყოველთვის კარგად გამოიყურება და გემოვნებით აცვია. ჩემს ჩაცმულობაზე მე თვითონ ვზრუნავ და სულ ვცდილობ, მაყურებელს ნეგატიური ემოციები არ აღვუძრა. ამიტომ არის, რომ ყოველთვის, ფერადი ტანსაცმელი მაცვია.

**— გადაცემაში — „სანამ შენ გეძინა“ — სათვალე შენი და ირინკას განუყოფელი ატრიბუტი იყო ახლა მარტო დარჩი და მაინც სულ სათვალით ხარ, რატომ?**

— რამდენჯერმე გამოვიჩნდი ევრანზე და მაყურებელმა ვერ აღმიქვა უსათვლოდ. ვფიქრობ, სათვალე რომ მოვიხსნა, უბრალოდ, იმიჯს დავეკარგავ და ის ინტრიგა აღარ იქნება ჩემს გადაცემაში, როგორც ახლა დევს. ასეთ შემთხვევაში, სხვა რამეში უნდა ჩავდო ინტრიგა, რაც ჯერჯერობით მეზარება. ჯერ გადავხალისებთ სტუდიას და მერე ალბათ, მოვიხსნი სათვალეს. მაყურებელიც დაინახავს, რომ ცალი თვალი შუშის მაქვს და ელაში ვარ... ასე ფიქრობენ ახლაც და მე ვუდასტურებ ხოლმე.

**— „შაბათის შოუ“ ძალზე „აქტუალურად“ ხუმრობს ხოლმე შენი სათვალის გამო. ეს ხომ არ გაღიზიანებს?**

— გამარჯობა, საყვარელოოოო!.. ასე ხუმრობენ. მათი საახალწლო კონცერტი რომ გადიოდა ეთერში, მთელი საქართველო

ლო მირეკავდა — ნახე, შენზე ხუმრობენო. მაგარი ლადაობა იყო... ირინკა დღემდე ნანყენია — რატომ ვარ „კრაკადილიო“?! მე არაფერი მწყენია. ეგ „სასტავი“ თუ ჩემზე იხუმრებს, მწყინს კი არა, მაგრად მიხარია, რაც არ უნდა თქვან.

**— თანდათან, უფრო პოპულარული ხდები. რა შეგრძნებას იწვევს ეს შენში?**

— ძალიან ბევრი ადამიანი პოპულარობამ გზიდან ააცდინა, რადგან მათ თავში აუფარდათ. მე ვფიქრობ, რომ პოპულარობა არის ხალხის სიყვარული, რომელიც სწორად უნდა გამოიყენო და თავში არ უნდა აგივარდეს. თუ ხალხს არ უყვარხარ, ესეც უნდა გამოიყენო, ოღონდ — შენს სასარგებლოდ. თუ მაყურებელი ოდნავ მაინც შეგატყობს, რომ რაღაც თავში აგივარდება, ჩათვალე, რომ მაშინვე შეგიძლებს და აღარც გიყურებს. ვერ ვიტან „ტიპობას“ და ასეთ სიტუაციებს ვერიდები ხოლმე. მთავარი ის არ არის, რომ ხალხი გცნობს — მთავარია, შინაგანად ვინ ხარ. თუ სუსტი ადამიანი ხარ, პოპულარობა ხელს შეგიწყობს იმაში, რომ გახდე იდიოტი.

**— მიუხედავად იმისა, რომ „სანამ შენ გეძინა“ აღარ არის, მაინც „სტერვა“ ხატისა იმიჯით სარგებლობ და შენც ხშირად უსვამ ამას ხაზს. რატომ გინდა „სტერვობა“?**

— ვფიქრობ, მე და ირინკა „სტერვები“ რომ არ ვყოფილიყავით, ასე კარგად ვერ მოვირგებდით ამ გადაცემას. მგონი, ჩვენმა ხასიათმა უფრო შეუქმნა გადაცემას იმიჯი და არა — პირიქით. ქართულ ტელესივრცეში ვინც მესიჯებს კითხულობს — ანუ „ჩაბზე ზის“, — მათ შორის არავინ არასოდეს კითხულობდა საკუთარ თავზე მიღებულ ცუდ ეს-ემ-ესს. თუ დააკვირდები, ამ ბოლო დროს, ეს შეიცვალა და უკვე ყველა კითხულობს. საერთოდ, გაბოროტებული ადამიანი გიგზავნის ცუდ მესიჯს, ვთქვათ — „შენ ხარ მახინჯი“. ამით მას სურს, ხასიათი გაგიფუჭოს. როცა შენ აჩვენებ, რომ ეს შენ საერთოდ არ გიფუჭებს ხასიათს და ამაზე ლადაობ კიდევ, მერე მას ეკარგება სურვილი, კიდევ გამოგიგზავნოს მსგავსი შეტყობინება. თავიდან რომ ვკითხულობდი — „თქვენ ხართ „კრაკადილები“, — ირინკა გაცემული მიყურებდა, მეუბნებოდა — რას კითხულობო?! მერე, რომ მიხვდა, ამაზე შეიძლებოდა, მაგრად გველადავა, თვითონაც დაიწყო ასეთი გზავნილების კითხვა.

**— როგორც ვიცი, ცხოვრებაში არც ისეთი „სტერვა“ ხარ.**

— გააჩნია, ვისთან. ზოგჯერ, ისეთი „სტერვა“ და ისეთი აუტანელი ვარ, რომ ვერც წარმოიდგენ, მაგრამ ასე საყვარელ ადამიანებთან არ ვიქცევი.

**— მასსოვს, ადრე მეუბნებოდი**

**— ვეძებ ისეთ ადამიანს, რომელიც ჩემს ხასიათს აიტანსო. იპოვე?**

— (იცინის) იმის გამო, რომ 2006 — ძალის წელია და ეს ერთგულების წელი იქნება, ძალიან მინდა, რომ შეყვარებული მყავდეს. თან ვფიქრობ, უკვე ამის დროა, რადგან არც ისე პატარა ვარ... მინდა, ადამიანმა ჩემზე იზრუნოს და მისთვის ძვირფასი ვიყო, ოღონდ, მეც უნდა მიყვარდეს, თორემ, ისე, ბევრს ვუყვარვარ... ყველაზე მაგარი კი ის არის, რომ იმის მაგივრად, მომეძებნა ადამიანი, რომელიც ჩემს ხასიათს აიტანდა, მომეძებნე ადამიანი, რომლის ხასიათსაც მე ვიტან. ვერ ვიტყვი, რომ მაგრად ვარ შეყვარებული და გათხოვებას ვაპირებ, მაგრამ არსებობს ადამიანი, ვისთვისაც ყველანაირი „სტერვობის“ ხალისი დავეარგე და ჩემდა გასაოცრად, ძალიან



იმის მაგივრად, მომეძებნა ადამიანი, რომელიც ჩემს ხასიათს აიტანდა, მომეძებნე ადამიანი, რომლის ხასიათსაც მე ვიტან

რბილი და თბილი ვარ. ასეთი მართლა არასოდეს ვყოფილვარ.

**— ყოველთვის ასაიდუმლოებ შენ შეყვარებულის ვინაობას. რატომ?**

— წარმოიდგინე, ამ ინტერვიუს რამდენი ადამიანი კითხულობს, რამდენი თვალთვალს შეიძლება, ისეთი თვალი მოხვდეს ჩვენს ურთიერთობას, რომ ხვალისა, საერთოდ, ველარასოდეს ვნახო: მე თვალის ძალიან მჭერა. საერთოდაც, შენს პირადულზე ნაკლებად უნდა იჭროაო. გარდა ჩემი პირადი ცხოვრებისა, ყველაფერზე ვჭორაობ...

**— და შენზეც ჭორაობენ. ყველაზე სკანდალური ჭორი თუ გასწენდება?**

— ჩემზე მართლა ბევრს ჭორაობენ. ჩემს ძალიან ახლო მეგობარზე დამაქორწინეს, რომელთანაც მეგობრობის გარდა, მართლაც, არაფერი მაკავშირებდა. მით უმეტეს, რომ მას ოჯახი აქვს. თუმცა, ამაზე პრეტენზია არ გამომიტყვამს. როცა მე ვჭორაობ სხვაზე, იმ სხვასაც ვაძლევ უფლებას, რომ ჩემზე იჭორაოს. კი, ბატონო — დამისვან კითხვა, ესა თუ ის ამბავი მართალია თუ არა, და მეც გულახდილად გავცემ პასუხს. ჭორები არ მალეღვებს, ის მალეღვებს, ზურგს უკან რომ ლაპარაკობენ...

# ყველაზე მაღლა, ყველაზე ნორჩად, ყველაზე იტალიანად...



## უსწრაფესი ავტომობილი-ამფიბია

ამ უჩვეულო სატრანსპორტო საშუალებით ლა-მანში გადაცურა ბრიტანელმა რიჩარდ ბრენსონმა. მან 2004 წლის 14 ივნისს, ბრიტანეთის ქალაქ დუვრში აიღო სტარტი და საფრანგეთის ქალაქ კალემდე 1 სთ-ში, 40 წთ-სა და 6 წმ-ში მიაღწია. ამფიბიით, რომელსაც „გიბს აკუადე“ ჰქვია, ჩვეულებრივი ავტომანქანების მსგავსად, ქალაქის ქუჩებში მოძრაობაც ნებადართულია.



**მსოფლიოში უნიკალური კოლექციების შედგენილებს შორის ჩამყვანი აქამონი გამოირჩევა:**

### ლუდის ბოთლები

ამერიკელი რონ ვერნერი 1982 წლიდან აგროვებს ლუდის ბოთლებს. ამ ხნის მანძილზე მან 16321 ცალს მოუყარა თავი. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი ის გახლავთ, რომ მათ შორის 10755 — გაუხსნელია.

### სალეჭი რეზინის შიკვრა

ინგლისელმა ხატვის მასწავლებელმა სალექი რეზინის შეკვრების შეგროვებას 1980 წელს მიჰყო ხელი და რეკორდების დაფიქსირებისას, უკვე 5100 ცალი ჰქონდა.

### სანოვარები

პაკისტანელი ექიმი მუჰამედ მუსტანსარი, რომელიც ქალაქ ლახორის ბავშვთა ჯანმრთელობის ინსტიტუტთან არსებულ კლინიკაში მუშაობს, იკვლევდა იმ უბედურ შემთხვევებს, რომლებიც სანოვარას მიზეზით მოხდა. სწორედ ამის შედეგად გაჩნდა მისი კოლექცია, რომელიც სადღეისოდ, სხვადასხვა ზომისა და ფერის 1994 სანოვარას ითვლის.

### ავტომანქანების მოღალატი


ამერიკელმა მაიკლ ზარნოკმა ბავშვობიდან — 1968 წლიდან დაიწყო მოდელების შეგროვება და დღეს მას უკვე 3711 პატარა მანქანა აქვს. რეკორდსმენის თქმით, მისი საყვარელი მოდელებია: 56 Ford Panel, 65 Mustang და 70 RoadRunner.

### პასპორტები

ბელგიელი გი ვან კირი 8110 ვადაგასული პასპორტისა და სხვა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელია. მის კოლექციაში თავმოყრილია მონუმენტები, რომლებიც 130 სახელმწიფოსა და სახელმწიფო წარმონაქმნის მიერაა გამოშვებული, მათ შორის ისეთები, რომლებიც დღეს აღარ არსებობს. უძველესი დოკუმენტი 1615 წლითაა დათარიღებული.

## ყველაზე ელასტიკური კანის პატრონი



ამერიკელი ჰარი ტერნერი ე.წ. ელგერს-დანლოსის სინდრომით იტანჯება. ეს გახლავთ შემაერთებული ქსოვილის დაავადება, რომელიც კანს, შინაგან ორგანოებსა და კვანძებს აკავშირებს ერთმანეთთან. სწორედ ამის შედეგად, ჰარის საკუთარი კანის 15,8 სმ სიგრძეზე გაჭიმვა შეუძლია.



ჩურჩხელების ამოსავლები მასა	შენობის წინა ნაწილი	პირის ნაცვალ-სახელი	ვისი ძალი იყო ანგელინა (ფილმიდან)	ნადირის სადგომი	საპორტო ქალაქი იტალიაში	განსაკუთრებული
მ	ა	თ	ა	ს	ა	ს
ვარდანაშვილი	ფიცარი ფანჯრის ქვეშ	„რა? ...? როდის?“	მომავლის რწმენა	გამის ნოტი	ამაღლებული ადგილი ორატორისათვის	ძვ. ინგლისური ოქროს ფული
						შან-... ბელმონ-დო
						ძვირის ანტიონი

## აბაზანაში ყველაზე მეტ შხამიან გველთან ერთად

ჯეკი ბიბიმ (ფოტოზე) და როზი რეინოლდს-მაკასლანდმა (ორივე ამერიკელია) ერთდროულად დაამყარეს რეკორდი, რომელიც აბაზანაში შხამიან გველებთან ყველაზე დიდი ხნით წოლას ითვალისწინებდა. ორივე მათგანმა 75 უხსენებელთან ერთად წოლა გაბედეს შოუს — Guinness World Records — დროს, რომელიც ლოს-ანჯელესში 1999 წლის 24 სექტემბერს გაიმართა.




## უბრძენი ჰოთდოგი

პრეტორიის (სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა) უნივერსიტეტის სტუდენტებმა 10,5 მ სიგრძის ჰოთდოგი მოამზადეს და 2002 წლის აგვისტოში დამყარებული რეკორდი (6,9 მ) მოხსნეს. სოსისი, რომელიც სიგრძით დაახლოებით 60-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივს, 2003 წლის 18 ოქტომბერს, სასტუმრო „სონოპში“ გამოიტანეს საზოგადოების წინაშე. რეკორდული ჰოთდოგის მოსამზადებლად, სტუდენტებმა ჯერ სპეციალური ღუმელი და ბარბეკიუ დაამზადეს.

## მსოფლიოში უდიდესი უდაბნო

პლანეტის ხმელეთის თითქმის მერვედს უდრის ე.წ. არიდული ფართობი, რომლის ტერიტორიაზეც წელიწადში 250 მმ-ზე ნაკლები ნალექი მოდის. მსოფლიოში ყველაზე ვრცელი უდაბნო — ჩრდილოეთ-აფრიკაში მდებარე საჰარა გახლავთ, რომლის სიგრძეც დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე 5150 კმ, ხოლო სიგანე — ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე — 1280-2250 კმ-ს, საერთო ფართი კი — 9269000 კმ-ს აღწევს.



## საკრედიტო ბარათების უნიკალური კოლექცია

ამერიკელ უოლტერ ქევენახს, რომელსაც მეტსახელად პლასტიკ-ფანტასტიკ შეარქვეს, 1497 მოქმედი საკრედიტო ბარათი აქვს. მის ხელთ არსებული კრედიტის თანხა ჯამში, 1,7 მლნ დოლარს შეადგენს.

ბა ის	გვინეტ პელტროუ და ბრედ პიტი ფილმში	ტელეპროექტი „ნუცას ...“	საკონდიტრო სანელებელი	მწერალი ემილ ...	ძვ თბილის მიმართ- ვა	თბილისობის ტრადიციული ადგილი	სახელმწიფო აზიაში
ქაშუბი	ჩისბოფის	სვა	ანილი	ზონა	შოხი	ყა	ნი
ყო ... მაგალობე- ნი, ლმერთი ჩვენნი მწყალობელი“	მზის მოსახულობა, სიმრგვალე	ვულკანური მასა	ასტრონავ- ტი ... არმს- ტრონგი	მასალა, რომელიც დენს არ ატარებს და ამიტომ ფარავენ საგნებს	კისრის წინა ნაწილი	დაბალი, ბოხი ხმა	

## ჩაი — სასიამოვნო, სასარგებლო

### რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჩაის სმა ბევრი ადამიანისთვის დროის სასიამოვნოდ და სასარგებლოდ გატარებასაც ნიშნავს. საუბარი მშვიდ ვითარებაში კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ამ დროს, სხეული დუნდება, ორგანიზმი კი, ჩაის შემადგენლობაში შემავალ უამრავ სასარგებლო ნივთიერებას იღებს. განსაკუთრებით სასარგებლოა ბალახულის ჩაი, რომელიც ზაფხულში მოგროვებული, გამომშრალი ბალახების, ფოთლების, ყვავილებისა და ნაყოფისაგან მზადდება. არაერთი მცენარის ჩაი სამკურნალოდ გამოიყენება:

**ჟოლოს ფოთლებისა და კენკრის** ჩაის იყენებენ გაცივებისა და გრიპის დროს. ეს სასმელი ხელს უწყობს ტემპერატურის დაწევას;

**მოცხარის ფოთლების ჩაი** კარგია ანემიისა და ავიტამინოზის დროს;

**მაყვლის ფოთლების ნახარში**



სასარგებლოა გრიპისა და ანგინის დროს, ის აგრეთვე ხსნის ნერვულ დაძაბულობას. მალალი ტემპერატურის, თირკმელების დაავადებების, ანემიის დროს სასარგებლოა **მარწყვის ფოთლების ნაყენი**; **ცაცხვის ყვავილების ჩაის** სვამენ გაცივების, თავის ტკივილის დროს, თავშავას — უძილობისას, ასკილი სასარგებლოა გულის პათოლოგიებისა და ჰიპერტონიის მქონე ადამიანებისათვის;

**გვირილის ნახარში**, თუ მას გვიან საღამოს დალევთ, ღრმა ძილს უზრუნველყოფს;

**დალილობის მოსახსნელად** ამზადებენ თანაბარი რაოდენობით ალბუნი მოცხარის, ჟოლოს, მარწყვის ფოთლების ჩაის. მის დასაყენებლად, უნდა აიღოთ 3 ს/კ ნარევი, დაასხათ 1 ლ მდულარე წყალი, დააყოვნოთ 2 სთ თავდახურულ ქურჭელში, შემდეგ გადანურთ და სვით თითო ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში;

კარგი მატონიზებელი ეფექტი აქვს **კუნელის, ასკილის, შტოშის** ნაყოფისაგან მომზადებულ ჩაის. ყველა ინგრედიენტი თანაბარი რაოდენობით უნდა აიღოთ; ამ ნარევს 3-4 ს/კ-ს დაასხათ 1 ლ მდულარე წყალი, დაამატოთ 1 ჩ/კ ლიმონის წვენი, დადგათ 2 სთ-ით თავდახურული, განურთ და სვით თითო ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში. დასატკობად შეგიძლიათ გამოიყენოთ თავფილი.

## ხერხეული ყურადღებას მოითხოვს

ოსტეოქონდროზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ნებისმიერ ასაკის ადამიანს შეიძლება განუვითარდეს. ბოლო დროს კი, ცხოვრების ნაკლებმოდრავი წესისა და კომპიუტერთან ხანგრძლივად ჯდომის გამო, ეს დაავადება ახალგაზრდებშიც გახშირდა. დაკვირვებით დასტურდება, რომ ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკისათვის ყველაზე ეფექტურია მასაჟი, ვარჯიში, კისრისა და ხერხემლის თვითგაჭიმვა,

**ვა, დიეტა და ფიტოთერაპია.** მასაჟი შეიძლება თავადაც გაიკეთოთ (თვითმასაჟი), შეიძლება, ახლობელი ადამიანი დაინმაროთ ან პროფესიონალ მასაჟისტს მიმართოთ. ნებისმიერ მასაჟი უნდა დაიწყოთ და დამთავრდეს ხელის გადასმით.

კისრის ოსტეოქონდროზის დროს, თვითმასაჟის თანამიმდევრობა ასეთი: ჯერ კეთდება ხელის გადასმა კეფისა და კისრის არეში; შემდეგ — ზენოლითი მოძრაობები საჩვენებელი და ცერა თითებით და მასაჟი ხელისგულის კიდით (მარჯვნიდან — მარცხნივ), ჯერ — ერთი, შემდეგ — მეორე ხელით. ამის შემდეგ, კეთდება წრიული მოძრაობები ორივე ხელის თითებით, რომლებსაც ერთმანეთზე ვათავსებთ (ერთი ხელის თითებით ვანვებით მეორე ხელის თითებს), შემდეგ კისერს ვიზულთ საჩვენებელი და შუა თითებით და მასაჟს ვამთავრებთ ხელის გადასმით.

თვითმასაჟის შემდეგ, გადადიან ვარჯიშზე. თავიდან, რეკომენდებულია სტატიკური (იზომეტრიული) ვარჯიში. გადააჭდეთ ხელისგულები კეფის არეში, ეცადეთ, მაქსიმალურად უკან გადასწიოთ თავი და დაძლიოთ ხელისგულების წინააღმდეგობა. ამის შემდეგ, გადააჭდობილი ხელისგულები დაიდეთ შუბლზე და თავი მაქსიმალურად წინ დახარეთ — ამჯერადაც მოგინვეთ ხელისგულების წინააღმდეგობის დაძლევა. შემდეგ, რიგრიგობით მოათავსეთ ხელისგულები ჯერ მარჯვენა, შემდეგ — მარცხენა საფეთქელთან და ეცადეთ, შესაბამის მხარეს მაქსიმალურად გადახაროთ თავი. ეს ვარჯიშები კარგად ავითარებს კისრის კუნთებს.

სტატიკურიდან გადავიდეთ ჩვეულებრივ, დინამიკურ ვარჯიშზე. თავს ნელ-ნელა ვხრით ვერ წინ, შემდეგ უკან, შემდეგ კი მარჯვნივ და მარცხნივ. ამის მერე ვიწყებთ თავის წრიულ მოძრაობებს. თითოეული მოძრაობა სასურველია, გამეორდეს 20-ჯერ მაინც.

ვარჯიშს მოჰყვება კისრის თვითგაჭიმვა. თავზე შემოიჭრეთ ხელისგულები ისე, რომ ცერა თითები მოათავსოთ დვრილისებურ მორჩებზე (ყურის უკან), დანარჩენი თითები კი — შუბლზე. გაჭიმეთ კისერი, ვიდრე დალილობას არ შეიგრძნობთ (ეს დაახლოებით ერთ წუთში მოხდება). ვარჯიში 3-4-ჯერ გაიმეორეთ.

გადავიდეთ ხერხემლის გაგანწევის ნაწილის თვითმასაჟზე. მასაც ვიწყებთ ხელისგულების გადასმით, შემდეგ კი ხელისგულის კიდეებით ვაკეთებთ ხერხვის მაგვარ მოძრაობებს. შემდეგ, ერთი ხელის თითებს ვანვებით ზემოდან მეორე ხელის თითებით და ვაკეთებთ წრიულ დაზელას მთელი ხერხემლის გასწვრივ ზევიდან ქვევით. შემდეგ კი ორივე ხელის მუშტებს მოვათავსებთ ერთმანეთზე და ამგვარად ვაგრძელებთ ხერხემლის არის დაზელას. მასაჟი ისევ ხელის გადასმით უნდა დავამთავროთ.

მასაჟის შემდეგ, შეგიძლიათ შესარულოთ ვარჯიში — 15-20-ჯერ გადახარეთ კორპუსი მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან. ეცადეთ, ხელის თითებით იატაკს შეეხოთ. შემდეგ გააკეთეთ წრიული მოძრაობები მაქსიმალური შესაძლო ამპლიტუდით.

ახლა კი დროა, ხერხემლის თვითგაჭიმ-



ვასაც შევუდგეთ, ერთმანეთზე საზურგვე-  
ბით მიდგმული ორი სკამის გამოყენებით.  
დაეყრდენით ხელისგულებით სკამის სა-  
ზურგვეს და მოაშორეთ ფეხები იატაკს  
— ეცადეთ, ამ მდგომარეობაში გაჩერდეთ  
რამდენიმე წამს. ხერხემლის მკერდის ნაწი-  
ლის ოსტეოქონდროზის დროს, სასურვე-  
ლია ყოველდღიურად ძელზე ჩამოკიდება.  
გულმკერდის მალეების არეში თვითმასა-

ჟისთვის კი, შეგიძლიათ გამოიყენოთ რეზ-  
ინის ბურთი. უნდა დანვეთ ზურგზე და  
ბურთი მოათავსოთ ბეჭის ძვლებს შორის,  
ხოლო ტერფებით დაეყრდნოთ იატაკს.  
მასაჟი რეკომენდებულია ყოველდღი-  
ურად, 20 წუთის განმავლობაში. თითოეულ  
უბანს 5 წუთი მაინც უნდა დაუთმოთ. 2-  
3 თვის შემდეგ, მკურნალობის კურსი უნდა  
გაიმეოროთ.

ოსტეოქონდროზის მკურნალობისას,  
ყურადღება მიაქციეთ კვებას. უპირველეს  
ყოვლისა, აუცილებლად შეამცირეთ მარი-  
ლის მოხმარება, რაციონში შეზღუდეთ  
ხორცი, ბარდუული და ცხიმები. სასურვე-  
ლია მცენარეული საკვები: მიიღეთ რაც  
შეიძლება მეტი სტაფილო, ჭარხალი, კო-  
მბოსტო, ოხრახუში, ნიახური, საზამთრო.

# ნატურალური ნიღბები

ყველა ქალი ოცნებობს, ლამაზად  
გამოიყურებოდეს. ამ მიზნის მისაღ-  
წევად, ნამდვილი სასწაულების  
მოხდენა შეუძლია ნატურალური  
პროდუქტებისგან მომზადებულ სახ-  
ის ნიღბებს.

**გამაახალგაზრდავებელი ეფექტი**  
აქვს ნიღბს, რომელიც მზადდება 1 ჩ/კ  
თაფლის, 1 კვერცხის კარგად ათქვფვილი  
ცილისა და 2 ს/კ ფქვილისაგან. მიღებუ-  
ლი მასას იღებენ სუფთა სახის კანზე 10-  
15 წთ-ით და შემდეგ, თბილი წყლით  
ჩამოიბანენ.  
**საჭოსა და თაფლის ნიღბი** ასევე  
გამაახალგაზრდავებლად მოქმედებს კან-  
ზე. ერთმანეთში უნდა აურიოთ 3 ჩ/კ

საცერში გატარებული ხაჭო და ამდენივე  
თაფლი. მიღებული მასა დაიდეთ სახეზე  
20-25 წთ-ით და შემდეგ, თბილი წყლით  
ჩამოიბანეთ. ეს ნიღბი კვებას, ატენიანებს  
და ათეთრებს სახის კანს. კარგია ნების-  
მიერი ტიპის სახის კანისათვის.  
**ბანანის ნიღბი.** გაცვქვნილი ბანანი  
წვრილ სახეზე გახეხეთ. მიღებულ პიურეს  
2 ს/კ შეურიეთ 2 ს/კ დაჭყლეტილი ხაჭო  
ან არაჟანი, დაიდეთ სახეზე 20 წთ-ით,  
ჩამოიბანეთ გრილი წყლით. თუ ცხიმიანი  
კანი გაქვთ, შეგიძლიათ, ნიღბს დაუმა-  
ტოთ რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი.  
**სტაფილოს ნიღბი.** შეურიეთ ერთ-  
მანეთს 2 ს/კ ახალგამონურული სტაფი-  
ლოს წვენი, 2 ს/კ ხაჭო და 1 ჩ/კ თაფლი.  
დაიდეთ მიღებული ნიღბი სახეზე 15 წთ-  
ით, ჩამოიბანეთ ცივი წყლით. ასეთი ნიღ-

ბის შემდეგ, კანი რბილი, ნაზი და ელას-  
ტიკური ხდება.  
**კარგად კვებას კანს** კვერცხისა  
და თაფლის ნიღბი. მის მოსამზადებლად  
დაგჭირდებათ 1 კვერცხის გული, 1 ჩ/კ  
თაფლი, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი  
და 1 ს/კ რძე. ნიღბი გაიჩერეთ 15 წთ,  
შემდეგ, თბილი წყლით ჩამოიბანეთ.  
კანისთვის სასარგებლოა **ჩაის აბა-  
ზანა.** მას მატონიზებელი ეფექტი აქვს და  
ამასთან, სხეულისა და სახის კანს მსუბუ-  
ქი ნამზეურის ელფერს აძლევს. აბაზანის  
მოსამზადებლად, მდულარე წყალი დაასხ-  
ით 4 ს/კ შავ ჩაის ჭიქაში და დააყოვნეთ  
10 წთ. შემდეგ გადანურეთ და ჩაასხით  
აბაზანაში თქვენთვის სასურველი ტემპერ-  
ატურის წყალში.

# ჯანმრთელობა

მოცემულ კითხვებზე თქვენთვის  
შესაფერის პასუხს თუ შეარჩევთ,  
შეგიძლიათ, საკმაოდ ობიექტურად  
განსაზღვროთ, ჭარბად ხომ არ არის  
თქვენს რაციონში ცხიმები.

- 1. ხართ თუ არა ვეგეტარიანუ-  
ლი კვების მომხრე?  
დიახ — 0; ზოგჯერ — 1 ქულა; არა  
— 2 ქულა.
- 2. იყენებთ თუ არა პროდუქტის  
შესანჯავად, ნაღების კარაქს?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0.
- 3. გიყვართ ბოსტნეული ზეთით?  
დიახ — 2; ყოველთვის არა — 1; არა  
— 0.
- 4. ხშირად მიირთმევთ თევზს?  
დიახ — 0; ხანდახან — 1; არა — 2.
- 5. იღებთ დღეში 300 გ-მდე  
ბრინჯს?  
დიახ — 0; ხანდახან — 1; არა — 2.
- 6. სვამთ ყავას უნაღებოდ?  
დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა  
— 2.
- 7. შემწვარ ქათამს კანინად  
მიირთმევთ?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0.
- 8. მიირთმევთ თუ არა ხორცს  
მწვანით და ბოსტნეულით ერთად  
დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა

- 2.
- 9. გიყვართ ჰამბურგერები და  
ჩიზბურგერები?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0;
- 10. დილაობით მიირთმევთ თუ  
არა შერისა?  
დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა  
— 2.
- 11. მიირთმევთ თუ არა ბოსტ-  
ნეულის წვნიანს არაჟნის გარეშე?  
დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა  
— 2.
- 12. მიირთმევთ თუ არა მანონს?  
დიახ — 0; ხანდახან — 1; არა — 2.
- 13. გიყვართ მწნილი?  
დიახ — 2; ყოველთვის არა — 1; არა  
— 0.
- 14. მარწყვის ჭამა უნაღებოდ  
გირჩევნიათ თუ არა?  
დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა  
— 2.
- 15. გიყვართ აღმოსავლური სამზა-  
რეულო?  
დიახ — 2; არც ისე — 1; არა — 0.
- 16. გიყვართ ცხიმიანი ყველი?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0.
- 17. ხშირად მიირთმევთ ხორცის  
ბულიონს?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0.
- 18. უარს ამბობთ თუ არა ჩიფ-  
სებზე?

- დიახ — 0; ყოველთვის არა — 1; არა  
— 2.
- 19. გიყვართ ტკბილეული?  
დიახ — 2; არც ისე — 1; არა — 0.
- 20. გიყვართ ქონი („სალა“) და  
შაში?  
დიახ — 2; ხანდახან — 1; არა — 0.

**დააჯამეთ ქულები.**  
**ტანტის ზედმეტი.**  
**0-დან 12 ქულამდე.** ცხიმების შემ-  
ცველობა თქვენს რაციონში ბევრი ნამდ-  
ვილად არ არის. ამასთან, თქვენ უპირატე-  
სობას ანიჭებთ სასარგებლო — მცენარეულ  
ცხიმებს, ამიტომ სპეციალური დიეტა არ  
გესაჭიროებათ.  
**13-დან 26 ქულამდე.** თქვენ მიერ  
მოხმარებულ საკვებში ცხიმების რაოდენო-  
ბა უკვე ნორმაზე მეტია. კარგი იქნება, თუ  
რაციონში გაზრდით თევზეულისა და მწვა-  
ნილის რაოდენობას, აგრეთვე შეამცირებთ  
მარილიან პროდუქტებს.  
**27-დან 40 ქულამდე.** სამწუხაროდ,  
ძალიან დიდი რაოდენობით ცხიმებს იღებთ,  
თანაც ძირითადად, მავნე ცხიმების სახით.  
გირჩევთ, მკვეთრად შეამციროთ მიღებული  
ტკბილეულის რაოდენობა, რაციონში მეტი  
ხილი, ბოსტნეული, ზღვის პროდუქტი და  
სპეციალური (სამკურნალო) სახის პური შეიტ-  
ანოთ. კარგი იქნება თერაპევტთან კონსულ-  
ტაცია. გაესაუბრეთ აგრეთვე დიეტოლოგსაც.



# მიხელ პლატინი: წინასწარმეტყველად არ გამოვდგები

იტალია აღარ არის, რომელსაც მე ვიცნობდი. არ შეიძლება, იტალიურ ფეხბურთში ასეთი რამეები ხდებოდეს. სტადიონებიდან ხულიგნები და რასისტები უნდა განდევნოთ. ეს უფრო პოლიციის პრობლემაა, ვიდრე ფეხბურთის ფედერაციისა. აბა, ფრანკო კარარომ (იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. — რედ.) რა უნდა მოუხერხოს ხულიგნებს?!

— **საინტერესოა, საფრანგეთში მსგავსი არაფერი მომხდარა? ან გერმანიაში?**

— გერმანიის შესახებ ვერაფერს გეტყვით. საფრანგეთში ალბათ, არ მომხდარა. ჩვენთან ასეთი რამ რომ მომხდარიყო, ამის შესახებ ძალიან ბევრს ილაპარაკებდნენ, ეცვოც არ შეგეპაროთ.

— **ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონატის დანებებისთვის მდგომარეობის გამოსწორება კლავ შეგიძლია?**

— ჰო, რა თქმა უნდა. კიდევ ერთი წელი გაქვთ დრო... მაგრამ, როგორც აღვნიშნე, სტადიონები შეგინდნაც და გარედანაც უნდა განმინდოთ. ამ საკითხის მოგვარება ჯერ კიდევ შესაძლებელია. მეტი შეუპოვრობა გმართებთ.

— **ახლა სხვა თემაზე გადავიდეთ: თქვენი დროინდელი „იუვენტუსი“ დობინგის მოხმარებასთან დაკავშირებით წამოწყებულ პროცესზე გამართლეს. ამის შესახებ რას იტყვით?**

— 4-5 წლის წინ, პროკურორმა გუარინიელომ დამკითხა, ხოლო შემდეგ რა ხდებოდა, ეს ნამდვილად არ ვიცი. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ასე დასრულდა, თუმცა საკუთარი მოსაზრების გამოთქმისგან თავს შევიკავებ. ამჟამად რთულია თვალის მიდევნება იმისთვის, თუ რა ხდება იტალიის ჩემპიონატში და მით უმეტეს — სასამართლოს დარბაზებში...

— **მაგრამ აკრძალული პრეპარატები შავთეთრმა ისურვანთა აფთიაქში თქვენს დროსაც ხომ იყო?**

— იმეორებთ, ამის შესახებ არაფერი ვიცი...

— **თუ ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შედეგს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი გათამაშება თებერვლიდან დაიწყება?**

— ვერ დავეთანხმებით. აქამდეც ნამდვილი ბატალიები მიმდინარეობდა. ამის უარყოფა როგორ შეიძლება?! ახლა მხოლოდ იმის თქმა შეგიძლია, რომ ასპარეზობას ძლიერი, დიდი კლუბებილა აგრძელებენ. თანაც, თებერვალშივე შეგიძლია ფინალის დონის 3-4 დუელის ხილვა. მაგალითად, „მილანი“-„ბაიერნი“, „ბარსელონა“-„ჩელსი“...

— **„იუვენტუსს“ გაუმართლა, არა?**

— მეც ასე ვფიქრობ. „ვერდერთან“ გამკლავება ტურინელებს შეუძლიათ, თუმცა, ყურადღებით უნდა იყვნენ: გასულ წელს ვუყურე, თუ როგორ თამაშობდნენ ისინი „ლივერპულთან“, რომელიც შემდეგ, ჩემპიონთა თასს დაეუფლა...

— **ამჟამინდელი „იუვენტუსი“ როგორ მოგწონთ?**

— „ბებერი ქალბატონი“ საკუთარ თავს არასოდეს ულაღატებს, მშვიდად იყავით, იგი ყოველთვის კარგად ასპარეზობს. ამჟამინდელი გუნდი კი, უბრალოდ, დაფრინავს: მისი მონაწილეობით ბევრი მატჩი არ მინახავს, მაგრამ სატურნირო ცხრილი ყველაფერზე ცხადად მეტყველებს. გარდა ამისა, გუნდის თამაში უფრო მრავალმხრივი და დახვეწილი ხდება. ტრენერებს, იბრაჰიმოვიჩის, ვივირას შექმნა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ნორმალური ის, რომ „იუვე“ მუდამ ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. დღეს ეს კლუბი ევროპულ გრანდთა შორისაა.

— **სლოფლიო ჩემპიონატს ვინ მოიგებს?**

— გახსოვთ, ჩემი წინასწარმეტყველება 2002 წელს? ფინალში საფრანგეთსა და იტალიას უნდა ეთამაშათ. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ საფრანგეთის ნაკრები ქვეჯგუფშივე გამოეთიშა ტურინის, ხოლო მალე, მას იტალიის გუნდიც მიჰყავს. დღეს სუპერ-ფავორიტი ბრაზილია. იგი ტიტულს არავის დაუთმობს.

— **იტალია და საფრანგეთი?**

— ყველაფერი შესაძლებელია. დიდი წინასწარმეტყველი არ ვარ და ამაში უკვე დარწმუნდით, მაგრამ ვფიქრობ, რომ ლიბის შესანიშნავი გუნდი ჰყავს. საფრანგეთის ნაკრები კი, თანდათან „ძველი გვარდის“ გარეშე რჩება. ყველაფრის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია: ჩინებული მსოფლიო ჩემპიონატი გველის, ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს. უკვე ორი-სამი წელია, რაც უფრო ლამაზ ფეხბურთს ვაღწევნებთ თვალს. მე ოპტიმისტი ვარ, ბოლოს და ბოლოს, გუნდები ლამაზად ათამაშდნენ. „ნაცრისფერი“ პერიოდი დასრულდა.

— **ახალი, მიკროჩიპებიანი ბურთები თუ იხილეთ?**

— ასეც ვიცოდი. ვიცოდი, რომ ეს სიახლე არ გაამართლებდა. ვამბობდი — კართან მთავარი მსაჯის ორი თანამშემუნე დავაყენოთ-მეთქი. ეს გაცილებით იაფი დაჯდება, თანაც, უფრო ეფექტურიც იქნებოდა, მაგრამ ვინ დამიჯერა?!

— **ვინ იყო წინამძღვარი?**

— არბიტრებმა არ ისურვეს. ისინი ხომ ყოველთვის სიახლის წინააღმდეგი არიან. როდესაც მე ვთამაშობდი, ტექნოლოგიის, ტელეგაზარტურის გამოყენების მომხრე ვიყავი. ახლა კი, საფეხბურთო მოხელის რანგში, ამის წინააღმდეგი ვარ. გადავიფიქრე რატომ? იმიტომ, რომ ფიქრისთვის ახლა უფრო მეტი დრო მაქვს...

ფრანგული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, მიხელ პლატინი გასული საუკუნის 80-იან წლებში, ტურინის „იუვენტუსის“ ლირსებას იცავდა. ცოტა ხნის წინ, სახელგანთქმულმა დიდოსტატმა La Repubblica-ს კორესპონდენტს მისცა ინტერვიუ და „იუვენტუსისა“ და ზოგადად თანამედროვე იტალიური ფეხბურთის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა, რომლებიც უთუოდ საინტერესო იქნება სპორტის მოყვარულთათვის.

— **როგორ იმიჯი აქვს საზღვარგარეთ იტალიურ ფეხბურთს?**

— ერთი წლის შემდეგ შეიტყობთ...

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ერთი წლის შემდეგ, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობის გამოსავლენად, კენჭისყრა შედგება. ასე არ არის? მე რაღა უნდა გითხრათ? უფვა ინფორმაციას აგროვებს...

— **დღეს კი ასეთი ფაქტების წინაშე ვდგავართ: ძალადობა, რასიზმი, ფაშისტური მისაღმებები... ამჟამად იტალიურ სტადიონებზე კაცი ყველაფერს იხილავს.**

— ჰო, მართალი გითხრათ, არა მგონია, რომ ბოლო დროს, იტალიურ ფეხბურთს კარგი იმიჯი აქვს შექმნილი. ტრანზიტებიდან ათასგვარი საგნის სროლა, სტადიონების დისკვალიფიკაცია და სხვა უმსგავსოებები... გული მწყდება, რადგან ნაწილობრივ თავს იტალიელად მივიჩნევ: რამდენი მითამაშია აქ?! იტალიელები მხიარულ, სიმპათიურ, გულღია ხალხად დამამახსოვრდა. ეს კი, უკვე ის



### მარინგო რიოსმა მოხიბლა

შეიძლება საჩოგბურთო სამყაროში უახლოეს მომავალში, კიდევ ორი ვარსკვლავური წყვილი იხილოს. არგენტინელმა ფოტომოდელმა, როჩო მარინგომ ერთ-ერთი ესპანური გამოცემის კორესპონდენტს გაუხიბლა, რომ ის ხშირად თამაშობს ჩოგბურთს ჩილელ მარსელო რიოსთან. როჩოს თქმით, ეს მხოლოდ ჩოგბურთის თამაშია და სხვა არაფერი, თუმცა ყველა პრესის წარმომადგენლები უკვე ლაპარაკობენ ჩილელისა და არგენტინელის რომანზე. „მარსელოსთან თამაში ძალიან მომწონს, თანაც ის მართლაც, საინტერესო მამაკაცია“, — ამბობს როჩო, თითქოს მან არ იცის, რომ რიოსი დაქორწინებულია და მას ქალიშვილიც ჰყავს. 2004 წელს, რიოსმა ტრავმის გამო დაასრულა კარიერა. გარდა ამისა, მას სპორტზე კონცენტრირებაში სკანდალებიც ხელს უშლიდა. ერთი წლით ადრე, ის ჩილეს სამოქალაქო სასამართლოში პოლიციელებზე თავდასხმისთვის გაასამართლეს; მანამდე კი, ჩოგბურთელმა სანტიაგოს ერთ-ერთ ბარში გამართული მუშტი-კრივისთვის ჯარიმის სახით საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ, მარსელოს შესახებ აღარაფერი ისმოდა, მაგრამ როგორც ჩანს, სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებს კვლავ გაუჩნდათ სალაპარაკო თემა.

### მადამ ოუანს მართვის უფლება ჩამოართვის

მაშინ, როდესაც სხვა ვარსკვლავები ბოჰემური ცხოვრებით ტკბებიან, მაიკლ ოუენი ცოლთან, ლუიზასთან ერთად ოჯახსა და შვილებზე ზრუნვას უთმობს თავისუფალ დროს. ტრავმის გამო, მაიკლს ამჟამად ავტომობილის მართვა არ შეუძლია, ამიტომ მისი ორი წლის ქალიშვილის, ემის საბავშვო ბაღიდან გამოსაყვანად, დედამისი ლუიზა გაეშურა და სიჩქარის გადაჭარბების გამო, პოლიციელთა ყურადღების არეში მოექცა. „ჩემი ქალიშვილი საბავშვო ბაღში პირველად იყო და სწრაფად მინდოდა მის გამოსაყვანად მისვლა“, — ამბობს ფეხმძიმობის მერვე თვეში მყოფი ლუიზა. ეს მიზეზი სამართალდამცავებისათვის არადაჯერებელი აღმოჩნდა. ამიტომ, მადამ ოუენი 540 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს და 56 დღით მართვის უფლებაც ჩამოართვეს.

## ფახურთაღა ფახურთაღი სცაღა

კოლეგების მსგავსად, ლამის კლუბებში გართობა „ვესტ ჰემის“ მცველ ანტონ ფერდინანდსაც უყვარს. ერთ-ერთ დისკოთეკაზე ყოფნისას, მას უცნობ ბიჭთან კონფლიქტი მოუხდა. ერთი სიტყვით, ცნობილი რიო ფერდინანდის 20 წლის უმცროს ძმას ცემა არ აკმარეს და მობილური ტელეფონიც წაართვეს. ცოტა ხნის შემდეგ, ანტონმა „უიმბლდონის“ საიტზე ის ახალგაზრდა აღმოაჩინა. ეს უკანასკნელი, გუნდის ფორვარდი ლეონ მაკდაუელი აღმოჩნდა. ფერდინანდ უმცროსსაც ბევრი აღარ უფიქრია და



უმაღლე პოლიციას შეტყობინა, რის შემდეგაც, 23 წლის მაკდაუელი დააპატიმრეს. ორიოდე დღის წინ კი, ანტონის შეურაცხყოფელს ორი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს.

## რუსოს რჩაულნი

პოპულარულმა იტალიელმა მოდელმა, ანჟელიკა რუსომ კიდევ ერთხელ გამოავლინა ფეხბურთის ღრმა ცოდნა. ერთი წლის წინ, მან უცაბედად განაცხადა, რომ რომაული „ლაციოს“ ქომაგია. ამჟამად კი, ლამაზმანმა, ერთ-ერთი ჟურნალის თხოვნით, ათბალიანი სისტემით 7 პოპულარული ფეხბურთელი შეაფასა, რომლებიც თამაშობენ ან ადრე თამაშობდნენ იტალიურ ვერსია A-ში. რეიტინგში პირველი ადგილი „ფიორენტინის“ წარმომადგენელმა ლუკა ტონიმ და რონალდომ გაიყვეს. „ის ძალზე სიმპათიურია და აღმაზნებს“, — დასძინა გრძელფეხებმა რუსომ ტონის შესახებ. რონალდო კი, ლამაზმანმა ასე დაახასიათა: „მას მაქსიმალურ შეფასებას შეუპოვარი ხასიათის გამო ვაძლევ. ის დასახულ მიზანს ყოველთვის აღწევს“. მესამე ადგილი „მილანის“ ვეტერანმა, პა-



ოლო მალდინიმ დაიკავა, რომელსაც ანჟელიკას თქმით, დრო ვერაფერს აკლებს. დანარჩენი ოთხი ფეხბურთელის მიმართ ფოტომოდელი უფრო თავშეკავებული იყო. კრისტიან ვიერიმ 5 ქულა მიიღო: „ის ქალების დანახვაზე ჭკუას კარგავს...“ ალბერტო ჯილარდინოსა და ფილიპო ინძაგის 4-4 ქულა ერგოთ. „ის გაურყვნელი სახითა და წარმოსადეგი აღნაგობით გამოირჩევა“, — დასძინა რუსომ ჯილარდინოს შესახებ და ინძაგიც შემდეგნაირად შეაფასა: „ის სიყვარულში ნაკლებად სანდო ადამიანია“. ბოლო ადგილზე, ლამაზმანის მიერ შედგენილ რეიტინგში 3 ქულით, ანტონიო კასანო გავიდა, რომელიც უკვე მადრიდის „რეალის“ კუთვნილებს. „ის უხეშია“, — ამ სიტყვებით შემოიფარგლა ანჟელიკა, ანტონიოს დახასიათებისას.


### ჯო ჯოული გოგონას გულისთვის სცაღას

„ჩელსის“ მოთამაშეს ჯო კოულს, გოგონას გულისთვის ერთ-ერთ კლუბში კონფლიქტი მოუხდა. ცოტა ხნის წინ, ის თავის რჩეულ კილისთან ერთად იმყოფებოდა გასართობ დაწესებულებაში, სადაც შემთხვევით, იმ ახალგაზრდას გადააწყდა, რომელიც თურმე, მისი გელფრენდის თავყანისმცემელი ყოფილა. ჯომ კონკურენტთან უმაღლე „მაკაკუტურად“ გასწორება გადაწყვიტა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. თვითშეზღველთა თქმით, ჩხუბის შემდეგ, ლონდონური კლუბის ფეხბურთელი ცხვირპირდასისხლიანებული გავიდა ბარიდან. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ჟოზე მოურინიოს რეაქცია, როდესაც შეიტყოდა თუ როგორ ირთობს თავს მისი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე.



მომღერალი თეიმურ ნიკლაური უკვე მეორე წელია, ფონდის — „სოს ლენდ“ — დამფუძნებელი და ხელმძღვანელია. მისი თაოსნობით და ინკოგნიტო „თოვლის პაპის“ დაფინანსებით, დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ დაფუძნდა ორგანიზაცია (ამის შესახებ შარშან, „გზის“ №46-ში უკვე ვწერდით), სადაც მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებსა და ხელმოკლე ოჯახების შვილებს ინგლისურ ენასა და კომპიუტერზე მუშაობის ჩვევებს ასწავლიან; დღეში ერთჯერადი კვებითაც უზრუნველყოფენ და ეხმარებიან, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ. მასთან სტუმრობა, ამ ფონდის საქმიანობის შესახებ ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლადაც განვიზრახეთ და იმ მიზნითაც, რომ შემოქმედისთვის მოახლოებული იუბილე — 60 წლისთავი მიგველოცა და შეგვეტყო, თუ რა აქვს დაგეგმილი დაბადების დღის — 22 იანვარისათვის.

# ამკლუბშეცვლილი მომღერალი მრგვალ თბრის ხელდამშვენებული ხვლებს და ამისთვის კეთილ „თოვლის პაპებს“ უმადლის...



## ნათია ქივიციანი

— ბატონო თეიმურ, რა განსხვავებაა ახლანდელ ახალ წელსა და თქვენი ბავშვობის დროინდელს შორის?

— ბავშვობა დაბრუნდა. ახლაც ისევე მიხარია ახალი წლის მოსვლა, როგორც ბავშვობაში. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი შვილიშვილის — ანდრიას დამსახურებაა. ბავშვს ხომ უნდა გაუღვივო რაღაც ინტერესი, თუნდაც — ახალი წლის, ქრისტესშობის, აღდგომის მიმართ. მან უნდა იცოდეს, რაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რას უნდა

ელოდოს მთელი წლის მანძილზე. ახალ წელს, ახალი იმედები უნდა ჩაუსახო. ხალხი ყოველთვის ემზადება ამ პერიოდისთვის. ყოველ ახალ წელს, დიდი შემართებითა და მომავლის იმედით ვხვდები.

— ანდრიას ხათრით, ალბათ, ნაძვის ხესაც თქვენ რთავთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, მე და ანდრია ერთად ვრთავთ. წელს ახალი ნაძვის ხე ვუყიდვ, რომ მის გონებასა და ცხოვრებაში ახალი რაღაც შემოვიდეს. ახალი სათამაშოებიც შევიძინეთ. იმის გამო, რომ ჩინურ ახალ წელს ველოდებით, ძალღებაც დაუწყენთ გარშემო... კიდევ, გოზინაყს ვაკეთებთ ერთად. გოზინაყი საერთოდ, მამაკაცმა უნდა გააკეთოს და ამ საქმეს მე და ანდრია ვითავსებთ.

— თოვლის პაპა თუ მოდის ხოლმე ანდრიასთან?

— ანდრიას თოვლის პაპის ძალიან სჯერა. წერილიც მისწერა და მერე გამანდო, რაც უნდოდა. რომ არ ეთქვა, აბა, ვინ უყიდდა?! ამ ახალ წელს, დაახლოებით სამოცი მეგობარი, ჩვენი ოჯახებით, ერთად შევიკრიბეთ. დილის 5 საათზე გამახსენდა, რომ თოვლის პაპის საჩუქარი მანქანაში მედო. დილით, ანდრიას რომ გაღვიძებოდა და საჩუქარი არ დახვედროდა, რა მოხდებოდა, არ ვიცი. ავედი, საჩუქარი ნაძვის ხესთან დავედი და ისევ მეგობრებთან დავბრუნდი. ჩემი შვილიშვილი ძალზე კმაყოფილი დარჩა. თოვლის პაპის ახლაც მჯერა. მე ჩემი „თოვლის პაპები“ მყავს. არსებობენ დალოცვილი ადამიანები, რომლებიც ხელს მიმართავენ. ახლა სიმღერით აღარაფერი გამომდის... არა, სიმღერა კი გამომდის, მაგრამ ოჯახს შენახვა ხომ უნდა?! ეს „თოვლის პაპები“ რომ არ იყვნენ ქვეყანაზე, რას ლაპარაკობ, რა მეშველებოდა?!

— თქვენი საახალწლო სურვილი რა არის?

— ქათმის გრიპმა რომ არ გაგვანადგუროს. მე რომ კიდევ სიკვდილი ვნახო ჩემ გარშემო, ნამდვილად თავს მოვიკლავ. ალბათ, ყველაზე მეტად ჩემი ქეთოსა და ანდრიას კარგად ყოფნას ვისურვებდი. მხოლოდ ახალ წელს კი არა, ყოველთვის ამას ვთხოვ უფალს და სიმართლე რომ ვთქვა, მეტი აღარც არაფერი მომდის თავში აზრად.

— თქვენ ძაღლის წელიწადში ხართ დაბადებული — ეი. 2006 თქვენი წელია. გჯერათ შოროსკოპის?

— ყეფა ჯერ არ დამიწყია, არ ვიკბინები — ალბათ ერთგული და წყნარი „ძაღლი“ ვარ... შოროსკოპის მჯერა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. შოროსკოპში ცუდი რამ რომ მცნეროს, თავი მოვიკლავ?... არ არის ასე. უფალმა თქვა — ხელი გაანძრიე და გეშველებო. ვარსკვლავები ჩვენზე რომ მოქმედებს და ცალკე ვაკუუმში არა ვართ გამოკეტილები, ეს ცხადია, მაგრამ ამას შოროსკოპი ჰქვია თუ სხვა რამე, რა მნიშვნელობა აქვს?! თუმცა, მაინც იმ დიდი „ვარსკვლავის“ უფრო მჯერა, რომელსაც უფალი იესო ქრისტე და მართლმადიდებლობა ჰქვია.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, 22 იანვარს 60 წელი გირუღდებათ. ეს ისეთი თარიღია, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს და როგორც ვიცი, გეგმათ კიდევ რაღაცას...

— დიდი მადლობა, რომ ჩემი დაბადების დღე გახსოვთ. 59 წლის რომ ვიყავი, 60 წელი არა მგონია, იმისგან დიდად განსხვავდებოდა. რასაც ვნანობ, ერთადერთი ის არის, რომ იმდენი რამ



ანდრიას თოვლის პაპის ძალიან სჯერა. წერილიც მისწერა და მერე გამანდო, რაც უნდოდა



ვერ მოვასწარი, რამდენიც უნდა მომესწრო. ყველა ასაკს რაღაც ქმედება სჭირდება. ოპერა მინდოდა მემღერა, კიდევ უამრავი იდეა იყო, რომელსაც ახალგაზრდული წლები სჭირდება. წარმოიდგინე ახლა, „ივერიელები“ რომ დავდგეთ და... ისე, ესეც შეიძლება: 100 წლის რომ გავხდებით, მაშინაც ჩავატარებთ კონცერტს (იციანის)... მინდა თუ არა, მეგობრების წრეში აუცილებლობას წარმოადგენს იუბილეს აღნიშვნა, თორემ, მე ისეთი არაფერი გამიკეთებია — ამისნაირი არავინ დაბადებულაო, — თქვან. ერთადერთი, რითიც შემეძლო, ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი, კიდევ ვემსახურები და მომავალშიც მოვემსახურები...

**— 60 წლის ხდებით, მაგრამ ალბათ, თქვენი გული მაინც არ დაბერდება, არა?**

— 100 წლის ადამიანსაც რომ ჰკითხო, ისიც გეტყვის — გული არ დამიბერდაო. ეს მართალია, მხოლოდ სიმღერის ტექსტი კი არ არის, რეალობაა. რაც შეეხება აღნიშვნას — იძულებული ვიქნები, რომ მაინც რაღაც გავაკეთო, ისევე ჩემი მეგობრებისა და „თოვლის პაპების“ წყალობით. რაღაც კვალი მაინც დავტოვე ქვეყანაში: 4 მიუზიკლში ვითამაშე, უამრავი სიმღერა ვიმღერე... მაგრამ ეს ახლა, ამ გაუსაძლის ყინვაში არ მოხდება. მივიჩინეთ, რომ მთელი წელი საიუბილეოა და უკეთეს დროს შევარჩევთ, გაზაფხულს ან შემოდგომას. ისეთ რამეს გავაკეთებთ, რომ სანახაობრივადაც კარგი იყოს და მოსასმენადაც. მართო მე კი არ ვიდგები სცენაზე. უამრავი მეგობარი მყავს; ალბათ, მოვლენ და მომილოცავენ, რა ვიცი...

**— როგორც ვიცი, ანსამბლი „ივერია“ ამერიკაში გასტროლებს გგმავს...**

— რა ყველაფერი იცით ამ უურნალისტებმა!.. ამერიკიდან მიწვევა გვაქვს და მართლაც, ვაპირებდით „ფიროსმანის“ წაღებას, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამისთვის საჭირო თანხა ვერ მოვიძიეთ, რადგან ამ მიუზიკლში 50 კაცი მაინც მონაწილეობს, ამერიკაში კი იმდენ ხანს ვერ დავრჩებოდით, რომ ეს მომგებიანი ყოფილიყო ჩვენთვისაც და მათთვისაც. უბრალოდ, ისტორიის თვალსაზრისით იქნებოდა კარგი, რომ მიუზიკლების ქვეყანაში ქართული მიუზიკლიც წარმოგვედგინა. ეს ალბათ, ამაღელვებელი და საამაყო იქნებოდა... საქართველოში ხომ იცი, როგორც არის: თუ საზღვარგარეთ ტაშს დაგიკრავენ, მერე აქაც იტყვიან, ესენი მართლა მაგრები ყოფილანო... საბედნიეროდ, „ივერიას“ საქართველოში ტაში არ აკლია. კარგი იქნებოდა, რომ წაგველო, მაგრამ ნახევარი მილიონი დოლარი მაინც სჭირდება ამ ამბავს და ეს გალღეტილი მსახიობები საიდან მოვიტანთ მაგდენ ფულს?! თვითონ მიუზიკლი კი, არც სახელმწიფო პროგრამაში შევიდა, რომ ვინმე დაგვეხმაროს — ან კულტურის სამინისტრო, ან სხვა ვინმე. მე მგონი, არ აინტერესებთ. ერთ „თოვლის პაპას“ კი ვერ სთხოვ, ამდენი თანხა მომიციო... მოსკოვში

რომ წავიღეთ ეს მიუზიკლი, მაშინ, ვლადიმერ ჯანჯღავამ გაგვინია სპონსორობა. ძალიან კარგი იყო. იმ დროს, როცა მოსკოვში „ფიროსმანს“ ვითამაშობდით, ცირკის არენაზე „ჩხიკვათა ქორნილი“ მიმდინარეობდა და ეს უფრო მეტ სტიმულს გვმატებდა. წარმოგიდგენია?... „ივერიის“ ორი სპექტაკლი ერთდროულად გადიოდა მოსკოვში! რუსი გვიყვარს თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მოსკოვი რომ მსოფლიოში უდიდესი კულტურული ცენტრია, ეს ფაქტია. ვნახოთ, თუ ვინმე „თოვლის პაპა“ გამოგვიჩნდება, იქნებ, იკისროს ჩვენი ამერიკაში გაშვება.

**— ახლა თქვენს ფონდზე ვისაუბროთ, სადაც ხელმოკლე ბავშვებს ინგლისურსა და კომპიუტერზე მუშაობას ასწავლით...**

— ეს არის ყველაზე კარგი „სიმღერა“, რაც კი მიმღერია. ეს დიდი რამ არის — ჰიმნია, სულის ამღერებაა, გაზაფხულია, ჩემთვისაც და ყველა იმისთვისაც, ვინც ემსახურება ზოგს — უპატრონოს, ზოგს — პატრონიანს, მაგრამ მატერიალურად შეჭირვებულ ბავშვებს. ამ ფონდისთვის პირი არასოდეს გამიკეთებია და ამას არც მივიჩნევ საჭიროდ — უბრალოდ, მკითხე და ვალდებული ვარ, გიპასუხო. უკვე 240 ბავშვს ვასწავლეთ კომპიუტერი. როგორც თავის დროზე, სწავლა-განათლების რაღაც წრეები იყო ჩამოყალიბებული, დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ბავშვებს წერაკითხვას ასწავლიდნენ, ახლაც ასე. კომპიუტერი თუ არ იცი, აღარავის სჭირდება, რადგან ინფორმაციის წყაროში ვერ ერთვები. ამ ბავშვებს იმის იმედი მაინც აქვთ, რომ რაღაც იციან და ხვალ შეძლებენ, დაიწყონ მუშაობა. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი. წინ კიდევ ორი სასწავლო სემესტრია. მეორე წელია, ეს ფონდი არსებობს და წლის ბოლოს გამოვა, რომ სულ 500 ბავშვს ვასწავლეთ. გარდა იმისა, რომ ამ ორ საგანს ვასწავლით, შუადღეზე, ბავშვებისთვის სადილიც მზადდება — აბა, 3 საათის განმავლობაში რომ მეცადინეობენ, ჭამა ხომ უნდათ! 3 გაკვეთილი უტარდებათ, თითო 45-წუთიანი. ასევე ბავშვების წასახალისებლად, სტიპენდიები დავანესეთ: ხუთოსნებს 100 ლარს ვაძლევთ, ოთხოსნებს — 50-ს. 3 პირველი ადგილია და 6 — მეორე. თვეში სულ 9 ბავშვს ვაჯილდოებთ. რატომღაც უნდოდათ, რომ ჩემი სახელობის სტიპენდია ყოფილიყო, მაგრამ ამაზე დიდი წინააღმდეგობა გავუწიე და დავარქვით „სოს ლენდის“ სახელობის სტიპენდია. სასწავლო პროგრამა სულ სამთვიანია. სტიპენდია ფირმა „მელვინეობის რაინ-

დმა“ დაანესა. იმ ხალხს, ვინც ამ ყველაფერს საფუძველი ჩაუყარა, ინკოგნიტოდ დარჩენა სურს, არ უნდათ თავის გამოჩენა და რა ვენა?! მე მხოლოდ მათი იდეების შემსრულებელი ვარ — ანუ ეს ფონდი მე დავაფუძნე. უახლოეს ერთ თვეში, ამ პროექტში რუსთავიც ჩაერთვება: იქ ფონდის ფილიალს გავხსნით. რუსთავის მერიცა და გუბერნატორიც არაჩვეულებრივი ბიჭები არიან და ჩვენს იდეას მხარი დაუჭირეს. პატარა შეფერხება მოხდა იმის გამო, რომ ფონდისთვის გამოყოფილ შენობაში ახლა რემონტი მიმდინარეობს. არ გვინდოდა, ბავშვები უსუფთაო აუდიტორიებში შეგვეყვანა. იყოს ეს ე.წ. ევრორემონტი... თუმცა, რატომ — ევრო?... „ქართულგარემონტებელი“ არ შეიძლება?... იქ ამდენივე ბავშვი არ იქნება, რადგან რუსთავი თბილისთან შედარებით, გაცილებით პატარაა, მაგრამ დღეში 60 ბავშვს მაინც ვასწავლით. თბილისშიც და რუსთავშიც ამ ფონდის გასახსნელი ფართი აბსოლუტურად უფასოდ მოგვცეს. არსებობენ კეთილი ადამიანები.

**— თქვენ მართლაც ბევრი „თოვლის პაპა“ გყლიათ...**

— ბედნიერი კაცი ვარ. თანაც, ეს მართო ჩემი კი არა, ყველას „თოვლის პაპაა“. უბრალოდ, არ სურს თავისი ვინაობის გამხელა და რა ვენა?! ქართველი



კაცია და პეტერბურგში მოღვაწეობს. სხვა რაიმე რომ გავამხილო მის შესახებ, მეც დავკარგავ ამ სამსახურს და ბავშვებიც დაკარგავენ ამ დიდ საჩუქარს, ასე რომ...

**— რა რეაქცია აქვთ აქ სასწავლად მოსულ ბავშვებს, როცა თქვენ გხედავენ? ალბათ, ეამაყებათ...**

— უხერხულ სიტუაციაში ცვივდებიან ისინიც და მეც. ამის გამო, მათთან ხშირად არ ჩავდივარ. მე გულაჩუყებული დავდივარ, ისინი კი აღფრთოვანებულები მხვდებიან. მგონი, ავიწყდებათ, აქ რისთვის არიან მოსულები. ალბათ, ჩემი დანახვა ეამაყებათ კიდევ. რაღაც აზრებს გამოთქვამენ ხოლმე...

მარსელ როშას საყვარელი ფრაზა ასე უღერს: „ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა“ ის ყოველთვის წარმოთქვამდა მას, როცა რაიმე განსაკუთრებულის შექმნას აპირებდა — ვთქვათ, ახალი ქსოვილის, ახალი კოლექციის, ახალი სუნამოს, ან... ახალი სიყვარულის. მთელი მისი ცხოვრება იმას ეძღვნებოდა, რაც მანამდე უბრალოდ, არ არსებობდა. და აი, რა არის საინტერესო: როცა ის ამ რაღაცას შექმნიდა, ის უკვე მისი ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე განაგრძობდა სიცოცხლეს, თითქოს მსოფლიო მხოლოდ მარსელ როშას ქმნილებებს ელოდა. თუმცა, რატომ — თითქოს? ეს სწორედაც რომ ასე იყო.



# მოსია როშას არომატიკი სიყვარული

„ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა!“

რა თქმა უნდა, მას საოცრად გაუმართლა და საჭირო დროსა და ადგილზე დაიბადა. მოდელიერი რომ გამხდარიყო, თანაც ნოვატორი მოდელიერი, დროც შესაფერისი იყო და ადგილიც. ახალგაზრდა პარიზელისთვის კი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო პერსპექტიული XX საუკუნის დასაწყისში?! პარიზი ხომ იმ დროს, მოდის მსოფლიო დედაქალაქად გადაიქცა პოლ პუარეს, კოკო შანელისა და ჟან პატუს ნყალობით, ხოლო 10-იანი, 20-იანი წლები (სწორედ მაშინ დაიწყო როშას კარიერა) ისტორიაში შევიდა როგორც სიურრეალიზმისა და კუბიზმის წარმოშობის ხანა, „ჩარლსტონისა“ და ჯაზის ტრიუმფისა და დღემდე მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენებისა და ტექნი-

კურ გამოგონებათა ხანა. ყველა მხოლოდ ახლის შექმნით იყო დაკავებული, ხოლო რაც უფრო მოულოდნელი იქნებოდა სიახლე, მით უკეთესი, რაც უფრო „გადარეული“ — მით უმჯობესი. როშამაც ეს ყველაფერი ისე მიიღო, როგორც ჩვეულებრივი რამ...

ასე და ამგვარად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედების ადგილი პარიზი იყო, მოქმედების დრო — 1925 წელი. მარსელ როშა მაშინ 22 წლის გახლდათ. ის მსოფლიო პოდიუმზე მოულოდნელად გამოჩნდა და ასევე მოულოდნელად დაიწყო თავისი კარიერა მაღალი მოდის სახლის გახსნით Place Beauvau-ზე. პარიზელი მოდის მიმდევრები სწორედ იქ გაეცნენ პირველად აბრეშუმის, შიფონის, მაქმანისა და გიპიურისგან შეკერილ, ტანზე მომდგარ მოდელებს. დიას, სწორედ მარსელ როშამ, რომელიც მაშინ სრულიად ახალგაზრდა იყო, გამოიგონა ასეთი ქსოვილი — გიპიური. გამოგონების მოტივი კი... „ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა“ არ ყოფილა, მაგრამ როგორც კი გაჩნდა, ქალბატონებმა უმაღლესი ყურადღება დაუქვეყნეს, სექსუალური ქსოვილი. მათ დაუნანებლად მოიშორეს მძიმე სამოსი და სიამოვნებით მოირგეს მსუბუქი, მოფარფატე მოდელები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ სხეულის გრაციოზულობასა და მოქნილობას. გამოყვანილი თქოები, ნვრილი წელი და ელევანტური მხრები არ უნდა იყოს დამალული ფართო საზოგადოებისგან! — ასე ფიქრობდნენ ყველა ეპოქაში ქალები, ოღონდ ეწინოდათ ამის ხმამაღლა თქმის. ისინი მოუთმენლად ელოდნენ იმას, ვინც გაათავისუფლებდა მათ გრძელი, ვეებერთელა კაბებისგან და დააკანონებდა ქვედაბოლოებს, რომელთა სიგრძეც მუხლს ქვემოთ არ ჩამოვიდოდა.


ეჭვგარეშეა, როშამ კარგად იცოდა, როგორ მოეგო ქალთა გულები და გამოიგონა კორსეტის შემსუბუქებული ვარიანტი — ორი თითის სიგანის ქამა-

რი, რომლის მეშვეობითაც, ქალები წელის სასურველ გარემომოწერილობას აღწევდნენ. მან ისიც იცოდა, რომ ქალებს მოეწონებოდათ, თუ ერთი და იმავე დიზაინერის სამოსსა და აქსესუარებს შეიძენდნენ და თავის მოდელებთან ერთად, მან ფეხსაცმლის, ჩანთებისა და ხელთათმანების წარმოებაც ააწყო. როშას, პოლ პუარეს იდეაც მოეწონა — შეექმნა სუნამოები „ტანსაცმლის მოდელების მოტივებზე“ და 1936 წელს, მისი, როგორც პარფიუმერის მცდელობაც წარმატებით დაგვირგვინდა — და მან სამი არომატი გამოუშვა: Oir Jeune, Audace და Avenue Matignon. და კიდევ ერთი სიახლე: რა თქმა უნდა, ამ სუნამოების შექმნა მხოლოდ როშას კოლექციის ჩვენებებზე შეიძლებოდა.

მარსელ როშა ჯერ მოდური გახდა, შემდეგ კი — სახელგანთქმული. ჰოლივუდის ვარსკვლავებს დიდ პატივად მიაჩნდათ მისი მოდელების ჩაცმა. მარლენ დიტრიხი აღფრთოვანებული იყო მაქმანებით განწყობილი აბრეშუმის კაბებით როშას კოლექციებიდან, ხოლო მეი უესტი შავი გიპიურისგან შეკერილმა საცვლებმა მონუსხა. უბრალოდ მოკვდავნიც სიამოვნებით იმოსებოდნენ როშას მიერ შექმნილ მოდელებში. მისი ცნობილი ბოშური კაბა ყველაზე პოპულარულ სამოსად იქცა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

## ქალის სურნელი

ნამდვილი ამბები ლამაზ სიყვარულზე ისეთი იშვიათობაა, რომ ხალხი მზადაა, გაფაციცებით უსმინოს მათ და ისევე განიცადოს, როგორც საკუთარი თავგადასავალი. სწორედ ამიტომ, სახელგანთქმული დიზაინერის, მარსელ როშასა და ცნობილი მზეთუნახავი მოდელის — ელენის სიყვარულის ამბავს ხალხი ერთმანეთს უყვებოდა, ინტერესით კითხ-



ულობდა მის შესახებ გაზეთებში, ერთიმეორეს უზიარებდა ეჭვებს: „როგორ ფიქრობ — ის ერთგული ცოლი იქნება?“ „როგორ ფიქრობ, მოსიე როშა ხომ არ ლალატობს მას?...“

მათი სიყვარულის ამბავი ნამდვილად ძალზე ლამაზი იყო და ხშირად გამხდარა ჭორების საფუძველი. მარსელ როშა თავის შეყვარებულს ერთ-ერთ კოქტილზე შეხვდა, რომელიც მისმა ნაცნობმა, მოდელიერმა პოლ პუარემ გამართა. ელენი მოდელად მუშაობდა პუარესთან. ის 18 წლის იყო, საოცრად ლამაზი და ქალური, მაშინაც კი, როცა მამაკაცის პერანგს იცვამდა, დაკაპინებული სახელოებით. „ასეთი ჯერ არ

შე მოათავსა, რომელსაც ამფორის ფორმა ჰქონდა, ყველაზე ქალური სახელი შეურჩია — **Femme** და მშვენიერ ელენს მიუძღვნა. მის გარდა, სულ რამდენიმე ქალს — მოდის კანონმდებლებს — ერგო პატივი, მაშინვე ესარგებლა ამ არომატით. ბედნიერთა შორის იყვნენ: უინძორის ჰერცოგინია, ბარონესა როტშილდი, ფრანგი მსახიობი მიშელ მორგანი და ფრანგი მომღერალი დანიელ დარიე. დანარჩენები იძულებულნი იყვნენ, კიდევ ერთი წელი დაეცადათ.

**სუნამოების დელოფალი**


საყვარელი ქალისთვის სუნამოს შექმნა არც შემთხვევითობა იყო, არც რაიმე კაპრიზი და არც ფარსი. მას ნამდვილად მიაჩნდა, რომ ეს მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ხშირად იმეორებდა: „სანამ ქალს დაინახავ, მანამდე მისი სურნელი უნდა შეიგრძნო!“ და კიდევ: „თანამედროვე მამაკაცის არომატი ისაა, რომელიც ქალებს მოსწონთ“. პირველი გამონათქვამი, თავისთავად ცხადია, ქალის სუნამოებს შეეხებოდა, მეორე — მამაკაცებისას. როშა ორივე მათგანზე ზრუნავდა და უფრო დახვეწილ საპარფიუმერიო აღმოჩენებს სთავაზობდა საზოგადოებას: **Mousseline**, რომელიც შემდგომში კლასიკად იქცა; **Mouche**, რომელსაც სახელი მოსიე როშას საყვარელი... კატის პატივსაცემად ეწოდა; **La Rose** — თვით დიდოსტატის საყვარელი სუნამო და რალა თქმა უნდა, მამაკაცის ცნობილი არომატი — **Moustache**. სხვათა შორის, ამ არომატის წარმოებაში ჩაშვების პატივსაცემად, რომლის სახელწოდებაც ითარგმნება, როგორც „ულვაში“, მარსელ როშამ ცნობილი ულვაშიანთა პორტრეტების გამოფენა მოაწყო თავისი მოდის სახლში **Matignon Avenue**-ზე. იმ დროისთვის, ეს ძალზე კრეატიული იყო, — იტყოდნენ ახლანდელი კრიტიკოსები! თვითონ როშა კი, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოსაზრებით მოიქცა ასე: „ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა!“

როშას სუნამოების წარმატება იმდენად შთაბეჭდავი იყო, რომ მან გადაწყვიტა, ერთდროულად გამოეშვა ტანსაცმელიც და სუნამოც და ძირითადად, სუნამოებზე გაეკეთებინა აქცენტი. ამის შემდეგ, მის რეზიდენციად იქცა საპარფიუმერიო ფირმა ანიერში, პარიზის გარეუბანში. ამ ფირმის თანამშრომლები ყოველწლიურად, 497 ათას ნანარმს აგზავნიდნენ მთელ მსოფლიოში, რაც ომის შემდგომი პერიოდისთვის ძალიან ბევრი იყო.

...მარსელ როშა 1955 წელს გარდაიცვალა. მაშინ ის მხოლოდ 53 წლის იყო, მისი ცოლი კი — 30-ის. მთელი

მსოფლიო იმაზე მკითხაობდა, თუ რა საქმეს მოჰკიდებდა ხელს მისი ახალგაზრდა ქვრივი და რამდენად მალე გათხოვებოდა მეორედ. მაგრამ ვერავინ გამოიცნო: ქერა ელენმა წარმატებით განაგრძო თავისი ქმრის საქმე და უზარმაზარი კოსმეტიკური ფირმის ყველაზე ახალგაზრდა მმართველად იქცა. მას არც უფიქრია მეორედ გათხოვებაზე, განაგრძო ის, რაზეც ოცნებობდა და რისი გაკეთებაც ვერ მოასწრო მისმა ქმარმა — შეექმნა სასწაული სუნამო, რომელიც სრულად და მთლიანად გადმოსცემდა... მისი საყვარელი მეუღლის არსს! მშვენიერმა ელენმა 5 წელი გაატარა ძიებაში და 1960 წელს, თავისი ხელმოწერა უკვდავყო **Madame Rochas**-ს ბროლის ფლაკონზე — სუნამოზე, რომელიც ისეთივე ელეგანტური, სუფთა და სურნელოვანია, როგორც თვით მისი შემქმნელი. რა თქმა უნდა, კომპოზიციაში შედის მისი საყვარელი თეთრი ყვავილები.

ამ სუნამოს გამოსვლის აღსანიშნავად, მოეწყო რენუარის, მონეს, დეგას, მატისისა და პიკასოს ქალთა პორტრეტების გამოფენა. სუნამომ — **Madame Rochas** — საერთაშორისო წარმატება მოიპოვა, თვითონ მადამ როშამ კი **Perfume Queen**-ის საპატიო ტიტული მიიღო. ალბათ, მკითხველი თვითონ მიხვდება, თუ რა თქვა მადამ როშამ იმ საღამოს, როცა ამ ტიტულის მინიჭების შესახებ შეიტყო... და ის მართალი იყო: „ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა!“



ყოფილა!“ — ალბათ, თავისთვის ჩაიღებოდა მარსელ როშამ, როცა დაინახა როგორ წრუპავდა ელენი შამპანურს და თან, მაღალი წრის წარმომადგენელ მამაკაცს ესაუბრებოდა. საინტერესოა ისიც, ხომ არ უთხრა საკუთარ თავს, რომ რამდენადმე ასაკოვანი იყო ასეთი ნორჩი მშვენიებისთვის (როშა ხომ მაშინ 41 წლის იყო)... ან იქნებ, თვითონ ნორჩმა მშვენიებამ გაიფიქრა მსგავსი რამ?.. რა თქმა უნდა, დანამდვილებით ეს არავინ იცოდა და ეს ჭორების დამატებით საბაზს იძლეოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაზეთებიდან მთელმა მსოფლიომ შეიტყო მათი ქორწინების შესახებ.

მაგრამ ეს იყო სიყვარული და სხვა ყველაფერმა გარკვეული მომენტიდან მათთვის მნიშვნელობა დაკარგა. როცა როშამ შეიტყო, რომ ქერა ელენს თეთრი ყვავილებიც უყვარდა, ხილიც და ბროლიც, საქორწინო საჩუქრად მან თეთრი იასამნის, ბულგარული ვარდის, ატმისა და ფორთოხლის არომატი მიართვა. მარსელმა ეს სუნამო ბროლის ფლაკონ-



ჩამის — ნოე რამიშვილის საფლავთან ლევინში



### ირმა ახალაია

„ფესვებს მოგლეჯილი ხეები“...

გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა არსებითად გადაწყვიტა ნოე რამიშვილის ოჯახის ბედი. მენშევიკური მთავრობის წევრი იძულებული გახდა, მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად საზღვარგარეთ გაიხიზნულიყო. საფრანგეთში დამკვიდრებული, საქართველოს შინაგან საქმეთა ექსმინისტრი აქტიურად იღვწოდა სამშობლოში დასაბრუნებლად, შვილებსაც დღენიდაგ ასხენებდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ და უფლება არ ჰქონდათ ამ განცდის გარეშე ეარსებათ. ვაჟებს — ბენოსა და აკაკის საქართველო მხოლოდ ფრაგმენტული ეპიზოდებით ახსოვდათ, ქალიშვილი ნუცა კი, მხოლოდ რამდენიმე თვის იყო, როდესაც სამშობლო დატოვეს, მაგრამ სამივენი შესანიშნავად იცნობდნენ საქართველოს და შესანიშნავად ფლობდნენ მშობლიურ ენას. მამა მათ ხშირად ასხენებდა, რომ ისინი ერთ დროს აუცილებლად დაბრუნდებოდნენ სამშობლოში, მაგრამ „1930 წლის 7 დეკემბერს, როცა ის პარტიის კრებაზე მიიჩქაროდა პარიზში, იტალიის მოედანზე, ჯებორს ამოფარებულმა მოსყიდულმა ქართველმა სიცოცხლეს გამოასალმა“. მოსალოდნელი უბედურების შესახებ უცნაურმა წინათგრძობამ შეანუხა თურმე ნოეს მეუღლე — მარიამ გოგიაშვილი და მეუღლეს სთხოვა, კრებაზე არ წასულიყო... ნოე რამიშვილის ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა, ლევინის სასაფლაოზე დასრულდა, სამაგიეროდ, ეს ოცნება მემკვიდრეობით გადაეცა მის შვილებს.

### რამიშვილების „შეწყვეტილი“ მემკვიდრეობა

ნოე რამიშვილის შვილები იმ ემიგრანტთა წრეში იზრდებოდნენ, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების გზებს ეძებდნენ, მაგრამ დრო ისე გავიდა, ამის განხორციელება

ისინი მთელი ცხოვრება სამშობლოდან შორს ცხოვრობდნენ და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ნოსტალგიის უკურნებელი სენით შეპყრობილმა ბოლომდე სჯეროდათ, რომ ოდესმე მინც შეძლებდნენ საქართველოში ჩამოსვლას. ემიგრანტობის ხვედრი მხოლოდ იმ ადამიანებისთვის როდი აღმოჩნდა მძიმე ვისაც კარგად ახსოვდა ან თუნდაც ბუნდოვნად აგონდებოდა სამშობლო — ამას უცხოეთში დაბადებული მათი შთამომავლებიც კი მტკიცეულად განიცდიდნენ.

ასეთი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარის, ნოე რამიშვილის ოჯახის ხვედრიც მენშევიკური მთავრობის წევრს ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს იმედი სამშობლოში დაბრუნებისა, ამ განცდით ცხოვრობდნენ მისი შვილებიც ათეულობით წლების მანძილზე, მაგრამ

## რა ბაღი ენია ნოე რამიშვილის მემკვიდრეებს უცხოეთში

### ხის ხიმაღლე მინის მებაჟირიდან ყი არა, მიხი ფესვებიდან იმომება...

ათეულობით წლების შემდგომაც ვერ მოხერხდა, ნოეს უფროსმა ვაჟმა სწავლა ამერიკაში გააგრძელა, იქ მოღვაწეობდა გარკვეული პერიოდი, შემდგომ კი, მეორე სამშობლოს — საფრანგეთს დაუბრუნდა. ცოლად ფრანგი ქალი შეირთო, მაგრამ შვილი არ შესძენიათ. მემკვიდრე არც აკაკის დარჩა. ქალიშვილი ნუცა კი, ოჯახის ინტერესების გამო, არ გათხოვილა. როგორც ჩანს, რამიშვილების ოჯახს უცხო მინაზე გვარის გაგრძელება არ ენერა, შთამომავლობის გაჩენაც ისეთივე აუხდენელი აღმოჩნდა, როგორც ოცნება სამშობლოში დაბრუნებაზე...

### სულთან და სხეულთან ახლოს... ემიგრანტის საპატიო წოდება ანუ „მისტერ ჯორჯიან“

ნოე რამიშვილის მემკვიდრეთაგან განსაკუთრებულად აკაკი რამიშვილი იცნობდა სამშობლოს. დღენიდაგ ხაზავდა საქართველოს რუკებს, ადგენდა მის ტერიტორიას სხვადასხვა ეპოქაში. მთელი ცხოვრება იმ სამ ფერს ეტრფოდა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს დროშაზე იყო გამოსახული, ამიტომაც მის ჩაცმულობაშიც სამფეროვნება გამოიკვეთებოდა. შავი შარვლით, თეთრი პერანგითა და შინდისფერი პიჯაკით შემოსილს სურდა, გამოეხატა საკუთარი ღრმა კავშირი სამშობლოსთან. მთელი ცხოვრების მანძილზე, მრავალი საპატიო წოდება და ჯილდო ერგო ნილად, მაგრამ თავად ყველაზე დიდ ჯილდოდ იმას მიიჩნევდა, რომ „მისტერ ჯორჯიან“ — „ბატონო ქართველო“-ს სახელით მიმართავდნენ. უცხოელებს უჭირდათ მისი გვარის ბოლომდე გამოთქმა, გვარის შემოკლებაზე კი არაფრით არ თანხმდებოდა.

მთელი ცხოვრება მრავალი განსაცდელი განვლო, მაგრამ ყველაზე დიდ განსაცდელად ემიგრანტობის ხვედრი მიაჩნდა. ეძებდა არგუმენტირებულ მიზეზებს იმისას, თუ რატომ აღმოჩნდა მენშევიკური მთავრობა დამარცხებული. ამ მიზეზთა ძიების შედეგად, წიგნად შეკრა მთელი თავისი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით — „1918-21 — ჩვენი შეცდომები“.

### უცხოეთშიც საქართველოსთვის... მოძიებული საარქივო მასალები

მთელი ცხოვრება მუდმივ ბრძოლაში გაატარა, უფრო სწორად — თავად ცხოვრება ებრძოდა მას. პოლონეთის სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, მსოფლიო ომმა მოუსწრო, ტყვეობის სიმწარეც იგემა და იქიდან გაქცევის სიხარულიც. პოლონეთიდან იტალიამდე თითქმის სულ ფეხით მოუწია მგზავრობამ, მაგრამ იქ ხომ ფაშისტური რეჟიმი დახვდა... იძულებული შეიქნა, საფრანგეთში წასულიყო, ბოლოს, კი, ინგლისს შეაფარა თავი, სადაც საექიმო სკოლა დაამთავრა და ორმოცდაათი წლის მანძილზე მუშაობდა ქვეყნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ კლინიკაში, ექიმ-რენტგენოლოგად. სამშობლოზე ფიქრი იქაც არ ასვენებდა და იშვიათ საარქივო მასალებს ეძებდა. ეძებდა ყველაფერს, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა — გერმანიის არქივის ნაწილში, შეერთებული შტატების არქივში, პარიზში და ცულ, საქართველოს ყოფილ მთავრობის არქივში... 2000 წლის 26 მაისს ჩამოვალ



საქართველოში და ამ მასალებსაც ჩემს ქვეყანას ჩემივე ხელით გადავცემო — ნერდა. არქივი თითქმის ტონას იწონიდა, მაგრამ მისი სრული გადმოზიდვა შეუძლებელი აღმოჩნდა. მხოლოდ 150 კგ მოცულობის მასალები გადაირჩა, მაგრამ საქართველოში მის ჩამოტანას თავად მომპოვებელი ვედარ მოესწრო. არქივი აკაკის დის — ნუცას, მათი ახლო ნათესავის, ქალბატონი მარიამ (მანანა) დავითაშვილისა და მაიკო კვალაიშვილის (აკაკის ყოფილი მეუღლის) ძალისხმევით შედეგად ჩამოიტანეს საქართველოში. მას ვერც ნუცა ჩამოჰყვდა, ავადმყოფობის გამო, თუმცა მისი ტრანსპორტირების თანხები თავად გაიღო. ვინ იყვნენ და რა როლი ეკავათ მაიკო კვალაიშვილსა და მარიამ დავითაშვილს აკაკი რამიშვილის ცხოვრებაში?..

იცადა ყოფილი მეუღლის ეს დიდი ტკივილი. ნლებ-ის შემდგომ, მაიკო კვალაიშვილმა აღიარა, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში, ყველაზე ბედნიერი სწორედ აკაკისთან თანაცხოვრების პერიოდში იყო. ის მ წელი ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წლები იყო, — ხშირად ამბობდა მაიკო. აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მის სასთუმალთან იმყოფებოდა, დამეებს უთევდა. არც საქართველოდან ჩასული, მისი ნათესავი მარიამ დავითაშვილი და აკაკის და — ნუცა შორდებოდნენ გვერდიდან.



ნუცა კი, ოჯახის ინტერესების გამო, არ გათხოვილა...

### ემიგრანტის უკანასკნელი სიყვავები და ანდერძი

როდესაც აკაკი რამიშვილი შეუძლოდ შეიქნა, როგორც თვითონ ამბობდა, მის სასთუმალთან მისთვის უძვირფასესი სამი ქალბატონი ათევედა ლამებს. თვით მაიკო კვალაიშვილს, როდესაც აკაკის ავადმყოფობა შეუტყვია, ამერიკიდან ჩასულა საფრანგეთში და გვერდიდან არ მოსცილებია. ბატონ აკაკის უთქვამს: ბედნიერი ვარ, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ჩემთვის უძვირფასესი ქალბატონები მილამაზებენ, მაგრამ მთავარი ოცნება მაინც განუხორციელებელი მრჩებაო... სიკვდილის წინ, თავის



მაიკო კვალაიშვილი და ნუცა რამიშვილი აკაკი რამიშვილის სასთუმალთან

### შეხვედრა

#### მარიამ (მანანა) დავითაშვილი:

— ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ჩვენ გვყავდა ძალიან დიდი ნათესაობა უცხოეთში, რომელიც 1921 წელს, საბჭოური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ, საქართველოდან გახიზნულა. ამ ნათესაური კავშირის გამო სასტიკად დარსაჯა ჩვენი ოჯახიც. 1937 წელს, ბაბუაჩემი (დედის მხრიდან), აკაკი რამიშვილიც დააპატიმრეს და

დედაჩემის ბიძებიც. სასტიკად იდევნებოდა ყველა, ვისაც რაიმე ნათესაური კავშირი ჰქონდა მენშევიკური მთავრობის წევრებთან. პირველად, ნოე რამიშვილის ვაჟს, ბატონ აკაკის 90-იან წლებში შევხვდი, როდესაც მივლინებით ვიყავი ჩასული ინგლისში. ბატონი აკაკი დიდი ბრიტანეთის მოქალაქე იყო და ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში მუშაობდა. ჩვენი პირველი შეხვედრისთანავე გამოიკვეთა, რომ ბატონი აკაკი ზედმინევიტით ინფორმირებული იყო საქართველოს შესახებ. საოცარი სიზუსტით იცოდა არა მარტო თბილისის ყოველი ქუჩა და ჩიხი, არამედ ქვეყნის თითოეული რეგიონი, თავისი რაიონებით, არადა, ის ხომ მხოლოდ ოთხი წლის იყო, როდესაც მისმა ოჯახმა საქართველო დატოვა. ბატონი აკაკი საშინლად განიცდიდა იმ ფაქტს, რომ ემიგრანტების ნაკადი საქართველოდან მატულობდა. ხშირად ამბობდა: „შეიძლება მათ მიაღწიონ მატერიალურ კეთილდღეობას, როგორც მე, მაგრამ ერთი რამ, ყველაზე მთავარი, ყოველთვის მაკლდა — სამშობლო... და როცა ისინი ყველა პრობლემას მოაგვარებენ, მიხვდებიან, რომ უმთავრესი დაპყარგეს, რადგან, როცა მათი შვილები დაივინყებენ ქართულს, ეს ყველაზე დიდი ტკივილი იქნება მათი სულისათვის“. სწორედ მისი სურვილით, მის მიერ მოპოვებული უმნიშვნელოვანესი მასალები საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადავეცი.

თანამემამულეებსაც მიმართა: „ჩემო ძვირფასო თანამემამულეო... მე გისურვებთ, რომ ის შეცდომები, რაც ჩვენმა თაობამ ჩაიდინა XX საუკუნეში, თქვენ არასოდეს გაგემოვრებინოთ. სამშობლო არასოდეს დატოვოთ, რადგან მძიმე პერიოდებში ყველაზე მეტად სჭირდება ქვეყანას ქართველების ერთად დგომა. გისურვებთ, რომ ილია ჭავჭავაძის ლოზუნგი — ენა, მამული, სარწმუნოება — იყოს მყარი და მტკიცე...“

აკაკი რამიშვილი მიიჩნევდა, რომ მისი სული მაინც აუცილებლად შეძლებდა სამშობლოში დაბრუნებას, სხეული კი... საფრანგეთში დარჩებოდა. მან სხეულის კრემაცია მოითხოვა, მისი სურვილი მისი სიკვდილის შემდეგ განახორციელეს და აკაკი რამიშვილიც ლევილის სასაფლაოს, მისი მშობლებისა და ძმის გვერდით მიაბარეს. ეს სასაფლაო ხომ მრავალი ემიგრანტის აუხდენელ ოცნებას ინახავს...


ალბათ, ამიტომაც განიცდიან ქართველები განსაკუთრებულად ემიგრანტობის ხვედრს. მათი ფესვები ხომ აქ — საქართველოშია. ისინი ფესვებს მოგლეჯილი ხეებივით არიან: ხის სიმაღლე ხომ მინის ზედაპირიდან კი არა, მისი ფესვებიდან იზომება...

### საკუთარი ნებით დათმობილი სიყვარული ანუ რაგომ უარყო აკაკი რამიშვილმა

#### მაიკო კვალაიშვილის სიყვარული

აკაკი რამიშვილი პოლონეთის სამხედრო აკადემიაში სწავლისას დაუახლოვდა იქ მოღვაწე ქართველ პოლკოვნიკს, მიხეილ კვალაიშვილს. წლების შემდგომ ინგლისში სასწავლებლად ჩასულმა მიხეილ კვალაიშვილმა სწორედ აკაკი რამიშვილს სთხოვა მისი ქალიშვილისთვის მზრუნველობის განევა. აკაკისა და მაიკოს შორის ასაკობრივი სხვაობა 32 წელს შეადგენდა, მაგრამ ამას ხელი არ შეშლია იმ გარემოებისთვის, რომ მაიკო კვალაიშვილი აკაკის პიროვნებას აღფრთოვანებაში მოეყვანა. ისინი შეუღლდნენ, მაგრამ... აკაკი გრძნობდა, სრულყოფილი ბედნიერებისათვის მაიკოს კიდევ რაღაც სჭირდებოდა: ეს დედობის ნყურვილი იყო. „შენ ახალგაზრდა ხარ, უფლება გაქვს, იყო ბედნიერი და გყავდეს შვილები“, — უთხრა მან ერთხელ მეუღლეს. მაიკო კვალაიშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი გაიყარნენ. მაიკო მეორედ გათხოვდა. ამერიკაში ირლანდიელ მამაკაცს გაჰყვა ცოლად, შვილსაც ელოდნენ, მაგრამ უბედური შემთხვევის გამო, ის დედობას ვერ ეზიარა... აკაკი რამიშვილმა საშინლად გან-

### აკაკი რამიშვილი და მარიამ დავითაშვილი




# „აცადე ან, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმაართლე“

ნათლისღება, განცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი — ასე ეწოდება ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმინდა ეკლესია ყოველწლიურად 19 იანვარს დღესასწაულობს...

## შორენა მერკვილაკე

„ახალი აღთქმის“ თანახმად, უფალ იესო ქრისტეს ნათლისღების შესახებ თხრობა იოანე ნათლისმცემლის — უფლის წინამორბედის სინანულის ქადაგებით იწყება, რომელიც მდინარე იორდანეში ნათლავდა ხალხს: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათაი“, — ქადაგებდა იგი. იოანე ნათლისმცემელთან მისული ხალხი აღიარებდა ცოდვებს და წყლით იწმინდებოდა, მაგრამ ნათლობას არ ჰქონდა ცოდვათა მიტევების ძალა, არამედ ეს იყო წყლით განწმენდის წესი, თავისი მადლითა და შინაარსით იუდეურ და ქრისტიანულ ნათლობებს შორის იდგა („ძველი აღთქმიდან“ ვიცით, რომ ებრაელები ასრულებდნენ წყლით განწმენდის წესს, რომლის თანახმადაც არანწმინდა ადამიანი — მკვდრის შემხებელი, არანწმინდის მჭამელი და სხვა, წყლით უნდა განწმენდილიყო. ეს იყო ხორციელი განწმენდა — სჯულისმიერი ჰიგიენა).

სინანულის მქადაგებელი — იოანე ნათლისმცემელი ხალხში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. ბევრი ადამიანი მას მესიად, მსხნელადაც კი მიიჩნევდა, რომელიც წინასწარმეტყველების თანახმად, სულ მალე უნდა გამოჩენილიყო. იოანემ კი ხალხს განუცხადა: „მე უკუე ნათელ გცემ თქვენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ჩემსა ვერ შემძლებელ არს ხაშლთა მისთა ტვირთვად. მან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“. წმინდა იოანე ოქროპირი, ამ ადგილის განმარტებისას ბრძანებს: „ეს იყო ხალხის მესიასთან შესახვედრად მომზადების საუკეთესო ფორმა. იოანემ ალასრულა ესაიას წინასწარმეტყველება — განმზადნა გზანი უფლისანი“, ამასვე ამოწმებს იოანეს „სახარების“ თანახმად, იოანე




ნათლისმცემლის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მე ვარ ხმა მლაღაღებლისა უდაბნოში: მოუსწორეთ გზა უფალს, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა“ (იოანე 1, 23) — ე.ი. იოანე ნათლისმცემელი უმზადებდა გზას უფალს და ხალხს მესიასთან, მსხნელთან — ანუ იესო ქრისტესთან შესახვედრად ამზადებდა, რომელიც იმ დრომდე ადამიანებს არ გამოცხადებია, ამიტომაც იწოდება იოანე ნათლისმცემელი უფლის წინამორბედად.

მდინარე იორდანეს ნაპირზე უფალი იესო ქრისტეც გამოჩნდა, რომელიც იმ დროს, 30 წლის იყო. ქრისტემაც იწმინდა იოანესგან ნათლისღება. ღვთის განგებით, იოანემ მასში მესია შეიცნო და მასთან ნათლისღებისთვის მისულ მაცხოვარს გაკვირვებულმა მიმართა: „მე ვსაჭიროებ შენგან ნათლისღებას და შენ ჩემთან მოხ-

ვედი?“ რაზეც მაცხოვარმა მიუგო: „აცადე ან, რამეთუ ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმაართლე“. იოანეც დაემორჩილა იესოს და ნათელ-სცა მას.

საინტერესოა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ უფალმა, რომელიც არ საჭიროებდა კაცთაგან სინანულის მიღებას, განწმენდას, იწმინდა წყალში ჩადგომა და იოანე ნათლისმცემლისგან ნათლისღება? ეკლესიური მოძღვრებით, იესო ქრისტემ კაცთაგან ნათლისღება იწმინდა, რათა აღსრულბულიყო „ყოველი სიმაართლე“, რაც წმინდა მამათა განმარტებით, სჯულის კანონთა ასრულებას, მცნებების დაცვას გულისხმობს. უფალმა იწმინდა და თავმდაბლობითა და მორჩილებით აღასრულა სჯულის მიერ დადგენილი წესი. ამ ქმედებით საღმრთო კანონთა მორჩილებითა და თავმდაბლობით ასრულებისკენ მიგვიტოთა. ამასთანავე, ნათლისღების დღეს წინასწარმეტყველთა მიერ განბანის რიტუალის აღსრულებით, უფალმა „ახალაღთქმისეული“ ნათლობის საიდუმლო დააფუძნა და გვიჩვენა სახე და მაგალითი ნათლისღებისა. გარდა ამისა, მაცხოვარმა ნათლისღება იწმინდა, რათა „წყლის ბუნება“ განენათლებინა, კაცთა ცოდვები წყლით წარეხოცა და ყოველანაირად საძმების საიდუმლო განეცხადებინა, რაც სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ქრისტე წყლიდან ამოვიდა: „აი, გაიხსნენ ცანი, და იხილა ღმერთის სული, მტრედით გარდამომაველი, მასზე ეშვებოდა; და აი, ხმა ციდან მეტყველი: ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც ჩემი სათნოებაა“, — გვამცნობს მათე მახარებელი. ამდენად, ქრისტეს ნათლისღების უამს, ადამიანებს ერთარსება ღმერთის სამგვამოვნება განეცხადათ (ზეციდან გაისმა მამა ღმერთის ხმა, ნათელს იღებდა ძე, ხოლო ზეციდან გარდამოხდა სულიწმიდა მტრედის სახით), ამიტომაც ეწოდება ნათლისღების დღესასწაულს განცხადება ღვთისა.

ნათლისღების დღესასწაულის წინა დღის მსახურების — მწუხრის შემდეგ აღსრულება წყლის პირველი კურთხევა, რომელიც თვით ნათლისღების დღესასწაულის დღესაც ხდება, ნიშნად იმისა, რომ იორდანეში შთასვლით, უფალმა მთელი დედამიწის წყლები აკურთხა და მას განწმენდის ძალა მიანიჭა. წყლის კურთხევისას, მღვდლის ლოცვის მეოხებით, უბრალო წყალი სასწაულებრივ ძალას იძენს. ამ წესით ნაკურთხ წყალს დიდი აიაზმა — ანუ დიდი სინანულები ეწოდება, რომლის მიმართ მორწმუნეებს უდიდესი სასოება აქვთ — მონივნებით ინახავენ მთელი წლის მანძილზე და ყოველ დღით, უზმოზე სვამენ, რათა სულიერად და ფიზიკურად არ მოუძღურდნენ.



მ  
რ  
ა  
ზ  
ე  
ბ

გენიალური

იუდა ქრისტეს ჰმონებდა,  
ჩემობდა კაი ყმობასა;  
სიხარბით ცეცხლში ჩავარდა,  
მიხვდა სატანას ძმობასა.

დავით გურამიშვილი

რუსულან ბერიძე

(დასაწყისი ის. გზა №42-2)

ახალგაზრდა ექიმი ლანა მესხი კოლეგის, გიზო ვაშაკიძის მეგობრის, გიგი გიგაურის ფარმაცევტულ ფირმაში მუშაობს. გივის სურს, ლანას ბების, რაჭაში ცნობილი სახალხო მკურნალის რეცეპტებით დამზადებული წამლები გამოიშვა. ლანა სოფელში ბების სანახავად მიდის... მანამდე, მის ცხოვრებაში ახალგაზრდა ბიზნესმენი ლევან ქართველიშვილი გამოჩნდება, რომელიც მალე გერმანიაში სტაჟირებაზე მიდის. ლევანი ქვრივია (მისი მეუღლე მძარცველებს შემოჰკვდომიათ) და 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ბებიას, ლანა თავისი საქმის გამგრძელებლად ეგულება. ის შვილიშვილს დამხმარედ, ჭკუასუსტ ყმაწვილს — იონას შესთავაზებს, რომელიც სამკურნალო ბალახებში კარგად ერკვევა. სოფელში ლანას მოულოდნელად, გიზო მიადგება კარზე, მაგრამ ვერც ლანას და ვერც ბებიამის გივის წინადადებაზე ვერ დაითანხმებს...


ლანა თბილისში ბრუნდება. გივის მდივანი, თინიკო მას გაუზიარებს ეჭვს, რომ გიგაური ნარკოტიკებით ვაჭრობას მისდევს. ცოტა ხანში კი, თინიკოს მიეცემა შესაძლებლობა, შეფის წამლების საცავში შევიდეს და მობილური ტელეფონით გადაიღოს იქ შენახული ყუთები. ამ მასალის ლანასთვის საჩვენებლად, თინიკო დაქალს შინ ესტუმრება და ქორწილისთვის საკუთარ სამზადისზეც მოუყვება: საზღვარგარეთიდან ჩამოსული მისი ძველი მეგობარი, ლაშა მალევე სთხოვს თინიკოს ხელს... დაქალების ვარაუდით, გივი გიგაურის ბედი ბენვის ხიდზე ჰკიდია და შესაძლოა, ძალიან იოლად ჩავარდეს...

ამ საუბრის შემდეგ, რამდენიმე დღე მისე გაიარა, რომ ქალიშვილებს გივის „ბუნკერზე“ სიტყვაც აღარ დასცდენიათ. თინიკო საქორწინო სამზადისში იყო. მეგობრის ქორწილისთვის თავისებურად ემზადებოდა ლანაც.

ერთხელ დილით, ის იყო, ლანამ საკუთარი სამუშაო ოთახის კარი შეაღო, რომ უმალ თინიკომ დაურეკა:

— ჩქარა, ჩემთან გაჩნდი! ძალიან მაგარი „შმოტკა“ უნდა გაგასინჯო!

— ჯერ არ მცალია, — იუარა ლანამ. — გუშინ ჩემმა კომპიუტერმა აურია და



ხელოსანი უნდა გამოვიძახო.

— ხელოსანი რად გინდა? ავთოს აჩვენე. ნამდვილი კომპიუტერების ჯადოქარია, — სასწრაფოდ დააკავალიანა მეგობარი თინიკომ.

— რომელ ავთოს, ჩვენს მძლოლს? — გაუკვირდა ლანას.

— დიას, დიას, სწორედ მაგ ავთოს. მძლოლად ჩვენთან მუშაობს, თორემ, ადრე საკუთარი კომპიუტერული ფირმა ჰქონდა... თუმცა, რას გიხსნი?! მე თვითონ ვნახავ და ხუთ წუთში შენთან გაჩნდება.

რამდენიმე წუთში, ავთომ ლანას კარზე მიუკაკუნა და ისიც შეახსენა, თინიკო გელოდებო. ლანამ „ჯადოქარი-მძლოლი“ კომპიუტერთან მარტო დატოვა და თავად, გიგაურის მისაღებს მიაშურა:

— რა მოხდა, რა ბეჭი ამოიგდე?! — ჰკითხა მან სავარძლის საზურგეზე არხინინდ გადანოლილ თინიკოს.

თინიკო კი მაშინვე ფეხზე წამოდგა, მაგიდის უჯრა გამოსწია და ლამაზად მოჩითული მუყაოს მოზრდილი კოლოფი ამოიღო, საიდანაც გამჭვირვალე მაქმანებით დამშვენებული ქალის კორსეტი ამოაძვრინა და ლანას საზეიმოდ გაუწოდა.

— ეს რა არის? — კორსეტს უნდოდ დახედა ლანამ.

— რა არის და კორსეტი.

— ვისია?

— ჩემი. მაგრამ თუ კარგად მოიქცევი, შენი გახდება.

— რა თავში ვიხლი?!

— ნუ ხარ, გოგო, ჩამორჩენილი! — ხმას აუწია თინიკომ და თან, კორსეტი ლანას ხელში ლამის ძალით შეაჩეჩა. — იცი, სანამ აქამდე მოაღწევდა, ამ შვენიერმა ნივთმა რამხელა გზა გამოიარა?!

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, — კორსეტი უკან დაუბრუნა მეგობარს ლანამ. — რომც მომერგოს, ამ სისულელეში ჩაჭედვას მაინც არ ვაპირებ. რაღა დროს კორსეტები და „კრუჟავოებიანი პანტალონები“?!

— კარგი! — დოინჯი შემოიყარა თინიკომ. — ერთი ეს მიბრძანე, ქალბატონო, შენი აზრით, მოდის ფუქემდე-

ბლები ტრადიციულად, ვინ არიან?

— ვინ და ფრანგები! — ხმაში გაღიზიანება დაეტყო ლანას. — ნეტავ, ჩემი ცოდნის შემონახვა რალაში გჭირდება?

— იმამი, ძვირფასო, რომ ეს კორსეტიც პირდაპირ პარიზიდან ჩამომივიდა... ხომ გახსოვს, რომ გიყვებოდი, მოდელიერი დაქალი მყავს, საფრანგეთში ცხოვრობს-მეთქი?... ჰოდა, იმან გამომიგზავნა... მისი ახალი კოლექციიდანაა.

— თუ ასეა თავად ჩაიცვი და „იმა-რიაჟე“!

— მკერდი არ ჩამეტია შიგ, შე გიჟო, თორემ, გგონია, შეველეოდი?... მაგრამ არა უშავს, ჩემი მკერავი შემპირდა, ზუსტად ასეთს შეგიკერავო... შენ კი, რადგან ჩემზე პატარა მკერდი გაქვს, ამას გჩუქნი... გაისინჯე რალა, როდემდე უნდა მახვეწინო?!

— კარგი, მომეცი!.. — მეგობარს კორსეტი გამოართვა ლანამ და მაშინვე კოლოფში ჩადო. — თუ არ მომერგო, ხვალვე დაგიბრუნებ.

— არც იფიქრო! მოგერგება თუ არ მოგერგება, უკან მაინც დღესვე უნდა დამიბრუნო: ხომ გითხარი, ჩემმა მკერავმა მეც ზუსტად ასეთი უნდა შემპიკეროს-მეთქი.

— მაშინ, მორჩება ავთო კომპიუტერის შეკეთებას და ჩემს კაბინეტში გავისინჯავ, — საბოლოოდ დანებდა ლანა.

— გივის კაბინეტში არ გირჩევნია? — შეაპარა თინიკომ.

— გაგიჟდი?! ხომ შეიძლება, ყოველწუთს თავზე წამოგავადგეს!

— პირობას გაძლევ, საღამომდე არ გამოჩნდება, — ხმას დაუწია თინიკომ. — საყვარელმა დაურეკა და იმასთან გაქანდა. ასე რომ, შეგვიძლია, გივის კაბინეტში თუნდაც ფეხბურთი ვითამაშოთ.

— ჯანდაბას, გავისინჯავ, — კოლოფიდან კორსეტი ამოიღო ლანამ და შეფის კაბინეტის კარი ფრთხილად შეაღო.

— შედი, ნუ გეშინია! — შეაგულიანა თინიკომ. — მე აქ ვიქნები, რომ შემთხვევით, მისაღებში არავინ შემოუხეტოს. ოღონდ, იცოდე, რომ ჩაიცვამ, დამიძახე, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, ტანზეც რომ დაგაკვდეს, მაინც იტყვი, არ მომერგო.

გიგაურის კაბინეტში შესულმა ლანამ პიჯაკი სწრაფად გაიხადა და საკიდარზე დაკიდა. თხელი სვიტანი სკამის საზურგეზე მიაფინა, ლიფი კი პიჯაკის ჯიბეში ჩატენა, კორსეტი რის ვაი-ვაგლახით ჩაიცვა და მაშინვე თინიკოს გასძახა, რომელმაც კაბინეტში, შემოსვლისთანავე, კომპლიმენტების კორიანტელი დააყენა:

— პირდაპირ გხატავს! ზუსტად შენს ტანზეა შეკერილი! აუ, რა მკერდი დაგიყენა, რა თქმობები!..

— კმარა! — ხელის აწევით შეაჩერა ლანამ ქადაგად დავარდნილი დაქალი.

— გადი ახლა გარეთ და იქ დამელოდე!

— ნუ გეშინია! — ადგილიდან მანც არ დაიძრა თინიკო. — დაცვის ბიჭებიც კი გაფრთხილებული მყავს: თუ გივი მოულოდნელად გამოჩნდა, მაშინვე მობილურზე დამირეკავენ და სანამ კიბეზე ამოქოშინდება, ამ კაბინეტში ჩვენი კვალ-იც კი აღარ იქნება.

ამის თქმა და მობილურის ანკრი-ალეხა ერთი აღმოჩნდა.

— რა იყო? — მაშინვე ჩასაძახა ყურ-მილში თინიკომ. — ნუ მაიძუნობთ, რა, ბიჭებო, გვაცალეთ „შმოტკების“ გასინ-ჯვა! მართლა?!.. აბა, ბავშვი დაიფიცე!.. კარგი, ახლავე გამოვალთ! — მობილ-ური სწრაფად გათიშა თინიკომ და ლანას მიუბრუნდა: — ჩქარა, მგონი, ის ახვარი მართლა დაბრუნდა!..

— რაო? — მაშინვე კორსეტს ეცა ლანა, მაგრამ თინიკომ შეაჩერა:

— რა დროს ამის გახდაა?.. პირდა-პირ გადაიცვი სვიტერი!

ლანაც ასე მოიქცა, ქალიშვილები კაბინეტიდან გიჟბივით გამოცვივდნენ, სკამებზე ჩამოსხდნენ და ძლივსლა ამ-ოისუნთქეს.

— ვაიმე! — უცბად, ისევ ფეხზე წამოხტა ლანა. — პიჯაკი დამრჩა შიგ-ნით!

— არა უშვავ, იყოს... თუ გვიმ თვალი მოჰკრა, ვეტყვი, ჩემია-მეთქი. — დაამშ-ვიდა მეგობარი თინიკომ.

ამასობაში, მისაღების კარი ხმაურით გაიღო და გივი გიგაური შლეგიანივით შემოვარდა, ლანას და თინიკოს თვალი ავად შეავლო და მაშინვე კაბინეტის კარს ეცა:

— ვინც არ უნდა მოვიდეს, არ შე-მოუშვა! — კარის მიხურვამდე მოაძახა მან თინიკოს.

— დიას, ბატონო გივი, — მშვიდად

უპასუხა თინიკომ.

— ვინც არ უნდა მოვიდეს-მეთქი, გემის?!.

— მესმის, ბატონო გივი. — ისევ მშვიდად უპასუხა თინიკომ და როგორც კი შეფი კარს იქით გაუჩინარდა, ბავშ-ვივით ენაც გამოუყო: — ყრუები შენკენ მოიკითხე!

უცბად, თინიკოს მობილური ისევ ანკრიალდა. ქალიშვილმა მაშინვე უპა-სუხა:

— რაო? — თვალეები გაუფართოვ-და მას. — რამდენი არიან?.. გავიგე, გავიგე, ახლავე შევალ და ვეტყვი!

— რა მოხდა? — დაინტერესდა ლანა.

— აზრზე არა ვარ, — აპარატი გა-თიშა თინიკომ. — დაცვის ბიჭებმა დამირეკეს, გივისთან „ძალეების“ მთე-ლი ჯგრო მოდის და გააფრთხილეთ.

— ვინ მოდისო? — ვერ გაუგო ლანამ.

— პოლიციელები, გოგო, რამ გამო-გაშტერა?! — მაშინვე გივის კაბინეტის კარს ეცა თინიკო, მაგრამ სანამ გააღებ-და, მისაღებში პოლიციელთა მოზრდილი ჯგუფი შემოვარდა, ერთ-ერთმა კართან მდგარი თინიკო განზე ცივად გასწია, შემდეგ ყველანი გიგაურის კაბინეტში შელაგდნენ და კარი ხმაუ-რით ჩაკეტეს...

დაბნეული გოგონები სკამებზე ინ-სტინქტურად ჩამოსხდნენ და მისაღებ-ში ცოტა ხნით სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ, თინიკო ფეხზე გიჟივით წამოხ-ტა.

— ვაშაა! — შეთქმულივით დაიჩურ-ჩულა მან, სისარულის ნიშნად, ორივე ხელი ასწია და ჰაერში რამდენჯერმე შეათამაშა. — გაება ბიჭი მახეში!

— ტყუილად გიხარია... — ძლივსლა ამოღერლა ლანამ. — პირადად მე, გული მიგრძნობს, რომ ეს ამბავი ასე მარტი-ვად არ დამთავრდება.

— რას გულისხმობ? — ვერ მიუხვდა თინიკო.

— მეშინია, ჩვენც რამე შარში არ გავხვებით.

— ნუ ითარსები!

— შეუტია მე-გობარს თი-ნიკომ. —

ჩვენ რა შუაში ვართ?!

ამასობაში, ამბის გასაგებად, მისაღებ-ში ფირმის სხვა თანამშრომლებიც შემ-ოლაგდნენ და თინიკოსა და ლანას კა-მათი შეაწყვეტინეს. თუმცა, საჩხუბრად მომართულმა თინიკომ ახლა მათ დაუ-ტატანა:

— მე რა ვიცი, რა ხდება?! რომელი შერლოკ ჰოლმსი მე მნახეთ. თუ ძალიან გაინტერესებთ, შედიეთ და თქვენს შეფს გამოჰკითხეთ ყველაფერი!..

უეცრად, გიგაურის კაბინეტის კარი გაიღო, ერთ-ერთმა პოლიციელმა გამ-ოიხედა და თინიკო და ლანა მიიხმო. თინიკო ოთახში ლანის მოზენივით სახით შევიდა. მას უკან შემცბარი ლანა მიჰყვა და მაშინვე მაგიდასთან მჯდარ, მიტ-კალივით გაფითრებულ გიგაურს მოჰ-კრა თვალი. პოლიციელები კაბინეტს გულმოდგინედ ჩხრეკდნენ, ერთ-ერთს კი ხელში ლანას პიჯაკი ეჭირა. გოგონების დანახვაზე, პოლიციელმა პიჯაკი მხრებით ასწია და ისე იკითხა:

— ქალბატონებო, ხომ არ იცით, ეს პიჯაკი ვისია?

— ვისია და ჩემი! — ლანას პირის გაღებაც კი არ აცალა თინიკომ.

— აი, ხომ გეუბნებოდით... — მაშ-ინვე ამოიხავლა იმედმოცემულმა გივიმ. — ან ერთის უნდა ყოფილიყო, ან მე-ორის... ჩემ გარეშე იმ ოთახში, მაგათ გარდა, არავინ შემოდის...

— ნამდვილად თქვენია? — სიტყვა გააწყვეტინა პოლიციელმა გიგაურს, თან, თინიკოს თვალი თვალში გაუყარა.

— რა თქმა უნდა, — წარბიც არ შეუხრია თინიკოს.

— თუ ასეა, მაშინ ჩვენთან ერთად მოგინევთ წამოსვლა, ქალბატონო... მარ-თლა, თქვენი სახელი?

— თინიკო... — ხმა გაეზარა თინი-კოს. — უფრო სწორად — თინათინი... რა მითხარით, სად მომინევს წამოსვ-ლა? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— ჯერჯერობით — განყოფილებ-ში, — უპასუხა პოლიციელმა და თან, პიჯაკის ჯიბეში ხელი ფრთხილად ჩაყო.

„...ვაიმე! — გული გადაუქანდა ლანას. — ახლა ეს კაცი ჩემს ლიფს ამოიღებს და მომეჭრა თავი და ესაა!“ მაგრამ პოლიციელმა პიჯაკის ჯიბიდან რაღაც წამლის ფირფიტა ამოიღო, თინიკოს ცხვირწინ აუთამაშა და, როგორც იქნა, აზრიც დაასრულა:

— ...ხოლო როცა გაირკვევა, ეს რა არის, დანარჩენი მერე ვნახოთ...

— ეს... ეს ხომ ის არის... — ჯერ პოლიციელს შეხედა დაზაფრულმა თი-ნიკომ და შემდეგ, მავდრებელი მზერა ლანაზეც გადაიტანა.

ფირფიტა ლანამაც მაშინვე იცნო: სწორედ ასეთი ფირფიტები ჩანდა კა-დრებში, რომლებიც თინიკომ გივის „ბუნკერში“ მობილურით გადაიღო.

— რა ბრძანეთ, რა არისო? — ყურე-ბი ცქციტა პოლიციელმა.

— რა არის და... ეს ის... ეს მე... — საბოლოოდ „ნაიშალა“ თინიკო და





ბოლოს, ბედს დანებებულებივით წაიჭურჩულა: — არა, არაფერი...

— ბატონო პოლიციელო! — გაისმა უცბად ლანას უჩვეულოდ ცვი ხმა. — ეს პიჯაკი თინიკოსი კი არაა, ჩემია!..

— მართლა? — ჰკითხა პოლიციელმა, თან, ქალიშვილი გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— მართლა, — დაუდასტურა ლანამ. — მაშინ, გამოდის, რომ ესეც თქვენი ყოფილა, — ნამლის ფირფიტა ახლა ლანას აუთამაშა მან ცხვირწინ.

— რომ გითხრათ, არა-მეთქი, დამიჯერებთ? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ლანამ.

— რა თქმა უნდა, არა.

— მაშინ, ჩათვალეთ, რომ ეგეც ჩემია...

— გაგიჟდი, გოგო?! — მაშინვე ეცა ლანას ოდნავ გონს მოსული თინიკო. — გესმის, რას იბრალებ?!

— ესმის, ესმის... — ლანას მაგივრად პოლიციელმა გასცა პასუხი თინიკოსს. — როგორც წესი, ყველა ფაქტზე აყვანილს ესმის, რომ გაბმულია, მაგრამ მაინც თავს იკატუნებს. თქვენი მეგობარი კი საქმეს თავიდანვე შეგნებულად მიუდგა...

— მაგრამ ჯერ ხომ თქვენ მთელი სიმართლე არ იცით! — განაცხადებდა პოლიციელს ალეღვებულმა თინიკომ.

— რა თქმა უნდა, არ ვიცი, — მშვიდად დაეთანხმა პოლიციელი, — და არც მაინტერესებს. ჩემი საქმე ფაქტის დაფიქსირებაა, მტყუან-მართალს კი გამოძიება დაადგენს...

ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიყვანის შემდეგ, ლანამ ყველა ის დამამცირებელი პროცედურა გაიარა, რომელიც ექვმიტანლის წინასწარი დაკავების საკანში მოხვედრამდევა გათვალისწინებული. როცა პოლიციელმა ქალმა ლანას ტანსაცმლის ბოლომდე გასდა უბრძანა, ქალიშვილს, სირცხვილის, დამცირებისა და უსასობის გამო, თვალებიდან ცრემლები დაპაღუპით წამოსცივდა.

— სანამ აქ მოხვდებოდი, მანამ უნდა გეტყობა! — შეუღრინა მას პოლიციელმა. — აქ ტირილს და სიცილს ერთი ფასი აქვს...

ლანას ტანსაცმელი მალევე დაუბრუნეს და, ყველა სხვა ფორმალბის გავლის შემდეგ, საკნამდე ბადრავის თანხლებით მიიყვანეს. ბადრავი ერთი პატარა, პირტიკვლა ბიჭი აღმოჩნდა.

— ისე, მაინც ბედი გქონია, — საკნის კარის გაღებამდე ხმადაბლა გადაულაპრაკა მან ლანას. — ამ კამერაში ახლა, მარტო სამი ქალი ზის. თანაც, მათგან მარტო ფისოა საშიში. თათა ვითომ მისი „პადელნიცაა“, მაგრამ თუ დასჭირდა, პირველი ჩაუშვებს, ლიზი კი, ერთი გაუბედურებული გოგოა... თუ რაღაც გაგიჭირდა, მარტო იმის იმედი გქონდეს...

— გამადლობთ დაკვლიანებისთვის,

— უთხრა ლანამ. — ეტყოდა, აქაც არიან კეთილი ადამიანები...

— ჰო, ზოგი კეთილია, ზოგიც — კეთილგამიმსქენებული... — დასძინა ბადრავმა. — ასე რომ, ფრთხილად იყავი! — საკნის კარი გამოალო მან შემდეგ.

კარმა საოცრად უსიამოვნო, ყრუ ხმა გამოსცა და საკნიდან კიდევ უფრო უსიამოვნო სუნიც გამოვარდა. როგორც კი ლანა საკანში შევიდა, მის ზურგს უკან კარი ისევ ხმაურით დაიხურა. ქალიშვილს მოეჩვენა, რომ ამით მისთვის ბედნიერი ცხოვრების კარიც სამუდამოდ ჩაირაზა, ამიტომ თვალები დახუჭა, კარს მორჩილად მიეყრდნო და გაირიონდა.

— მანდ დიდხანს უნდა იდგე? — ჩაესმა ლანას ქალის ჩახლენილი ხმა და თვალები ნელ-ნელა გაახილა, თუმცა საკნის მქრქალ შუქზე თავიდან, ვერაფერი გაარჩია. შემდეგ, ერთ-ერთი ორსართულიანი საწოლის ზედა თაროზე, წამოიწოლი, საკმაოდ მოსული ქალი დაინახა.

— რა ბრძანეთ? — ჰკითხა მან ქალს.

— რაც გაიგონე! — ხმას აუწია ქალმა, შემდეგ საწოლიდან დინჯად ჩამოვიდა, ლანას მიუახლოვდა და წინ ჯიქურ აესვეტა.

ამასობაში, საკანში ორი ქვედა საწოლიც აჭრიალდა და კიდევ ორმა ქალმა ერთმანეთის მიყოლებით წამოყო თავი.

— თათა, ლიზი! — ლანასთვის თვალი წამითაც კი არ მოუშორებია, ისე გასძახა მათ პირველმა ქალმა. — ნახეთ, რა ჩიტა შემოგვიფრინდა გალიაში!

— ჩიტად ჩივი — დიდი არაფერი, ჩემო ფისო, მაგრამ ჩემმა მართლაც საკაიფო აცვია... — უმაღ ლანას ფეხსაცმელს დაასვა თვალი ერთ-ერთმა.

— ეცვა, — პბილებში ავად გამოცრა ფისომ. — ახლა გაიხდის და ფისო დეიდას უფეშქაშებს. თვითონ კი, აგერ, ა, ამ ოქროს ქოშებით ივლის. — ცალი ჩუსტი შიშველი ფეხიდან სწრაფად წაიძრო ფისომ და ლანას მიუგდო.

ლანამ ჯერ ჩუსტს დახედა, შემდეგ ქალს, მაგრამ ხმა მაინც არ ამოუღია.

— რას მიყურებ, ვერ მიცანი? — აგდებულად ჰკითხა მას ფისომ.

— ეტყობა, თვალში ეპატარაეები, ჩემო ფისო! — წამქეხბლის როლი ბოლომდე მოიხრგო თათამ.

— რა არის?... რა ყველას თქვენ უნდა აუხირდეთ! — საწოლიდან წამოდგა მესამე, ბავშვივით კაფანდარა ახალგაზრდა ქალი და ლანას და ფისოს ისე ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თითქოს ეშინოდა, ძილი არავის დავუფრთხო.

— შენ კიდევ ყველგან ნუ ეჩრები ჩემო ლიზი, თორემ, ერთხელაც იქნება... — შეუღრინა მას ფისომ.

— თავი დაანებე ამ პატროსან ადამიანს და არ ჩავერევი! — განაცხადებდა ლიზიმ.

— რაო? პატროსანსო?! — ჩაიქირქილა ფისომ. — ერთი შენ ხარ პატროსანი და მეორე, აგე, ა, ახლა დაგვე-

ატა! — ლანას ხელი უხეშად ნაპკრ მან და კარს ზურგით მიანარცხა.

პასუხად ლანამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა და სანამ ფისო კიდევ რალაციის სათქმელად პირს გააღებდა, იატაკზე ბრაგვანი მოადენინა.

— ე-ე! — ფეხზე სწრაფად წამოხტა დამფრთხალი თათა. — მგონი, ეს გოგო კარატისტია!.. — შემდეგ ფისოსთან მიიბრინა და თავი წამოუნია: — ცოცხალი ხარ?

— მომწყდი თავიდან! — იატაკიდან ძლივსლა „იკრიფა“ ფისო, თან, ლანას ბოროტი მზერა ესროლა. — ამ ამბავს ძვირად დაგისვამ, იცოდდე!

— ცემა მორევავა, ჩემო ფისუნი! — ლანას მაგივრად უპასუხა აშკარად გახარებულმა ლიზიმ და ლანას ხელი შინაურულად მოხვია: — წამოდი, შენს საწოლს გაჩვენებ!..

ის ღამე ლანამ და ლიზიმ ხმადაბალ საუბარში გაატარეს, ხოლო როცა საწოლზე „მოჭრილეს“ ფისომ ერთი-ორჯერ შემოუღრინა, ჩურჩულზე გადავიდნენ. თავისდა გასაკვირად, ლანამ ახალგაზრდა ქალს თავისი ამბავი სულ წვრილად გადმოულაგა, რაზეც ლიზიმ კარგა ხანს ივიშვიშა და შემდეგ, თავისი მძიმე თავგადასავლის მოყოლა დაიწყო.

— ჩემთან შედარებით შენ მაინც მართლა ანგელოზი ხარ... — ამოიოხრა მან.

— კარგი ერთი! — გაეღიმა ლანას. — ფრთებილია მკვლია!.. ისე, ფისომ სწორად ამომიცნო: მეც კარგი ჩიტი ვარ: პრობლემა რომ არ მოქონდეს, უნდა ძალად გამოვიგონო!.. ნეტავ, რა მეკორსეტებოდა ანდა მის გასასიჯად, რალა მაინცდამაინც ჩემი ახვარი შეფის კაბინეტში შევხეტე?! მაგრამ ხომ იცი, ეშმაკი რომ შემოგიჩნდება ადამიანს...

— აუ, რა ზუსტად თქვი! — განაცხადებდა უცბად ლიზიმ. — ეტყობა, მეც ეშმაკი შემეჩნდა, თორემ, საკუთარ ქმარს სხვა, აბა, რა ძალა მომაკვლევინებდა?!..

— რა თქვი? — გაოგნებისგან ნერწყვი ძლივსლა გადაყლაპა ლანამ. — შენ კაცი მოკალი?.. არა, დაუჯერებელია!..

— ისე, შენ კი არა, ხანდახან მეც არ მჯერა, რომ ეს მართლა ჩავიდინე... თან, იცი, ჩემი ქმარი როგორ მიყვარდა?..

— აბა, აბა! — შეეხმინა უცბად ლიზის, თათა. — თვალში რომ ჩავგარდნოდა, თითს არ ამოისვამდი... მორჩი, რა!.. მაგ გოგოს მაინც ნუ აბოლებ!.. ეგ სიაფანდობები შენი დეგენერატი ადვოკატისთვის შემოინახე!

— აბა, ახლა ყველამ ხმა ჩაიწყვიტეთ! — მთელი სხიით იღრიალა უცბად ფისომ. — არ გამიმართეს ბაზარი ამ შუალამისას! თუ გინდათ, რომ სამივე სამარესავით დაგადუმოთ?!

ამის შემდეგ საკანში მართლაც, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მოგვიანებით, ფისოს უსიამო ხვრინვამ



ხან ყველაფერზე სულელივით მეცინება, ხანაც ისე მინდა, მოთქმით ვიტყვო და ვიღრიალო, რომ სიმწრით ტუჩებს ვიგლეჯ... სანწყალმა მამუკამ ჩემს ხელში დალია სული... იცი, როგორ მეხვეწებოდა, მიშველეო?! არა, არა... ღმერთი ამ ცოდვას არასოდეს მბაბატიებს!..

— გაბატიებს... — მოსლუკუნე ღიზის თავზე ხელი ნაზად გადაუსვა ლანამ. — მთავარი, გულით მოინანიო...

დილით ლანა ვილაცის ხელის ნაზმა შეხებამ გამოაღვიძა. ქალიშვილმა მაშინვე თვალები გაახილა და მის პირდაპირ სანოლზე ჩამოჯდარ ღიზის გაკვირვებული მიაშტერდა.

— ალბათ, ფიქრობ, სადა ვარო, ხომ? — თბილად გაელიმა ღიზის.

— ახლა აღარ ვფიქრობ, — სანოლზე წამოჯდა საბოლოოდ გამოფხიზლებული ლანა.

— მაშინ, დროზე ადექი, წუთი წუთზე ალბათ, გამოძიებულთან დაგიძახებენ.

— მართლა?... ახლავე! — სანოლიდან სწრაფად გადმოინია ლანამ, იქვე მიყრილ ჩექმებში შიშველი ფეხები წაყო და შეკვივლა.

— რა მოხდა? — შეშინდა ღიზი.

— სველია! — ფეხსაცმლიდან ფეხები უმაღლესად ამოყო ლანამ. — ეტყობა, წუხელ ვილაცამ წყალი ჩამისხა.

— თათა იქნებოდა, — კედლისკენ შებრუნებული, მშვიდად მფშვინავი თათას ზურგს თვალი ბრაზიანად შეაფლო ღიზიმ. — ფისო ყველა საზიზღრობას მაგას აკეთებინებს... მაგრამ არა უშავს, ჩემები ჩაიცვი, — ფეხსაცმელი სწრაფად გაიხადა მან. — მგონი, უნდა მოგერგოს.

— მერე, შენ? — ღიზის ფეხსაცმელი მართლაც, კოსტად მოირგო ლანამ.

— მე ჩუსტებიც მაქვს... — სანოლის ქვეშიდან ლამაზი სახლის ჩუსტები გამოაქვინა ღიზიმ...

გამომძიებელ აქესენტი დოლონაძესთან ლანას პირველი შეხვედრა ხანმოკლე და ფრაგმენტული აღმოჩნდა.

— მაშ ასე! — ხელები მსუბუქად მოიფშვინტა და მაშინვე საქმეზე გადავიდა დოლონაძე. — რაც მალე აღიარებ ყველაფერს, მით უკეთესი შენთვისაც და ჩემთვისაც, — რატომღაც, თავიდანვე შენობით ლაპარაკი ირჩია მან.

— მაშინ, იქნებ, ისიც მიკარნახოთ, რა ვალიარო? — მშვიდად ჰკითხა მას ლანამ. — მე ხომ არაფერი ჩამიდენია!

— არ ჩამიდენიაო?... — ხელები გაშალა დოლონაძემ. — აბა, პოლიციამ ჩემს ჯიბეში იპოვა ნარკოტიკები?

— მე არ ვიცი, პოლიცია თქვენს ჯიბეში რას ეძებს, მაგრამ მე არასდროს არავითარი ნარკოტიკი არ მქონია...

— და ამას ექიმი ქალი მეუბნები?! — თვალეხი ეშმაკურად მოწკურა გამოძიებულმა.

— ჩემი ექიმობა აქ არაფერ შუაშია. თანაც, იმას, რომ ის აბები წამდვილად ნარკოტიკები იყო, ჯერ კიდევ დამტკიცება უნდა. — კვლავ სიმშვიდის შენარჩუნება სცდა ლანამ.

— უკვე დამტკიცებულია, საყვარელო! — უშნოდ გაიკრიჭა დოლონაძე.

— მე თქვენი საყვარელი არასდროს ვყოფილვარ, — ბოლოს მაინც გაღიზიანდა ლანა.

— შენს ჯიბეში სუბუტექსის აბებია ნაპოვნი! — აი, დასკვნაც! — ლანას წინ მაგიდაზე რალაც ფურცელი დადო დოლონაძემ, მაგრამ ლანას ფურცლისთვის არც კი დაუხედავს:

— რაკი ასეა, ამ წუთიდან ადვოკატის გარეშე სიტყვასაც ვეღარ დამაცდენინებთ, ბატონო აქესენტი! — სიტყვა „აქესენტის“ ხაზი განსაკუთრებით გაუსვა ლანამ.

— მით უარესი შენთვის! — მაგიდაზე გაშლილი ქალაქები სასწრაფოდ წამოკრიბა გამოძიებულმა და შემდეგ, ბადრაგს უხმო.

ბადრაგმა ლანა ისევ საკანში დააბრუნა, სადაც ღიზი და ფისო რალაცაზე ხმამაღლა კამათობდნენ, მაგრამ ლანას გამოჩენისთანავე ორივე დადუმდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა ლანას ღიზიმ.

— ძალიან ცუდად, — სანოლზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო ლანამ. — გამოძიებულს ყველაფერი წინასწარ აქვს გადანყვებილი და ახლა ჩემს აღიარებით ჩვენებასლა ელოდება...

— დაიკიდე! — ჩამოსძახა ლანას მეორე სართულზე მოკალათებულმა თათამ. — აღიარებ თუ არ აღიარებ, მაინც სამთვიანს მოგარჭობენ.

— რას ამბობ?! — შეიცხადა ლანამ. — სამ თვეს აქ რა გამოძიებინებს?!

— აქ დარჩენაზე არც იოცნებო!.. ამ „სამოთხეში“ მხოლოდ ორი დღე-ღამე იქნები, მერე კი — ჰერი-ჰერი ზონისკენ!.. აი, იქ გელის თუ გელის ცხოვრება! — ბოროტად ჩაიქირქილა თათამ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაარღვია.

— იცი, რა დამპალი დედაკაცია?! — მაშინვე ისევ აჩურჩულდა ღიზი.

— არა, ერთი მითხარი, ქალს რომ თამარი ერქმევა და ფისოს დაირქმევს, ნორმალურია?

— ღიზი! — შეაწყვეტინა მას ლანამ. — მართლა მოკალი საკუთარი ქმარი?

— მართლა... — აღიარა ღიზიმ. — სხვა გზა არ დამიტოვა და იმიტომ. ყოველდღე მცემდა... იმ დღეს კი, ისე გადაირია, რომ სულ კედელზე მარტყმევინა თავი... ახლაც არ ვიცი, ჩემს ხელში დანა როგორ აღმოჩნდა. მარტომ მაშინ მოვედი გონს, როცა დაჭრილმა მამუკამ ხრიალი დაიწყო...

— შვილი გყავთ?

— კი. ჩემი ზაზუკა გუშინწინ, ორი წლის გახდა... — აქვითინდა ღიზი.

— ახლა ვისთან არის?

— დედამთილთან... — სლუკუნს განაგრძობდა ღიზი. — მე თუ ციხეში დიდხანს დავრჩი, ჩათვალე, რომ ჩემთვის ისიც დაკარგულია... დედამთილი ჩემს დაუძინებელ მტრად გაზრდის...

— კარგი, კარგი, ნუ ტირი! — დამშვიდება დაუწყაო მას ლანამ. — იქნებ, სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ აფექტის მდგომარეობაში იყავი...

— დღემდე აფექტის მდგომარეობაში არ ვარ?! — ცრემლები ბავშვივით ხელისგულებით მოინმინდა ღიზიმ. —

ბატონი ღაბითი კახიანი ომის დაწყებისთანავე წავიდა აფხაზეთში და ბოლომდე იქ იმყოფებოდა. საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაჰქონდა ჰუმანიტარული ტვირთები და მედიკამენტები. გაგრის დაცემამდე რამდენიმე წუთით ადრე, მისი წყალობით, 30-მდე დაჭრილმა გამოაღწია იმ ჯოჯოხეთიდან. შემდეგ, კახიანი სოხუმის რეგიონში სანიტარული მატარებლის უფროსი იყო. აფხაზეთში მედიკამენტები შეჰქონდა, იქიდან კი დაჭრილები გამოჰყავდა. ძნელი წარმოსადგენია, ომის განუკითხაობასა და ქაოსში, დახვეწილი მანერების მქონე ექიმი როგორ ახერხებდა ნარკოტიკების დამალვას სხვადასხვა პროდუქტში, რათა ადგილამდე ჩაეტანა...



# „აფხაზეთი... სრულიად სერიოზულად“ ზსუ ომით, შინს განაგრძობდა მშვიდობისკენ

## ნესა თოფჩიშვილი

— 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო ომი. მე 18 აგვისტოს წავედი სოხუმში, თბილისიდან მედიკამენტებით დატვირთული 3 მანქანა გამოყოლეს, ასევე, თბილისელი ტაქსის მძღოლებიც წავიდნენ სოხუმში „სასწრაფო დახმარების“ მანქანებზე სამუშაოდ. სენაკში რომ ჩავედი, ქალაქის მილიციის უფროსმა, გრიშა შონიამ, რომელმაც იცოდა, თუ რა ხდებოდა გზებზე, 3 მებრძოლი გამომაყოლა. ომის „სუნი“ ენგურის ხიდიდან ვიგრძენი, სადაც აფეთქებული პოსტი დაგვხვდა. ოჩამჩირემდე ისე ვიარეთ, გზაში სულიერი არ შეგვხვედრია. ტამიშთან საღამოს ვიყავით, სადაც ჩასაფრებულმა აფხაზებმა სროლა აგვიტყვეს. ჩვენმა მეომრებმა სროლითვე უპასუხეს. როგორც ჩანს, ამან გააკვირვა აფხაზები, არ ელოდნენ — „სასწრაფო დახმარების“ მანქანებიდან რომ ისროდნენ და გაჩერდნენ. დაცხრილული მანქანებით მშვიდობიანად ჩავედით აგუძერამდე და შემდეგ, სოხუმიდან თბილისს შევატყობინე, რომ 3 მანქანა მედიკამენტები სრულად ჩავიტანე. ეს იყო ჩემი პირველი „მივლინება ომში“. ამის შემდეგ, დაიწყო ჩემი მრავალრიცხოვანი მივლინებები. მთელი წელიწადი

და 3 თვე სოხუმსა და გაგრაში მედიკამენტები და ჰუმანიტარული ტვირთები ჩამქონდა, აფხაზეთიდან კი დაჭრილები გამომაყავდა და მიცვალებულებს მოვასვენებდით. ჰუმანიტარული დახმარებისთვის კერძო ფირმებში ვაგროვებდი პურის ფქვილს, კარტოფილს, მაკარონს, შაქარს.

— თქვენ ერთ-ერთ იმ ადამიანთაგანი ხართ, ვინც გაგრაში დატრიალებული ჯოჯოხეთი საკუთარი თვალთ იხილა და გაგრამის დაცემამდე რამდენიმე წუთით ადრე დატოვა. თუ შეიძლება, გაიხსენეთ ის მძიმე დღეები.

— მართალია, გაგრა სულ ბოლოს დავეტოვე... თბილისში ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა 1992 წლის პირველ ოქტომბერს, ღამის 12 საათზე (ავთანდილ ჯორბენაძემ (მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა) დაამირეკა და მითხრა — გაგრაში მივდივართ. სასწრაფოდ ჩავიცვი, გამოვეცტე სახლის კარი და აეროპორტში წავედი. ჩვენი თვითმფრინავი ადღერში დაჯდა. ადღერიდან მანქანით გაგრისკენ გავემართეთ. საზღვარზე რუსებმა გაგვატარეს, ლესელიძეში ჩავედით და იქიდან შევედით გაგრაში, რომელიც უკვე თითქმის დაკარგული გვექონდა. დილის 9 საათზე, ქალაქის კომენდანტმა, გივი კვანტალიანიმა მითხრა, გაგრის საავადმყოფოდან დაჭრილები უნდა გამოიყვანო. საავადმყოფოში მთავარი ექიმი, ვალენტინა ჩაჩბა დამხვდა. ძალიან კარგად მიმიღო (ის ახლაც, გაგრის საავადმყოფოს მთავარი ექიმია). ნარკოტიკების ამბულატორი ჩავაბარე, აქტზე ხელი მოვანერინე. ყველაფერი ეს, ძალზე მშვიდად

კეთდებოდა, მაშინ, როცა საავადმყოფოს ეზოში საშინელი სროლების ხმა ისმოდა. ერთი კი მკითხა — ასე რატომ ჩქარობთ დაჭრილების გაყვანასო?

— მართლაც, რატომ ჩქარობდით? უკვე გქონდათ გაგრის დაცემის შესახებ ინფორმაცია?

— თბილისიდან რომ მივედიოდით, თვითმფრინავში მითხრა ჯორბენაძემ, გაგრა ეცემა და ხალხი უნდა გამოიყვანოთ... დაჭრილები ავტობუსში მოვათავსე. მხოლოდ ორი მათგანის წამოყვანა ვერ შევძელი: მძიმე ავადმყოფები, მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდნენ და ალარ გავანვალე, გზაში მომიკვდებოდნენ, ასე რომ, წაყვანას აზრი არ ჰქონდა... 30 დაჭრილი ლესელიძეში ჩავიყვანე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის მეომრები პირველად მათ ჩახოცავდნენ. მოგვიანებით შევიტყვე — სანამ ჩვენ დაჭრილები გაგვყავდა, ქართველი მეომრები აფხაზ ბოევიკებს აკავებდნენ ჩვენს გადასარჩენად, თავად კი დაიღუპნენ — არც ერთი არ გადარჩა ცოცხალი...

— როგორ ფიქრობთ — შეუძლებელი იყო, ერთი დღით ან თუნდაც რამდენიმე საათით ადრე, მშვიდობიანი მოსახლეობის ევაუაცია?

— ზოგი გააფრთხილეს, ზოგი დარჩა, ბევრმა ვერ გაიგო... ლესელიძეში, შალიკო კვინტრაძე, თბილისელი კაცი წავიყვანე. არ მომყვებოდა, ამ ღამეს აქ გავათევო, — მითხრა. ძალით ჩავსვი მანქანაში და მერე მიხვდა, რომ სიკვდილს გადავარჩინე... ქაოსი იყო გაგრაში, თორემ, როგორ არ შეიძლებოდა ხალხის გადარჩენა! ამასთან დაკავშირებით, ერთი ეპიზოდი მინდა გავისსენო. სანამ გაგრა დაცემოდა, ყოფილი რაიკომის შენობაში ვახშამი იყო გამართული, სადაც კომენდანტი გივი კვანტალიანი, თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი, სახელმწიფო მინისტრი გივი ლომინაძე, ზადრი ფირცხელანი და სხვა სამხედრო პირები იყვნენ თავმოყრილნი. საქმიანი საუბარი მიდიოდა. საშიშროება უკვე იგრძნობოდა. როდესაც მოსახლეობის,

მაგრამ მათ შორის ვაკუაციც ბევრი გახლდათ, თავდადებითაც იბრძოდა, ერთგულიც იყო და არც ნარკოტიკებს ეგანებოდა





სოსუმის დაცემის დღეს, გზები გადაკეტილი იყო...

განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ევაკუაციის აუცილებლობაზე ჩამოვარდნე სიტყვა და ვთქვი — მათ უსაფრთხოებაზე ვიზრუნოთ-მეთქი, — მკაცრად გამაფრთხილეს — პანიკას ნუ თესავ, ხმა არ ამოიღო. ერთ-ერთმა ისიც კი მითხრა — ჩუმად იყავი, პანიკისთვის დაგხვრეტენო... გაგრის შეცდომის გამოსწორებას შეძლებისდაგვარად ლესელიძეში ვეცადე. 5 ღამე არ მძინებია, მოსახლეობის ევაკუაციას ვატარებდი. ლესელიძიდან აბსოლუტურად ყველა გავიყვანეთ. ხალხს კატარლებში ვსვამდით და ფოთში ვგზავნიდით. ზოგი ადღურში გადაწყვიტა. ამ საქმეში გამგებელი, ჯონი ლატარია მეხმარებოდა.

— როგორც ცნობილია, თქვენ თბილისი-სოსუმის სანიტარული მატარებლის უფროსი ბრძანდებოდით და „ომის პერიოდში შექმნილ რთულ ვითარებაში გამოჩენილი საზრიანობისათვის“ ჯანდაცვის და თავდაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით მადლობაც გამოგიცხადეს...

— 1992 წლის 29 დეკემბრამდე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში რიგით მეომრად ვიბრძოდი. იარაღი უამრავი ნაცნობ-მეგობრის დაღუპვამ ამაღებინა ხელში. 29 დეკემბერს, სანიტარული მატარებლის უფროსად დამნიშნეს. სოსუმის რეგიონში მედიკამენტების ჩატანა და იქიდან დაჭრილების გამოყვანა მევალებოდა.

— მთელი ომის მანძილზე, მედიკამენტები თქვენს ხელში იყო. მართალია, თქვენს პატიოსნებაზე ლეგენდები დადის, და ვერც ერთმა კომისიამ ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოგინათ, მაგრამ შეიარაღებული ხალხისგან ნარკოტიკების დაყაჩაღების საფრთხეს როგორ გადაურჩით?

— დაყაჩაღების საფრთხის თავიდან აცილება მართლაც, ძალზე ძნელი იყო. მებრძოლები ჩემთან ტყვიელგამაყუჩებლის მოთხოვნით მოდიოდნენ — ასე ეძახდნენ ნარკოტიკს. მე ანაღგინს ვთავაზობდი. ნარკოტიკის ამჟღავნების ეტიკეტებზე წაშლილი მქონდა წარწერები და ძეხვში, პამიდორში, აჯიკასა

ერთი ბიჭი გაგრამი ჩემს მანქანას მოადგა და — საბურთალოზე გამიყვანეო, — მითხრა... მაგრამ მათ შორის ვაჟკაციც ბევრი გახლდათ, თავდადებითაც იბრძოდა, ერთგულიც იყო და არც ნარკოტიკებს ეტანებოდა.

— კოდორის ხეობიდან ლტოლვილები რომ გადმოვიდნენ, თქვენ ის საშინელი გზაც გაიარეთ და იმ უბედურების თვითმზილველიც ხართ...

— სოსუმის დაცემის დღეს, გზები გადაკეტილი იყო. ზუგდიდიდან სოფელ აურამში გავემართე, სადაც პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი დამხვდნენ. 3 რეისი გავაკეთე კოდორის ხეობაში. გადავიდი და ლტოლვილები გადაწყვიტა. უამრავი სიცხიანი ავადმყოფი იყო. ჭუბერი-აურა სამხიდიანი მანქანით გამოვიარე. ავადმყოფების ბანაკთან მივიდიდი, ვარჩევიდი მძიმე ავადმყოფებს და თითო რეისით 30 ადამიანი მიმყავდა. საშინელი ძარცვები ხდებოდა. ხალხი მანქანებით რომ მიმყავდა, ამ დროს, შეუღლებდნენ



დავით კახიანი მამასთან ერთად

დაჯდა და იქ გადავსვი ავადმყოფები. როცა მანქანასთან დავბრუნდით, ის გაძარცული დაგვხვდა... საკენის უღელტეხილზე 15 კაცი გადაიჩინა ხევი: როცა ტრაქტორისტს ვთხოვე — ამომაყვანინე ხალხი-მეთქი, — ავტომატს თუ მომცემ, ამოგაყვანინებ, ისე მათი ამომყვანი არ ვარო, — მიპასუხა. სად მქონდა ავტომატი?! ის ორივე ტრაქტორისტი, ქართველები იყვნენ. საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ საძარცვავად იქ ჩასულები... ამდენ საშინელებასა და უბედურებაში გამონათებაც ბევრი იყო, რომელიც გაძლებინებდა. საშინელი სიცივე იყო და ერთი აბსცესიანი ავადმყოფი ვნახე, სიცხისგან იწვოდა. ჩამოვბანე ჩირქი, გავუსუფთავე ჭრილობა და ჭუბერის საავადმყოფოში გადავიყვანე. გადარჩა ის კაცი. ასეთი სასიამოვნო ამბებიც ხდებოდა...

— ომში სწორად, უფლის ნებით, სასწაულიც ხდება და ადამიანი უეჭველ სიკვდილს გადაურჩება ხოლმე. თქვენ ხომ არ შეგმთხვევიათ ამგვარი რამ?

— თბილისის აეროპორტში მენალარიშვილმა მედიკამენტები ჩამაბარა, სოსუმში წასაღებად. ჩავჯექი თვითმფრინავში. ამ დროს ჩემთან მოვიდა ჟორდანია (თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი) და მთხოვა, მეორე თვითმფრინავში გადავქეციო. უარი ვუთხარი — მედიკამენტებს ვერ დავტოვებ-მეთქი. — მედიკამენტებს ჩვენ გადავიტანთ, თქვენ არ შეგანუხებთ, მეომრებს ერთად გვინდა წასვლაო. გადავიდი მეორე თვითმფრინავში. თან გადავიყვანე ზვიად გამსახურდიას მთავრობის დროინდელი ჯანდაცვის მინისტრის, მანანა ძოჭაშვილის შვილიც. პირველი თვითმფრინავი რომ აფრინდა, მეორე, რომელიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ათ წუთში უკან მიჰყვა. სოსუმის აეროპორტს რომ მივუახლოვდით, ჩვენ თვალწინ პირველ თვითმფრინავს, რომელიც ჯდებოდა, ბომბი ესროლეს და ააფეთქეს. იმ თვითმფრინავში 90 კაცი დაიწვა. ჩვენი თვითმფრინავის პილოტებმა ეს რომ დაინახეს, თბილისისკენ აიღეს გეზი.

— დაბოლოს, ბატონო დავით, რას იტყვით აფხაზური მოსახლეობის დამოკიდებულებაზე ქართველების მიმართ? თუ შესწრებისა ართ ისეთ შემთხვევებს, როცა აფხაზებმა ქართველები გადაარჩინეს?

— გაგრის საავადმყოფოდან დაჭრილები რომ გამომყავდა, ქირურგი გია გვარამია ოპერაციას ატარებდა (ახლა გვარამია თბილისში, ერთ-ერთი ცნობილი სამედიცინო ფორმის ხელმძღვანელია). როცა წაყვანა შევთავაზე, მიპასუხა — ავადმყოფის მუცლის ღრუ გახსნილი მაქვს, როგორ მივატოვო?! არ წამოვიდა და გაგრის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ვალენტინა ჩაჩბამ

გადაარჩინა: ჩვენი წამოსვლიდან 15 წუთში, იქ კონფედერაციის ჯარი შევიდა. მისმა მეომრებმა ბატონი გია დასახვერეტად გაიყვანეს. ქალბატონი ვალენტინა წინ გადაუდგა და სიკვდილს გადაარჩინა... გაგრამი ქართველ ბიჭს აფხაზებმა ძმა მოუკლეს. გამწარებულმა, სავადმყოფოს ეზოში აფხაზი გამოიყვანა და დახვრიტა. სხვებმაც დაიწყეს აფხაზებზე ნადირობა. ჩვენ 3 კაცი გადავარჩინეთ და სოჭში გავამგზავრეთ... აფხაზებმა ძალიან ბევრი ქართველი შეიფარეს. ახლა ქირურგიის ინსტიტუტში მუშაობს დვალაძე, რომელიც აფხაზებმა დამალეს და გაგრიდან გამოიყვანეს. თავად საფრთხეში იგდებდნენ თავს: ბოევკებს რომ გაეგოთ, მათაც დახვრეტდნენ... საერთოდ კი, აფხაზი მოსახლეობის ქართველებსადმი დამოკიდებულება ცუდი იყო. ჩვენი ჯარის შესახებ ინფორმაცია გუდაუთაში მიჰქონდათ... სოფელ ლაბრაში ერთ სიმხურ ოჯახში აღმოვაჩინე ნიგნი: „Абхазия, документы и факты, совершенно секретно“ და იქვე ეწერა — ექვემდებარებიან განადგურებას. აფხაზების მიერ გამოცემულ ამ ნიგნში ჩამოთვლილი იყვნენ ყველა ქართული გვარი, რომლის წარმომადგენლები ბერიას მიერ იყო ჩასახლებული; დასახელებული გახლდათ ჩასახლების წლებიც. ეს ნიგნი უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელს გადაეცემა და დღემდე არ ვიცი, რა ბედი ეწია. ძალიან ვნანობ, ეს ნიგნი ფართო საზოგადოებას რომ არ გავაცანინო... ომში საოცარი ამბები ხდება. სოხუმის სავადმყოფოს ეზოში ბომბი ჩამოვარდა და არ აფეთქდა. რამდენიმე ხანში კი, თავისით აფეთქდა და ქართველი ჟურნალისტები შეიწირა, რომელთა გვამები ჩვენ გამოვიტანეთ... სოხუმში მარუხის ქუჩაზე ყუმბარა სახლს მოხვდა და დაანგრია. მხოლოდ პატარა ადგილი გადაარჩა მეორე სართულზე, სადაც პიანინო იდგა. სახლის პატრონები გარეთ იდგნენ. ცოლმა ქმარს ჰკითხა — გასაღები ხომ არ დაკარგეთ? — რაღაღ მინდა გასაღები, ქალოო?! — უპასუხა კაცმა...

P.S. ისტორიულად ცნობილია, რომ ომების დროს, ბევრ უსინდისო ადამიანს მოუთბია ხელი და გამდიდრებულა სხვათა გაჭირვებაზე. ბატონმა დავითმა ისე იარა ამ ცხოვრებაში, როგორც ღირსეულ ადამიანს შეეფერება. და სამწუხაროა, რომ ამას სათანადო დაფასება არ მოჰყვა. მართალია, „მხედრული მამაცობისთვის“ დააჯილდოეს, მაგრამ ომის მონაწილის სტატუსი (რომელიც დაახლოებით 145 ლარამდე დახმარებას ითვალისწინებს) მოუხსნეს და მცირეწლოვანი (6 წლის) შვილის და პედგოგი მეუღლის პატრონი, მეტროპოლიტენით უფასო მგზავრობის ბილეთისა და ელექტროენერგიაზე 12-ლარინი შეღავათის ამარა დატოვეს...

# ვახტანგ ბლაგიძის ოლიმპიური ოქროს მსოფლიო ცოლმა მიუღოცა



**მოჭიდავე, რომლისთვისაც კედელზე სირბილი პრობლემას არ წარმოადგენდა**

ვახტანგ ბლაგიძე ქართველ ფალანგებს შორის იმით გახლავთ გამორჩეული, რომ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის იგი ჯერჯერობით უკანასკნელი ჩვენი თანამემამულეა, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მოგება მოახერხა. დღესდღეობით, ბატონი ვახტანგი აეროპორტის საბაჟოზე ინსპექტორად მუშაობს და როგორც თვითონ გვითხრა, 8 წლის განმავლობაში სამსახურიდან 9-ჯერ მაინც გაათავისუფლეს, მაგრამ მერე, ყოველთვის აბრუნებდნენ... მასთან შეხვედრა არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა და რამდენჯერმე ბატონ ვახტანგთან წინასწარ შეთანხმებული ინტერვიუ არ შედგა, რადგან იგი სასწრაფოდ აეროპორტში გამოიძახეს ტვირთის შესამოწმებლად. ბოლოს და ბოლოს, მან თავისუფალი დრო გამოიხატა და საკუთარ ოჯახში მიგვიპატიჟა.

## ბიორბი ლანჩავა

### 12 კილომეტრი თოვლში და ფეხმოტეხილი ჩემპიონი

— ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთში ვარ დაბადებულ-გაზრდილი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობით მე-6 კლასში დავინტერესდი, როდესაც თანასოფელ გონერ ჩხარტიშვილის ასპარეზობას დავესწარი ჩვენი რაიონის პირველობაზე. შეჯიბრების დასრულების შემდეგ, მას ვთხოვე, მწვრთნელ მისიელ თავართქილაძესთან მივეყვანე, რათა თავადაც დამეწყო ვარჯიში. გონერი ჩემზე ბატონ მისიელს კი დაელაპარაკა, მაგრამ მან უთხრა — ტანად ძალიან პატარაა და ჭიდაობა გაუჭირდებაო. მართლაც, მაშინ მხოლოდ 34-35 კილოგრამს ვინონიდი და ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ სხვების ვარჯიშს ვადევნებდი თვალს, ხოლო სახლში მისული შეძლებისდაგვარად ბევრს ვჭამდი, რომ წონაში მომემატებინა. ბოლოს და ბოლოს, თავართქილაძემ წვრთნის უფლება, მას შემდეგ დამართო, რაც პროტექცია გამიწია ახლობელმა, იური ხომერიკმა, რომელიც თავად ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი და რესპუბლიკის ნაკრების წევრი იყო. ვარჯიშს რომ შევუდებდი, სკოლაში სწავ-

ლას მოუწყველი და ხშირად, გაკვეთილებიც გაცდენაც მიწევდა. ეს ამბავი სკოლის დირექტორმა ჩემს ძმას, ზაურს შეატყობინა, რომელიც მამაჩემის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ მზრდიდა. ზაურმა ვარჯიში ამიკრძალა, მაგრამ ჭიდაობა იმდენად მიყვარდა, რომ სკოლიდან მაინც ვიპარებოდი სავარჯიშოდ, თან ცვდილობდი, ოზურგეთიდან სახლში რაც შეიძლება ადრე დავბრუნებულიყავი, რომ ძმა და დედა ამას არ მიმხედარიყვნენ. აქვე გეტყვი, რომ სავარჯიშო ფორმა, გზაზე, ბუჩქებში მქონდა დამალული... ერთხელ, მეგობრების მიერ ნაჩუქარი ნაწილები სგან საკუთარი ხელით ორთვლიანი ველოსიპედი ავაწყვე, რომლითაც ოზურგეთში დავდიოდი, მაგრამ ზაურმა ეს რომ გაიგო, უმალვე ჩამომართვა. მახსოვს, თოვლიანი ამინდი იყო და ოზურგეთიდან რომ ვბრუნდებოდი, ფეხი დამისველდა, ვინაიდან ძირგამოხეული, რუზინის ჩექმა მეცვა. ჩემს სოფლამდე ავტობუსით მგზავრობა 20 კაპიკი ღირდა, მაგრამ ფული არ მქონდა და რომ არ გავცივებულიყავი, მაინც გადავწყვიტე ტრანსპორტში ასვლა. როდესაც მძლოლმა გაიგო, რომ ფული არ მქონდა, ავტობუსიდან ჩამომსვა და თან, კარგადაც დამტყუა. მეც რაღა დამარჩენოდა — თოვლში 12 კილომეტრი ფეხით ვიარე. ამის შემდეგ, ფული რომ არ მქონდა, სოფლიდან რაიონამდე და უკან, სულ ფეხით დავდიოდი... მახსოვს, სოფელ ლაი-

თურში რაიონის პირველობა უნდა ჩატარებულიყო, რომლისთვის მზადები-სას ვარჯიშზე კოჭი მოვიტყეხე, არადა, ამ ასპარეზობაზე რომ არ გამოვსულიყავი, ალბათ, კარიერას დავამთავრებდი. ჩემმა მეგობარმა, ავთო კილურაძემ ექიმთან წამიყვანა, რომელმაც ჭიდაობა სასტიკად ამიკრძალა. მაგრამ ვერც ამან გამაჩერა, შეჯიბრებაში მონაწილეობა მაინც მივიღე და ფაქტობრივად, ცალი ფეხით რაიონის ჩემპიონი გახვდი. სახლში მედალი რომ მივიტანე, ჩემმა ნათესავმა ბორის მალა-ზონიამ ზაურსა და დედაჩემს უთხრა — ამ ბავშვს მოჭიდავის მონაცემები აქვს და გაუშვით, სპორტს გააყვესო. ოჯახში რომ გაიგეს ფეხი მოტეხილი მქონდა, მაშინვე ექიმთან წამიყვანეს და თაბაშირი-ში ჩამისვეს. ხოლო გამო-ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ე ბ უ ლ ს , ჭიდაობას აღარ მიშლიდ-ნენ.

**უფროსი მეგობარი და ტროლეიბუსში გატარებული ღამეები**

— საჭიდაო დარბაზ-ში მისვლის პირველსავე დღიდან გვერდით და-მიდგა დემურ კუპრაძე, რომელიც თავადაც მოჭიდავე გახლდათ და მზრუნველობას არ მკა-ლებდა. პირველი საჭიდაო ფორმა მან მანუქა, რომელიც იმდენად დიდი იყო ჩემთვის, რომ დედას მისი საფუძვლი-ანად გადაკეთება მოუხდა. დემური ხშირ-ად, ფულს მაძლევდა, რადგან იცოდა, რომ მატერიალურად მიჭირდა. ერთხელ, ოზურგეთის სტადიონზე დავრბო-დი. ამ დროს, ჩემზე 3-4 წლით უფროსი ბიჭები მოედანზე ფეხბურთს თამაშობდ-ნენ, ბურთი ბოსტანში გადაუვარდათ და ბრძანების ტონით მისი მოტანა მომთხ-ოვეს. ამაზე უარი რომ ვუთხარი, ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და „საქმის გარჩევა“ დამიწყო. ერთი კარგად წავუთაქე და სტადიონის ტერიტორია დავტოვე. ამ ბიჭებმა იცოდნენ, შინ რომელი გზითაც ვბრუნდებოდი და ამხანაგებთან ერთად, ოზურგეთის კინოთეატრთან დამხვდნენ. ალბათ, 20-25 ახალგაზრდა იქნებოდა. ჩემთან ერთად, დემურ კუპრაძე, ძმები ზურაბიანები და კიდევ ორი მოჭიდავე იყვნენ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ დამხვდურები ისე ცვემეთ, თავად ხეირ-იანად ხელიც კი ვერ მოგვარტყეს. აღნიშ-ნული ინციდენტის შემდეგ, ისინი დავგიმე-გობრდნენ და შეჯიბრებზე გვეკომპაგობდ-ნენ კიდევ. 1971 წელს 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს მოსწავლე-თა სპარტაკიადა მოვიგე და დავით დავი-ითაიმ რესპუბლიკის ნაკრებში ამიყვანა. ჩვენმა გუნდმა იმავე წელს ახალგაზრდებს სპორის, საბჭოთა კავშირის თასი მოი-



**მახსოვს, სოფელ ლაითურში რაიონის პირველობა უნდა ჩატარებულიყო, რომლისთვის მზადებისას ვარჯიშზე კოჭი მოვიტყეხე**

პოვა. 1974 წელს, დიდებს შორის საქართველოს პირველობაში გავიმარჯვე და საჭიდაო ხალიჩაზე კუპრაძეს გავყავ-დი, რომელიც ასპარეზობაში თავადაც მონაწილეობდა. აქვე გეტყვით: როდესაც თბილისში გადმოვედი, დემური ნიკოლაე-ვი გაემგზავრა და იქ გააგრძელა ჭიდაო-ბა, შემდეგ, მწვრთნელი გახდა, ამჟამად კი, გერმანიაში მოღვაწეობს... 1974 წელი ჩემთვის ცუდად დასრულდა. რადგან ერთ-ერთი შეჯიბრების დროს, ძალზე მძიმედ დავიზიანე მუსლი. რუბილიტაციის პერიოდმა საკმაოდ დიდხანს გასტანა და 1976 წლამდე, საჭიდაო ხალიჩაზე არ გამო-ვსულვარ. ამ პერიოდში ჩემი პირადი

ვილთან ერთად, ილია ჩხარტიშვილი მამზა-დებდა. იმ პერიოდში, მეგრელიშვილის რეკომენდაციით წონა შევიცვალე და 48-დან 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავედი. ასპარეზობის ნახევარფინალამ-დე ყველა შეხვედრა მოვიგე. ნახევარფი-ნალში კი, მსაჯებმა, სრულიად უმიზე-ზოდ, ზედიზედ 3 გაფრთხილება მომცეს და ორთაბრძოლა შეწყვიტეს. მიუხედა-ვად ამისა, ჩემპიონატის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელ-მა ვიქტორ იგუმენოვმა გუნდში ამიყვანა და მონრეალის ოლიმპიადისთვის მზადე-ბა დავიწყე. შეკრებაზე საცდელ ორთ-აბრძოლებში ყველა კონკურენტი დავამა-

რცხე, მაგრამ ოლიმპი-ადაზე მაინც არ წამიყ-ვანეს, რაც იმით ახსნეს, რომ გამოუცდელი ვიყავი.

**ფინალში მოკეუებული მოწინააღმდეგე**

1978 წელს, ნორვე-გიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ვმონაწილეობდი და უპრობლემოდ გავიმარ-ჯვე. მსოფლიო ჩემპი-ონატზე კი, პირველად 1978 წელს, მენიკოში ვიასპარეზე. სასურველ წონამდე რომ მივ-სულიყავი, შეჯიბრების დაწყებამდე, 6-8 კგ და-ვიკელი და ვინაიდან იქ ძალიან ცხელოდა, მუდმივად მწყუროდა. მართალია, სითხ-ის მიღებას მაქსიმალურად ვერიდებოდი, მაგრამ ერთხელ, ქუჩაში მიმავალს, პირი ისე გამიშრა, იძულებული გახვდი, დაძე-ლია „კოკა-კოლა“, რომელმაც მომწამლა. ამის გამო, სრული დატვირთვით ვერ ვჭიდაობდი და ფინალის წინ სამი საჯა-რიმო ქულა დამიგროვდა. იმ წლებში, ჩემი მუდმივი კონკურენტები, უნგრელი რაცი და რუმინელი ჯინგა იყვნენ. ფინალ-ში რუმინელს დავუპირისპირდი. ორთ-აბრძოლა ისე წარიმართა, რომ ორივე, ილეთს ილეთზე ვატარებდით და მესამე პერიოდის დასრულებამდე 6 წამით ადრე, ანგარიში 7:7 იყო. თუ პაექრობა ასე დას-რულდებოდა, ჩემპიონი ჯინგა ხდებოდა. მეგრელიშვილმა დამიძახა — „ვახტანგ ქულა გინდა!“ ამან გამომაფხიზლა და ჯინგას დასანახავად დავიხარე, ვითომ ფეხ-საცმლის თასმას ვიკრავდი. რუმინელმა ყურადღება ოდნავ მოაღუნა, რაც საკმა-რისი აღმოჩნდა, რომ მას წელში შევ-ვარდნოდი და 6 წამში ზედიზედ ორი ილეთი ჩამეტარებინა... დამარცხებულმა ჯინგამ გულდანყვეტილმა მითხრა — როგორ მომატყუეო!.. მესიკოში მოპოვე-ბული ოქროს მედალი ჩემთვის მნიშვნელო-ვანი იმითაც გახლდათ, რომ მთელი ტურნირი სიცხიანმა ვიჭიდავე და ხალი-ჩაზე გამოსვლა დასუსტებულს მიხდებო-და.

მწვრთნელი ჯემალ მეგრელიშვილი გახ-და, ხოლო თავად სპორტსაზოგადოება „დინამოში“ გაწვევრდი. თბილისში ჩამო-სულს ბინა არ მქონდა და ერთი პერი-ოდი მწვრთნელ გურამ დავითაშვილთან ვცხოვრობდი, ხოლო შემდეგ, მეგრელიშ-ვილთან გადავედი. იქიდან წამოსულს კი, „დინამოს“ საერთო საცხოვრებელში გა-მომიყვეს ოთახი, თუმცა, მერე იქ კალათ-ბურთელები შეასახლეს და მე გარეთ დამტოვეს. ამიტომ იძულებული გახვდი, ტროლეიბუსში მეცხოვრა, რომელსაც ბოლო გაჩერება დილოში „დინამოს“ სანვრთნელი ბაზის წინ ჰქონდა. ტროლეიბუსში საღამოს შევდიოდი და უკანა სკამზე დილამდე მეძინა... საქართვე-ლოს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინის-ტრი შოთა გორგოძე დილაობით, ბაზა-ზე სავარჯიშოდ დადიოდა და ერთხელ, ტროლეიბუსში მძინარე დამინახა. გორ-გოძეს მათხოვარი ვეგონე და ვკითხა — ბიჭო, აქ რა გინდაო? მინისტრს ყვე-ლაფერი აუხსენი. გორგოძემ გასცა ბრ-ძანება, რომ საერთო საცხოვრებელში დავებრუნებინე, საიდანაც აღარავის გამო-ვუსახლებივარ.

**არბიტრების მიერ წართმეული ოქროს მედალი**

— 1976 წელს საბჭოთა კავშირის ჩემ-პიონატი ულიანოვსკში უნდა ჩატარებუ-ლიყო, რომლისთვისაც ჯემალ მეგრელიშ-

### სპორტკომიტეტის აკრძალვა და ოქროს ტოლფასი ბრინჯაო

— მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონი და ჩემს წონაში უპირობო ლიდერი ვიყავი, 1979 წელს, ევროპის ჩემპიონატზე არ წამიყვანეს. გარდა ამისა, რამდენიმე თვის განმავლობაში, საერთაშორისო ტურნირებსაც არ გამაკარეს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სისამუდინოვმა მითხრა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლის პრობლემა მქონდა — საკავშირო სპორტკომიტეტი საზღვარგარეთ შეჯიბრებაზე არ გიშვებსო... საქმე ისაა, რომ ჩემი ნამდვილი გვარი ვალიძეა და წარმოშობით ქუთაისიდან ვართ. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კომუნისტებმა, ბაბუაჩემთან ერთად, მისი ოთხი ძმის შვიცნროებაც დაიწყეს. საბოლოოდ, ბაბუა, თავისი ერთ-ერთი ძმის თანხლებით გურიში გადავიდა საცხოვრებლად და გვარი ბლაგიძედ გადაიკეთა, ხოლო დანარჩენი ძმები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ: ერთი — ამერიკაში, ორი — საფრანგეთში. ეს ამბავი საკავშირო უშიშროების კომიტეტმა ამოატივტივა და სპორტკომიტეტს შეატყობინა, რომელმაც იმის შიშით, რომ საზღვარგარეთ მყოფ ნათესავებთან კონტაქტი არ დამემყარებინა, უცხოეთში გამგზავრება ამიკრძალა... ეს ყოველივე რომ შევითქვე, თბილისში დავბრუნდი და საქართველოს უშიშროების მაშინდელ თავმჯდომარეს, ალექსი ინაურს ვუამბე. მან დაუყოვნებლივ გაამზადა წერილი, რომელშიც იუწყებოდა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავებთან არავითარი კავშირი არ მქონდა და საკავშირო სპორტკომიტეტში გაგზავნა. ამის შედეგად, აღნიშნული პრობლემა მომეხსნა და 1979 წელს, მსოფლიო თასი ისე მოვიპოვე, არც ერთი შეხვედრა ფრედაც კი არ დამითავრებია...

1979 წელი ჩემთვის იმითაც გახდა დასაძახისოვრებული, რომ საკავშირო სპორტაკადაზე, შეუძლოდ მყოფმა, მაინც მოვახერხე ბრინჯაოს მედლის აღება, რომელსაც ვფიქრობ, ოქროს ფასი ჰქონდა. მაშინ სპორტაკადაის დანაწევრებულ ცხვირში ძირმაგარა გამოვივიდა და თავად წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდი. შეჯიბრებაზე გამოსვლას არ ვაპირებდი, მაგრამ ცხონებულმა ჟიური შარტავამ მთხოვა, მეჭიდავა, რათა საქართველოს ნაკრებს სპორტაკადაზე საერთო ჩათვლაში ქულები მიეღო: შარტავა, როგორც კომკავშირის ცეკს პირველი მდივანი, ჩვენს გუნდს კურიერება. როდესაც საქიდაოდ გავდი, მეტოქემ — ჩიუჟემა ცხვირში თავი ჩამარტყა და ტკივილისგან გონდაკარგული, ხალიჩაზე ბექებით დავეცი. მსაჯებმა, ცხადია, სუფთა ნაგება ჩამითვალეს. მაგრამ ჩიუჟემა ერთი კარგი საქმე მაინც გამიკეთა: მისი დარტყმის შედეგად, ძირმაგარა გასკდა და იმ საღამოს სიცხე აღარ მქონდა. დანარჩენი ორთაბრძოლები მოვიგე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. შარ-

ტავამ მადლობა გადამიხადა და მითხრა — გმირი ხარო!..

### ედელზე სირბილი მოსკოვში და პირჯვრის გადაწერა ფინალში

— ნაკრებში მთავარ მწვრთნელად გენადი საპუნოვის მოსვლასთან ერთად, გუნდში არსებული პრობლემები ჩემთვის დამთავრდა: მან ყოველგვარი საცდელი შესხვედრების გარეშე წამიყვანა ჩეხოსლოვაკიაში ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ყველა შესხვედრა, საერთო ჯამში, 7 წუთში მოვიგე. საპუნოვი კრებას რომ ატარებდა, ყველა მოჭიდავეს ეუბნებოდა — შრომისმოყვარეობით ბლაგიძეს მიჰბაძეთო.

ბავშვობიდან მოყოლებული, სულ სწრაფად სირბილი ვკარგავდით და ერთხელ, ფალავანთა კლუბში კედელზე გარბენაც ვცადე. მართლაც, რამდენიმე ნაბიჯი გავაკეთე და იქიდან მოყოლებული, კედელზე სირბილში სისტემატურად ვვარჯიშობდი. იმ დონეზე ავედი, რომ შემქმლო, 12 ნაბიჯიც კი გამერბინა, მას-სოვს, დარბაზში ვარჯიშისას მიხეილ სალაძის მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძე ხალიჩაზე წამოწოლილი თვალს გვადევნებდა. ამ დროს გამოვიქეცი და მის თავს ზემოთ კედელზე რამდენიმე ნაბიჯი გავიბრინე. ცხადია, მაისურაძემ გაკვირვებულმა შემომხედა და იფიქრა — გაგიჟდა ეს კაცო!.. მეორედაც იგივე რომ გავაკეთე, მან დამიძახა — ნელა, შე ხბოსთავა, ზედ არ დამეცო!.. მასსოვს, კისლოვოდსკში შეკრებაზე ვიმყოფებოდით და სასტუმროში ორმაგი შუშისგან აშენებული კედელი იყო. მასზე რომ გავიბრინე, კედელმა ზანზარა დაინყო და ხალხი შეშინებული გაიქცა — სასტუმრო ინგრევაო. 1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიადაზე ფინალამდე, 6 შესხვედრა სუფთად მოვიგე და გადაწყვეტი ორთაბრძოლა უნგრელ რაცთან უნდა ჩამეტარებინა, რომელსაც ჩემთან გამარჯვება ოცნებად ჰქონდა ქვეული. ფინალის წინ, მოთელვას ვასრულებდი სათადადრიგო დარბაზში, სადაც დახლი იყო მოწყობილი, რომ სპორტსმენებს ჩაით, ყავით ან გამაგრებელი სასმელებით გაესველებინათ პირი. ორთაბრძოლის დაწყებამდე ორი-სამი წუთი იყო დარჩენილი და რადგან ნერვულობისგან პირი გამიშრა, გადავწყვიტე, ცოტა ჩაი მომესვა. მაგრამ დახლთან მდგომმა ქალმა მიმითითა — რიგში ჩადექო. მოთელვა გავაგრძელე და უეცრად, გამოქანებულმა, ამ ქალის თავს ზემოთ კედელზე გავიბრინე. მან ამის დანახვაზე წინსაფარი მოიხსნა — აქ გიჟები არიანო! — და დარბაზი დატოვა. ამ სცენას რაცაც შეესწრო. მომხდარმა მასზე ისე იმოქმედა, რომ ფინალის დაწყებამდე, როცა უნგრელს ხელი ჩამოვართვი, კარგად დავინახე, მუხლები როგორ უკანკალდა. ორთაბრძოლა 19:1 მოვიგე. ფინალის დასრულების შემდეგ, ყველა თვალწინ პირჯვარი გადავიწერე და ამის გამო კუთვნილი პრემია არ მომცეს. თან, არც ლენინის ორდენზე წარმადგინეს, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი.


ნი. მაგრამ ამაზე დიდად არ დამწყვეტია გული, რადგან თავის დროზე, არც კომკავშირული ყოფილვარ და არც კომუნისტის. პირჯვარი კი იმიტომ გადავიწერე, რომ ამის გაცემა დედამ მთხოვა, რომელმაც სიზმარში ნახა, კვარცხლბეცზე როგორ ავიდოდი... მაშინ ოლიმპიადის დაწყებამდე, ვიდრე შეკრებაზე გავემგზავრებოდი, მშობლიურ სოფელში ჩავდი და დედის სიზმარიც ჩემს სტუმრობას დაემთხვა. ის მეორე დღესვე, შემოქმედის ჯვრის მონასტერში ფეხშიშველი წავიდა და უფალს შევედრა, მოსკოვიდან გამარჯვებული დავბრუნებულყავი. სოფლიდან ჩემი წამოსვლის წინ კი მითხრა — ერთადერთი სათხოვარი მექნება: გამარჯვების შემთხვევაში, პირჯვარი გადაიწერეო. არ ვიცო, ამის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მაგრამ ოლიმპიადიდან დაბრუნებულს, თბილისის აეროპორტში რესპუბლიკის ოფიციალური პირებიდან არავის მოულოცია გამარჯვება — მხოლოდ ცოლი დამხვდა. ამ ფაქტმა ბუნებრივია, გული დამწყვიტა. მოგვიანებით, ჩემპიონობის მოსალოცად, მხოლოდ ჟიური შარტავა შემხვდა პირადად...

1981 წელს, ნორვეგიაში მსოფლიო ჩემპიონი ისე გავხდი, რომ ყველა ორთაბრძოლა სუფთად მოვიგე და ამისთვის, საერთო ჯამში, სამწუთ-ნახევარი დამჭირდა. აღსანიშნავია, რომ 1980 წელს, ოლიმპიური ოქროს მედალი 5-მა ფალავანმა მოვიპოვეთ, ხოლო მომდევნო წელს, ამათგან არც მსოფლიო ჩემპიონი გახდარა ვინმე და არც საბჭოთა კავშირის პირველობა მოუგია. ეს მხოლოდ მე მოვახერხე... სხვათა შორის, ვიდრე მსოფლიო პირველობაზე მეორედ არ გავიფიქრე, მანამდე, ცოლთან ერთად საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. მხოლოდ ამის შემდეგ მომცეს ბინა. 1982 წელს, უნგრეთში მსოფლიო თასის ფინალში კვლავ რაცს შეხვდი და 11:0-ს რომ ვუგებდი, მხარი ამომიპარდა. ჩვენი გუნდის ექიმმა ბაჟუშემა ის ვერ ჩამისვა და ბულგარელმა კოლეგამ ალმომიჩინა დახმარება... საბოლოო ჯამში, რაცი ანგარიშით 13:0 დავამარცხე და ამისთვის წუთზე ოდნავ ნაკლები დრო დამჭირდა. იმავე წელს, მსოფლიოს ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი გავიმომცეს. აქვე გეტყვი, რომ უნგრეთში მტკივან მხარზე ოპერაცია არ გამიკეთეს და სანამ მოსკოვში ჩავფრინდი, ტკივილისგან კინალამ გავგეჟდი. ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოდან 18 დღის გამოწერილი ვიყავი, საქართველოს ნაკრებს ლენინიძეში რომ გავყვი, სადაც ჩვენი სპორტსმენები მომავალი ქვეყნის სპორტაკადაისთვის ემზადებოდნენ.

ჭიდაობას 1984 წელს დავანებე თავი და სპორტიდან რუსებმა გამაცილეს. ქართველებმა რატომღაც, ამის გაცემა არ მოინდომეს. საერთოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რომ მეჭიდავა, ვფიქრობ, ოლიმპიადას ოთხჯერ მაინც მოვიგებდი, მსოფლიო ჩემპიონატს კი — 8-ჯერ.

აღბათ ყველას გახსოვთ ქიტქსა ფილიმიდან „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“. როგორია ზურაბ ქაფიანიძის პარტნიორი თამაძის ამპლუაში, რატომ არ ეცინებოდათ კახელებს მის იუმორზე და რატომ უშლიდა სიმღერას პაატა ბურჭულაძე — ყოველივე ამის შესახებ თავად ბატონი მანანტაძე ცხადდება გვიამბობს. მას დღემდე კარგად ახსოვს, პირველად სიმთვრალემ როგორ სასიამოვნოდ შეაბარბაცა.

„ქვიავაზე, ეს  
რმთი ცოლი ჩემს სახელზე  
გააყოფა-ქვიაჩი...“



**ნინო ჯავახიშვილი**

— ბატონო ვახტანგ, თავდაპირველად დამდგარ დღესასწაულებს გილოცავთ. მითხარით, როგორ შეხვედით ახალ წელს?

— ჩემი ვაჟიშვილი უკვე 10 წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობს. იქ დაქორწინდა კიდევ და საქართველოში სწირად ვერ ჩამოდის. ქალიშვილიც ახლახან გათხოვდა. ასე რომ, მე და ჩემი მეუღლე განმარტოებით შეხვედით ახალ წელს... ადრე, როდესაც ყველანი ერთად ვიყავით, სახლში ვხვდებოდით 12 საათის დადგომას და მერე, მივდიოდით სტუმრად. ახალგაზრდობისას კი, შინ რა გამაჩერებდა?! რესტორანში მივდიოდით მეგობრები. 1977-80 წლებში, ერყაში, არხის მშენებლობაზე ვმუშაობდი. პროფესიით ჰიდროლოგი ვარ. ორნი ვიყავით ქართველები, დანარჩენები სომხები და რუსები იყვნენ. ყოველ წელს, თოვლის ბაბუა ვიყავი ხოლმე. ის წლები კარგად მახსოვს, რადგან ძნელია, ახალ წელს ახლობლების, მეგობრების გარეშე, უცხო მხარეში შეხვდე.

— ახალი წლის დღეებში, აღბათ, უპირანი იქნება, სუფრასა და თამბაქოზე საუბარი. როგორი მსმელი ხართ?

— ვერ დავიკვივნი, მაგრამ რატომღაც ყველას ჰგონია, რომ მაგრად ვსვამ. აღბათ იმიტომ, რომ ძალიან მოყვარს მოლხენა. სუფრაზე მიყვარს იუმორი და სიხალისე.

— როგორც ჩანს, დიქტატორი თამადა არ უნდა იყო...

— არა, რა თქმა უნდა, მკაცრი არ ვარ.



ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გამღვიძებია და ვეღარ გამიხსენებია, სად ვიყავი

ჩემს მასწავლებლად თემიკო ჩირბაძეს მივინწყევ. თამადა ინტელექტუალი უნდა იყოს. ისტორია, ლიტერატურა უნდა იცოდეს. პოპულარული უნდა იყოს, ხალხმა ყური რომ დაუგდოს. ქართული სუფრის წესები და ტრადიციები უნდა იცოდეს კარგად თამადამ. სიმღერა და ცეკვაც თუ ხეერება, მთლად უკეთესი. სუფრის ხელში აყვანაც უნდა შეეძლოს და ამავე დროს, თავისუფლებაც მისცეს თანამეინახეებს.

— როგორ ფიქრობთ — ყველაზე მეტად რა ამშვენებს ქართულ სუფრას?

— პირველ რიგში, ღვინო და არაჩვეულებრივი ქართული სამზარეულო. ერთმანეთისთვის ყურის დაგდება, სადღეგრძელო. ქართველები შეიძლება, ყოველდღე შეხვდეთ ერთმანეთს, ვიქეიფოთ და ყოველდღე ვუთხარათ ერთმანეთს თბილი სიტყვები.

— ზოგს არ მოსწონს, ის ამბავი, რომ სუფრაზე იმ კაცსაც კი ასხამენ ქება-დიდებას, ვინც ამას არ იმსახურებს...

— ამაშიც გამოსავალი მოვეძებნეთ — ეს ავანსია ანუ, როგორც გვინდა რომ იყოს კაცი, ისეთს ვადღეგრძელებთ, მოკლედ, ნამუსზე ვაგდებთ — იქნებ, რამემ გამოასწოროსო... ვთქვათ, თუ ბრაზიანია, უფრო მშვიდი გახდეს, ბოროტი თუა — კეთილი გახდეს, ეშმაკი თუა — ალალი და ა.შ. რა ვიცი, სადღეგრძელო შეცვლის კი ვინმეს?..

— განსაკუთრებულად თუ გიყვართ რომელიმე სადღეგრძელო?


— ახალგაზრდობაში კალათბურს ვთამაშობდი. დღემდე მსიამოვნებს ჩემი მწვრთნელის სადღეგრძელოს თქმა და კიდევ — ჩემი მასწავლებლების.

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— სიმთვრალეში კარგი ხასიათი მაქვს. ყველას ვფერებ. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გამღვიძებია და ვეღარ გამიხსენებია, სად ვიყავი.

ერთხელ, კახეთში შუა ქეივის დროს დამავინწყდა, სად ვიყავით და „შევუბერე“ ანუ დოღები კახელებზე. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა, არავინ იცინოდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა — ნეტავ, რატომ არ ეცინებამეთქი? ბოლოს, მეგობარმა ფეხი გამკრა — რა გჭირსო!.. მიხვდი, რაშიც იყო საქმე და დავინწყე ანუ დოღების მოყოლა მეგრელებზე. აი, მაშინ ატყდა ისეთი ამბავი — თურმე, რა კარგი კაცი ყოფილხარო! — მაქებდნენ კახელები. ფილიმის — „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ — გადაღების დროს, მე და ზურაბ ქაფიანიძე არაერთხელ დავმთვრალავართ. რეჟისორი ნოდარ მანაგაძე გახლდათ. ერთ საღამოს გაგავფრთხილა — ხვალ მსხვილი ხედები უნდა გადავიღოთ და არც ერთი ჩქიქა არ დალიოთო. შევედით ოთახში ტანსაცმლის გამოსაცვლელად და ვხედავთ — მაგიდაზე დგას თუთის არაყი, რამდენიმე ვაშლიც დგას და იქვეა არაყის ჭიქებიც. შეცივებულზე, რამდენიმე ჭიქა ნაპებში დავლიეთ. ნოდარი გარეთ გველოდებოდა. რომ გავედით და დაგვინახა, გაგეჟდა — აქ გდარაჯობდით და როდისლა მოასწართო?! კურიოზი სწირად ხდება ხოლმე. ასეთია ცხოვრება. რამდენიმე წლის წინ, პაატა ბურჭულაძე წარმატებული გასტროლების შემდეგ, ორიოდე დღით ჩამოვიდა. რა თქმა უნდა, მეგობრებმა შეხვედრა მოუწყვეთ. ვქეიფობთ, ვცეკვავთ, ვმღერით... პაატას ვინ შეეძრება? 5 კაცის ბანს ამბობდა! მისი ხმით ყველანი აღფრთოვანებული ვიყავით, მაგრამ რატომღაც, თვითონ იყო უკმაყოფილო — ხელით მქაჩავდა და მაჩუქებდა — ჩემს ხმაზე ნუ გადმოიხიხარო. პირველად, ხმა არ ამოვიღე, მეორედ და მესამედაც რომ დამქაჩა სახელოზე, ვეღარ მოვიტინე — კარგი, რა, პაატა, შენს ხმაზე გადმოსვლა რომ შემეძლოს, აქ კი არა, ლა სკალაში ვიქნებოდი-მეთქი... კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით. ჩემი ერთი მეგობარი ცოლების გამოცვლის „დიდი სპეციალისტი“ იყო, პირველი ცოლი რომ მოიყვანა, ქორწილში, თამაძის მოადგილე ვიყავი, მეორე — თამადა, მესამე — მეჯვარე... მერე ცოლი რომ მოიყვანა, მეგობრულად შევთავაზე — მოდი, ეს ერთი ცოლი ჩემს სახელზე „გააფორმე“, თორემ, ხომ ხედავ, რა დროა, შეიძლება — „ცოლების კორუფციაში“ დაგდონ ბრალი და თავი ციხეში ამოგაყოფინონ-მეთქი...





## Hummer H3X – ახალი ავტოჰიტი

მულტიმედია სისტემა, DVD-პლეიერით, უკანა სავარძლების თავზე მოთავსებული მონიტორებითა და უსადენო ყურსასმენებით.

„ჰამერის“ მეორე მოდიფიკაციას ეწოდება Fusion Orange Limited Edition და პიკაპის მოდიფიკაციას წარმოადგენს. მაგრამ ყველაზე გამორჩეული ვერსია — Hummer H3X გახლავთ: ის ძვირად ღირებული მასალით მოპირკეთებული სალონითა და სპეციალური საბორბლე დისკებით გამოირჩევა. ის ავტობაზარზე თურმე, უკვე წლებზედელ ზაფხულში გამოჩნდება. ბოლოს დავძენთ, რომ კომპანიის განცხადებით, აშშ-ის ტერიტორიაზე გაყიდულ „ჰამერებს“ ამერიიდან, 4-წლიანი გარანტია ექნება.


აშშ-ის ქალაქ დეტროიტში ამჟამად მიმდინარე საერთაშორისო ავტოსალონის ერთ-ერთ შიტად, ყველგანმავალ „ჰამერის“ ახალ ვერსიებს მიიჩნევენ. მათ შორის

გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებენ სატიუნინგო ვარიანტს — Pacific Blue, რომელიც ქრომირებული დეტალებით გამოირჩევა, ხოლო სალონში დამონტაჟებული აქვს

## Urge – Nissan-ის ახალი ეონსექტი

იაპონურმა ავტოგიგანტმა დეტროიტში წარმოადგინა კონცეპტუალური მოდელი, რომელიც კომპანიის კალიფორნიულ საკონსტრუქტორო ცენტრშია შექმნილი. ეს მომცრო მანქანა 3,98 მ სიგრძის, 1,82 მ სიგანისა და მხოლოდ 1,26 მ სიმაღლისაა. მისი სილუეტი რალაციით სპორტულ მოტოციკლს მოგვაგონებს. Urge-ს მასა 1090 კგ-ს შეადგენს. ის უკანაამძრავიანია. რაც შეეხება ძრავას ტექნიკურ მახასიათებლებს — ამაზე ჯერჯერობით, პრაქტიკულად არაფერია ცნობილი და მხოლოდ ერთი რამაა ნათელი — ის, რომ აგრეგატი კომპაქტური ზომების იქნება.

კონცეპტის ძარა ალუმინის შენადნო-



ბისგანაა დამზადებული, კაპოტი გამჭვირვალე, ხოლო სახურავი — რბილი და დასაკეცი აქვს. ეს ყოველივე და კარები, რომლებიც აწვეით იღება, ავტომობილს ფუტურისტულ იერს ანიჭებს. Urge ორად-

გილიანია, მაგრამ უკან აქვს მესამე, დასაკეცი სავარძელი. როგორც ექსპერტები ამბობენ, თუ ეს მანქანა სერიული გახდება, მისმა სავარაუდო ფასმა 20 ათას დოლარს შეიძლება მიაღწიოს.

## კოხეის ავტომხენველობა აღმავლობის გზაზე



კორეის საავტომობილო მრეწველობამ ახალი მიჯნა გადაკვეთა: 2005 წელს, მისი წარმოების მოცულობამ 5 მლნ მანქანას გადააჭარბა. ქვეყნის ძირითადმა საავტომობილო კომპანიებმა — Hyundai Motor, Kia Motors, GM Daewoo Auto&Technology, SsangYong Motor და აგრეთვე, Renault Samsung — ჯამში, 5,2

მლნ მანქანა გამოუშვეს, რაც 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 15,6%-ით მეტია. კიდევ უფრო (19,1%) გაიზარდა ექსპორტი, რომელმაც შარშან, 4 მლნ-ს მიაღწია. რაც შეეხება ქვეყნის შიგნით არსებულ მოთხოვნას — მან 1,13 მლნ მანქანა შეადგინა.

კორეის ავტომრეწველობის ლიდერად,

კვლავ „ჰიუნდაი“ რჩება: 2005 წელს, კონცერნმა 2,53 მლნ მანქანა გამოუშვა (11%-იანი ზრდა), ექსპორტის მოცულობამ კი, 1,96 მლნ-ს (13,3%-იანი ზრდა) მიაღწია. „კიამ“, რომელიც „ჰიუნდაის“ შვილობილ ფირმას წარმოადგენს, ქვეყნის შიგნით და გარეთ სულ 1,26 მლნ მანქანა გაყიდა. წლეულს, დუეტი — Kia-Hyundai — 4 მლნ ავტომობილის გამოშვებას გეგმავს. წარმოების ზრდა ნავარაუდევია საზღვარგარეთაც — აშშ-ში, ჩინეთსა და ინდოეთში — და ახალი ქარხნების აშენება აღმოსავლეთ ევროპაში.

ქვეყნის კიდევ ერთმა მსხვილმა ავტომწარმოებელმა — GM Daewoo, რომელიც ამერიკულ კორპორაცია „ჯენერალ მოტორს“ ეკუთვნის, 2005 წელს 1,15 მლნ მანქანა გამოუშვა — ე.ი. 28,6%-ით მეტი, ვიდრე წინა, 2004 წელს. ყველგანმავალი SsangYong-ის (ეს ფირმა ჩინურ კომპანია SAIC-ს ეკუთვნის) წარმოების მოცულობამ 141396 ერთეული შეადგინა. ფრანგული კომპანიის კონტროლქვეშ მყოფ Renault Samsung-ს კი შარშან, 119035 მანქანა აქვს წარმოებული.

ინფორმაციულ-შეახსენებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის უბის წიგნაკვანძი:

1. გედები მონოგამები არიან.
2. „ფინთი“ და „ღნიოში“ სინონიმებია.
3. ბეთჰოვენს საკუთარი მოსწავლე უყვარდა.
4. პინგვინები წყალქვეშ უპაეროდ 20 წუთს ძლებენ.
5. რაისა გორბაჩოვას ტანსაცმელს პიერ კარდენი უკერავდა.
6. გინიოლი ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟია.
7. ყინულის საფრის სიმძიმემ გრენლანდია ზღვის დონეზე დაბლა დასწია.



8. მაიას ტომის ინდიელები ასორმოდდაათმე მტტ ღვთაებას ეთაყვანებოდნენ.
9. „რაც არ გვკლავს, უფრო ძლიერს გვხდის“, — ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე.
10. ღვადაახუნა სოფელია ოჩამჩირის რაიონში, ღვადარაში — მთა სვანეთის ქედზე.

11. მხატვრული ფილმი „მე, ტეზია, ილიკო და ილარიონი“ კახეთშია გადაღებული.
12. „სრულყოფილებასა და პრინციპებს ბიზნესში ადგილი არა აქვს“, — ამბობენ ამერიკელები.
13. ლეგენდარული საბჭოთა მფრინავი ვალერი ჩკალოვი ერთ-ერთი ახალი ავიაგამანადგურებლის გამოცდისას დაიღუპა.
14. საღვადორ ალიენდეს დაღუპვის შემდეგ, თბილისში გაჩნდა გამკილავი ლექსი: „საღვადორ ალიენდე, კომუნისტებს რატომ ენდე, ხომ გამოგჭრეს ყელი, ენდე!“
15. სცენარი ფილმისათვის — „გაამოთ!“ — ემილ ბრაგინსკიმ და ელდარ რიაზანოვმა ორ კვირაში დაწერეს.
16. „თუ ყველა გაქვბთ, ესე იგი ეს თქვენი დასაფლავების დღეა“, — ამბობდა ბელგიელი მწერალი ჟულიენ დე ფოლკინარე.
17. „ნაშა დემოკრატია პახოჟა ნა სვეტაფორ, უ კატოროვო გარიატ ვსე ტრი აგნია სრაზუჟ.“ — ამბობს მიხაილ ჟვანეცკი.
18. „სტრანა პატომსტვენის ლაბოტრისასოვ!.. გოსუდარსტვო, პობედივეშიე რაზუმი!..“ — ამ სიტყვებით ახასიათებს მიხაილ ზადორნოვი საბჭოთა რუსეთს.
19. მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთი, მზის ღმერთის, პელიოსის ქანდაკება, კუნძულ როდოსზე 36 მეტრი სიმაღლის იყო. იგი რო-

სამეფო კარის საიდუმლოებანი

ევროპის სამეფო ოჯახების მოსავლიანი 2005 წელი



ბელგიის კრონპრინცი ფილიპი, მეუღლე მაგილდასთან და პატარა ემანუელ-ლეოპოლდთან ერთად

საფენები, საწოვარები და პამპერსები რა მეფეთა საქმეა?! მაგრამ დღეს, ევროპის სასახლეებში მხოლოდ ამის შესახებ ლაპარაკობენ, 2005 წელს ხომ 6-მა პრინცესამ განიცადა დედობის ბედნიერება!

2005 წელს დანიის, ნორვეგიის, ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფო ოჯახებში მატება იყო. მადრიდში ორმაგი სიხარული სუფევდა, რადგან, პრინცესა კრისტინას და პრინცესა ლეტისიას გოგონები შეეძინათ. გასულ წელს, ევროპაში პატარა ინფანტების, კრონპრინცების და პრინცესების, უფლისწულების დაბადების ნამდვილი ბუმი იყო!

დანის პრინცის საიდუმლოებით მოცული სახელი


2005 წლის 5 ოქტომბერს, დანიის კრონპრინცის ფრედერიკისა და პრინცესა მერის ოჯახში პირველი შვილი გაჩნდა. ტრადიციის მიხედვით, ბავშვის ნათლობამდე, რომელიც ამა წლის 21 იანვარს უნდა შედგეს, ახალშობილის სახელს საიდუმლოდ ინახავენ. მშობლები ერთმანეთთან საუბრის დროსაც კი თავს იკავებენ და პატარა კრონპრინცს „კუნგურუდ“ მოიხსენიებენ. ბავშვის მეტსახელი სრულიად ბუნებრივად უღერს — პრინცესა მერი ხომ ავსტრალიის მკვიდრია. ტრადიციულად, დანიის ტახტის

მემკვიდრეს ან კრისტინას არქმევენ, ან ფრედერიკს. ქვეყანა მხოლოდ ნათლობის შემდგომ შეიტყობს, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ამჯერადაც შენარჩუნდება თუ არა.

„ეს ბავშვი სასწაულია!“ — წამოიძახა ესპანეთის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ფელიპემ, როდესაც ახალშობილი ქალიშვილი პირველად იხილა. ბავშვი 2005 წლის 4 დეკემბერს მოველინა ქვეყნიერებას და სასახლეში მას ყველა „ტკბილ ლეონორს“ ეძახის. პრინცესა ლეტისიამ თავი ვერ შეიკავა და ტელეკამერების წინ საქვეყნოდ აღიარა, რომ ჩვილს ძუძუთი კვებავს. სამეფო კარის ეტიკეტის მიხედვით, სამეფო ოჯახის წევრებს მსგავსი დეტალების გახმაურება ეკრძალებათ, მაგრამ ახალგაზრდა ქალი დედობის შეგრძნებამ მთელი არსებით შეიპყრო. ლეტისიას სასარგებლო რჩევებით ყველაზე მეტად ფელიპეს უმცროსი და, ინფანტა კრისტინა ესმარება, რომელსაც ჩვილ ბავშვთა აღზრდის დიდი



დანის ახალშობილი პრინცის სახელს მხოლოდ ნათლობის შემდეგ, 21 იანვარს დაარქმევენ



სვერე მაგნუსის ნორვეგიის პრინცესა მეგე-მარის მესამე შვილია




ნიდერლანდების კრონპრინცი ვილემ-ალექსანდრი და მისი მეუღლე მაქსიმა ქალიშვილებს, 2 წლის კატარინას და 6 თვის ალექსას აღმერთებენ

გამოცდილება აქვს. პალმა-დე-მალიორკას (კრისტინას ერთ-ერთი ტიტული) ოჯახში სამი ვაჟიშვილი იზრდება, 2005 წლის 5 ივნისს კი მას ქალიშვილი, ირენეც შეეძინა.

2005 წლის 3 დეკემბერს **ნორვეგიამ** ზარ-ზეიმით აღნიშნა პრინცი სვერე მაგნუსის დაბადება. სამეფო ტახტის მემკვიდრე პრინცი ჰააკონის მეუღლემ, მისმა უდიდებულესობამ მეტე-მარტიმა დედობის ბედნიერება მესამედ განიცადა. მათ ოჯახში ახალშობილის გარდა, 8 წლის ვაჟიშვილი და 2 წლის გოგონა იზრდება. სვერე მაგნუსი მამის ტახტის მემკვიდრეთა სიაში მამისა და დის, ინგრიდ-ალექსანდრის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს. მკაცრი დინასტიური იერარქიის თანახმად, მას მმართველ მონარქად კურთხევის მხოლოდ მინიმალური შანსი თუ აქვს. **ნორვეგიის** მეზობელ **ბელგიაშიც** მსგავსი სიტუაციაა. კრონპრინცი ფილიპსა და მის მეუღლეს, მატილდას 4 ოქტომბერს მესამე შვილი ემანუელ-ლეოპოლდი შეეძინათ. ახალშობილი სამეფო ტახტზე მემკვიდრეობის უფლებას ბელგიის მომავალ დედოფალს 5

წლის დაიკო ელიზაბეტს და 3 წლის მმას, გაბრიელს უთმობს, მაგრამ სანუგეშოდ ის რჩება, რომ ნაბოლარა ემანუელ-ლეოპოლდი მთელი სამეფო ოჯახის უსაყვარლესი არსებობა. უფროსი და-



ესპანეთის ინფანტა კრისტინას და მისი მეუღლის ინიაკი უნდარგარინის ვაჟებს 3 წლის მიგელს, 5 წლის პაბლოს და 6 წლის ხუანს პატარა დაიკო ძლიერ შეუყვარდათ

ძმა ჩვილის აკვანს ნუთითაც არ შორდება და დედას საფენების გამოცვლასა და ბავშვის კვებაში ეხმარება.

**ნიდერლანდების** კრონპრინცესა მაქსიმამ 2005 წლის ივნისში სამეფოს ქალიშვილი ალექსა აჩუქა. პატარა პრინცესას მალე 6 თვე შეუსრულდება. ზამთრის დამდეგს ბავშვი მონათლეს, ეს საზეიმო ცერემონია ჰოლანდიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. 2 წლის კატარინა-ამალიამ ნათლობის დამსწრე მაღალი საზოგადოება ალაფრთოვანა. პრინცესამ უფროსი დის კანონიერი უფლებით ისარგებლა, მრავალრიცხოვან სტუმართა წინაშე თამამად გამოვიდა და ტუჩებზე თითის მიდებით დამსწრეთ სიჩუმისაკენ მოუწოდა. დარბაზი მართლაც გაისუსა და მოძღვარმა ნათლობის რიტუალის ჩატარება შეძლო...



„ტკბილი ლეონორის“ დაბადება ესპანეთში 2005 წლის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად იქცა

ინფორმაციულ-შეჯიხვებითი კოლაჟი

ეონი ღვალის უბის წიგნაკიდან:

დოსის კოლოსის სახელწოდებითაა ცნობილი. ქანდაკება მიწისძვრის დროს დაინგრა და დაცემისას, უამრავი საცხოვრებელი სახლი დააზიანა.

20. ერთი ქალი მივიდა ბუდასთან და სთხოვა, გარდაცვლილი შვილი გამოცოცხლო. ბუდა დაჰპირდა, შვილს გაგიცოცხლებ, თუკი მდოგვის მცენარის მარცვალს მომიტან ისეთი ოჯახიდან, სადაც არავინაა გარდაცვლილი. ქალმა ასეთი ოჯახი ვერსად იპოვა და მიხვდა, რომ ყველა სახლში ტრიალებდა თავისი წილი უბედურება. ის ბუდასთან დაბრუნდა და სთხოვა, მოწაფედ ამიყვანო.



21. ხო ში მიწის სიცოცხლის უკანასკნელი ნუთები კინოფირზეა აღბეჭდილი. კადრები არ არის კარგი ხარისხის, როგორც ჩანს, ოპერატორმა კარგად ვერ დააყენა ფოკუსი — გადაღებისას მას ლაპალუპით სდიოდა ცრემლები.

22. ალექსანდრე ყაზბეგს ჰყავდა მაიმუნი, რომელიც ძალიან უყვარდა. ბინაში თავისუფლად მონავარდეს ცხოველი ყველაფერს ანადგურებდა და შეწუხებული მეზობლებიც ხშირად ეუბნებოდნენ — სახლიდან რომ გადიხარ, გალიაში ჩაკეტო. ცოცხალი არსება გალიაში როგორ ჩაკეტო?! — მხრებს იჩეჩდა მწერალი. P.S. ბოლოს, ყაზბეგს მატერიალურად ისე გაუჭირდა, რომ 10 მანეთად გაყიდა მაიმუნი.

23. ერთხელ, სანადიროდ წასულ ბარონ მიუნჰაუზენს ბუჩქებიდან დათვი გამოუხტა. ბარონი არ დაიბნა, ცხოველი წინა თათებით დაიჭირა და მანამ ეჭირა, სანამ დათვი შიმშილით არ მოკვდა (მას ხომ თათის ლოკვის საშუალებაც აღარ ჰქონდა!)..

24. ეკვადორის ქალაქ სან-ანტონიოში მდებარე „მზის მუზეუმი“ ორი გასასვლელი კარი აქვს. ერთს აწერია „გასასვლელი დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში“, მეორეს — „გასასვლელი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროში“.

25. ორგანიზაცია „გრინპისის“ ლეგიონერებისგან, ეგრეთ წოდებული ეკოტერორისტებისგან თავის დასაცავად, რომლებიც მდიდარ მოქალაქეებს ძვირად ღირებულ ბუნების ქურჭებზე საღებავს ასხამენ, შეძლებული ლონდონელები ქუჩაში სერიზობისას, ქურქის ზემოდან სპეციალურ დამცავ ლაბადებს ატარებენ.




### პეტის ჰილტონი პტდიუსტს ავიწბთებს

ჰოლივუდელმა პროდიუსერმა ბრაიან კინტანამ 29 დეკემბერს ლოს-ანჯელესის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სადაც ფემინებელური სასტუმროების ქსელის მემკვიდრეს, მალალი საზოგადოების „ძუ ლომს“, 24 წლის პეტის ჰილტონს, ბრალს სდებს იმაში, რომ გოგონა მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. კინტანას ადვოკატმა ლოს-ანჯელესის მოსამართლეს თხოვნით მიმართა, რომ სასამართლომ პროდიუსერი ჰილტონის თავდასხმებისგან დაიცვას. საჩივარში აღნიშნულია, რომ პეტისმა კინტანას საინფორმაციო საშუალებებით შეურაცხყოფა მრავალჯერ მიჰყენა. პროდიუსერი ჰილტონის გარემოცვის მხრიდან დევნაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ უკვე მრავალი მუქარის გზავნილი მიიღო. საქმის მოსმენა უახლოეს დღეებში შედგება. ჰილტონის ოფიციალურ წარმომადგენელს საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში მოსარჩელე მხარის ბრალდებების შესახებ კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია და გოგონას უცნაური ქცევის მიზეზები არ დაუსახელებია.

პეტის ჰილტონი საყოველთაო სკანდალის მიზეზი პირველად როდი ხდება. 2005 წლის იანვარში ჰაკერებმა მისი სმარტფონი გახსნეს, საიდანაც პირადი ფოტოები და ტელეფონის წიგნაკის შინაარსი მოიპარეს. გატაცებული ინფორმაცია ინტერნეტის ქსელში განთავსდა. ამის გამო გატაცებული მონაცემების მფლობელები იძულებულნი გახდნენ, მონაცემები შეეცვალებინათ. ამ სკანდალის გამო დაზარალებულთა შორის აღმოჩნდნენ შოუბიზნესის ვარსკვლავები: ემინემი, კრისტინა აგილერა, ანა კურნიკოვა და სხვები.

### 50 Cent-ის პლაკატი მბიფანულთა შტაბის მიმს თესავს

პლაკატმა, რომელზეც ამერიკელი რეპერი 50 Cent პისტოლეტით ხელში ბავშვთან ერთად გამოსახული, სარეკლამო საქმიანობაზე კონტროლის ბრიტანული სამმართველოს სერიოზული აღმფოთება გამოიწვია. სამმართველოს მესჯურთა აზრით, დისკისა და ფილმისათვის Get Rich or Die Tryin (გამდიდრდი ან ტანჯვით მოკვდი) გამოშვებული პლაკატი იარაღის პროპაგანდად შეიძლება ჩაითვალოს. ჩინოვნიკებმა ეს ვერდიქტი მას შემდეგ გამოიტანეს, რაც მოსახლეობისგან 17 საჩივარი მიიღეს. პლაკატის გამომშვები ჯგუფი Universal Music კი ირწმუნება, რომ პლაკატის შინაარსი სიმბოლურად რეპერის (რომლის ნამდვილი სახელი კრტის ჯექსონია) გეტოს ცხოვრებისგან თავის დაღწევის მცდელობას და ამ გზაზე ოჯახის შექმნასა და ძალადობას შორის არჩევანს ასახავს. 50 Cent-ს ანალოგიური კრიტიკის ქარცხელი სამშობლოშიც დაატყდა თავს, სადაც სკანდალი იარაღით და მიკროფონით ხელში პოზირებამ გამოიწვია. მრავალრიცხოვანმა საჩივრებმა გამაგრებული აგენტები აიძულა პლაკატების გაფორმება შეწყვიტათ და სერია უკანვე გამოეთხოვათ. ბრიტანეთის შემთხვევაში მოსახლეობის უკმაყოფილება იმ ფაქტზეც გააძლიერა, რომ პლაკატები სწორედ იმ რაიონში იყო გაკრული, სადაც ცოტა ხნის წინ ბავშვებთან და იარაღთან დაკავშირებული დანაშაული მოხდა.



რეკლამაზე კონტროლის განხორციელების სამმართველო, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა ელიარებინა, რომ პლაკატის გამოსახულებასა და ფილმის სიუჟეტს შორის კავშირი ნამდვილად არსებობს, მაგრამ თან დასძინა: „გავითვალისწინეთ, რომ კრტის ჯექსონი ახალგაზრდებს შორის იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რომ მისი სახელის ბანდებთან და სამართალდამრღვევ, კრიმინალურ ელემენტთან დაკავშირება მართლაც იარაღის ტარებისა და გამოყენების პროპაგანდად და ნახალისებად აღიქმება. ხოლო დისკის დასახელებისა და იარაღიანი მომღერლის სახის შერწყმა მართლაც ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს წარმატების მიღწევა ძალადობითაცაა შესაძლებელი“.

### ანჯელინა ჯოლი – 2005 წლის ინტერნეტის საუკეთესო გასახტომი

ბრედ პიტთან სასიყვარულო კავშირის მიუხედავად, ანჯელინა სწორედ ამის გამოც, Hollywood.com-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ანჯელინა ჯოლის Hollywood entertainer 2005-ის ტიტული მიანიჭეს. ანჯელინა ჯოლი წლის საუკეთესო გასართობად გამოკითხულთა 30%-მა აიღარა. მას ფხვნილებს მიჰყვებიან ჯეკი გილენჰალი, ჯორჯ კლუნი, ჯესიკა ალბა, პამელა ანდერსონი და ტომ კრუზი. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი პროფესია არ გააჩნია, გართობის საუკეთესო წყაროდ ჰილტონების იმპერიის მემკვიდრე პარის ჰილტონიც აღიარეს. ბრედ პიტის ყოფილმა მუულემ ჯენიფერ ენისტონმა მე-4 ადგილი დაიკავა, თავად ბრედ პიტს კი მხოლოდ მერვე ადგილი ერგო (და ისიც მხოლოდ ანჯელინა ჯოლისთან ურთიერთობის გამო). „საპატიო ათეულის“ ბოლო ნომრად კი, ჰოლივუდის „მარადი საპატარძლო“ რენე ზელვეგერი დასახელდა.



### ჯენიფერ ლოპესის მტბში ციხში აღმთჩნდნენ

ბოროტმოქმედები, რომლებიც ჯენიფერ ლოპესისა და მარკ ენტონის საქორწინო ცერემონიის ვიდეოჩანაწერის ნაცვლად ერთ მღნ დოლარს ითხოვდნენ დაპატიმრებულნი არიან. პოლიციის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, დამნაშავენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თანხას აუცილებლად მიიღებდნენ, რადგან ლოპესისა და ენტონის ადვოკატები მათთან რამდენიმე თვის განმავლობაში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, ამიტომ მათი დაკავება მოულოდნელი იყო. „ისინი ფიქრობდნენ, რომ ფულის მისაღებად მიდიოდნენ, თანხის ნაცვლად კი უსიამოვნო სიურპრიზი მიიღეს“, — განაცხადა პოლიციელმა. საქორწინო ცერემონიის ვიდეოჩანაწერი მარკ ენტონის ნოუტბუკში ინახებოდა, რომელიც მძარცველებმა მისი ავტომობილიდან გაიტაცეს.



# msoflios momavali – centraluri sadazvervo sammartvelos versiit

აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს) არსებული ნაციონალურმა საგამომცემლო საბჭომ ახლახან გამოამუშურა დოკუმენტები, რომლებშიც მოცემულია მსოფლიოს მომავლის პოლიტიკური პროგნოზები, სადაც 2020 წლამდე პერიოდი ასახული. ამ დროისთვის, როგორც ზემოთ ხსენებული საბჭო მიიჩნევს, შესაძლოა, განვითარდეს სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტების მიერ დამუშავებული 4 გეოპოლიტიკური სცენარი.



## სცენარი პირველი – „ცენტრიდანული აზია“

მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: გაგრძელდება გლობალიზაციის განვითარების პროცესი. ამ პროცესში წარმატებით ჩაებმებიან ახალი მონაწილეები — ინდოეთი და ჩინეთი. მათი ეკონომიკის ზრდის ტემპმა დიდი ხანია, გადააჭარბა ევროპულს და მიზანმიმართულად უახლოვდება ამერიკისას. მათი დიდი შიდასამომხმარებლო ბაზარი მთელი მსოფლიოდან იზიდავს ბიზნესმენებს (ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის გამო). ისინი პლანეტის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებია და ამასთანავე, დიდი ხანია, აღარ უწევენ ექსპლუატაციას მუშათა კლასს, უპირატესობას ანიჭებენ რესურსების გამოყენებას. მათ ასევე წარმატებას მიაღწიეს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ დარგებში, გაზარდეს საკუთარი პოლიტიკური გავლენა როგორც რეგიონში, ისე მთელ მსოფლიოში. მათი სამხედრო პოტენციური მეზობელი ქვეყნების სერიოზულ შემოფოტებას იწვევს (განსაკუთრებით — იაპონიისა და პაკისტანის) და ამის გამო აშშ-იც კი შემოფოტებულია. მსოფლიოს ფინანსური ცენტრი ნელ-ნელა, ევროპიდან აზიაში ინაცვლებს.

აფრიკული ქვეყნები, რომლებიც საპირიდან ჩრდილოეთისკენ მდებარეობენ, მეტ-ნაკლებად მშვიდად გრძნობენ თავს, ხოლო სამხრეთით მდებარე სახელმწიფოები კი, მსოფლიო სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, სერიოზულ

პრობლემებს განიცდიან.

რუსეთი კვლავინდებურად რჩება ნავთობისა და ბუნებრივი აირის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად (ამ კუთხით, მასთან სტრატეგიულ ალიანსშია ჩინეთი). მაგრამ მასაც და სხვა ქვეყნებსაც (ვენესუელა, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი), რომლებსაც ეკონომიკა ნავთობსა და ბუნებრივ აირზე აქვთ ანკობილი, კრიზისი ელით. ამ კრიზისის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, შეიცვალოს ეკონომიკური ორიენტირი და აქცენტი მაღალ ტექნოლოგიებზე გაკეთდეს (რომელსაც უკვე იყენებენ განვითარებული ქვეყნები).

ლარიბი მუსლიმანური ქვეყნების „არასტაბილური ზონა“ ძველებურად აშფოთებს გლობალიზაციის ძირითად მონაწილეებს. თუმცა, ცხოვრების დონის საერთო ამაღლება იძლევა იმის იმედს, რომ ისლამური ტერორიზმის პრობლემა დროთა განმავლობაში, თავისთავად მოიხსნება.

მთავარი საშიშროებები, რომლებმაც შესაძლოა, ამ სცენარის ასრულებას შეუშალოს ხელი — გარემოსთან დაკავშირებული გარემოებები (კლიმატის სწრაფი ცვლილებები, გლობალური ეპიდემიები, სტიქიური უბედურებები) და წამყვან ქვეყნებში დემოგრაფიულ-სოციალური პრობლემები (მაგალითად, ამ საუკუნის 20-იანი წლებისთვის, ჩინეთს დაემუქრება ერის დაბერება: ასაკოვან ადამიანთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნება ახალგაზრდებზე).

## მეორე სცენარს პირობითად „პაქს ამერიკანა“ ეწოდა

ამ სცენარის თანახმად, ამერიკა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში რჩება და ცდილობს, განახორციელოს „ოქროს მილიარდის“ პრინციპი, რომლის დროსაც, პლანეტის ხუთი მეექვსედი, დარჩენილი ნაწილის საკეთილდღეოდ შრომობს. ანაზღაურების სახით, ამერიკა საკუთარ თავზე გლობალური უსაფრთხოების გარანტიებს იღებს, რაც საჭიროების შემთხვევაში, ე.წ. „ცხელ წერტილებში“ საომარი მოქმედებების წარმართვას გულისხმობს. ამასთან ერთად, მას აქვს გარკვეული პოლიტიკური უთანხმოება ევროპასთან და თითქმის ღია ეკონომიკური კონფლიქტი — ჩინეთთან (თუმცა, ჩრდილოეთ კორეა ძალზე კმაყოფილია წყნარი ოკეანის სივრცეში აშშ-ის თავშეკავებული მოქმედებით, რადგან ეს მას ბირთვული პროგრამების განხორციელების საშუალებას აძლევს).

საინტერესოა, რომ თუ ეს სცენარი რეალიზებული იქნება, ამერიკას მაინცდამაინც არ მოეწონება, რადგან მას ბევრ ლარიბ და გაჭირვებულ ქვეყანაზე ზრუნვა და იქ დემოკრატიის დაცვა მოუწევს. ასევე მოსალოდნელია ამერიკული ხალხის ქუჩაში გამოსვლა, ამ ყველაფრის პროტესტით (თუნდაც, სხვა ქვეყნებში ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვის გამო) — ანუ შესაძლოა, აშშ-შიც დაიწყოს მასების გააქტიურება (მით უმეტეს, რომ ამერიკელებს, სხვებისგან განსხვავებით, სუსტი ფსიქიკა აქვთ და ნებისმიერი ყოფითი პრობლემა მათ უფრო დიდ ფსიქოლოგიურ დარტყმას აყენებს, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლებს). ასევე საეჭვოა, რომ მსოფლიოში აშშ-ის ჰეგემონიამ გადაწყვიტოს ახლო აღმოსავლეთში ისლამური რადიკალიზმის პრობლემა. თუმცა, ამავე დროს, აშშ რჩება სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციებისა და მაღალი ტექნოლო-

**მკურნალობა გარანტიით!**  
**თმის ცვენა**, ქრთლი, ქველი, გამონაყარი, სებორეა, თმის ბუდობრივი ცვენა (აბოლის თმა), სოკო, ფსორიაზი, ტიღობი, წილები ისპობა 10 წუთში. იაპონური აპარატი ვაკეთებ მასაჟს. **მკმდლიძე, აბგაშვილი**  
**მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, II სტომატოლოგ. კლინიკა. ოთ. 28 ☎ 39-39-51; 893-91-89-17; 35-32-62**



მკურნალობამდე და შემდეგ

გიების ყველგან დანერგვის გარანტიად. რაც შეეხება ამ სცენარში რუსეთის ადგილს — სავარაუდოდ, ის იქნება დამაბალანსირებელი ევროპასა და ჩინეთს შორის (უპირველესად, ბუნებრივი აირის გამო) — ეს უკანასკნელი კი, დიდ ინტერესს იჩენს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის დაუსახლებელი ტერიტორიების მიმართ (რალა თქმა უნდა, ისევ და ისევ, ნავთობისა და ბუნებრივი აირის გამო)...

### მესამე სცენარმა მიიღო „ახალი ხალიფატის“ სახელწოდება

მისი ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: მთელი მუსლიმანური სამყარო (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) მოინდომებს ტრანსნაციონალური თეოკრატიული საზოგადოების (სახელმწიფოს?!) შექმნას, რომელიც დაეფუძნება შეძენილ რელიგიურ თვითშეგნებას და საფუძვლიანად დაუპირისპირდება დასავლეთის ტრადიციულ ფასეულობებს.

მსოფლიო წესრიგს რეალური საშიშროება რომ დაემუქროს, არ არის აუცილებელი, „ხალიფატმა“ გაიმარჯვოს — ამისათვის საკმარისია, ეს გაერთიანება რეალურად შედგეს. მისი მომხრეების გავლენამ შესაძლოა, მთელი გლობალიზაციის პროცესი დაამუხრუჭოს, თუმცა, ამ დამუხრუჭებისას მოხდება ისლამური საზოგადოების ახალი ინფორმაციული წინსვლა, ეს ყოველივე კი ერთხელ და სამუდამოდ შეცვლის იმ სოციალურ სტრუქტურებს, რომლებიც თითქმის შუა საუკუნეებიდან მოყოლებული უცვლელია. „ხალიფატის“ მთავარი პრობლემა ის იქნება, რომ ის ანტაგონისტურად განწყობა თანამედროვე ეკონომიკური მოდელებისადმი. ამასთან დაკავშირებით,

ქვეყნებს, რომლებიც მის მხარდაჭერას გადაწყვეტენ, ეკონომიკური უკუსვლა, სოციალური კრიზისი და, რა თქმა უნდა, რელიგიური ექსტრემიზმის გამძაფრება დაემუქრება და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს — თვითონ ისლამური სამყაროსაგან, რომელსაც ამჟამადაც კი არ დასტყობია შესაძლო გაერთიანების ნიშნები (თუნდაც, სუნიტებისა და შიიტების ურთიერთდაპირისპირების გამო).

რუსეთს ამ სცენარის მიხედვით, სამხრეთ საზღვრებთან (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი და რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს, კრასნოდარის მხარეც), რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ელოდება. მას ასევე ელის დაძაბული ურთიერთობა ევროკავშირთან და შიდაპოლიტიკური კრიზისი, რომლებიც ისევ და ისევ, ზემოთ ხსენებულ გარემოებებთან იქნება დაკავშირებული. მით უმეტეს, რომ 2020 წლისთვის, მუსლიმანთა რაოდენობა ამ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს მიაღწევს.

### მეოთხე და ამასთან, ყველაზე არასასიკეთო სცენარს სპეციალისტები „შიშის კონტურს“ უწოდებენ


ამ სცენარის მიხედვით, არასტაბილურობისა და ძალადობის კერებმა შესაძლოა, ერთ გიგანტურ „ნახევარმთავარში“ მოიყაროს თავი (ეს კერები ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში, შუამდინარეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში იქნება). ამ „კონტურის“ ქვეყნები დაიტანჯებიან (ან უკვე იტანჯებიან) ტოტალური თეოკრატიული რეჟიმებისაგან, მათი ეკონომიკა გლობალიზაციის „მიღმა“ განვითარდება, რაც საერთაშორისო ტერორიზმისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, საერთაშორისო ტერორისტებსაც გაუჩნდებათ იმის საშუალება, რომ იქონიონ (შექმნან, შეიძინონ და ა.შ.) ახალი ტიპის იარაღი — მინიატიურული ატომური ბომბით დაწყებული, „დახვეწილი“ ბიოლოგიური იარაღით დამთავრებული, რომლის გამოყენების შედეგი დიდი ხნის შემდეგ იჩენს თავს და დამანგრეველი იქნება. ტერორისტული შემოტევებისგან თავდაცვის მიზნით, წამყვანი ქვეყნები მოაწყობენ პრევენციულ ინტერვენციებს (იმავე ნერტილოვანი დარტყმების სახით), რომლებიც სულაც არ განმუხტავს დაძაბულ სიტუაციას. მოხდება აგრეთვე, საზღვრების ჩაკეტვა, რაც ძალზე შეზღუდავს თავისუფალ ვაჭრობასა და მიგრაციის პროცესებს. ყოველივე ეს პრაქტიკულად შეაჩერებს გლობალიზაციას, მსოფლიო ეკონომიკა დამუხრუჭდება და ვეღარ განვითარდება; ორგანიზებული დანაშაული თითქმის ყველა ქვეყანაში მორიგი აღმავლობის გზას დაადგება, რაც თავის მხრივ, სამხედრო თუ ეკონომიკური ძალისხმევის მიუხედავად, პესიმიზმის თესლს გააღვივებს ადამიანებში.

P.S. ექსპერტები, რომლებიც ზემოთ მოცემულ პროგნოზებზე მუშაობდნენ, ასევე არ გამოირიცხავენ მოულოდნელ ნეგატიურ დარტყმას კოსმოსიდან ან გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფას, რომელსაც შეუძლია, მკვეთრად შეცვალოს ნებისმიერი სცენარი და გადამწყვეტი როლიც შეასრულოს კაცობრიობის ცხოვრებაში. თუმცა, ეს მათ ხელს არ უშლის, გამოთქვან იმედი, რომ არაფერი მოულოდნელი და საშინელი არ მოხდება. ამიტომ, მტკიცედ სჯერათ, რომ უფრო რეალური გახდება ადამიანების სწრაფვა, იცხოვრონ მყუდრო, წყნარ და ჰარმონიულ სამყაროში. ■

მოამზავა რამაზ გიბაურია

## ცნობილთა ცხოვრებიდან



\*\*\*

თომას ალვა ედისონთან ბევრი სტუმარი დადიოდა. ყველას უკვირდა, რომ შესასვლელი ჩიშკარი მძიმედ იღებოდა. ბოლოს, ერთმა მეგობარმა დიდ გამომგონებელს უთხრა: — ტექნიკის დარგში შენ ხარ გენიოსი და როგორ ვერ მოახერხებ უკეთესი ჩიშკრის გაკეთებას, უფრო ადვილად რომ მოძრაობდეს? — რას უნუნებ? — მიუგო ლიმილით

ედისონმა — ჩინებულად არის მონყობილი. ჩიშკარზე ცისტერნაა გამობმული და ყოველი მომსვლელი მასში ავტომატურად ოც ლიტრ წყალს ტუმბავს.

\*\*\*

ცნობილი გერმანელი მსახიობი უნცელმანი ერთ-ერთ როლში ვრცელ წერილს კითხულობდა და რადგან ამ ბარათს დაწერილს აწვდიდნენ, იგი ზეპირად აღარ დაისწავლა. პარტნიორმა, რომელსაც როლის მიხედვით მისთვის წერილის გადაცემა ევალებოდა, უნცელმანის გამასხარავება მოინდომა და წერილის ნაცვლად სუფთა ქაღალდი მიანოდა.

მსახიობმა ერთი კი შეავლო თვალნი

დაუნერეულ ფურცელს და წამსვე დაუბრუნა: სათვალე დღეს შინ დამრჩა და გუთაყვა, შენ თვითონ წამიკითხეო.

\*\*\*

დიდი იტალიელი მხატვარი ჯოტო შეგირდებთან ერთად სან-გალოს ეკლესიისკენ მიემართებოდა. უცებ, საიდანაც ღორი გამოხტა, ეცა ფეხებში მხატვარს და ძირს დასცა.

ჯოტო წამოდგა, მტვერი ჩამოიბერტყა და სიცილით მიმართა შეგირდებს: — განა ისინი მართლები არ არიან? მათი ჯაგრისის მეშვეობით ხომ ათასობით ლივრი გამოიმუშავებია და მე კი ერთხელაც ვერ ვეცი პატივი.

		1 მს- ატრის ფუნჯი		2 მს- ლის ჯიში		3 მოგზა- ურობა აფრიკაში	4 რუბ- ინის სპორტ. ფენსატელი				
							5 იაპო- ნური ალუბალი		6 პატარა საცხ- ოვრებელი სასილი აგარაკზე		7 ქვევი- თის ფულის ერთეული
		8 ფრან- გი მეიგავე									
							9 ყვავის ბარ- ტყი				
10 ვაზის ხეი- ვანი											
11 გერ- მანუ- ლი ფაშიზმი											
12 კუს- ნურ- გის რქივანი ფარი		13 სიბრ- ნის ქალღმერ- თი ბერძნ. მით.	14 კველ- ში შედრმავე- ბული სათავსი	15 წმწწო- რები მეტყე- ლი ქალი მკ. რომში	16 სახის მანჭვა	17 უსი- ნათ- ლოთა პრიფტი		18 რომის პაპის მოკლე ეპისტოლე	19 არაბუ- ლი ქვეყანა		
					20 პურის მცხო- ბელი						
21 ტელეგრა- მა										22 ფინე- თის პარლამენ- ტი	23 ინ- დურ ირმის სახეობა
					24 სეკუ- ლარ თანფუზა- თა ცფუ- გფუფუ						
25 სანთ- ლის გული	26 პატ- არა ფლეიტა				27 სრუ- ლი მარცხი						28 ფილ- იპინე- ის დედაქალაქი
				29 დარტ- მისაგან ამოზრცე- ლი ადგილი თავზე						30 სამკა- ციანი ანსამბლი	

**წინა ნომრის სპანოგრაფის პასუხები**  
 1. კომბინიზონი; 2. ამპერი; 3. ჰიტი; 4. ნიგოზი; 5. ყია; 6. რემიგრაცია; 7. მარიონეტი; 8. მცირე; 9. სატირა; 10. ოაზისი; 11. ლას; 12. ბლიცი; 13. სიონი; 14. რალი; 15. ფირუზი; 16. პიესა; 17. მოურავი; 18. მელა; 19. ბეტა; 20. ჭური; 21. ავიაცია; 22. ნერბი; 23. ფიალა; 24. სურა; 25. ცენტრი; 26. ბუ; 27. ბილიარდი; 28. არბიტრი; 29. ბრა; 30. ნევადა; 31. სტაბილური; 32. ურანია.  
**სურათზე:** კურტი რასელი.

**თემიდა, თემიდას სასწორი**

მართლმსაჯულების სინონიმი. ძველბერძნულ მითოლოგიაში თემიდა მართლმსაჯულების ქალღმერთი იყო. მას თვალუბრებულს ხატავდნენ, ცალ ხელში — სასწორით, ხოლო მეორეში — ბასრი მახვილით, რაც სიმბოლურად იმას ნიშნავდა, რომ ქალღმერთი მიუდგომლად, პირუთვნელად აგროვებდა და სასწორზე ზომავდა ბრალდებულის ყველა მამხილებელ მასალას. მახვილი კი, დანაშაულში მხილებულის დასჯას გულისხმობდა.

**სფინქსის გამოცანა**

რთული საკითხი, თავსატეხი, რომლის ამოხსნა დიდ საზრიანობას მოითხოვს. მითური ურჩხულის, სფინქსის შესახებ გადმოგვცემს ძველი საბერძნეთის ცნობილი დრამატურგი სოფოკლე (496-406 წ.წ.ალ-მდე) თავის ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“. თებეს მახლობლად დაბინავებული ურჩხული ყველა გამველ-გამომველეს ხოცავდა, ვინც მის მიერ ნათქვამ გამოცანას ვერ ამოხსნიდა. უამრავი ხალხი იმსხვერპლა სფინქსმა, ვიდრე არ მოინახა ადამიანი, რომელმაც ამოხსნა მისი გამოცანა და დაამარცხა საზარელი ურჩხული.

**სირინოზის გალობა**

ამ გამოთქმაში იგულისხმება ადამიანის მახეში გაბმა, ალერსითა და შემპარავი, ტკბილი დაპირებით. ზღვის ქალღმერთი სირინოზი ძველ მითში, თევზის კუდიანთა და წელს ზევით უღამაზესი ქალის სახითაა წარმოდგენილი. ლეგენდის თანახმად, სირინოზებს საოცრად ტკბილი ხმა ჰქონდათ. ისინი მომხიბლავი გალობით შეიტყუებდნენ მეზღვაურებს წყალქვეშა კლდიან ადგილებში და გემების კატასტროფას იწვევდნენ.

ქართულ ენაში რამდენიმე ეტიმოლოგია

# ანექდოტები



\*\*\*

რესტორანში კაცი შევა და ოფიციანტს ეკითხება:

- უკაცრავად, ცხელი რა გაქვთ?
- ტაფა...

\*\*\*

სვანის საზაფხულო დღიური:  
 — გუშინ დიდი პეპელა დავიჭირე, ლამაზი იყო, მაგრამ უგემური...



\*\*\*

რიგითი პეტროვი ზემდეგს:

- ამხანაგო ზემდეგო, შეიძლება ტელევიზორს ვუყურო!
- კარგი, ნადი, უყურე, მაგრამ არ ჩართო.

\*\*\*

სვანი ბავშვი ქუჩაში ზის და ტირის. მასთან კაცი მივიდა და ეკითხება:

- რატომ ტირი, ბიჭუნა?
- დედამ კნუტები წყალში დაახრჩოლო!
- რა საშინელება!
- ჰოოოო!.. არადა შემპირდა, რომ მე დავახრჩობდი!

\*\*\*

ქალი ექიმთან მივიდა, ექიმი ეუბნება:  
 — წნევა მაღალი გაქვთ, ღვიძლი გადიდებული, მარილების დაგროვება, არითმია.

- ექიმო, ხომ არ მოგვკვდები?!
- რამდენი წლისა ხართ?
- ოცდაცამეტის.
- მდაა... სკლეროზიც დაგწყვდიათ.

\*\*\*

პლაჟზე:

- ანზორა, შენ რავა, სამუშაო საათებში საბანაოდ დადიხარ?!
- არა, ბუჯო, სამსახურებრივი საქმის გამო ვარ აქანე.
- რას აკეთებ.
- შეფიზა ახალ მდივანს ვარჩევ.

\*\*\*

— თუ არ ვცდები, თქვენ მისი მესამე ქმარი ხართ.

- არა, მეოთხე.
- მდა... თქვენ ქმარი კი არა, ჩვევა ყოფილხართ.



\*\*\*

ექიმი პაციენტ ქალს:  
 — შემოდით, ქალბატონო, გაიხადეთ! ერთი წუთით, ერთი წუთი შეჩერდით! მუსიკა მაინც ჩავრთო!..

\*\*\*

ცხენი რეკავს ცირკში:  
 — გამარჯობა, მე ცხენი ვარ და თქვენთან მინდა მუშაობის დანწყება.  
 — კარგი, მაგრამ განსაკუთრებული რა შეგიძლიათ?  
 — ცხენი ვარ, ცხენი და გელაპარაკები!!!!

\*\*\*

— ოჰ, მძიმედ ამოიოხრა ქმარმა და ცოლის ნასროლი ემალის ჯაში აიცდინა, — სადღაა ის დიდებული დრო, როცა ერთმანეთს ფაიფურის თეფშებს ვესროდით.

\*\*\*

— ამბობენ, ალკოჰოლი ადამიანს ბევრს ალაპარაკებსო.  
 — ტყვილია! ჩემი ცოლი საერთოდ არ სვამს მარა...

\*\*\*

ერევნის რადიოში ექიმს ეკითხებიან:

- არმენ მართალია, რო ამბობენ, სტაფილო პოტენციასა ზრდისო? ექიმი არმენა:
- პრინციპში „პრავილნა“, „ცავატანემ“, მაგრამა ცოტა ძნელი მისამაგრებელია!

\*\*\*

კახელი ჯარიდან აგზავნის წერილს და ამანათს:  
 — მამი ამ ყუთს რო გახსნი და შიგრაძ დევეს, იმამი რგოლს გამოაძრობ, ორი კვირით გამომიშვებენ.

\*\*\*

ქუთაისური კომპლიმენტი:  
 — უი, ნინოია, შენ ხარ? ვერ გიცანი, დღეს რა ლამაზად გამეიყურები!

\*\*\*

— ილარიონ მოგვილოცავს ახალი ცოლი!  
 — თქვენც დაესწარით მრავალს!

\*\*\*

ყველაზე ცუდი ისაა, როცა შენი სურვილი ვილაცხვავს უსრულდება.

\*\*\*

მისომ „ზაპოროჟეცი“ იყიდა.  
 — მისო, როგორ მოგწონს „მაშინა“?  
 — მაგარია, ჯო... ცოტა მხრებში რო არ მიჭერდეს.

\*\*\*

ქართველმა ფსიქოლოგებმა უმოკლესი ტესტი შეადგინეს ადამიანის ინტელექტის დონის დასადგენად. ტესტი ერთადერთი კითხვისგან შედგება:  
 — უყურებთ თუ არა რეალითი-მოუს?

\*\*\*


ორი ზვიგენი სვდება ერთმანეთს:  
 — გუშინ აკვალანგისტი შევჭამე და პირში საშინელი რეზინის გემო მაქვს, — ჩივის ერთი.  
 — შტერო, — პასუხობს მეორე, — ჯერ უნდა გაგეფცქენა.

\*\*\*

სომეხი კვდება, შვილებს მოიკითხავს:  
 — სერჟიიკ...  
 — აქა ვარ მამი...  
 — ლიოვიკ...  
 — აქა ვარ მამი...  
 — არტუურ...  
 — მეც აქა ვარ მამი...  
 — მა ცხენი ვინლაა თქვენი დედა...

\*\*\*

ნატაშას ჩანანერებიდან ქმარმა მითხრა: თუ კიდევ გავიგებ, რომ მილალატე, თავს მოვიკლავო. ჰოდა, იმის მერე, არაფერს არ ვუყვები და აი, უკვე შვიდჯერ გადავარჩინე ჩემი სერგეი სიკვდილს...





# ხართ თუ არა მზად იმისათვის, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემები ქმართან თანაბრად გაინანოლოთ?

კარგა ხანია, რაც სიტყვა „მენეჯმენტმა“ ჩვენს საქმიან ლექსიკონში მყარად მოიკიდა ფეხი, თუმცა, საოჯახო ლექსიკონში ადგილის დამკვიდრება მან ვერ მოახერხა. ოჯახურ გარემოში, არც შრომის სწორად ორგანიზების უმთავრესი პრინციპი — უფლებამოსილების დელეგირება მოქმედებს.

პასუხის ვარიანტებია — „დაიას“ და „არა“.

1. თქვენ არა მარტო მუშაობთ, არამედ შინაც, საოჯახო საქმეების ლომის წილი სწორედ თქვენს მხრებზე გადადის?
2. ხშირად ხდება თუ არა ისე, რომ თქვენ ჯერ კიდევ ფუსფუსებთ, მაშინ, როცა თქვენი ოჯახის წევრებს უკვე კარგა ხანია სძინავთ?
3. ოჯახის წევრების ნაცვლად ხშირად აკეთებთ თუ არა ისეთ საქმეს, რასაც თავს თავადაც მშვენივრად გაართმევთ (მაგალითად, წმენდა ქმრის ფეხსაცმელს, ულაგებთ შვილს ჩანთას)?
4. შეძლებს თუ არა თქვენი ოჯახის წევრებიდან ვინმე (ვთქვათ, ქმარი) საოჯახო საქმეების მთლიანად საკუთარ თავზე აღებას, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დროებით (მაგალითად, ავადმყოფობის გამო) მწყობრიდან ხართ გამოსული?
5. გყოფნით თუ არა დრო საკუთარი თავისთვის (მეგობრებთან, საპარიკმახე-როებსა თუ საუნაში ვიზიტისთვის,

- ნიგნებისა თუ ჟურნალების საკითხავად და ა.შ.)?
6. ყოფილა შემთხვევა, როცა შინ თქვენი ერთგვიანი არყოფნისას (მაგალითად, მივლინებაში ყოფნის გამო), დაბრუნებულს, სახლი საშინლად აოხრებულ იქნებოდა?
7. დამოუკიდებლად ენევი თუ არა ჭაპანს არა მარტო თქვენს საკუთარ ოჯახში, არამედ თქვენს მშობლებთანაც (ან დედათილ-მამამთილთან)?
8. იმდენად დაკავებული ხართ, რომ საკუთარი ჰობისთვის დრო საერთოდ არ გრჩება?
9. თქვენს საოჯახო-ყოფით საქმიანობაზე შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ თქვენ მთელი დღის განმავლობაში მუხლჩაუხრელად შრომობთ?
10. იძულებული ხართ თუ არა, რომ გამუდმებით რამდენიმე საქმე ერთდროულად აკეთოთ (მაგალითად, იატაკის გაწმენდა, საჭურჭლის დაწმენდა, ბავშვების გაწმენდა, სახლის გაწმენდა)?

11. ყოფილა შემთხვევა, როცა საოჯახო საქმეებით მეტისმეტად დატვირთულს, რაღაც მნიშვნელოვანი (სადმე წასვლა, დარეკვა ან ვინმესთვის რაიმის მილოცვა) დაგვიწყებია?
12. ირგვლივ მყოფები (სხვა ბავშვის მშობლები, აღზრდელნი) ხომ არ უჩივიან იმას, რომ თქვენი შვილი (შვილები) სათანადოდ არ არის აღზრდილი?
13. გავთვთ თუ არა იმის დრო და ენერჯია, რომ საზოგადოებაში გახვიდეთ (თეატრში, გამოფენასა თუ კონცერტზე და ა.შ.)?
14. ცდილობთ თუ არა, რომ თითოეული თქვენი ოჯახის წევრის საქმეების კურსში იყოთ და მუდმივად აკონტროლოთ ისინი?
15. შეიძლება ითქვას, რომ მთელი კვირის მანძილზე დაგეგმილი საოჯახო საქმეების კეთება ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე გინევთ?

**დასაჯამი ქულაში:** თქვენ მიერ შეკითხვებზე დადებითად გაცემული პასუხები დაითვალეთ.

## ტანტის შედეგები

**8 და უფრო მეტი დადებითი პასუხი** — „მის თოხარკი ცხენი“. შინაურებმა ჭენებით ლამის არის სული ამოგხადონ. მათ მიერ საოჯახო საქმეებში განუთლი დახმარება ნულს უტოლდება, ისევე, როგორც ყოფის მონყოლაში ოჯახის დანარჩენი წევრების ჩართვის თქვენ მიერ გამოვლენილი ნიჭი. როცა უსაშველო ჯაფის შედეგად ქალის სახეს საბოლოოდ დაკარგავთ, იცოდეთ, რომ პირველები, ვინც ამის თაობაზე საყვედურებით აგავსებენ, სწორედ შინაურები (განსაკუთრებით ქმარი) იქნებიან — ისინი დაგადახმარებენ იმაში, რომ საკუთარი თავის მოვლაც კი ვერ მოგიხერხებიათ. დროა, ოჯახში თქვენს მონურ მდგომარეობას ბოლო მოუღოთ და საოჯახო საქმეების ნაწილი ქმარსა და შვილებს გადაუწილოთ. მართალია, თავდაპირველად, ისინი ამას იოცებენ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ბოლოს და ბოლოს, თუკი საკუთარი თავისთვის ტოსტების შეწვა და ყავის მოხარშვა არ სურთ, კეთილი ინებონ და მშვიდებით ნაბრძანდნენ სამსახურსა თუ სასწავლებელში. თუკი საკუთარ თავში იპოვით იმის ძალას, რომ ყოველთვის ერთი ვალდებულება მაინც სხვას გადააბაროთ (თავისთავად, ამის შესახებ ქმარს უნდა გამოუცხადოთ), ექვსი თვის შემდეგ, თავს კვლავ ადამიანად იგრძნობთ.

**4-7 დადებითი პასუხი** — „მის რუტინა“. ქმარმა მოახერხა და საოჯახო საქმეების რაღაც ნაწილი თქვენ აკვიდათ; ასევე მოიქცით თქვენ და რაღაც ნაწილი მას აპკიდეთ. საბოლოო ჯამში, შეი-

ძლება ითქვას, რომ თქვენ ბარიბარში ხართ; თუმცა, მიუხედავად ამისა, ორივე დისკომფორტს განიცდით. ეს იმის გამო ხდება, რომ თქვენ საოჯახო საქმეები ნებაყოფლობით კი არ გადაიანაწილეთ, არამედ ორივე შეეცადეთ, რომ მეუღლისთვის უფრო მეტი რამ მოგეხვიათ თავს. თქვენს სიტუაციაში, მდომარეობის გამოსწორება მშვიდობიანი მოლაპარაკებითაც შეიძლება. იქნებ, თქვენ ქმარს შვილების გასაერნება უფრო მოეწონოს, ხოლო გაზონის გაკრეჭამ და ფოტოების მოგროვებამ თქვენ უფრო დიდი სიამოვნება მოგანიჭოთ.

**0-3 დადებითი პასუხი** — „მის გამანაწილებელი“. თქვენ შესანიშნავად ფლობთ საოჯახო-ყოფით უფლებამოსილების დელეგირების ხელოვნებას. თანაც, იმდენად ზედმინეწით კარგად ფლობთ ამ ხელოვნებას, რომ ოჯახის ყველა წევრი, სათანადოდ დატვირთული გყავთ, თავად კი, ლამის მხოლოდ თქვენ მიერ კოორდინირებული სამუშაოს შესრულების გაკონტროლებით შემოიფარგლებით. დაფიქრდით, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, შინაურებს მოჰბეზრდეთ თქვენნაირი დედოფლის ქვეშევრდომობა და გაქცევით უშველონ თავს: შვილები, უზრუნველ თანატოლებს მიეკედლებიან, ქმარი კი საყვარელს, რომელიც ზღურბლზევე მიეგებება გამომცხვარი ღვეზელებით. აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოიტანოთ: ჯობს, შინაურები საოჯახო საქმეებში თქვენი მონაწილეობით გაათამამოთ, რათა მათ უნებლიეთ არ გაუჩნდეთ თქვენგან თავის დაღწევის სურვილი.

# ცნობილთა ცხოვრებები



\*\*\*  
სტალინს არ მოეწონა ერთი მწერლის ნაწარმოები: ამ ენით მხოლოდ საფოსტო მარკების დაწებება შეიძლება.

\*\*\*  
ოცდაჩვიდმეტი წელია. ბერიამ დაიბარა კონსტანტინე ჩიჩინაძე და დაჭერით დაემუქრა.

— რას მერჩით, ბატონო, მე ერთი პატიოსანი, ჩუმი კაცი ვარ, დღე და ღამე თავჩალუნული ვმუშაობო... — შეაბრალა მან თავი.

— ჩვენც სწორედ მაგას გიჩივით, თავჩალუნული ჩუმი-ჩუმად რომ მუშაობ, დროა, თავი მაღლა ასწიო.

\*\*\*  
კონსტანტინე ლორთქიფანიძე ყოველი ახალი გამოცემისას თავის რომანს — „კოლხეთის ცისკარი“ — სახელს უცვლიდა, პირველად ექვა „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, „იმერეთის

ციცკარი“, „ცისკარი“. მორიგი გამოცემისას გიორგი ლეონიძეს შესჩივლა, აღარ ვიცი, რა ახალი სახელი მოვუგონო.

— ბატიბუტი დაარქვი, ბატიბუტი!.. — ჩაიროხროსა გოგლამ.

\*\*\*  
ლეონიდ ბრეჟნევი დაბრუნდა ინდოეთიდან და ალექსეი კოსიგინს უთხრა: შუბლზე ხალი დამისაბე, როგორც ინდირა განდის აქვსო.

— ინდირასნაირი ხალი რად გინდა?

— ინდირასთან ვიზიტის დროს, ხელი შუბლთან მიიღო და მითხრა: აქ რაღაც გაკლიაო.



\*\*\*  
როდესაც ბრეჟნევის ტრილოგია დაიბეჭდა, მისმა დამწერმა ჩაკოვსკიმ პკითხა:

— ლეონიდ ილიჩ, შენი წიგნები როგორ მოგეწონა?

— ჯერ წავითხვა ვერ მოვასწარი, არ მეცალა.

მაშინ ბრეჟნევი მიადგა კოსიგინს:

— „მცირე მიწა“ თუ წავიკითხე?

— კი, წავიკითხე.

— მოგეწონა?

— დიას, მომეწონა.

— „ყამირი“ წავიკითხე?

— აბა, როგორ, ეგეც წავიკითხე.

— მოგეწონა?

— კი, კარგი დაწერილია.

— „ალორძინებაც“ წავიკითხე?

— კი, ეგეც წავიკითხე და ძალიან მომეწონა.

— აბა, მეც წავიკითხავ! — თქვა ბრეჟნევი. მართლა წავიკითხა და... თავი ლენინური პრემიით თვითონვე დაიჯილდოვა.

\*\*\*  
გალაკტიონმა ქუჩაში შეაჩერა ერთი გოგონა. ტყუილი იცი? გოგონა შეცბა და ენა დაება.  
— არაფერია. თუ არ იცი, ცხოვრება გასწავლის, — უთხრა და უმაღვე გამორდა.

## იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ყურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	2	6	1	3	5	9	8	4	7	8	2	1	4	6	3	9	5
5	1	3	8	4	9	6	2	7	9	3	6	7	5	2	4	1	8
8	4	9	2	7	6	3	5	1	4	5	1	8	3	9	6	7	2
9	7	2	5	1	4	8	6	3	5	4	3	6	9	1	8	2	7
3	6	8	9	2	7	1	4	5	6	9	8	2	7	5	1	4	3
1	5	4	6	8	3	2	7	9	1	2	7	3	8	4	5	6	9
4	8	7	3	6	1	5	9	2	4	8	7	3	6	1	5	9	2
2	3	5	4	9	8	7	1	6	3	6	5	9	1	7	2	8	4
6	9	1	7	5	2	4	3	8	8	1	9	4	2	3	7	5	6


\* მარტივი


7	8		1	4		3		
9	3		7			4		8
4			8	3		6		2
	4	3	6	9	1		2	
6	9	8				1	4	3
	2		3	8	4	5	6	
2		4		6	8			1
3		5			7		8	4
		9		2	3		5	6

\*\* საშუალო

	7		6			5		1
	9		4	7	1			2
1	8		5					3
	6	3		1		7		
	5	1		9		3	2	
		4		8		6	1	
2					3		4	5
6			9	5	2		3	
5		9			7		8	

# ფოტოკუჩიოზები





**TB STARS**

# პიკვიდი ელიტური სანტი ბუხამიშვილი

578/2



ლხმალდე

ბუხამიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 **38-91-92 45-17-17**  
**877-77-70-77 899-35-90-00**

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო პარკი  
აუთიაჟი  
სამედიცინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დასვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ეზო 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი